

მნათობი

11

თბილისი
1946



მნათობი

საულიაღ-საქართველოს საბჭოთა მფარღების
ქავშირის ურველთვიური სალიბიკატორს,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საოულიბიკო
ჟურნალი

წლიწადი ოცღამესამე

11



შინაარსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავი —
 აზ. ა. ა. შლანგინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის საზეიმო
 სხდომაზე

3

ალექსანდრე აბაშელი — ბრწყინავს ოქტომბრის ვარსკვლავი (ლექსი)	21
ბალატიონ ტაბიძე — ზღვა ახმურდა (ლექსები)	23
აკაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (რომანი, გაგრძელება)	29
შალვა აფხაძე — საღიბი შენდა; ჩემს სოფელში (ლექსები)	49
ალექსანდრე ყაღვიანი — ახალგაზრდა გეარდია (რომანი, გაგრძელება, თარგმანი პ. აბრამიძისი)	52
ბრიგოლ ცაცხლაძე — თამარის ზიდი (ლექსი)	75
დავით სულიაშვილი — ორი ძმა (მოთხრობა)	76
ვლადიმერ თორდუა — სურათი (მოთხრობა)	79

ბარბაზ ბარიშვილი — განვლილი გზა (ნაწევრები მოგონებებიდან).

125/1

ალექსანდრე ქუთელია — ვაჟა-ფშაველას ეთიკური და ლიტერატურული შე- ხედულებანი	100
შალვა რაფიანი — გიორგი ქუჩიშვილი	128
აკად. კორნელი ძეგელიძე — აკად. ნიკო შირი და ქართული ლიტერატურის ისტორია	134

მთარ ჩხიძე — შექაბრის ახალი თარგმანები (ბიბლიოგრაფია)

144

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავი

პბ. ა. ა. ჯღანოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის
საზიარო სხდომაზე



ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი დღესასწაულობენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ოცდაშვიტე წლისთავს.

შარშან ჩვენი დიდი დღესასწაული აღვნიშნეთ მალე იმის შემდეგ, რაც სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა ჯერ გერმანელი ფაშისტების, ხოლო შემდეგ იაპონელი იმპერიალისტების განადგურებით. 1945 წელი ისტორიაში შევიდა, როგორც ფაშიზმისა და აგრესიის ძალებზე საბჭოთა ხალხისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების დიადი გამარჯვების წელი. 1946 წელი პირველი ომისშემდგომი წელია. საბჭოთა ხალხმა, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა, მთელი თავისი ძალები მიმართა ომის მძიმე შედეგთა სალიკვიდაციოდ, სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც სამამულო ომის წლებში, ძალ-ღონესა და შრომას არ იშურებენ და საერთო სახალხო, საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესთა მაღალ შეგნებას იჩენენ. საბჭოთა ხალხი ემყარება სოციალისტური წყობილების ურყევ ძალას და თავდადებულად სძლევს რა ომისშემდგომი დროის სიძნელეებს, წარმატებით მიდის იმ გზით, რომელიც ლენინმა დაგვისახა, რომლითაც მივყავართ ამხანაგ სტალინს. (ტაში).

I

პირველი ომისშემდგომი წელი

გასულ წელს ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ განაახლა მშვიდობიანი სოციალისტური განვითარება. საბჭოთა სახელმწიფო ეწევა სახალხო მეურნეობის გარდაქმნას მშვიდობიანი დროის პირობებისა და ამოცანების შესაბამისად. მთელი ჩვენი მუშაობა სწარმოებს საბჭოთა სახელმწიფოს უახლოესი ამოცანების შესახებ ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულების ნიშნით. „ჩვენ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — უმოკლეს ვადაში უნდა მო-

ვერსუთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და ადგილობრივ სახალხო მეურნეობის განვითარების ოპოზიციური დონის დახლოებას დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავადმყოფობის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ ეს ამოცანები ადვილი როდია. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი ზარალი მიყენეს საბჭოთა ქვეყნის მეურნეობას. ფაშისტმა ბარბაროსებმა დაანგრეს და დასწყეს ათეულ ათასობით სამრეწველო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და მტს-ები, დაანგრეს რკინიგზების მთელი ქსელი ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ფაშისტებმა ააოხრეს და უდაბნოდ აქციეს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი რაიონები, მოსპეს საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის დაძაბული შრომის ნაყოფი, უსაზღვროდ დასტოვეს მიღწეობით საბჭოთა მოქალაქე. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ომები, რომლებსაც შეეწიროთ ესოდენ ბევრი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე და ასე უმაგალითოდ გაეპარტახებინათ ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა, როგორც წარსული ომი იყო. ყოველი სხვა, თუნდაც ყველაზე მსხვილი თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო, ასეთი ზარალის განცდის შემთხვევაში ათეული წლებით იქნებოდა უკუგდებული და მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირს ეს არ მოსვლია. მეორე მსოფლიო ომიდან საბჭოთა კავშირი მტკიცე და ძლიერი გამოვიდა. კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყანა გადავიდა მშვიდობიან მშენებლობაზე ყოველგვარი კრიზისისა ან შერყევის განუცდელად. ამავე დროს კი ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირს გაიღებოდა უფრო დიდი ზარალი მიყენა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას, რომლებიც პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ. მე აღარას ვამბობ ისეთ სახელმწიფოებზე, როგორც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რომელთა ტერიტორიას არ განუცდია ოკუპაცია მტრის ჯარების მიერ და რომელთა წინაშეც ამიტომ არა დგას სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის ამოცანები. და მაინც, მიუხედავად ამისა, ომისშემდგომი პერიოდი ამ ქვეყნებში დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებთან არის დაკავშირებული.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ომიდან მშვიდობიან დროზე გადასვლამ გამოიწვია ბაზრის მკვეთრი შეკვეცა, წარმოების დონის დაცემა, საწარმოთა დახურვა, უმუშევრობის ზრდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1946 წელს შემცირდა 1943 წელთან შედარებით ერთ მესამედზე უფრო მეტად, ხოლო უმუშევართა რიცხვმა, ოფიციალური ცნობების მიხედვით, სამ მილიონ კაცს გადააჭარბა.

ჩვენი ქვეყნისათვის უცხოა ასეთი მოვლენები. საბჭოთა კავშირში ომიდან მშვიდობიანობაზე გადასვლას, ამასთან დაკავშირებით საბჭოთა არმიის მნიშვნელოვან კონტინგენტთა დემობილიზაციას, სამხედრო ბიუჯეტის ერთისამად შემცირებას, ფაბრიკა-ქარხნების სამშვიდობო პროდუქციაზე გადაყვანას ჩვენი თან არ ახლავს ფაბრიკა-ქარხნების დახურვა, წარმოების შეკვეცა და უმუშევრობა. საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, მას არ

ვინია ეკონომიური კრიზისისა და უმუშევრობის წარმოშობისა, ვინაიდან იგი ემყარება მეურნეობის ორგანიზაციის სხვა, უფრო მაღალეკონომიურ ტურ სისტემას, რომლისთვისაც უცხოა კრიზისებიც და უმუშევრობაც.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ომის შემდგომ აღდგენას არ დასჭირდეს მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხების მხრივ მსხვერპლი საერთო საქმისათვის. მხედველობაში უნდა ვიკონიოთ, რომ სერიოზული მსხვერპლის გაუფებლად შეუძლებელია აღმოიფხვრას ომის მძიმე მემკვიდრეობა — აოხრება და გაპარტახება და აღდგენილ იქნას სახალხო მეურნეობა.

მაგრამ ეს მსხვერპლი ოდნავაც ვერ შეედრება კაპიტალისტური სახელმწიფოების მუშა-მოსამსახურეთა მხრივ გაღებულ მსხვერპლს, რომელიც მეტისმეტად დიდია, რამდენადაც კაპიტალისტები არ კისრულობენ იზრუნონ ომის შემდგომი აღდგენის საქმისათვის, ისინი მთელ სიძნელებებს მხოლოდ და მხოლოდ მუშებს, გლეხებსა და მოსამსახურეებს აკისრებენ. ეს სიძნელებები უწინარეს ყოვლისა გამოიხატება უმუშევრობის უდიდესი ზრდით და საწარმოებიდან მილიონობით მუშა-მოსამსახურეთა გამოყრით. ჩვენში არ არის და არც იქნება უმუშევრობა.

ეს დიდად უმსუბუქებს მდგომარეობას ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენში არ არის კაპიტალიზმისათვის ჩვეული ანარქია წარმოებისა, რომელსაც რიგრიგობით მოსდევს აღმავლობისა და კრიზისების პერიოდები, რაც ძირფესვიანად არყევს მეურნეობის მთელ სისტემას და მშრომელებს მუდამ უკარგავს ხვალისდელი დღის რწმენას. ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას წარმართავს სახალხო სამეურნეო გეგმა.

ომამდელი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა სახელმწიფომ ეროიანი გეგმით განახორციელა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ომის წლებში მან გეგმაზომიერად გამოიყენა ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსები ფრონტის საჭიროებისათვის. ასევე ახლაც საბჭოთა სახელმწიფო ახალი ხუთწლიანი გეგმით აწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სამუშაოებს. დიად სამუშაოთა ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომელმაც უნდა ააღორძინოს და წინ წასწიოს სსრ კავშირი, როგორც აყვავების გზაზე მდგომი სოციალისტური სახელმწიფო, თავისი ძალების, უნარისა და ტალანტის ღირსეულ გამოყენებას ჰპოვებს თვითეთელი საბჭოთა მოქალაქე-მამაკაცი და ქალი. (ტაში).

საბჭოთა ადამიანები ჩვეული არიან ყველაფერზე მაღლა დააყენონ საერთო სახალხო სახელმწიფოებრივი ინტერესი. ისინი ჩვეული არიან თავის საარსებო პირად საქმედ მიიჩნიონ საერთო საქმე. აი ამიტომ საბჭოთა ხალხმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს. შემოქმედებითი შრომის პათოსით განიმსჭვალა მილიონობით ადამიანი. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საბჭოთა ადამიანები თავიანთ მისწრაფებაში წინსვლისაკენ ეძებენ ახალ გზებსა და საშუალებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელიც განმტკიცდა და გამოიწრთო სამხედრო განსაცდელში, წარმოადგენს სახალხო მეურნეობისა

და კულტურის აღმავლობისა და აყვავების მძლავრ საშუალებას მშვიდობიან პირობებში.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური მართვის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლელი“.

ახლა ყველა ხედავს, რომ ჩვენი ბელადის ეს შთამაგონებელი სიტყვები წარმატებით ხორციელდება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი შედეგები უკვე ჩანს. ცოცხლდება მტრის მიერ აზარებული მიწა-წყალი, ნანგრევებიდან ღორძინდება ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი. ჩვენი ქვეყანა ღრმა კმაყოფილების გრძობით ტყობილობს ომამდელ ხუთწლედთა მანძილზე შექმნილი და ამჟამად ფერფლიდან და ნანგრევებიდან კვლავ აღორძინებული საწარმოების აღდგენისა და ამუშავების ამბავს. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ხელახლა ჩადგნენ სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, ნიჟნი სვირის ჰიდროელექტროსადგური, თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის არხი და მრავალი სხვა უდიდესი საწარმო. ფეხზე დგება სამხრეთის მეტალურგია. ამოქმედდა ბრძმელები კონსტანტინოვკის, მაკეევკის ქარხნებში და ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში. ახლოდება აღდგენის პროცესში მყოფი დნეპრჰესის ამუშავების დრო. გერმანელების მიერ მთლად დანგრეული დონბასი მტკიცედ მიდის ქვანახშირის ამოღების ომამდელი დონის აღდგენის გზაზე. ამ საწარმოთა აღორძინებას მიესალმება ხალხი თითქმის როგორც მკვდრებით აღდგომას, ვინაიდან იცის, თუ ნგრევის რა დონემდე მიიყვანეს ისინი ფაშისტმა მტარელებმა და საბჭოთა ადამიანებს რა შრომის გაწევა დასჭირდა, რათა ამ საწარმოების დიადი სახელები კვლავ აელეარებულყო საბჭოთა კავშირის მოქმედი, შრომითი გმირობით სახელგანთქმული ფაბრიკა-ქარხნების ბრწყინვალე სიაში.

ამავე დროს სწარმოებს დიდი ახალი მშენებლობა. შენდება და ნაწილობრივ უკვე ამუშავდა ახალი მანქანათმშენებელი და მეტალურგიული ქარხნები, მწყობრში დგება შახტები, ელექტროსადგურები, რკინიგზის ლიანდაგები, საფეიქრო, ქიმიური და მრეწველობის მრავალი სხვა დარგის საწარმოები. სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას თან ახლავს მისი ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. მრეწველობის საერთო გამომუშავება სამოქალაქო პროდუქციის ხაზით 1946 წლის პირველ სამ კვარტალში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტზე იმავე პერიოდში 12 პროცენტით გაიზარდა.

გერმანული ოკუპაციით დაზარალებულ რაიონებში ფართო ფრონტით გაჩაღდა მუშაობა დანგრეული სოფლებისა და ქალაქების, კულტურული დაწესებულებების აღსადგენად.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ნგრევის ოდენობას და მომავალი აღდგენითი სამუშაოების მოცულობას. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ გერმანელი ოკუპანტების

მიერ აოხრებული რაიონების აღსადგენად საჭირო იქნება ექვსი-შვიდი წელი, თუ მეტი არა.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანას სწრაფი წინსვლის მიზნად შესაძლებლობა აქვს. მაგრამ ხუთწლიანი გეგმის შესრულების გზაზე ჩვენ მოგვიხდება საკმაოდ ბევრ სიძნელეთა დაძლევა.

სახალხო მეურნეობის გადაყვანა ომიანობის რელსებიდან მშვიდობიანი განვითარების რელსებზე უკვე თავისთავად წარმოადგენს ეკონომიური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკმაოდ დიდ სიძნელეებს. ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ შეუძლია დასჯერდეს მხოლოდ იმას, რომ გამოიყენოს არსებული საწარმოო ბაზა, რომ ჩვენს სახელმწიფოს, გარდა ამისა, მხედველობაში აქვს აღადგინოს და განავითაროს როგორც მრეწველობის, ისე სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის საწარმოო ბაზა, გასაგები გახდება, თუ რა უდიდეს მატერიალურ და ფულადს ხარჯებს მოითხოვს ამ ამოცანის შესრულება. ახალი ხუთწლიანი გეგმით სახალხო მეურნეობაში მართო ცენტრალიზებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა უნდა შეადგინონ 250 მილიარდ მანეთზე მეტი. ამ ხარჯების უზრუნველსაყოფად ჩვენ უნდა განვაძტვიცოთ და განვაგვითაროთ მეურნეობის წარმოების სოციალისტური მეთოდები, მომჭირნეობის რეჟიმი და სამეურნეო ანგარიში, გადაჭრით უნდა მოვულოთ ბოლო უყარათობას, გაბერილ შტატებს, პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას და მოვახდინოთ ჩვენი შინაარსურების, დაგროვების მთელი წყაროების მობილიზაცია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საჭიროებისათვის.

ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკს დღემდე ვერ გაუგია, რომ მომჭირნეობის რეჟიმი, რის შესახებაც არაერთხელ უთქვამთ ლენინსა და სტალინს, არის არა ხანმოკლე კამპანია, არამედ სოციალიზმისათვის ჩვეულებრივი მეთოდი მეურნეობის წარმოებისა. საბჭოთა ადამიანები მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ ეს მითითებანი და განუზრელად იხელმძღვანელონ ამ მითითებებით თავიანთ მუშაობაში.

განვითარების მშვიდობიან რელსებზე გადასვლა გულისხმობს აგრეთვე საბარათო სისტემის გაუქმებას და ნორმალური საქონელბრუნვისადმი დაბრუნებას. საბარათო სისტემა გარდუვალი ბოროტებაა, როცა დიდი ომი სწარმოებს და როცა საჭირო ხდება სახალხო მეურნეობის გარდაქმნა. მისთვის ცალმხრივი სამხედრო ხასიათის მიცემა, მრავალნაირი ფასის დაწესება და მოხმარების შემცირება ზურგში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფრონტზე არმიის რეგულარული მომარაგება. როცა ომი დამთავრებულია და არმია დემობილიზებულია, საბარათო სისტემა საჭირო აღარ არის და მრავალნაირი ფასებიც ბოროტება ხდება. ეს ბოროტება უნდა უკუვიკადოთ, რათა დაუბრუნდეთ ნორმალურ საქონელბრუნვას და წარმოებისა და მოხმარების ყოველმხრივ განვითარებას. გვალვამ მთელ რიგ ოლქებში სურსათის სახელმწიფო მარაგის შემცირებამ მოითხოვა, რომ საბარათო სისტემის გაუქმება გადაგვეტანა 1946 წლიდან 1947 წლისათვის. საჭირო გახდა აგრეთვე მთელი რიგი აუცილებელი გარდამავალი ღონისძიებანი მაღალი კომერციული ფასებისა და ერთობ დაბალი საულუფო ფასების დასაახლოებლად, რათა შეგვექმნა პირობები 1947 წელს საბარათო სისტემის გაუქმებისა და ერთიანი ფასების შემოღებისათვის.

საბჭოთა მთავრობა მხედველობაში იღებდა საუღელფო ფასების გადიდების საძნელეს და იცოდა, რომ აქ საჭირო იქნებოდა სერიოზულად მსხვერპლი მუშა-ძოსამსახურეებისა და გლეხების მხრივ, რომ ასეთი მსხვერპლს გაუღებლად შეუძლებელია ოდის მიძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრა და შერყეული სახალხო მეურნეობის აღდგენა.

საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღო მცირე და საშუალო ხელფასიან მუშა-ძოსამსახურეთა დანაქარვის ასანაზღაურებლად და ხელფასი გაუდიდა მათ.

საქონელბრუნვის გაშლის ამოცანა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანია. თუ გვესურს მოვამზადოთ პირობები ერთიანი სახელმწიფო ფასების თანმიმდევრული შემცირებისათვის, რომლებიც შემოდებულ იქნება საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით, გადამწყვეტ საშუალებას წარმოადგენს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება სახელმწიფო, კოოპერაციულ და ადგილობრივ მრეწველობაში. აუცილებელია აგრეთვე გამოვიყენოთ ყველა წყარო საქონელბრუნვის განვითარებისათვის, გაეშალოს, სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად, კოოპერაციული ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დ.ბებში. რაც უფრო ფართოდ გაიშლება საქონელბრუნვა, მით უფრო სწრაფად გაუმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, დაკმაყოფილებულ იქნება მათი საარსებო საჭიროება, გადიდება რეალური ხელფასის დონე და განმტკიცდება მანეთის კურსი. ამ საარსებო ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ჩვენმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა გადაკრით გააძლიერონ ყურადღება ვაჭრობის ორგანიზაციისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაუმჯობესების საკითხებისადმი. „რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მძლავრად სჩქედეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ, გაშლილი საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის“.

მწვავედ დადგა საკითხი ჩვენი საწარმოებისა და ახალშენებლობათა მუშახელით შევსების შესახებ. შეიძლება წარმოებისათვის გეჭონდეს ისეთი ელემენტები, როგორცაა ფული და მატერიალური ფონდები. მაგრამ თუ მუშახელი არ გვეყოფნის და ფული და მატერიალური ფონდები სრულად არ იქნა გამოყენებული, წარმოების გეგმა ჰერში გამოიკლებული აღმოჩნდება. საბჭოთა სახელმწიფოში არა გვაქვს მუშახელის შევსების ისეთი წყაროები, როგორცაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უმუშევართა ხარეზერო არმია, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება გლეხურ მეურნეობათა და ქალაქების წერილი ბურჟუაზიის გაჩანაგების შედეგად. ჩვენში, სოციალისტური წყობილების პირობებში, მუშახელის რეზერვები შევსებულნი არ არიან, რომლებიც ლიკვიდირებულია. ამავე დროს მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ახალი მუშახელის მოზიდვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის შესრულების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიწვიოს მზარდი სახალხო მეურნეობის მუშახელით შევსების ახალი საშუა-



ლებანი. ჯერ კიდევ იმამდე სოციალისტური სახელმწიფო ამ ამოცანის გადატრას შეუდგა მუშახელის სახელაწიფო რეზერვების შექმნას ნუნამ, რომლებიც იგზავნება იქ, სადაც სახელმწიფოს ესპორიობა: შით უფრო მწვავედ დადგა ეს საკითხი იმის შემდეგ, ცნობილია, რომ გერმანელთა შემოსევის შედეგად საბჭოთა კავშირმა აღწახლარებლად დაკარგა გერმანელებთან ბრძოლაში, აგრეთვე გერმანული ოკუპაციისა და გერმანულ კატორღაში საბჭოთა ადამიანების გარეკვის შედეგად შვიდ მილიონამდე კაცი. ეს კოლოსალური მსხვერპლი გაიღო საბჭოთა საზოგადოების მშრომელთა ყველაზე აქტიურმა ნაწილმა. გასაგებია, რომ ეს ზარალი მტკივნეულია ჩვენი აღდგენითი სამუშაოების გაქანებისათვის. ამოცანა შესაძლებელია და უნდა გადაწყდეს იმ შრომითი რეზერვების კონტინგენტთა გადიდების გზით, რომელთა მომზადება სწარმოებს სახელოსნო სასწავლებლსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მუშახელის მყარი კადრების შექმნის გზით მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საფუძველზე, რასაც მინიტრთა საბჭოს ცნობილი გადაწყვეტილება ითვალისწინებს, მრეწველობაში მუშახელის შიდა გადანაწილების საშუალებით წარმოების სასარგებლოდ, შრომატევადი სამუშაოების მტკიცე მექანიზაციის და შრომის ნაყოფიერების გადიდების შემწეობით.

ჩვენ დიდი ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დარგში. იმმა ძლიერ დაასუსტა მისი საწარმოო ბაზა: მკვეთრად შემცირდა პროდუქტიული პირუტყვის, მუშა ცხენის რაოდენობა, შემცირდა მანქანა-ტრაქტორთა პარკი. კოლმეურნეობებში ნაკლები გახდა მუშახელი. იმით გამოწვეულ სიძნელეებს მიემატა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში გვალვასთან დაკავშირებული სიძნელეები. მოსავლის შეცვლილ გეოგრაფიასთან და მის სიჭრელესთან დაკავშირებით ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წლის პურის დამზადების გეგმის შესრულებას. ალტაელ კოლმეურნეთა თოანობის მიხედვით უკანასკნელი კვირების განმავლობაში მრავალი ოლქისა და რაიონის გლეხებმა იკისრეს ვალდებულება ვეღამდე მთლიანად და გადაკარბებით შეასრულონ პურის დამზადების გეგმა: ეს თავტები არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საბჭოთა გლეხობის ღრმა პატრიოტიზმის ახალ გამოვლინებად. პარტიული და საბჭოთა ორგანოები თავიანთი საორგანიზაციო და იდეურ-პოლიტიკური მუშაობით უნდა დაეხმარონ გლეხებს სახელმწიფოს წინაშე მათი მოვალეობის შესრულებაში.

ახლა, როცა ლაპარაკია სოფლის მეურნეობის სერიოზულ აღმავლობაზე, ჩვენმა მრეწველობამ დიდი დახმარება უნდა გაუწიოს სოფელს, მიაწოდოს მას ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სათადარიგო ნაწილები. მაგრამ საქმე მართო ეს როდია. საქმე კიდევ ისიც არის, რომ სერიოზულად გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებიდან ბელმძღვანელობა, სათანადო წესრიგი დამყარდეს მათს მუშაობაში. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ ოლქებში დაშეხებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უღრესად უხეში დარღვევანი, რაც ძირს უთხრის საკოლმეურნეო წყობილების საფუძველს. როგორც გამოირკვა, ფართოდ იყო გავრცელებული კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი მიწების, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტები. საჭირო იყო კოლ-

მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის დაცვა განადგურებისაგან. ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო არტელის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წყობილების საფუძვლის, შემდგომი განმტკიცებისათვის. ამისათვის დაკავშირებით აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“, რომელიც მიღებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სისტემატური გაფართოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი მტკიცე კონტროლის დაწესებისათვის და წესდების დარღვევის ცდებისაგან კოლმეურნეობათა დაცვისათვის ღონისძიებების შესამუშავებლად მთავრობასთან შეიქმნა კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო, რომელშიც წარმოდგენილია საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი საქმიანათვის. საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში ბოლშევიკური ხაზის დამაზინჯებას და ამ დამაზინჯების მატარებელთა გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცა. უაღრესი სიცხადით გამოაშკარავებულია საკოლმეურნეო ცხოვრების სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც იწვევენ საზოგადოებრივი საწყისის შესუსტებას, კოლმეურნეობებში წამგლეჯი სპეკულანტური ელემენტების თავაშვებულობას. მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ ყველა პარტიოსან კოლმეურნეს ხელთ მისცა მძლავრი იარაღი კოლმეურნეობებში წესრიგის დასამყარებლად, საარტელო ცხოვრების ბევრჯერ დარღვეული საფუძვლების აღსადგენად. გადაწყვეტილებას დიდი კმაყოფილებით შეხედნენ კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს სახით, რომელსაც ადგილებზეც ჰყავს თავისი წარმომადგენლები, შეიქმნა მძლავრი და ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც დგას საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ინტერესთა საფუძვალზე. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამხანაგ სტალინის ყურადღებისა და დახმარების მეოხებით ჩვენი კოლმეურნეობების განმტკიცების საქმე მკვიდრ რელსებზეა დაყენებული და სრული წარმატებით დაგვირგვინდება. (ტაში).

ამხანაგებო! დიადი მშენებლობის ამოცანები, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების გეგმების შესრულება მოითხოვენ აღმზრდელობიდი და კულტურული მუშაობის მაღალ იდეურ დონესა და ფართო გაქანებას. იყო შეგნებული საბჭოთა მოქალაქე იმას ნიშნავს, რომ გესმოდეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდე მის განხორციელებას. სოციალისტური შეგნება აჩქარებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას, ამრავლებს მისი ძალისა და ძლიერების წყაროებს. ამიტომ ხალხის პოლიტიკური და კულტურული დონის განუზრგელი ამაღლება საბჭოთა წყობილების სასოციალისტო საპროგრესოს წარმოადგენს. სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება ბევრა მხრივ არის იმ აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფი, რომელსაც პარ-

ტია ეწეოდა მშრომელთა მასებში, განუწყვეტლივ უნერგავდა რა ჩვენს ახალგაზრდობას სიმბნევესა და თავისი ძალებისადმი რწმენას. ეროვნულნი ომის წლებში შექმნილი ვითარების გამო ჩვენ ვერ შევძელით თავისებურად დაგვეკმაყოფილებინა საბჭოთა ხალხის იდეური და კულტურული მოთხოვნილებანი. ხალხის იდეური და კულტურული დონე გაიზარდა. ყოველივე ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა ინტელიგენციის იმ რაზმს, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებებს აღზრდის, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

თქვენ იცით, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს გამოამკარავე ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში უიდეობისა და აპოლიტიკურობის შეუწყნარებელი ფაქტები. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ უიდეობის ბუნებას. ეს კაპიტალიზმის სწორედ ის ნაშთია ადამიანთა შეგნებაში, რომლის დაძლევა და აღმოფხვრა ჯერ კიდევ გვიხდება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე მიზნად ისახევენ გაძლიერდეს ბოლშევიკური შეურიგებლობა ყოველგვარი იდეოლოგიური დამახინჯებისადმი და ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანილ იქნას ჩვენი სოციალისტური კულტურის ყველა საშუალებანი: პრესა, პროპაგანდა და აგიტაცია, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენ გვესაჭიროება მეტი მაღალიდეური და მხატვრული ფილმი, ბელეტრისტული ნაწარმოებანი, პიესება და სხვა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ აღზრდას. საბჭოთა წყობილება ვერ მოითმენს, რომ ახალგაზრდობა აღიზარდოს უიდეობის სულისკვეთებით, პოლიტიკისადმი გულგრილობის სულისკვეთებით. საჭიროა დაუიცივთ ახალგაზრდობა გამბრწყნელი უცხო გავლენისაგან და მოვაწყოთ მისი აღზრდა და განათლება ბოლშევიკური იდეურობის სულისკვეთებით. მხოლოდ ასე შეიძლება აღიზარდოს სოციალიზმის იმ მხნე მშენებელთა მამაცი თაობა, რომელთაც სწამთ ჩვენი საქმის გამარჯვება, რომელთაც ვერ აშინებდ ვერავითარი სიძნელე და მზად არიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელე.

საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ მეცნიერების განვითარებას. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს მეცნიერების ძალების გაშლის მთელ მნიშვნელობას კომუნისტური პარტიის გეგმებში უახლოესი მომავლისათვის. ცნობილია, თუ რა ენერგიულ დონისძიებებს ხმარობს საბჭოთა მთავრობა, რათა ჩვენს მეცნიერებს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა მეცნიერული მოღვაწეობის გასაშლელად, სტალინური ამოცანის გადასაწყვეტად: არა მარტო დაეწიოთ, არამედ კიდევაც გავუსწროთ უახლოეს ხანში მეცნიერების მოღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს იქით. შემიძლია მოგახსენოთ, რომ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და მათი მეცნიერი მუშაკების რაოდენობამ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. განუხრელად მატულობს მეცნიერული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. საბჭოთა მეცნიერებმა მომავალშიც თამამად უნდა იარონ ნოვატორობის და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა გაბედული დანერგვის გზით. უნდა ვისურვოთ აგრეთვე, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების დონე არ ჩამორჩებოდეს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დონეს. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვან

ნი როლი უნდა შეასრულოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ამ დღეებში გახსნილმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც მოწოდებულია შეავსოს და სრულყოს საზოგადოებრივი დისციპლინების მეცნიერული კადრები.

დიადი და კეთილშობილია ამოცანები, დასახული საბჭოთა ინტელიგენციის ყველა რაზმის წინაშე, რომლებიც მოწოდებული არიან აღმზრდელობითი მუშაობა გასწიონ ჩვენს ხალხში, დანერგონ კულტურა, განუვითარონ ჩვენს ხალხს ახალი გემოვნება და ინტერესი, განამტკიცონ ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პროპაგანდისტების, ლიტერატორების, ხელოვნების მუშაკების, მასწავლებლების, მეცნიერი მუშაკების არმია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! ჩვენი ხალხის წინაშე დიდი ამოცანები დგას. ჩვენ, ლენინელები, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამოცანები წარმატებით შესრულდება. ამაზე მეტყველებს სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილება. ამაზე მეტყველებს ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული პოლიტიკა. ამაზე მეტყველებს პარტიის პოლიტიკის ერთსულოვანი მხარდაჭერა მთელი ჩვენი ხალხის მიერ. ამას წინათ მთელ მსოფლიოს შეეძლო დარწმუნებულიყო იმაში, თუ როგორ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას. მხედველობაში მაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებმა ჩაიარა უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და თვალნათლივ ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის ძალა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურყევი ერთიანობა და მეგობრობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას. ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა ჩვენს ხალხს ჩვენი ქვეყნის შემდგომი წარმატების საწინდრად მიაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გაერთიანდა ჩვენი სახელოვანი პარტიის დროშის ქვეშ და გამსჭვალულია თავისი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი უსაზღვრო ნდობისა და დიდი სიყვარულის გრძნობით. (მქუხარე ტაში).

II

საბჭოთა კავშირი და ბაქოლან მბიცი მშვიდობისათვის

ამხანაგებო! გერმანულ და იაპონულ აგრესორებზე თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა გამარჯვებამ გზა გაუხსნა მშვიდობიან განვიარებას, საშუალება მისცა ხალხებს შესდგომოდნენ ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწყობის ამოცანათა გადაწყვეტას.

რას მოელოდა და მოელის ამჟამად მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი? ხალხებს სწყურიათ მტკიცე, ხანგრძლივი, დემოკრატიული ზავი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მეორე მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და თვითეული ხალხის, დიდის თუ მატარის, თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, თვითეული ადამიანისათვის მშვიდი და ჰკვიდრი არეობის უზრუნველყოფა. სწორედ ეს სწყურიათ ამჟამად „უბრალო“ ადამიანებს, რომლებმაც პიტ-



ლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში თავიანთი სისხლით დაიცვეს თავიანთი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობიანობა.

საბჭოთა კავშირი არის მშვიდობისათვის ბრძოლაში დემოკრატიულ ხალხთა ავანგარდში, ისევე როგორც იგი ომის წლებში იყო ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის ავანგარდში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საერთაშორისო საქმეებში ნათელი და გარკვეულია. ეს არის ხალხთა შორის მტკიცე და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლის პოლიტიკა, მშვიდობისმოყვარე ერების მეგობრული თანამშრომლობის ყოველმხრივ განმტკიცების პოლიტიკა.

გასული წელი ის წელი იყო, როცა ფაშიზმზე გამარჯვების შედეგად მშვიდობისმოყვარე ხალხები შეუდგნენ ომისშემდგომი მოწყობის ამოცანათა გადაწყვეტას. ომიდან მშვიდობაზე გადასვლა ძალი საქმე როდი გამოდგა, დემოკრატიული ზავის დამყარება აწყდება მთელ რიგ დაბრკოლებებს.

საიდან მომდინარეობენ სიძნელები, რომლებიც წარმოიშობიან დემოკრატიული ზავის შექმნის გზაზე? რა არის ომისშემდგომი მოწყობის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოების აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?

მეორე მსოფლიო ომს ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისათვის. ბუნებრივი იყო მოლოდინი, რომ სამართლიანი ანტიფაშისტური ომი სამართლიანი დემოკრატიული ზავით დაგვირგვინდებოდა. ამით სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან და ამისაკენ მიისწრაფვიან ყველა ქვეყნის ხალხები.

ხანგრძლივი მყარი ზავის უზრუნველყოფა იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ისეთი ზავი, რომელმაც დაუსჯელი არ უნდა დასტოვოს აგრესორი და რომელსაც არ შეუძლია დაიოწყოს საერთო გამარჯვებისათვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი. ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ისეთი ზავი, რომელიც მიმართულია ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრისაკენ და რომელიც განამტკიცებს დემოკრატიულ საწყისებს ყოფილ მტრულ სახელმწიფოებში, უზრუნველყოფილ იქნას ზავი. რომელიც პატივს სცემს ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და არ დაუშვებს მათს ეკონომიურ დამონებას. ასეთი ზავი უნდა შეესაბამებოდეს მოკავშირეთა განმათავისუფლებელ მიზნებს და ამასთანავე იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც განთავისუფლდნენ ფაშიზმის უღლისაგან და დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი არ ზოგავს ძალებს სწორედ ასეთი ზავის მისაღწევად. ამას მიეძღვნა ჩვენი საგარეო პოლიტიკური მოღვაწეების ხანგრძლივი და რთული მუშაობა და ღონისძიებანი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში და ამას წინათ დამთავრებულს პარიზის საზავო კონფერენციაზე.

შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დამყარების ამ ნათელი და მკაფიო პროგრამის განხორციელება არ გამოიწვევდა განსაკუთრებულ სიძნელებებსა და უთანხმოებას. მაგრამ ნამდვილად ასე როდი გამოვიდა. პირიქით, მშვიდობის ეს პროგრამა წააწყდა მთელი რიგი სახელმწიფოების, პირველ რიგში ინგლისისა და ამერიკის

შეერთებული შტატების რეაქციული ელემენტების ორგანიზებულ წინააღმდეგობას, რომლებიც, იყენებდნენ რა საფრად ზოგიერთ მცირე კახელში ფოს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან იარონ ხმგლის მშენებლის პოლიტიკის ფარვატერში, რადაც უნდა დაჯდეს ეს, „გონებისა და სტიქის წინააღმდეგ“ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გამარჯვებულ ქვეყნებსა და ჰიტლერული გერმანიის ყოფილ მოკავშირეთა შორის საზავო ხელშეკრულებათა შემუშავების საქმეში თანამშრომლობისათვის.

ეს და ამის მსგავსი ანტიდემოკრატიული ტენდენციები საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განხილვისას პარიზის კონფერენციაზე გამოძღვენდა განსაკუთრებით ტრიესტის სტატუტის განხილვისას, აგრეთვე დუნაის ინტერნაციონალიზაციის საკითხის გამო. საზავო ხელშეკრულებათა მომზადებასთან დაკავშირებით წამოყენებული მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნები სრულიად არ შეესაბამებოდა სამართლიანობის პრინციპებს. საზავო კონფერენციაზე გამოაშკარავებულ იქნა ისეთი ფრად უსამართლო პრინციპი, როგორც „თანაბარ შესაძლებლობათა“ პრინციპია, რომელიც ნამდვილად მოასწავებს ეკონომიურად მძლავრი ქვეყნების მისწრაფებას დაიმონონ მცირე ქვეყნები, რომლებმაც უდიდესი ზარალი ნახეს ომის დროს და იძულებული არიან ჯერ კიდევ დიდხანს იმუშაონ მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად.

პარიზის კონფერენციაზე საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია დემოკრატიული ზავის ისეთმა უდავო პრინციპამაც კი, როგორც არის ფაშის ნაშთების აღმოფხვრა და დემოკრატიული წესრიგის განმტკიცება ომის მონაწილე ქვეყნებში.

ამ გარემოებათა გამო არ იქნა მიღწეული დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებანი გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებათა მრავალ საკითხზე. კონფერენციაზე ირღვეოდა სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობის პრინციპი, როცა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და მათი მომხრეები ცდილობდნენ თავიანთი ნება-სურვილი თავს მოეხეიათ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი სუვერენული უფლებებისათვის ომის შემდგომ პირობების გადაწყვეტაში.

კონფერენციამ ცხადჰყო, რომ ომის შემდგომ პოლიტიკაში ორი ტენდენცია არსებობს. ეს ორი ტენდენცია განსაკუთრებით გამოაშკარავდა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამჟამად.

ერთი პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს, იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით განხორციელდეს გაერთიანებული ერების სრულუფლებიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პრინციპი, ორგანიზაციისა, რომელსაც თავის განკარგულებაში მოეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს ზავი და თავიდან აცილებულ იქნას აგრესია. ეს პრინციპი იქიდან გამომდინარეობს, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ავად მოსავონარი ერთა ლიგის განმეორება კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა იქნეს საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტიანი, რათა დაიცვას მშვიდობა და თავიდან აგვაცილოს ახალი აგრესია.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საკმაოდ ეფექტიანი, თუ

დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს პიტლ-რული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, მომავალშიც ერთსულ-ლოვნებისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ.

საჭირო არ არის მტკიცება და ზედმეტჯერ გახსენება იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც იღებდა საბჭოთა კავშირი იმისათვის, რომ უზრუნველყო ეს პრინციპები. საბჭოთა კავშირი ყოველდღიურად, ყოველ ნაბიჯზე იცავს მტკიცე, ხანგრძლივი, სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობის შექმნის, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

ამ დღეებში მთელს მსოფლიოს შეეძლო დარწმუნებულყო ამხანაგ სტალინის პაუზებიდან ონაიტედ პრესის სააგენტოს დირექტორის ბ-ნ პიუ ბეილის კითხვებზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის თვითეული ნაბიჯი რამდენად არის მიმართული ამ მიზნის მი-ღწევისაკენ.

ასეთია საერთაშორისო პოლიტიკის ერთი მიმართულება.

მეორე არის იმ რეაქციული ძალებისა და წრეების მიმართულება, რომ-ლებიც მზად არიან უარი სთქვან იმ დეკლარაციებზე, რომლებსაც ისინი მხოლოდ გუშინ წარმოსთქვამდნენ, შეარყიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საძირკველი და გზა გაუყაფონ ექსპანსიისა და აგრესიის ძალებს.

ამჟამად ამ კურსის სულისჩამდგმელებს განსაკუთრებული იერიში მიაქვთ დიდი სახელმწიფოების ერთხმეობის პრინციპის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოში საკითხების გადაწყვეტისას. ახლა ამ პრინციპის წინააღმდეგ გააფ-თრებული კამპანია სწარმოებს. საესებით ცხადია, რომ ამ კამპანიის მი-ზანს შეადგენს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრა. ცნობილია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ნორმალური საფუძვლები სრუ-ლიად არ შედიან ისეთი იმპერიალისტური წრეების გეგმებში, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელი გახსნილი ჰქონდეთ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, ექსპანსიისა და აგრესიისათვის. მაგრამ ჩვენმა ხალხებმა იმისთვის როდი დაღვარეს თავიანთი ფასდაუღებელი ზღვა სისხლი, რომ გზა გაეკაფათ მსოფლო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისათვის. გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წინააღ-მდეგობა გაუწიოს ასეთ მადას და მსოფლიო ბატონობისაკენ ასეთ მისწრა-ფებას.

კამპანიას საერთაშორისო თანამშრომლობის ჩასაშლელად, რასაც ეწე-ვიან მტკიცე მშვიდობის აშკარა და ფარული მოწინააღმდეგენი, თან ახ-ლავს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა ხმაური. აღვირახსნილი ანტისაბჭოთა „ატომური“ პროპაგანდა, ახალი ომის შანტაჟი და საფრთხე, რომელთა შექმნას მონდომებით ცდილობენ სამხედრო-პოლიტიკური მშვერავები და მათი თანამებრძოლნი, სჭირდება მხოლოდ ახალი ომის გამოჩაღებებს, რო-გორიც არიან ჩერჩილი და მისი თანამზრახველნი. ამ ანტისაბჭოთა კამპა-ნიას აწარმოებენ რეაქციული იმპერიალისტური წრეები, რომლებმაც თავისა

ომი შემოსავლიანი საქმეა, რომელთაც არ სურთ მტკიცე დემოკრატიული მშვიდობა, და ამიტომ არაფერს იშურებენ, რათა გააფართოვონ ცდომილებები კამპანია საბჭოთა კავშირის, როგორც დემოკრატიული მშვიდობისათვის ნამდვილი მებრძოლის წინააღმდეგ.

ახალი ომის პროპაგანდას საფუძვლად უდევს რეაქციული წრეების შიში ხალხთა დემოკრატიულ მისწრაფებათა წინაშე. საბჭოთა კავშირი, როგორც დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდი, წარმოადგენს ძირითად სამიზნოს ამ კამპანიისათვის. ეს გასაგებია. საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო თანმიმდევრული მებრძოლია დემოკრატიისათვის აგრესიის წინააღმდეგ, ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ცილისმწამებლურმა კამპანიამ, რასაც სსრ კავშირის წინააღმდეგ აწარმოებენ, განსაკუთრებული გაქანება პოვა. მას აწარმოებენ დიდი მასშტაბით და იგი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ძირი გამოეთხაროს საბჭოთა კავშირისადმი გაზრდილ ნდობას და მის ავტორიტეტს დემოკრატიული ქვეყნების ხალხებში. არ შეიძლება არ გაგახსენოთ აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირისადმი, მისი რეკომენდაციის, მასში მოსახლე ადამიანებისადმი სიძულვილის და ენებითი დანერგვა ახალი როდია და უკვე არაერთგზის დამთავრებულა სავალალოდ მისი ინციტორებისათვის. ცნობილია, რომ ბევრი გაზუთი და ურნალი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, დახლოვდა მტრობის, უნდობლობისა და ეჭვის გაჩაღებაში ყოველივე საბჭოურისადმი, ცდილობს მოათავსოს რაც შეიძლება ნაკლები სიმართლე სსრ კავშირის ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ რუსეთზე ასეთი „ინფორმაცია“, რომლითაც საესეა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ბევრი გაზუთის სექტები, სულს უხუთავს მრავალ ბურჟუაზიულ მოღვაწესაც კი. რომლებსაც ყოველგვარი სიცრუე უნახავთ. ახლა იმისათვის, რომ რაიმე დასწერონ რუსეთზე, საკმარისია აურიონ ერთმანეთში ცოტაოდენი ცილისწამება, ცოტაოდენი უფიცობა, ცოტაოდენი თავხედობა და კერძო მზად არის. საქმე იქამდე მიდის, რომ მართალი ინფორმაცია სსრ კავშირის შესახებ გამოწკიცისად იჭკევა, ხოლო ცრუ ინფორმაცია — წესად. თუ ძნელია დაჭტების დამახინჯება, მით უარესი დაჭტებისათვის, მათზე პირდაპირ სდუმენ.

ამას წინათ ამერიკის გაზეთებში მოთავსდა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მის მიერ მიცემულ კითხვაზე: აქვთ თუ არა უპარტიოებს საარჩევნო ხმის უფლება სსრ კავშირში, სწორი პასუხების უმნიშვნელო პროცენტი მიიღო. უმრავლესობამ კი უპასუხა, რომ ან არა აქვთ ასეთი უფლება უპარტიოებს, ან პასუხის გამცემლებმა არ იცოდნენ, რა ეთქვათ. შეკითხვაზე: შეიძლება თუ არა სსრ კავშირში რომელიმე რელიგიის აღიარება, — უმრავლესობამ უპასუხა, რომ ან არ შეიძლება, ან მათ არ იციან როგორ უპასუხონ ამ კითხვას. ისე გამოდის, რომ საშუალო ამერიკელი ან არ ღებულობს არავითარ ინფორმაციას სსრ კავშირის შესახებ, ან რატომღაც ღებულობს მას დამახინჯებულად და ცილისმწამებლურად.



უკანასკნელ ხანს გაჩნდა აგრეთვე ბევრი „გამოკლება“ თემაზე საერთოდ საბჭოთა ადამიანების ხასიათის, კერძოდ, რუსების ეროვნულუფროსების შესახებ. ამასთან ბევრი სტატიის ავტორი თავს არ ზოგავს იმისათვის, რომ დახატოს საბჭოთა ადამიანები უაღრესად უბადრუკად. კითხულობს კაცი ამას და უკვირს, როგორ შეცვლილან ასე მალე რუსი ადამიანები. მაშინ, როცა ჩვენი სისხლი იღვრებოდა ბრძოლის ველზე, აღტაცებული იყვნენ ჩვენი სიმამაცით, გამბედაობით, მაღალი მორალური თვისებებით, უსაზღვრო პატრიოტიზმით. და აი ახლა, როცა ჩვენ სხვა ხალხებთან თანაშრომლობით გვსურს განვახორციელოთ საერთაშორისო საქმეებში მონაწილეობის ჩვენი თანაბარი უფლება, გვლანძღავენ და ცილს გვწამებენ, გვაგინებენ და გვტუქსავენ, ამასთან ამბობენ, თითქოს ჩვენ აუტანელი და საეჭვო ხასიათი გვაქვს.

ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულების შეფასებისას არ შეიძლება კაცი არ გაოცდეს, რა უზრდველობისა და უკულტურობის დონემდე შეიძლება მივიდნენ საზღვარგარეთ ადამიანები, რომლებსაც თავი წარმოუდგენიათ ქვეყნიერების „დედაქარღვალ“ და ცივილიზაციის „საძირკვლად“. როგორც სჩანს, განვილიშა ომმა, რომელმაც მოუბოვა გამარჯვება პროგრესისა და თავისუფლების ძალებს რეაქციის, ძალადობისა და ბოროტების ძალებზე, გერაფერი ვერ ასწავლა ადამიანებს, რომელნიც ცდილობენ გაიმეორონ ის გზა, რამაც უკვე მოუტანა ამდენი მწუხარება და უბედურება ხალხებს, გაიმეორონ ხალხებს შორის მტრობისა და უნდობლობის თესვის გზა.

რამდენიმე დღის წინათ ბ-ნმა უოლესმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ თვითთულ დუმი კრიტიკაზე, რაც დაბეჭდილია გაზეთ „პრაედაში“, ამერიკის პრესაში იბეჭდება, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ათასი დუმიმ ანტისაბჭოთა კრიტიკა. ვფიქრობ, არ შეიძლება შეედავოს კაცი ბ-ნ უოლესის ამ მტკიცებას. (საერთო გამოცოცხლება დარბაზში).

ამ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც მტკიცე მშვიდობის მტრებს შეაქვთ ურწმენობისა და მოუსვენრობის ამდენი ელემენტი. მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული ძალით გაისმა ამხანაგ სტალინის მშვიდი, მტკიცე და ბრძნული ხმა. რამაც სიმზნევე და იმედები ჩაუსახა გულში ყველა ადამიანს, ვისაც სურს მშვიდობა და უშიშროება, ვინც იცის სტალინის თვითთული სიტყვის ფასი. (მქუხარე ტაში).

ამხანაგმა სტალინმა საკადრისი პასუხი გასცა ახალი ომის წაფრთხის შესახებ ხმაურის ორგანიზატორებს, ნიღაბი ჩამოხადა რა ამ კამპანიის შანტაჟისტურ-სპეკულანტურ ხასიათს და გვიჩვენა „ახალი ომის“ რეალური საფრთხის არარსებობა.

ამით ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ არ შეიძლება საბჭოთა ქვეყნების დაშინება შანტაჟით და „ახალი ომის“ საფრთხის სპეკულაციით. იმ მომენტში, როცა ჩვენ აქ შევიკრიბეთ ჩვენი დიდი რევოლუციის 29-ე წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენი ამხანაგები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს წარმოადგენენ გაერთიანებული ყრების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომებზე ნიუ-იორკში, მტკიცედ იცავენ საერთაშორისო თანაშრომლობის პრინციპს და მშვიდობის საქმეს. საბჭოთა დელეგაციის



სახელით ამხანაგ მოლოტოვის მიერ შეტანილი წინადადება შეიარაღებული საყოველთაო შემცირების შესახებ, სამხედრო მიზნებით ატომბურ ენერჯის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ წარმოსტეგვის (სტეჟბა) კავშირის ახალ უდიდეს განმს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში და იწვევს მთელი მსოფლიოს პროგრესიული ადამიანების სიმპატიას და მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირი კვლავ და კვლავ გამოდის მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისა და ნამდვილი საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატორი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რა ძალებიც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საყოველთაო მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების დამყარებას, საბოლოო ანგარიშში ეს საქმე წარმატებით განხორციელდება. ჩვენ რწმუნას ვამყარებთ იმაზე, რომ ის ძალები, რომლებიც მუშაობენ მშვიდობის სასარგებლოდ, ყოველდღიურად იზრდებიან და მტკიცე საძირკველს ემყარებიან, ეს ძალები სულ უფრო და უფრო ორგანიზებული და ძლიერი ხდებიან. საბჭოთა კავშირი მართო როდია თავის ბრძოლაში მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის და ხალხთა კოლექტიური უშიშროებისათვის. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა მხარდაჭერას პოულობს მილიონობით ადამიანების მხრივ საზღვარგარეთ. „მსოფლიოს ხალხებს,— აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — არ სურთ ომის უბედურებათა განმეორება. ისინი მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის“.

იმ მსხვერპლმა და ნგრევამ, რაც გამოიწვია გაუგონარმა ომმა, პიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ, ახალი პოლიტიკური ვითარება შექმნეს მთელ მსოფლიოში, აამოძრავებს ხალხთა მასები, აამძლეებს მათი პოლიტიკური აქტივობა და მძლავრი ბიჭვი მისცეს დემოკრატიის განვითარებას ყველა ქვეყანაში. დემოკრატიის ძალები გაიზარდნენ და გამრავლდნენ, ხოლო რეაქციის ძალები, როგორც უნდა ცდილობდნენ ისინი თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას და ხალხთა დემოკრატიული განვითარების შეფერხებას, შესუსტდნენ. საკმარისია გაგახსენოთ დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვება მოძმე სლავურ ქვეყნებში — იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. ამ ქვეყნებში ვითარდება ხალხთა სისხლით მოპოვებული და პიტლერული ფაშისტური მონობის წინააღმდეგ დიადს, წმიდათაწმიდა ბრძოლაში გამოჰქედილი ახალი ნამდვილი დემოკრატია. ამ ქვეყნების ხალხებმა ხელთ აიღეს თავიანთი სახელმწიფოების ბედი, დაამყარეს დემოკრატიული წესები და აწარმოებენ აქტიურ ბრძოლას რეაქციის ძალებისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

დემოკრატიის უმაგალითო აღმავლობა და ხალხის მასების აქტივობა ამ ქვეყნებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ გერმანიის სატელიტები იყვნენ, — იტალიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ფინეთში. ამ დღეებში ჩვენ მოწმენი ვიყავით სამამულო ფრონტის დიდი გამარჯვებისა ბულგარეთში, რაც ომისშემდგომ ევროპაში დემოკრატიული ძალების განმტკიცების ახალ დადასტურებას წარმოადგენს.

შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონსერვატორთა დამარცხება და ლიბორისტთა გამარჯვება ინგლისში, ისევე როგორც რეაქციონერთა და-

მარცხება და მემარცხენე პარტიების ბლოკის გამარჯვება საფრანგურში მოასწავებს ამ ქვეყნების სერიოზულ ძვრას მარცხნივ.

ბოლოს, ცნობილია, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარებისაკენ მისწრაფებით განიშსკვალნენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც თავისუფალი ეროვნული განვითარებისათვის იბრძვიან.

მილიონობით მშრომელი ადამიანი ირახმება იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობის საქმე ყველა ქვეყანაში. მე მხედველობაში მაქვს მნიშვნელობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა, რომელიც ეწევა მუშათა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტიურ პოლიტიკას, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ღონისძიებანი. იზრდება და მტკიცდება კულტურული კავშირი დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

დემოკრატიის ძალები იზრდება და ეს არის იმის საწინდარი, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. (მჭუხარე ტაში).



ამხანაგებო! ომისშემდგომი პირველი წელი, როგორც მოველოდით, ძნელი წელიწადი იყო. საბჭოთა სახელმწიფოს მოუხდა ოთხ წელზე მეტი ხნის მძიმე ომის შედეგების დაძლევა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანების ღონისძიებებმა თავისი შედეგები მოგვცა. მშვიდობიანი მშენებლობის საქმე წარმატებით ვითარდება. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და გაბედულად დაადგა მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სწრაფი აღდგენისა და მძლავრი ომისშემდგომი აღმავლობის გზას. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დარგში საბჭოთა კავშირმა სამართლიანი დემოკრატიული ზავისათვის თავისი თანამიმდევრული ბრძოლით, მცირე ხალხების ინტერესთა მედგარი დაცვით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი საერთაშორისო პოზიციები, სერიოზული წვლილი შეიტანა ხალხთა შორის მშვიდობიანი კეთილმეზობლური ურთიერთობის მოგვარების საქმეში.

ჩვენ შევდივართ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ახალ, ოცდამეათე წელში. გასული წლების მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ გადაიტანა ორი სისხლისმღვრელი, გამაპარტახებელი ომი. ამ ომებმა დროის მიხედვით დაიკავეს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის შთელი პერიოდის დაახლოებით ერთი მეოთხედი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ომით მოყენებული ზარალის ანაზღაურება დიდ ღონისძიებებს მოითხოვს, ყველას შეუძლია მიხედეს, თუ ჩვენს სახელმწიფოს რა ცოტა დრო ჰქონდა მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობისათვის. თუ ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიული ხნის მანძილზე გამარჯვებული გამოვიდა ორ ომში — ინტერვენტების წინააღმდეგ ომსა და მეორე მსოფლიო ომში — და მოასწრო შეექმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, მაღალგანვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა, სერიოზულად აემადლებინა ხალხის მასების კულტურული დონე და კეთილდღეობა, ეს მოწმობს საბჭოთა წყობილების დაუმრე-

ტელ სასიცოცხლო ძალას, იმ საქმის უძლეველობას, რომელსაც იბრძოდა ჩვენი ხალხი, როცა აბდენდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. (მჭუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ამხანაგ სტალინს, რომელსაც მივყავართ წინ საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი წარმატებისაგან, ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის სრული გამარჯვებისაგან! (დარბაზში მჭუხარე ოვაციას ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან).

ბრწყინავს ოქტომბრის ვარსკვლავი

აღ. აბაშელი



ჩვენ გადავრეკეთ ათასი ღამე,
შავ ყორნებივით რომ დაგვესია.
არ მოჰკლებია გულს სითამამე,
გულს არაოდეს დაუკენესია.

გამოვარდევით გმირული ბრძოლით
ათასი ზანძრის კორიანტელი.
დარჩა მტრისაგან ფერფლი და ბოლი,
ვერაგთა ბედის ჩაქრა სანთელი.

უკან დავტოვეთ გრგვინვა ზანგრძლივი
და ქარიშხლიან დღეთა კრებული.
მოგვდევს ჩაუმქრალ ცეცხლის ხაზივით
გზა, ჩვენი სისხლით აყვავებული.

წინაც გზა გვიძევს ზეამართული,
გზის ბოლო მოსჩანს ვარსკვლავის კართან.
გაიხსნა ღრუბლის მეცხრე სართული
და გადმოენთო ლაქვარდის ფარდა.

თასი მიჭირავს, სინათლით სავსე,
სიბრძნე უტკბესი სხვამ ვინ დალია?!
ბრწყინავს ვარსკვლავი სამშობლოს ცაზე,
ის ხომ ოქტომბრის ცეცხლის აღია!

ოთხ წელს ქვემეხთა კვამლი ებურა,
მტერი დამეზა სისხლისმთხვეელი,
დღეს ისევ ბრწყინავს წინანდებურად
ქვეყნად მშვიდობის სხივთამფრქვეელი.

განქარდა ჯაგრი, გულს შეფარული,
სულ აგვისრულდა, რაც კი გვეწადა.
ეს ოქტომბერიც რა სიხარულის
მახარობელად გამოგვეცხადა!



ბრწყინავს ომბროზის მარსკალადი
 ბრწყინავს ომბროზის მარსკალადი

ლაგვარდის ფარდას ნიაფი არხევს,
 ხვალინდელი დღის ჩვენებას ვხედავ:
 მთის წყალი მოაქვს სამგორის არხებს,
 რუსთავის ველზე ქარხნები სხედან.

თეთრ კედლებს ზრდიან ხარაჩოები,
 აუშვერიათ მალა ხელები,
 წითელ აღმების ყაყაჩოებით
 აყვავებულან სასახლეები.

ვარდისფერ ნისლში ჩაფრენილები
 სჩანან კოშკები, მთები, ტყეები,
 წყალში ჩაშვებულ თუჯის მიღებით
 ამღერებელი მდინარეები.

შეხამებულან ხმებთან ფერებიც,
 ისმის სიმღერა ვაჟთა და ქალთა.
 მშობელ ქვეყანას ბედნიერების
 გადაპყენია ბრწყინვალე კალთა.

1946 წ. 5 ნომბერი

ზღვა ახმაურდა

გალაკიონი

★

• • •

ჩემს ყრმობის ხანში
მე აფხაზეთის
მიყვარდა ასვლა
უცნობ ბილიკით,
რომ დაემცხრალიყავ
კად ანაზიდის
ჩუქურთმებითა
და ბაზილიკით.

მიყვარდა მთები
უზარმაზარი,
მიუვალი და
უცნობი გზები,
უუძველესი.
მათში რაც არი,
უშუფოთარესი
ის ხეობები.

მოგზაურობა
სიძნელით საესე
ჩემთვის არასდროს
არაა ძნელი —
როდესაც იცი —
გალიტრენს თავზე
წელიწადების
ქროლა ფიცხელი.

იმ ყრმობის გზაზე
ბევრი ხეული
იყო, მზარეო,
ჩემთან მავალი,
დე, ჩნდეს ხელი-ხელ
გადახვეული
მგზნებარე აწმყო,
და მომავალი.

• • •

მე არაერთხელ მინახავს,
თუ როგორ ფერობს ეს ფერი,
სალამოს ზღვაზე, როდესაც
გამოცურდება ვესპერი.

გამოცურდება, ინათებს,
და ისევ ისე გაჰქრება.
ვესპერი—ჩემი სიცოცხლის
ოცნებათ გამინანქრება.

ბილიკიც სხვანაირია
ტბაზე დახრილი ძეწნების,
ვესპერი, გარე—ყველაფერს
სარკვეში გადაეწნების.

ასე: შეხედები, შეგხედება,
ხსოვნას კი გული ინახავს,
მე არა ერთხელ მივრძენია,
მე არა ერთხელ მინახავს.



• • •

რა კარგზე კარგი
 დროა თენება,
 ელექტრო-შუქთა
 ქრება მშვენება.
 მიღის აბრისად
 როგორც ჩვენება,
 ლანდი ჭარხნიცენ.
 ვით ვახსენება.
 დაჰკრეს, საყვირის
 ხმით იღვენება
 ქალაქის ძილი
 და მოსვენება.
 შემოდის დროის
 გადაქენება:
 შენება, ძმებო,
 ისევ შენება.

და არის დილის
 სისხამი ცვარი,
 რეკავს პირველი
 მანქანათ ზარი,
 ავტომობილის,
 ხმა ისმის ბზარი,
 სადღაც შორიდან
 ბრუნდება ჯარი.
 მედგარი, მტკიცე,
 მაგარი, მყარი,

ბალებს ფერადი
 და მრავალგვარი
 გამოცოცხლების
 ედება ღვარი.
 დილის გაზეთებს
 იტაცებს ჩქარი
 ბაზარი, ქუჩა,
 სახლი და კარი.

იმღერე, დილავე,
 ხმა ისმის მკვეთრი,
 იმღერე—ითხოვს
 ბაზარი, ქუჩა,
 იმღერე,—ღელავს
 ზღვის ტალღა მყვედრი,
 იმღერე,—ამბობს
 ყველა შემხვედრი,
 იმღერე! რეკავს
 მთელი ქალაქის
 ყოველი მეტრი
 და კილომეტრი.

არის მჩქეფარე,
 ცოცხალი დილა.
 ჯერ მზის ისრებიც
 არ ამოწვდილა.

• • •

გემზე ვდგევართ ჩვენ ვარდებით —
 არა ბარდით და ნარ-ეკლით,
 გზას ვკაფავდით თაედადებით,
 გზას ვკაფავდით სულით, გულით.
 ჩვენ ვიყავით სამშობლოში
 როცა სხივთა ანარეკლით,
 გაიარა მზემ ნათებით,
 გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით.

და სიცოცხლეც მზესთან ერთად
 მიდიოდა, მიდიოდა...



არ იცოდა რაა დაღლა.
 არ ებმოდა თვალი რუღლით,
 მრავალ სიმთა შემაერთად
 მიდიოდა ზრუნვა დროთა,
 და სულ მალლა, მალლა, მალლა,
 გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით:

და მამულის თვალი შვების
 გრძნობით სკერეტდა გამაღებით,
 შეპყურებდა ცის ნაპირას
 გატანით და სიყვარულით,
 სად ნიშია გამარჯვების,
 კვლავ გმირული ამაღებით
 მიიყვანდა ადამიანს
 გზით, ჩვენმიერ გაკვალულით.

და თაობას კვლავ თაობა
 განუწყვეტლივ ცვლიდა, ცვლიდა,
 ბევრი ღამე გაანათა —
 პოეზიამ სუნთქვით სრულით.
 იყო დიდი მოძრაობა,
 ყველგან სიამაყით ვლიდა,
 ვლიდა დროშა თაობათა —
 გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით.

• • •

შუადღისას, როცა ზღვაზე
 თიქრის მინდა მე მიგნება —
 შენი სახლის ღანაზგაზე
 არ დავფიქრდე, არ იქნება.

შეპყრობილი რაღაც გრძნებით
 შენ ვერ ხედავ დღეს უამესს
 და დახურულ დარაბებით
 ჰქმნი ხელოვნურ შუალამეს...

რა აბნელებს ნეტა შენს გულს,
 როცა ნათელშია ყველა,
 რად არ ძალუქს ამ გაზაფხულს
 ერთი ობოლ ჭალის შველა.



ვიცი: რაღაც მძიმე დარდი,
 ეუფლება გულს ძლიერი,
 ვგრძნობ: არ ვარდობს შენთვის ვარდი
 სხვისთვის ასე მშვენიერი.

ვიცი მწვავე ეს ნაღველი,
 დახურული არის გული,
 გამოსავლის ვერ მსახველი
 და სიკვდილის მონატრული.

რა ისეთი განიცადა
 შენმა დღემ, რომ ველარ თბები?
 როდის მოხდა, სად, ან რადა?
 მსურს ვიცოდე და ვერ ვხვდები!

ერთი ვიცი: ხალხს აქვს ღონე,
 აქვს სიმღერა შენ რომ გიყვარს,
 ლაქვარდოვან ფრთების მქონე,
 გრძნებიდან რომ გამოგიყვანს.

დაკრავს შენი გრძნობის სიმებს,
 ის გაგიგებს გულის ზრახვებს,
 სიხარულით გაგიღიმებს
 და მომავალს დაგანახვებს!

* * *

შავი ზღვის პირად
 აღმართულო ნანგრევო ტაძრის,
 ვითარ დიდია შებღის შენის
 შორი შეენება,
 შენს ჩუქურთმებში ვერ შეკრილა
 გადაშენება,
 ვერ გეკარება დავიწყება
 ფერფლის და ნაცრის.

შენ გადაურჩი ქამთ სიაცეს
 შავად მოაზრეს,
 სარკემ დროისამ დაგვანახვა
 სხვა მოჩვენება.
 შენზედ ამართულ მნგრეველ ხელებს
 სდევს შერეენება,
 შენ უკვდავი ხარ, ფუძე, შენი
 მაინც ვერ დაძრეს.



შენი ცა ბრწყინავს, ქვევით ჩქარნი
მიჰქრიან დრონი,
შარაევანდელით ბრწყინვალეთი
კავკასიონი
არ შეირხევა და არ გეტყვის
„რა გემართება“!

სწორედ ამ ქვიდან სულ სხვა ქვამდგ,
კიდიითი-კიდეთ
სწორედ ამ ზღვიდან მიმავალი
კარებით დიდით
ახალი მძლავრი პოეზია
აღიმართება.

• • •

ზღვის სიყვარული.
ნატვრა რამ,
მაშა-პაპათა ან დედათ,
ბრწყინავს, ელვარებს უცხო რამ
ხელთუქმნელ შარაევანდელათ.

ზღვა არის დაუშრეტელი
სათავე სიბრძნის წყაროთა,
ზღვა არის მტკიცე კედელი
სიგმირეთ უანგაროთა.

და იძვრის ბევრ-ათეული
ხვეული ერთ-მინადენი
რუქაზე ვერ დატეული
გამარჯვებები ამდენი.

• • •

როგორც მფლობელი
ფასულებ ტახტის
ამაყად ჩადის
ქვათა მნგრეველი
იქ, სადაც დუმოლს
წარბ-შეკრულ შახტის
სძრავს სიმღერის ხმა
დაუძლეველი.

აქ მიწის გულის
ქანაობს დელვა
მადიდებელი
გულთა კავშირის,
იმ უშავესთა
ფენათა ცელვა,
ბრწყინავდა ელვა
იმ ქვანახშირის;



ერქვენი
გინჯილით

გზა აცხოველებს
ეთა სიალეს,
როგორც სარკვეში
სხივების მტვრევა,
მალაროების
იდუმალ გრიალს
გრძნობს ქვანახშირის
მორღვევა, ნგრევა.

და მიმოდენა
ფენების ხშირის
მალაროს იქით
სიმართლეს ჰფენდა —
როგორც განწმენდა
შე ქვანახშირის,
ჩვენი ცხოვრების
არის განწმენდა.

შენ გაოცდები,
რომ ამოდენა
ვანძის მიწაში
ხმა ცასაც ესმის:

რომ ქვანახშირის
ზე-ამოტანა
ამოტანაა
მზის უახლესის.

და იტვირთება
რკინიგზა ქვითა,
ლიანდაგები
იცვლება კვანძით,
ასეთნაირი
ქვებით დატვირთვა
დატვირთვა არის
უმძიმეს განძით.

სანგრევი სანგრევის
რომ აგრე ელის
ელექტრომაგალით
მიწისქვეშ ჩქარა,
გასაბრწყინებლად
ახალ ტყვარჩელის —
მოდის ქვეზანა
და აკარმარა.

თავგადასავალი ზესიკი გაბაშვილისა

რომანი *

აკაკი ბულიაშვილი

★

მთელი თვენახევარი გაგრძელდა ბესიკის სტუმრობა ანასთან და ამ ხნის განმავლობაში ჭაბუკ მგოსანს თავი სიზმარში ეგონა. მან უცბად შეაყვარა თავი ანას მსახურს, რომელნიც თავს არ იზოგავდნენ, როგორმე პატივი ეცათ საპატიო სტუმრისათვის. მართალია, მსახურებმა უცბად გაიგეს, რომ ბესიკი მათი ქალბატონის საყვარელი იყო და ერთმანეთს ჩუმრუმად კიდევაც ეუბნებოდნენ: ჰაი დედასა, დახე ქალბატონს, რა ვარსკვლავივით საყვარელი გაუჩენიაო, — მაგრამ არცერთ მათგანს არ გაუვლია გულში, რომ ან ერთი, ან მეორე დაეზრახა ასეთი საქციელისათვის. პირიქით, ანას კიდევაც ამართლებდნენ: — მა რა ექნა, შვილოსა, ეგეც ქალია, ასი წლის ბებერს რო. შიათხოვეს, რას ფიქრობდნენო.

მსახურნი ერთმანეთს ეეჯიბრებოდნენ ბესიკთან დაახლოებაში, მაგრამ ყველას ისევ მგელიკამ აჯობა, როგორც პირველად გაცნობილმა. ის ნამდვილი ერთგული მონა და მესაიდუმლე გახდა ბესიკისა. განუყრელად თან ახლდა ყველგან, ნადირობაში, სათევზაოდ წყალთა წურვის დროს, ცხენთა თამაშ-ჯირიოში, სმა-პურობაში.

პირველ ორ-სამ დღეს ბესიკი ისე იყო დანადვლიანებული თბილისში ნახული საშინელი სურათებით, რომ ყვე-

ლაფრის ხალისი წართმეული პქონდა. ძლივსძლივობით დათანხმდა გაქყოლოდა სათევზაოდ მგელიკას, რომელიც ეხვეწებოდა, სანამ ჯეირნებზე სანადიროდ წავიდოდეთ, თავი ამით მაინც შევიქცითო. მგელიკას ანასაგან ნებართვა ეთხოვნა, სოფლიდან გლეხები დაეზარებინა და, დაიყოლია თუ არა ბესიკი, მაშინვე წაუძღვა გლეხებს მამავერას ტოტის დასაწყვეტად. ერთი ჯგუფი მდინარის ტოტის თავში დააყენა, რომელთაც ქვიშითა და ბელტებით წყალი უნდა მოეწყვიტათ კალაპოტიდან, მეორე ჯგუფს ფაცერი მოაწნევინა და ტოტის ბოლოში ჩაადგმევინა. ბესიკი პირველად უგუნებოდ ადევნებდა თვალს გლეხების ფუსფუსს და მგელიკას ილტაცებულ შეძახილებს, მაგრამ როდესაც წყალმა ტოტში სწრაფად იწყო კლება და სველ რიყის ქვებში კალმახები ატყალაშუნდნენ, მაშინ კი ყველაფერი დაავიწყდა, მკლავები დაიკაპიწა, და საკუთარი ხელით შეუდგა თევზის ჭერას. ერთი ორჯერ ღიბ ქვეშე ფეხი დაუცურდა, ყირაზე გადავიდა და ძვირფასი. სამოსი ლაფში ამოესვარა, მაგრამ იმდენად იყო ნასიამოვნები ცოცხალი თევზის ჭერით, რომ აინუნწმიაც არ ჩაუგდია დასველება და გათხუპნა. ორი გოდორი პირამდე ააქსეს თევზით. შემდეგ მგელიკამ

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 5—6, 7, 8, 9—10.

ქალაქში ცეცხლი დაანთო და როდესაც კოცონი დანაკვერცხლდა, კალმახები კაკლის ფოთლებში შეახვია და ნაკვერცხლებზე შესწვა. გლეხებმა გუდებს თავი მოხსნეს, შოთები და ღვინით საგსე ხელადები ამოალაგეს და ყველანი მობიბინე მინდორზე ვაშლილ სუფრას მიუსხდნენ. ერთმანეთს ბედნიერ ფეხზე თევზაობა მიულოცეს და ბესიკის სადღეგრძელო დალიეს: კარგი ბედისა ყოფილხარ, ბევრჯერ დაგვიწურია ტოტი და ერთი კიპუყინაც კი ვერ დაგვიჭერიაო. მგელიცამ ერთი გოდორი თევზი გლეხებს გაატანა, მეორე გოდორი კი ციხედარბაზში გაგზავნა, თუმცა ბესიკი ურჩევდა: ეგ მეორე გოდორიც შუაზე გაეყოთ და ჩვენ მხოლოდ ნახევარი წაგიღოთ, რადგან ვერ მოვერევიოთ და ტყუილუბრალოდ გაგვიფუტდებაო.

მზე უკვე იწურებოდა, ზოდესაც ბესიკი და მგელიცა ციხედარბაზისკენ გაემართნენ. მწვანით ამბინებული გორაკები და მალღობზე ამართული ციხედარბაზი აღისფრად იყო აფერადებული ჩამავალი მზის სხივებით. ცაზე მოფენილი ფუნჩულა ღრუბლები გედებივით გარინდელიყვნენ.

ფრთაგაშლილი ქორი ხან უძრავად ეკიდა ცაზე, ხან უცბად დაცურდებოდა, რამდენიმე ირაოს გააკეთებდა და ისევ დაეკიდებოდა ჰაერში.

მაშავერას ნაპირას, შარაზე, თოფებით შეიარაღებული მწყემსები შინისკენ მოერეკებოდნენ ნაზირს. ხანგამოშვებით ისმოდა საქონლის ყრუ ზმუილი და მათ კისრებზე დაკიდებულ ზანზანალაკთა ნაირნაირი რეკვა. ბანჯგელიანი ნაგახები დინჯად მიაბიჯებდნენ საქონლის შორიაზლო და როდესაც გზის გასწვრივ ბესიკსა და მგელიკას დაუბირდაპირდნენ, სიშორის მიუხედავად—ჰაერი მოყნოსეს და სანაშუსო ყფა-ღავღავი ასტეხეს.

ბუნების ამ მომაჯადოებელმა სი-

ლამაზემ და თავისებურმა მყუდროებად ისე შეიპყრო ბესიკსა და მგელიკას მახლობლად მყოფი კორდზე წამოწვა და იდაყვზედაყრდნობილი გასცქეროდა აფერადებულ დაისს.

მალე ყველაფერი სულ მიწყნარდა. მგელიცა ციხედარბაზში შევიდა. შარაზე მიმავალი ნაზირი მოსახვევში მიიმალა, ქორიც კი აღარ ჩანდა ცაზე და შეწითლებულ ღრუბლებსაც წამოეპარათ სილურჯე. დასავლეთისკენ აციმციმდა ასპიროზი — ვარსკვლავი.

ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ბესიკს ყურები უშხუოდა.

მოულოდნელად ვიღაცამ თვალეზე ხელები ჩამოაფარა. ბესიკმა ხელი მოუსვა უცხო აღამიანის თითებს და ბექდებით იცნო: ანა წამოკპარკოდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ანამ და მის გვერდით ბალახზე მოიკეცა. — კოშკიდან დაგინახე...

— არაფერს. საღამომ მომაჯადოვა და სანეტარო შეება ვიგრძენი! — უბასუბა ბესიკმა და უნებურად ციხედარბაზისკენ მოიხედა, ხომ არავინ გვითვალთვალეზსო.

ანამ შენიშნა ეს მოძრაობა და მშვიდად უთხრა:

— ნუ დარდობ, არავინ გვიცქერის, და თუნდაც გვიცქეროდეს, შიში ნუ გექნება. ჩემს საბრძანებელში ხარ, სადაც ყოველი ქვაც კი ჩემი ერთგულია.

ორივენი გაჩუმდნენ და ერთმანეთს შეხედეს. ანას ლურჯი აბრეშუმის კაბა ეცვა და შიშველი ფეხები მალალქუსლიან მოსირმულ ქოშებში ჩაედგა.

ჯაკვიდან ახსნილი ნაგახი შლივიანით გამოვარდა ციხიდან, ერთი ორჯერ დაიყუფა, ბესიკთან და ანასთან მივარდა. ორივე დაყნოსა, თავისიანებად იცნო და წამუტენით მიესალმა, ბესიკის სახეზე ენის ასმატ კი მოასწ-

რო, რაზედაც ბესიკმა ლაზათიანი წიხ-
ლით უბასუხა. ნაგაზს ეტყობოდა,
შეჩვეული იყო ასეთ მოფერებას.
წიხლი სრულიად არა სწყენია, ჩვეუ-
ლებრივ მოფერებად ჩასთვალა. წინა
ფეხები მიწაზე დაკეცა, მიჯნურთ
აღერსიანად შეუყვდა, და როგორც
ერთგულმა დარაჯმა, ახლო მიდამოე-
ბი მოიბრინა. ბესიკმა ამრეზილად
მოისევა სახეზე ხელი, ანამ კი მას სი-
ცილით შემოაქდო კისერზე მკლავები
და ყურში წაასურჩულა:

— ხედავ? აქ ყველაზე ავ ნაგაზსაც
კი უყვარხარ.

— ორი დღეა მაგის შერჩევისათვის
ვიღწვოდი და თითქმის მთელი ცხვარი
შევაქამე. პირველად ახლოსაც არ მი-
მიკარა და ჩემს დაგლეჯას ლამობდა,
ჯაქვს რომ არ დაეჭირა.

ბესიკმა ისევ მიმოიხედა და ანას
მკლავები თავაზიანად მოიშორა.

— რა იყო? — გაბუტვით შეეკითხა
ანა.

— მეშინია.

— რისა?

— არაეინ გვითვალთვალეზდეს.

— მერე რა? მე არ მეშინია, ქალი
ვარ. შენ რისა გეშინია?

— არ ვიცი, როტომღაც საოცრად
მრცხვენია, არ მინდა, რომ.....

ბესიკი შედგა. აღარ დაამთავრა.

— რა, რომ?!

— რომ ცუდი რამ სთქვან შენს შე-
სახებზე.

— რა უნდა სთქვან? რა უნდა
სთქვან? — რაღაც თავისებური ბრა-
ზიანი ღიმილით უთხრა ანამ ბესიკს
და თვალბში შეაქქერდა. — ვისაც
რა უნდა, ისა სთქვას. მაკმარონ ისიც,
რომ ბავშვობიდანვე ცხოვრება ჯო-
ჯოხეთად მიქციეს. „დაბადებაში“,
გახსოვს, როგორ იწყება მეფეთა მე-
სამე წიგნი?

— არ გახსოვს.

— არა? ახლაც გეტყვი. მე ეს თა-
ვი ზეპირად ვიცი, რადგან დაიწყო,
ჯერ ვთქვა, როგორ ვიწყებდი? —
გორ არის? ვაიმე, ჯიბრზე ახლა დამბ-
ვიწყდა. როგორ იწყება? ნუთუ შენ
აღარ გახსოვს? ჰო, გამახსენდა. „და
მეფე დავით იყო მოხუცებული გარ-
დასრულ დღეთა მისთა, და შემოსიან
იგი სამოსლითა მრავლითა, რამეთუ
ვერღარა ტყებოდა. და რქვეს ყრმათა
მისთა: მოვეუპოვოთ უფალსა ჩვენსა
შეფესა დავითს ქალი ვაბუქა და წინა-
შე მეფისა დგეს და იყოს ესე განმატ-
ფობელ მისა და დაწვეს მისთანა და
განატფობდეს უფალსა ჩვენსა მე-
ფესა. და მოიძიეს ქალი კეთილი ყო-
ველთაგან საზღვართა ისრაელისათა.
და პოვეს. აბესა სომანიტელა, და მო-
იყვანეს იგი მეფისა მიმართ. და იყო
ქალი იგი კეთილ ხილვითა ფრიად და
იქმნა განმატფობელ მეფისა და მსა-
ხურებდა მას, ხოლო მეფემან არა
სცნა იგი.“

ანამ განზე გაიხედა და ცრემლმო-
რეულმა გაგუღული ზმით განაგრძო:

— ახალი გათხოვილი ვიყავ, ეს თა-
ვი პირველად რომ წავიკითხე „დაბა-
დებაში“. თითქოს ფოცხვერი დასტა-
კებოდეს ჩემს გულს და კლანჭებით
ჩაფრენოდეს, ისე შემზარა ჩემმა უბე-
ლობამ...

— პრქვა იესო მოწაფეთა თვისთა:
შეუგვანებელ არს საცთურისა არა
მოსლვა, ხოლო ვაი ვისგან მოვიდეს.

— ოჰ! ეგ მგონი სახარებიდან უნ-
და იყოს. როგორ მაღამოსავით ედება
გულს. კიდევ არა გახსოვს რა?

— როგორ არა. მთელი სახარება
თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცი. გა-
ნა ტყუილუბრალოდა ვარ მღვდლის
შვილი.

— კიდევ სთქვი რამე, — შეეხვეწა
ანა, უფრო ახლო მიიწია ბესიკთან და
მკლავი მხარზე ჩამოაყრდნო. — სთქვი
ისეთი რამ, რაც ოდნავ მაინც შემომ-

სუბუქებს კავშანს. მიძიმე ცოდვა ვიტვირთე, ბესიკ. ვგრძნობ, ეს სანეტარო წუთები ჯოჯოხეთში საუკუნო წამებად მომეზღვება.

— უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეპრისხონ მას, და უკეთუ შეინანოს, მიუტყვე მას. დაღათუ შეიღ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შეიღ-გზის მოაქციოს და გრძკვას შენ, შევინანე, — მიუტყვე მას.

— ღმერთო, — პირჯვარი გადაისახა ანამ და ცრემმორეული ხმით აღმოხდა, — მომიტყვენ მე შეცოდებანი ჩემნი!

დაისით გაჩაღებული ხანძარი უკვე ოღნავ კიაფობდა და აღისფრად შეფერილი ცისკიდური სწრაფად ქრებოდა, სილურჯე-დარეული ღრუბლის ქულები უძრავად ვარინდულოყვნენ ცაზე და ყველანი თითქო გულდაწყვეტილნი იტკირებოდნენ დასავლეთისკენ, სადაც მზე ჩაძირულიყო.

— ხოლო იესო წარვიდა მთასა მას ზეთის ხილთასა და განთიად კვალად მოვიდა ტაძრად, და ყოველი ერი მივიდოდა მისა მიმართ. და დაჰსჯდა და ასწავებდა მათ. ხოლო მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა და დადგინეს იგი შორს. და რქვეს მას: მოძღვარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაეპყრა. და მოსე გვაპცნობს სჯულსა შინა ჩვენსა, ესევეთართა ქვისა-დაკრებად, შენ უკვე რასა იტყვი? ხოლო იესო რქვა მათ, ვინ უცოდველ არს თქვენგანი, პირველად დაუტყვენ ქვაი მაგას ზედა. ხოლო მათ ვითარცა ესმა, მხილებულნი სეინდისისაგან, განვიდოდეს თითო, იწყეს მოხუცებულთიგან, ვიდრემდის დაშთა თავად მარტო და. დედაკაცი იგი სდგა შორს. ხოლო იესო აღემართა და არავინ იხილა, გარდა დედაკაცი იგი, და რქვა მას: სადა არიან შემასმენელ-

ნი შენნი, არავინ განგვითხრა შენ. ხოლო მან რქვა: არავისე უკვალუ-ტხლო იესო პრქვა მას: არცა მუხუჩვეულებავ შენ, წარვედ და ამიერთგან ნურღარა სცოდავ.

ანამ ბესიკს კისერზე მოხვია ხელეზი, თავისკენ მიიზიდა, თვალუბში ქვემოდან შეაკჭერდა და ჩურჩულით უთხრა:

— როდესაც დადგება ვანკითხვის ეამი, ტყუილად ფიქრობ, რომ ჰინდისისაგან მხილებულნი გაგვეცალენ. ქვებით ჩაგვექოლავენ ორთავეს.

— ევოდებ და ვიგლოვ, რა ეამს გონებად მივიდო ცეცხლი იგი გეენისა, და ბნელი ვარესკნელი, და ტარტაროსი, და ულხინებელი იგი საღმობა, რომელი მიელის ცოდვილთა და უკეთურთა, რომელთა პირველი მე ვარ.

ანას ცრემლები დაუცურდა თვალეზზე. ბესიკმა წელზე მოხვია ხელეზი და თრთოლვით შებყრობილი ანა მკერდზე მიიკრა.

სამხრეთის ბნელი ღამე სწრაფად ნთქავდა მიდამოს. წმინდა სანთლებით აინთნენ ვარსკვლავები ცაზე.

— კიდევ სთქვი ლოცვა, ბესიკ — შევედრა ანა.

— რაეამს განეხმოდინა წიგნი იგი გულთანი, და გამოჩნდებთან საქმენი ყოველთანი წინაფე შენსა, და ღელე გლოვისა საშინელად გრგვინვით ოხერიდეს და ეტყინებოდეს, და ცოდვილთა დასნი საუკუნოდ დასჯად წარისხმოდინა, სამართლად განსჯისა შენითა, და უნაყოფოდ სცრემლოდინა, მაშინ შეგვიწყალენ ჩვენ მადიდებელნი შენი საბიერ, და გვიხსენ სატანჯველთაგან, მხოლოთ უცოდველო.

უცნაურმა გრძობებმა შეიპყრო ანა მართალია თვალთაგან ცრემლები სდიოდა და თითქოს ამ ლოცვებით ღეთაურვივი სიმშვიდე უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ამის ნაცვლად მას ერუ-

ანტელი უვლიდა სხეულში და უფრო გვეროდა ბესიკს.

— კიდე, კიდე სთქვი, ბესიკ! — ვედრებოდა ანა.

ბესიკი გრძობდა მის მიერ წარმოთქმულ ლოცვათა ამ უცნაურ გავლენას ანაზე და ხმადაბლა ჩასჩურჩულებდა ყურში:

— ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, უწყი საღმრთო ძალი ცრემლთა, რამეთუ ეხეკია სიკვდილისაგან იხსენ, და მეძაეი იგი ბრალთა სიმრავლისაგან, და კვალდ მეზუერე ფარისევლისა უმეტეს განამართლე; ამისთვის მეცა გვედრები; მათ-თანა აღმარცხე, სახიერ, და შემიწყალე მე.

— შემიწყალე მე! — გაიეორა ანამ.

— დამძიმდეს ბრალთა ჩემთა მიერ თვალნი სულისა ჩემისანი, და ვერ შემძლებელეარ აღხილვად და განცდად სიძალღესა ცისასა; არამედ შემიწყნარე, მსგზავსად მრუშებითა პყრობილისა, მაცხოვარ, და შემიწყალე მე.

ანა ისე მწარედ ჩააფრინდა კბილებით მხარზე ბესიკს, რომ მან უნებურად დაიკენესა, ანას ხელი უშვა და ფეხზე წამოიჭრა, ანა კი მიწაზე დაემხო, თითები კლანჭებით ჩაასო ბალახებში, თითქოს სურდა საკუთარი მხრების თახთახი შეეჩერებინა.

ბესიკმა მიმოიხედა.

ციხე-დარბაზი პირქუშად აღანდულოყო და გულჯავრიანი მეომარივით ჩაფიქრებული დასცქეროდა ზემოდან ორთავეს.

იქვე შორიახლო ჩემად იდგა თოლია და მათ უცქეროდა. დაინახა თუ არა, რომ ბესიკმა მისკენ მოიხედა, მაშინვე კულის ქნევა დაიწყო და ცალი ფეხი ისე აიჭნია, ვითომ წინ წამოდგა, თითქოს სურდა ეკითხნა, შენთან მოსვლა მინდა და შეიძლება თუ არაო.

ბესიკმა ისევე ანას მიამყრო ყურადღება და ხმადაბლა მიმართა: — ეგონებ, აჯობებს მთხრობას ანამ არ უპასუხა.

ბესიკი დაიხარა და მხრებზე ხელი ფრთხილად შეახო.

— ანა!

კვლავ არ უპასუხა ანამ.

— ანა!

— მომშორდი! — უცბად წამოიჭრა ზეზე ანა, და თითქმის სირბილით გაემართა ციხე-დარბაზისაკენ. ბესიკისაკენ არც კი მოუხედნია, მხოლოდ გზადაგზა ისწორებდა გრძელ კაბას, რომელიც ჩქარი სიარულის გამო ფეხებში ეხლართებოდა.

ბესიკი მძიმედ დაიხარა, თავისი კრაველის ქუდი აიღო და ასევე მძიმედ, ტანის ზღაზენით გაემართა კარიბჭისაკენ. თოლია მას გარშემო ურბენდა და გულზე აბტებოდა.

მგელიკამაც დასტოვა თავის საყარაულო და ბესიკს ეზოში მიეგება. ის მოზდენილი აღდგლიდან დარაჯობდა ორთავეს, რომ მათთვის ან ვინმეს არ ეთვალთვალეზინა, ან შემთხვევით ზედ არ წასტებოდა.

— ამაღამ ბანდულებს ამოვასხამ, — უთხრა მგელიკამ ფიქრებში გართულ ბესიკს. — ხეალ, მგონი, გაავდარდეს და მაშინ ზეგ სანადიროდ წასვლა უპრიანია.

— ბანდულები დაგვეჭირდება?

— ჰაი, ჰაი, რომ დაგვეჭირდება. ტინებზე ისე ფეხს ვერ მოვიკიდებთ. განა მართო ბანდული, წრიაპებიც უნდა გავაჭვიდინო.

— ნუთუ ისეთი ფრიალოებია?

— სანადიროზე? ეგეთია აი, — ხელის გული დააყირავა მგელიკამ, — ჯეირნებს განა ჯიხეზე ნაკლებ აღგილას შეუდგება ფეხი.

მგელიკა შედგა და მცირე ღუმლის

შემდეგ პკითხა ბესიკს, რომელმაც წასვლა დააპირა.

— სადგომში მიბრძანდები?

— ჰო, რა იყო?— მოიხედა ბესიკმა.

— ბიჭებმა სთქვეს, რომაო, თუ ვახშმად ჩვენთან მობრძანებას იყადრებს, სთხოვე მობრძანდესო. ციხისთავმაც გთხოვა. კალმახი მოხარშეს, დედლებიც დაუკლავთ. ეგეთი ღვინო ვვაქვს, მეფის სუფრას რო ეკადრება. მობრძანდები?

— რატომაც არა!

— მაშ ვეტყვი ბიჭებსა.

— თქმა რად გინდა, პირდაპირ წავიდეთ! სად ვახშმობთ?

მგელიკამ ხელით ანიშნა გალავნის კუთხის კოშკისაკენ, რომლის ქვედა სართულის დაბალი, თალიანი კარიდან სინათლე გამოკრთოდა.

— იი იქ.

— წავიდეთ!

— განა არ ვიცოდი, რომ მობრძანდებოდი. მეც ებრე ვუთხარი ბიჭებს. ნახე, როგორ გაეხარდებათ! — ეუბნებოდა გამიხარულებული მგელიკა გზადაგზა ბესიკს.



კოშკის რგვალ სენაკში ბესიკსა და მგელიკას მარტო მოხუცი მეციხოვნე — ტატო დაუხვდათ, რომელიც გუზგუზა ბუხართან იჯდა სამფეხა სკამზე და შესაწევად გაშლილ ვარაის შამფურზე აგებდა. იქვე ბუხრის კუთხეში ბესიკმა თვალი მოჰკრა რამდენიმე შამფურს, რომლებზედაც ტატოს უკვე აეგო ვარიები და ფაქიზად მიეყუდებინა კედელზე.

ბესიკის გამოჩენისთანავე ტატო ზეზე წამოიჭრა და საპატიო სტუმარს საგანგებო ნაბადგადაფარებულ მერხისაკენ მიუთითა, თითონ კი ისევ თავის საქმიანობას დაუბრუნდა. მგელი-

კა კედელში დატანებულ კიბეზე გერბაშში შექერა, ზედა სართულში ავიდა, რომ ციხისთავი და მგელიკა იქ იყვნენ.

სენაკს ბუხარში დანთებული ცეცხლის ალი ანათებდა. შეუღლსავე კედლებს ისე, როგორც გარედან, შიგნიდანაც წრებად უვლიდნენ მძიმე რიყის ქვები. ყოველი ასეთი წრე საგანგებოდ შერჩეული ერთი ზომისა და ერთი ყალიბის ქვებით აეგოთ და მთელი კედელი თუშურად ნაქსოვ წინდასავით იყო აპრელებული; ერთ წრეზე ოთხკუთხი რიყის ქვები იყო ჩამწყრივებული, მეორე წრეზე — მარცხნივ გადაწვენილი ალმაცერად ნაწყობი ბრტყელი რიყის ქვები, მესამე წრეზე, მარჯვნივ გადაწვენილი ასეთივე ქვები, მეოთხე წრეზე — ისევ ოთხკუთხი ლოდები, მეხუთე წრეზე — კიბურად წყობილნი მარჯვნივ და მარცხნივ, მეექვსე წრეზე ბრტყლად ნაწყობი აგური ევლებოდა, ხოლო მეშვიდე წრეზე ბურთივით მრგვალი ლოდები პირდაპირ ებჯინებოდნენ თაღს და ადამიანთა თავის ქალებივით ლაღლაებდნენ.

ბესიკმა სენაკი შეათვალიერა, მერხზე ჩამოჯდა და ტატოსთან საუბარი გააბა.

მაღე მეციხოვნენიც მოვიდნენ, ბესიკს მიესალმენ და თან საქმიანად აფუსფუსდნენ. ზოგი გარეთ გავიდა, ზოგი ხერელში მიიშალა, ყოველმა მათგანმა რაღაც მოიტანა. ერთმა დაბალი სუფრა მოარბენინა, მეორემ — სამფეხა სკამები და მერხი, მესამემ — ზონჩაზე დახვავებული თონეული. ციხისთავმა — დიდი ცხრილი, გასაცივებლად ზედ დაწყობილი კალმახებით, ტატომ — კარგა მოზრდილი ტიკქორა, რომელიც ბავშვივით მუხლზე გადაიწვინა. სუფრა ბესიკს დაუდგეს წინ, რომელზედაც ლავაშები მოფინეს და ზედ თევზი დაახვავეს. ბესი-

კი ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თუას მეციხოვნეთა ფუსფუსს, რომელიც დიდის გულმოდგინეობით და ხალისით ტრიალებდნენ სუფრის გარშემო. მათთვის ასეთი ღვინო არც ისე ხშირი მოვლენა იყო.

— აბა ვახსენოთ ღმერთი! — სთქვა ტატომ, პირჯვარი გამოისახა, ლოცვა წარმოსთქვა და ბესიკს მიმართა: — სტუმარო, არ მოგვიწყინო, მიირთვი, შენი ჭირიმე!

ყველანი ჰამას შეუდგნენ და ერთხანს სუფრაზე დუმილი სუფევდა. მხოლოდ როდესაც ცოტათი შენაყრდნენ და პირველი ჯამები დასცალეს, ნელ-ნელა ალაპარაკდნენ. ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლის ალი უცნაურად ანათებდა ყველას და მოსუფრეთა ჩრდილები კედლებზე აქეთ-იქით დარბოდნენ, ხან უცნაურად იზრდებოდნენ და საყდრის წმინდანებივით თალიდან დასცქეროდნენ სუფრას, ხან კი გრძნეულბივით ცეკვავდნენ გოდლური კედლის გაწვრივ, თითქოს ამ ჩრდილებს უფრო უხაროდათ ქეიფი და ფერხული გაემართნათ.

ტატომ ტიკპორა კედელზე მიაყუდა, ბუხრიდან ნაკვერცხლები გამოქეჭა, იქით-აქეთ ქვის საყრდენები ჩადგა და ზედ შამფურებზე აგებული ვარიები გაალაგა, შემდეგ ბუხრის შუაგულს ფიჩხი შეუკეთა, რომ სინათლე არ დაკლებოდათ, და ისევ სუფრას დაუბრუნდა.

— შენისთანა დიდი კაცის სტუმრობა იმისთვის გვიხარიათ, — მიმართა ტატომ ბესიკს, — რომ ქვეყნის ამბებს ვგებულობთ, ნასწავლი კაცი ბრძანდები, მეფის მარჯვენა ხელი. გვითხარი, შენი ჭირიმე, რა ზღედა ამ ქვეყანაზე, მეორედმოსვლა თუ განკითხვის დამი, ის ხომ არ გვიახლოვდება.

— ეგ რატომ გგონია? — ჰკითხა ბესიკმა.

— აბა, რა ვიცი შენი ჭირიმე, რაც დრო გადის, სულ უარ და უარ. ბოლო ხომ უნდა ექნეს. ყველაფერი და თავს გვესხმის, ურუმია, — და თავს გვესხმის, ლეკია, — და მოსვენებას არ გვაძლევს, აბა რომელ ერთს გავუძლოთ? ჩვენი კაცი მინდორში სახენელად ვერ გავა, თუ ზურგზე თოფი არა ჰკიდია... ქალბატონმა საყვედური ბრძანა, ციხე-დარბაზი გაგივრანებიათო, ჩვენი რა ბრალია? ჩვენი ციხე-დარბაზი კი არა, მთელი საქართველოა გავერანებული და ჩვენ რა ვქნათ? განა ციხე-დარბაზის მოსავლელად გვეცალა, ყოველ წუთას დაიძახებენ, ჰაიი... აქეთ — ლეკებმა ბატონიანთ გიგა მოიტაცესო, იქით — ქიტისაანთ გოლა მოიტაცესო, მთელი სოფლის ნახირი წაასხესო, სოფელი გაძარცვესო. ჩვენ კიდევ დილით საღამომდე ხან ცხენით, ხან კიდევ ქვეითად დავდევთ ავაზაკებს, მეკობრეებს, ხან მთაში, ხან ბარში და ასი კაციც რომ დაგვიხედეს, ეს შეიძი თუ რეა კაცი მაინც უნდა შევებათ. ამ ზამთარს ისეთი ვაჟკაცი ბიჭი მოგვიკლეს, შიშყალოს ღმერთმა იმისი სული, ისეთი ვაჟკაცი, რო აეთვალს არ ენახებოდა.

— გავიგე, ბატონს რუსის ჯარი მოუყვანია და ჩვენს ციხეებში უნდა ჩააყენოსო, მართალია? — ჰკითხა ციხისთავმა ბესიკს.

— აბა როგორ გითხრა? — უპასუხა ბესიკმა, — მართალი ისაა, რომ რუსის ჯარი მოვიდა, მაგრამ ისინი თურქებს ებრძვიან.

— ბოლნისელი გუდანა მიამბობდა? ის ხომ ბატონს ახლდა ახალციხეში საეპტორდ ამ ერთის თვის წინათ, — ჩაერია საუბარში ახალგაზრდა მეციხოვნე, რომელსაც ყველანი მეტ სახენელად თავივას უწოდებდნენ, — აბა გაწყობილი ჯარი იმათ ყავთო, აი, რომ მიდიან, ეგრე ერთად სცემენ

ფეხს მიწას, მიდამო სულ ზანზარებსო.

— განა მე არ მინახავს? — შეაწყვეტინა, ჯამებში ლენის ჩამოსხმით გართულმა ტატომ. — ჩამწყრივდებიან ლარივით ყველანი, სუ ერთნაირად აცივით, ქედებიც ერთნაირი, თოფიარალიც ერთნაირი, დაუძახებს იმათი უზბაში, შებრუნდებიან ერთად მარჯვნივ, დაუძახებს, შებრუნდებიან მარცხნივ, დაუძახებს და... წავლენ. ეგრე ერთნაირად ყველა მარჯვენა ფეხს გადაადგამს, მერე მარცხენას, გეგონება რაღაც მანქანებით არიან ყველანი შეკრულიო.

— ნეტავ არ შეიძლება იგეთი ჯარი ჩვენცა გვეყავდეს? — ამოთხვრით წამოიძახა თავვიამ და ბესიკს შეხვდა.

— რატომაც არ შეიძლება! — გაუღიმა ბესიკმა ჭაბუკ მეციხოვნეს.

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ მაგეებს ყველას სწავლა უნდა, შეილოსანი! — ისეთი საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა ტატომ, თითქო თავვიას სიზარმაცის ბრალი იყო, რომ საქართველოს გაწვრთნილი ჯარი არა ჰყავდა. — რუსები, რომ გამოიყვანენ თავიანთ მეომრებს, დიდიდანსადამომდე ეგრე არბენინებენ, რო სუყველას ნადველი აქვთ ჩაქცეული: შენსავით კი არა გდიან და. მაშ არა და, ჩემმა მზემ, ფიჩხზე რომ გაგზავნო, — შესჩივლა ახლა ყველას ტატომ, — თუ ერთი ორჯელ საბრე არ გადააწან, ისე ფეხს ვერ გადაადგმივინებ, განა იმიტომაც ვამაგრო მაშამისმა საზლიდან, წადი, შეილო, მეციხოვნედ იქნებ მაინც ვამაადგე ბატონს, თორემ სოფელს შენ არას არგინებო.

— სწავლა რა, მასწავლონ და განა მე კი არ ვისწავლი? — შეედავა თავვიამ ტატოს.

— რატომაც არ ისწავლი, ჯანი შენ არ გაკლია და უნარი, სიზარმაცეს კი შეეველება. არ დამიჯერებდი და ერთი ორ მოგთუქავდნო ლექსური ნაბადივით, სუ ჩემს კუთაზე გატარებდი, მაგრამა, რო არც მე ვიცი მაგეთები, რა გასწავლო? თოფისსროლა, ვაზნების დამუხტვა, ჩახმახის დაშლა-აწყობა, ზარბაზნის დატენვა და გასროლა, ეს ყველა, მართალია, იცი, მაგრამ ეგეთები ჩვენში განა ბატარა ბაღლებმაც არ იციან?

— ეპ, მე მგონია ჯარის ეგეთი დაწყობა მართო თვალის სვირისათვისაა მოგონილი, — შენიშნა მგელიკამ, — თორე ომში ვისლა მოაგონდება, ჯერ მარჯვენა ფეხი უნდა გადავადგა თუ მარცხენაო. ისევე ჯობია, თითოც დავლიოთ და ორ-ორი იქნება, მოიტა ჯამი, ბატონ მეფის მდივანს დღევრძელობა ვუსურვოთ. ციხისთავო, ალავერდი ვარ შენთან.

— იახშიოლ! — უპასუხა ციხისთავმა და ჯამს მისწვდა.

ყველამ აიღო სავსე თიხის ჯამები, ტატომ ქუდი მოიხადა, თვალნი მალა აღაპყრო და დაილოცა:

— დაგლოცა პირმა ოთისისა, ნაწილმა ბარძიშისა, აშენებულმა ქალაქში მადლმა იმ სიონისა, მცხეთისა ჯვარი გწყალობდეს, გადმომცქერელი მტკვრისადა.

— ამინ! — დაიძახა ყველამ ერთხმად. ჯამები სულმოუთქმელად დასცალეს, უღვაშებზე ხელი მოისვრეს და ციხისთავმა დაბალი კრინით წამოიწყო სიმორა:

„არ შეგრჩა, აჯი ჩაღაბო, პაპა და ვაჟო ჩაიღაბო, პო და პოიი... პაპა და.. აა.. აა.“

ყოცბად ყველამ ერთხმად აიჩაიციეს სიმღერა და მრავალხმიანად შეწყობით დააგუგუნეს:

„პაპა და ვაჟო ჩაიღაბო და... დარბევა მთის და ბარისა.“

„ვერ ნახოს მტერმა ორგულმა, ვერ ნახოს მტერმა ორგულმა... ჰოთი და ჰოთი...“

„ვერ ნახოს მტერმა გადრეკა, მეფის ერეკლეს ხმაღისაა...“

— ეეპ, ბატონს მაშინ მეც ვახლდი იმ ომში — ცრემლი მოიწმინდა მკვინებით გულჩვილებულმა ტატომ, როდესაც ბიჭებმა სიმღერა მიანელეს და ერთ წუთს სინუმე ჩამოვარდა: — შენ მაშინ დაბადებულდი არ იქნებოდი; ბესიკ. ყახახში, შამშადილის საზღვარზე დავეწიეთ იმ წუნკლებს. ჩვენი პატრონი დიმიტრი მაშინ ახალი დაქორწინებული ბრძანდებოდა ამ ჩვენს ჭაბატონზე, ბატონის დაზე, და ჯერ კიდევ კარგ ჯანზე იყო, თუმცა მგონი მაშინ სამოცი წლის კიდევაც იქნებოდა. ბატონს ახლდა და ჩვენც გვიახლა. ჯეულად ვიყავი, რაც ჰაჯი-ჩალაბმა საქართველოს სიმწარე აჩვენა, ერთი ათად მივუწღეთ მის ვაჟს ალა-ქიშის. მართალია თითონ გაგვექცა და შაქში მიიშალა, მაგრამ ჯარი მთლად გაუქვლიტეთ. გავიზღვე მაშინ, შამბებში თათარს დავეძებ და მი: — ჩაიციან ტატომ და თავი გაიქნია, — თათრის დედაკაცს არ წავადექ თავზე! არც ხმა ამოუღია არც არადერი. დაწვა და გაინაბა აგრე უსირცხვილოდ. გეთ, არვით მეთქი, ერთი დაეპყივლე და..

— გაუშვი? — საოცარი გულისწყვეტით წამოიძახა თავვიამ.

ტატომ მრისხანედ გადაბედა თავვიას და წარბები შეკრა.

— გაუშვი, მაშ არა და თათრის დედაკაცს მოუწვებოდი გვერდში, ვანა თავგია ვიყავ. ვაქვაცს ნამუსი უფრო რო მოეთხოვება, არ იცი?

— იიპ! — გაიღრია თავგია, — მე რო ამისთანა ომში არაღის მიეყავარ, სწორეთ რო ბედი არა მაქვს. თათრი დედაკაცი ხელში მოვიგდო და იმას გაუშვებ!.. ისინი რო ჩვენიალებს არა-

ვის ინდობენ, მე დავინდო? ჩვენს ლაპარაკობ!

— სვინდისისათვის გვემტყუნებენ ში, თმა და წვერია, დათესაც ასხია ბალანი, აბა ის რაის მქნელია.“ აგრე რო არ იყო, მაშინ ჩვენ ქრისტიანები არ ვიქნებოდით, განა მართალს არ მოვახსენებთ? — მიუბრუნდა ტატო ბესიკს. — კაცად იმისთვის გვიხმობენ ქვეყნად, რომ ის არ ჩაეიდინოთ, რასაც ტყის ნადირი ჩადის. დათვი რო თურამაულზე აუშვა, ტოტებს სულ დააღწავს, მაგრამ, განა დათვი თუ მოვკალით, ჩვენც უნდა მოვდგეთ და ხეები ძირიან ფესვიანად დაეთხაროთ, აქაო და რაკი დათვი ასე ჩადის, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ?

— ახლა თქვენ ერთი კამათობა ნუ გამიმართეთ, — შეუტია ციხისთავმა ტატოს, — ეგ ჯამები აეხე, ისა სჯობდა.

— სწორია, თითოც დავლით, ორ-ორი იქნება! — დაიძახა მგელიკამ, რომელსაც ამ გაქიანურებულმა მსჯელობამ თელემა მოგვარა — დაასხი, ტატო,

— ბიჭო, რამდენიც არ უნდა დავლით, სულ ორ-ორი იქნება? — გაიღიმა ტატომ და ჯამებს აესება დაუწყო. — შენ შამფურებს მიხედ, მგონი ცალი გვერდი იწვის.

მგელიკა მაშინვე წამოიჭრა ზეზე და, ნაკვერცხლებზე გალაგებული შამფურები შეატრიალა, ვარიებს ცეცხლზე მიფიცებული მხარი მთლად დაბრაწოდათ და მადისალმძვრელი სურნელება ასდიოდათ.

— იფ, იფ! — წამოიძახა მგელიკამ. — აბა ესენი იქნებიან, აი...

— შენს ხოხბებს აჯობებენ — დაცინვით ჩაულაპარაკა ციხისთავმა.

— ხოხბები, რა, არ გამიშვი სანადიროდ და არც ქორ-მიმინოს გაზრდის ნება მომეც, ისე თავისით ზომ არ მოფრინდებოდნენ და შამფურზე დაასხდებოდნენ.

— ქორ-მიმინო, თორე შენ რო დიდი მონადირე მყავხარ!

— რატომაც არა ვარ. აგერ ბესიკი რო ინებებს წამობრძანებას სანადიროდ ჯეირნებზე, მაშინ ნახე, თუ როგორი მონადირე ვარ.

ტატომ ჯამები აავსო, მოსუფრეებს შიწოდა, თავისთვისაც აივსო ჯამი, მძლავ ასწია და ევლავ თავისებური ღალღით წარმოსთქვა:

— ღმერთო დიდებულო, შენ გაუმარჯვე ჩვენს ბატონს ერეკლე მეფეს. ჭირში და ღბინში, ომში და მშვიდობაში, შენი მადლიანი თვალი მუდამ დარაჯათ ედგას!

— ამინ! — დაიძახა ყველამ ერთხმად და ჯამები მოიმარჯვეს.

მხოლოდ ახლა, მესამე ჯამის დაცლის შემდეგ, იგრძნო ბესიკმა სხეულში სანეტარო სიბორო.

ბესიკმა უნებურად მიმოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა.

— აქ არის! — მიუხედა მგელიკა ბესიკს და საიდანღაც ამოაძვრინა პატარა საზი.

— ვაჰ! რა იცოდი, სწორედ ეგრე რომ მიწოდდა.

— როგორ არ, ვიცოდი. მა რა მოხელე ვარ, თუ მაგისთანებს ვერ მივხვდები.

ბესიკმა საზი ჩამოართვა, მიზრადი მოიმარჯვა და სიმების აწყობას შეუდგა. ყველანი თავაზიანად გაჩუმდნენ და ბესიკს შეაკვირდნენ, რომელმაც სიმები მომართა თუ არა, თანამოსუფრეთ კითხვის თვალით გადახედა:

— ვიმღერო?

— შენ კი გენაცვალე, მა რისთვის გიკვირით აგრე. ერთი ჩვენც გაგვაგონე მეფის საკადრისი სიმღერა! — უთხრა ტატომ.

ბესიკმა ჩამოჰკრა მიზრადი სიმებს და ჯერ კარგა ხანს მხოლოდ უკრავდა, თითქო ვერ ბედავდა სიმღერის

დაწყებას. ყველანი განბნული უსმენდნენ. ბოლოს დაამთავრა თუ არა ერთი მუხლის დაკვრა, უცებ ყველამ მომხიბლველი ხმით დაიწყო სიმღერა, რომ სმენელებმა უნებურად ალტაცებით გადახედეს ერთმანეთს.

„პირ ზამზახი, ღაწვნი ვარდნი სად არი?“

„სახე სავსე მოვარის მგზავსი, სად არი?“

„ბროლოს ცაზე ქუფრად ხალხი იმკობის,“

„ყორნის ბოლო მშვილდ-ქამანი სად არი?“

ტკბილი, თანაც ნელი ხმით მღეროდა ბესიკი, მაგრამ ისე, რომ მისი სიმღერის ხმა, უცნაურად სწყდებოდა გულს და სიამით ავსებდა.

პირველი ტაეპის დამღერების შემდეგ, სანამ ბესიკი საზზე უკრავდა, მსმენელები ერთმანეთში ჩუმჩუმად გამოთქვამდნენ ალტაცებას.

— გესმის შენა?

— ვაჰ! ვაჰ!

— აბა, თუ მიხვდები, ყორნის ბოლო მშვილდ-ქამანი, რას ნიშნავს? — ჰკითხა ტატომ თავიას.

— რა ვიცი.

— ჰო და საქმეც ისაა, რო არ იცი...

— დაიცათ, კაცო, — შეაჩერა ტატო ციხისთავმა, რადგან ბესიკმა თავი ასწია და ახალი ტაეპი დაიწყო:

„გეშრის ტბანი განზოოოოო სთაროდ,“

„თვალთ ისარნი წარბ-წამწამთა სადარო.“

„შენი ტრფობა საიდუმლოდ მესახა,“

„ეშთ მიზეზნი სურვის ზანვი სად არი?“

.....

„დიად გშენის გგ სიტტრფე, ნაზობა,“

„მაგრამ ბესიკ ღებნის დანვი სად არი?“

მსმენელები განწყობილნი იყვნენ კიდევ ესმინათ სიმღერა, მაგრამ ბესიკმა უცბად საზი განზე გადასდო და ტატოს მიუბრუნდა:

— ისეც ჯობს დავლიოთ, თორემ თავი მოგაწყინეთ.

— აბა რასა ბრძანებთ? მე ასეთი

ჯერ არა მსმენია რა, საათნავას სიმღერა მომისმენია ჩემს ჯეელობაში, მაგრამ შენ უკეთესი ხმა გქონია...

— ჩემი ხმა რა სახსენებელია. საათნავა ბუბუღი იყო, მე მასთან ყორნადაც არ გამოვდგები.

— პირფერობით არ მომიხსენებია, ჩემი ბატონის მზემ, გულწრფელად ვამბობ. მართალს არ ვამბობ, ბიჭებო? — მიუბრუნდა ტატო მოსუფერებს.

— მართალს მოგახსენებთ, — სთქვა ციხისთავმა. — მე მეგონა სიმღერა ვიცოდი და ხმაცა მქონდა. ამის შემდეგ როგორღა გავბედავ, რომ ოდესმე ვიმღერო. ეს რა ხმა მოვისმინე. ჯერ კიდევ გონზე არა ვარ მოსული.

— კარგი ერთი! — გაიცინა ბესიკმა და სავსე ჯამს მისწვდა. — კიდევ ერთი ორ ჯამს რომ დავლევთ, მერე უფრო უკეთესად მოგჩვენებათ ჩემი უკვანი სიმღერა.



მესამე დღეს მოიღრუბლა. თუმცა წვიმა არ მოსულა, მაგრამ მთიდან ნოტიო სიომ დაუბერა და მგელიკა მაშინვე დაფაცურდა. ბანდულები ამოასხა, ვაზნები დამუხტა, სპირის-წამლები დენთით აავსო, თოფი და დამბაჩები დააფერა და შემდეგ ბესიკს მოახსენა, ნასამხრეეს უნდა წავიდეთ, რომ დაბინდებამდე დამის-გასათევ გამოქებაულამდე მივადწიოთო.

— წვიმა რომ არ მოსულა? — კითხვა ბესიკმა და ცა შეათვალიერა. — შენ არა სთქვი, ნადირობა ნაწვიმარზე უნდაო.

— მთაში წვიმს, — უპასუხა მგელიკამ, — კიდევაც რომ არ წვიმდეს, ისეთი თქორია, მიწას ლამი ექნება. ნანატრი სანადირო ამინდია.

— მაშ წავიდეთ.

— თქვენ როგორც მანქანებს, — მგელიკა წავალ, ცხენებს მოვასხამდე, — უკარბოთუ წავიყვანთ, კარგი იქნება. ფიჩხს ავკიდებთ, თორე ღამე ცეცხლის დანთება დაგვირდება, იქ კი ღორღისა და ბალახის მეტი არა იპოვება რა.

— განა დეკა არ იზრდება ამ მთებში?

— დეკას აქ რა უნდა. ეკლიანი ძეძვების მეტი არა არის რა. ხანჯლით კიდევაც რო ასიხხო, ხელს ვერ მიაკარებ. თქვენა, თორემ მე ცეცხლი რად მინდა. თქვენ კი შეგცივათ. შეუჩვეველი ბრძანდებით.

— არა უშავს რა, გაუძლებთ. ჩვენ ორნი წავალთ?

— რად გვინდა მეტი? ხელს შეგვიშლიან.

— კარგი, მოემზადე!

სამზრობის ეამს, როდესაც გულვარდისამ ბესიკს თავის სენაკში სამხარი მიართვა და სუფრას უშლიდა, მოახსენა, ქალბატონიც მალე გეახლდებათო. ბესიკს გაუკვირდა, რადგან რაც აქ იყო, სულ მუდამ მარტო სადილ-ვაზშობობდა. არც ანას მიუწვევია თავისთან და არც თვით ანა მისულა ბესიკთან სენაკში პურის ჭამის დროს.

გულვარდისამ ტახტზე გაშალა სუფრა და ზედ ხუფიანი ვერცხლის რამდენიმე ლანგარი დადგა. ბესიკმა ერთ ლანგარს ხუფი ახადა და მაშინვე საწვლელთი დამზადებულმა ცხელი შილაფლავის სუნმა საამო სურნელება მოჰფინა. სუფრის გაწყობის შემდეგ გულვარდისამ ტაშტი და თუნგი მოიტანა და ბესიკს ხელი დააბანინა. მალე ანაც მოვიდა. მან უსიტყვოდ წაიძრო ქოშები, ტახტზე ავიდა და სუფრის ერთ მხარეს თურქულად მოიკეცა. ფართო კაბა ქოლგასავით გაიშალა. ბესიკმა ანას პირდაპირ დაიჭირა ადგილი და მანაც თურქულად მოიკეცა. გულვარდისამ ორთავეს წინ ფაი-

ფურის საინები დაუდგა და, ის იყო დააპირა ლანგრიდან მათთვის კერძი გადმოეღო, რომ ანამ უთხრა:

— შენ წადი. ხომ ყველაფერი მოიტანე?

— ყველაფერი, ქალბატონო.

— ღვინო?

— აქ გახლავთ ხელადით.

— წადი. თუ რამე იქნას, შენს მეტი არაეინ მოვიდეს.

გულვარდისამ მზრუნველი თვალი კიდევ მოაელო სუფრას, ხომ არაფერი დამაეიწყებდაო და, როდესაც დარწმუნდა, სუფრას არაფერი არ აკლდა, უსიტყვოდ გარეთ გავიდა. ანა ბესიკის საინს მისწვდა, ლანგარს ხუფი ახადა და კერძი გადმოეღო. ბესიკი ცნობისმოყვარეობით აღევენებდა თვალს ანას, რომელიც თავდახრილი დიასახლისობდა და ერთხელაც არ შეუხედნია მოჯნურისათვის.

ჩუმაღ ისამზრეს. ასევე ჩუმაღ სცილიდა ქარვისფერი ღვინით სავსე ჭიქას ბესიკი, რომელსაც ანა დაცლისთანავე უესებდა; თითონ ანა ოდნავ აკარებდა პირს თავის ჭიქას, მაგრამ ნასამზრევს უცხად მისწვდა დიდ თასს, აავსო და სულმოუთქმელად დასცალა. მერე მძიმედ მოითქვა სული და ბესიკს შეხედა.

თვალეებზე ბინდი გადაჰკროდა. ცალხელზე ისე გადაეყრდნო, თითქოს ადგომას აპირებდა და მოთენთილმა სენაკს თვალი მოაელო. ბესიკმა ადგილი შეიცვალა, ოდნავ გადაწვა და ანას ბეჭებზე ხელი შეაშველა. ანას გააეროლა. ბესიკის ხელი ჯიუტად მოიშორა და ისევ მოაელო თვალი სენაკს.

— ოცი წელი გავატარე მე ამ სენაკში, — სთქვა ანამ. — ოცი წელი. აი იმ კუთხეში მედგა ტახტი. აქეთ სკივრები იდგა. შენ რამდენი წლისა ხარ. ოცისა, ხომ?

მოიხედა, ბესიკს ხელით ანიშნა სურაზე.

— დამისხი!

ბესიკმა ჭიქა აუვსო, მაგრამ ანას უკვე დააეიწყებდა, რომ უნდა წავიდა სურდა, სწრაფად ჩამოვიდა ტახტიდან და სარკმელში გაიხედა.

— რამდენჯერმე ვიდუქ ამ სარკმელთან და სულ ვფიქრობდი, როდის გამოინდებოდა ჩემი რაინდი. ოცი წელი ვიცხოვრე ამ კოშკში. ოცი წელი ველოდი და განგებამ ეს მოლოდინი გამომართლა. ტანჯული ოცნება ოცი წლის ვაყვაცად მომიზლო. აი აგერ არის ჩემი რაინდი. ჩემს სენაკში. მოვიდა, მოვიდა, ტახტზე ზის და ნაღვლიანი ღიმილით მიცქერის. აგერ ადგა, ჩემს წინ მუხლებზე დაეშვა... არა, დაიცა, ხელს ნუ მახლებ. მე მინდა გიცქირო, ვითომ სინამდვილე კი არა, ოცნება ხარ. ეს ჯობია..

— რისთვის? — უნებურად აღმოხდა გაოცებულ ბესიკს.

— იმისთვის, რომ ბედს უნდა დამციხოს და მე არ მინდა ბედის დასაციხი გავხდე. ჰაბუკი მომივლინა. რად უნდა უყვარდეს ოცი წლის ვაყვაცს ორჯერ უფროსი ქალი. განა არ ვიცი, შენც ავთანდილივით ფიქრობ ჩემზე, როგორც ის ფიქრობდა ფატმანზე, რომ „ყვავი ვარდსა რას აქნევს ანუ რა მისი ფერია, უმგზავსო საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია“.

ცალ მუხლზე დაჩოქილი ბესიკი ქვემოდან ასცქეროდა ანას და სცილობდა რაიმე სანუგეშო ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა. აზრები რატომღაც სხვაგან გაურბოდნენ და გუნებაში გრძობდა, რომ ანა მართალი იყო. ბესიკი მორჩილი მსახური იყო ანასი და არა მოჯნური. მართალია, ანას მშვენება, მისი ლამაზი და უქნობი სახე, მისი მოჭნილი ტანი, გრძელი ნაწნაეები და ყველაზე დამათრობელი, მიმზიდველი ღიმილი სანეტაროდ უტოკებდა ბესიკს გულს, მაგრამ ეს არ იყო რუსთაველური,

სხვა რამე სიყვარული, არ სიძვისა დასადარი.

ანამ თმებზე ნაზად გადაუსვა ხელი ბესიკს.

— ჩემი რაინდი, — სთქვა ანამ, — შითხარი, მართლა გიყვარვარ?

ბესიკმა, თითქოს მის წინ ქრისტეს ჯვარცმა ყოფილიყოს აღმართული, ისეთი სპეტაკი სასოებით მოხვია ხელი ანას და ლოცვასავით წარმოსთქვა:

„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო, ზილფო მკლავებო, მომკლავებო, ვერ ^{საბარებო,}

წარბ-წამწამ-თვალნო, მოსათვალნო, ^{შემაზარებო,} მოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ-წამარებო, პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!“

— ეგ რა კარგად სთქვი, ბესიკ! — სიმღერასავით წასჩურჩულა ანამ, — მაგრამ ეს რად სთქვი, მომიგონეო? განა მშორდები?

— განა სამუდამოდ? — გაიცინა ბესიკმა. — სანადიროდ მივდივარ.

— როდის?

— აი ახლა. გარეთ მეციხოვნე მგელია მელოდება ცხენებით.

— მერე როდის დაბრუნდები?

— ხვალ სადამოს.

— კარგი! — აღერსიანი ღიმილით უთხრა ანამ. — წადი, ინადირე.

ცოტა ხანს დასცქეროდა ანა ბესიკს და უღიმიოდა. მერე უცხად დაიხარა, ტუჩებზე დაეკონა. ასევე უცხად შესწყვიტა ამბორი და ისე სწრაფად გავიდა სენაკიდან, რომ ცალ-მუხლზე დაჩოქილმა ბესიკმა ადგომაც ვერ მოასწრო.

მცირე ხნის შემდეგ, სანამ ბესიკი სანადირო სამოსს ჩაიცვამდა და ფეხებზე ბანდულებს მოირგებდა, გულვარდისამ ნაბღის ბუდეში გახვეული თოფი მოუტანა და თან დასძინა: ქალ-ბატონმა შემოგითვალა, სხვა თოფი ნუ გინდა, ამით ინადირეო...

ბესიკმა მადლობა შეუთვალა ანას, ბუდეს თავი გაუხსნა და თოფი თავისით გამოცურდა ბუდეში.

— ვაჰ, ეს მართლა რა მშვენიერი რამ ყოფილა! — უნებურად აღმოხდა ბესიკს და თოფი ხელში შეატრიალა.

თოფის კონდახი სადაფით და სპილოს ძვლით იყო მოოჭვილი, ხოლო ლულას ოქროს ჯავარი ეყარა. ჩახმახს ოდნავ მოდებოდა ქანგი და ტალიც მოსკეეთოდა. ბესიკმა მგელიცა იხმო და უბრძანა, სანამ ჩაიცვამდა, თოფი გაეწმინდა, ტალი გამოეცვალა და დაეტენა. მგელიცამ დაინახა თუ არა ბატონის ხიჩიმი, მაშინვე გულზე მიიხუტა და წამოიძახა:

— ამის ხელში დაქერას მოვესწარ და არ გაეწმინდე! ქრისტეს ხატით ავალაპლავებ, ოღონდ ნადირობის დროს ერთხელ მაინც მასროლინეთ ამით და მეტი არა მინდა რა.

— გასროლინებ, როგორ არ გასროლინებ, წადი, ნულარ ვაყოვნებთ! — უთხრა ბესიკმა და ტანსაცმელის გამოცვლას შეუდგა.

მგელიცა მაშინვე დაეშვა ეზოში. სანამ ბესიკი სანადიროდ მოირთვებოდა, თოფი გაასუფთავა და ააწყო. ჩახმახი გაუფერა, ლულა ზუმბით გამოუწმინდა, და დატენა თუ არა, ბატონთა შიში რომ არა ჰქონოდა, სულსაც კი დასთმობდა, ოღონდ ნიშანში ესროლნა. თავიცა ბავშვივით აქეზებდა, ისროლე, არაფერიც არ იქნებო, მაგრამ მგელიცამ ცდუნებას სძლია, და ეინაიდან თავიცა თან მიჰყავდა, რომელსაც ქვაბულებში ცხენებისთვის უნდა მიეხედნა, უბრძანა, ჯორზე ფიჩხი აეკიდა და დაწინაურებულებიყო. თავიცა ზღაპრით შეუდდა საქმეს, და სანამ ჯორს კეხს დაადგამდა, ზედ ფიჩხს აკიდებდა, ბესიკი და მგელიცა მოახტნენ ცხენებს და გზას გაუდგნენ. ორივე უკვე კარგა შორ მანძილზე იყვნენ წასულნი, როდესაც მგელიცამ მოიხედა და დაინა-

ხა, რომ ფიზიოდატიკრთულ ჯორზე გადამჯდარი თავვია სასაცილო ძუნძულით დაედევნა მათ.

ბესიკი უხმოდ ერეკებოდა ცხენს და მგელიკას კვალდაკვალ მისდევდა. სხვა დროს, ბუნების სილამაზის მოტრფიალეს, ახლა ერთხელაც არ აუხედნია მალა და ფიქრებით გართულს, არც ის უგრძენია როგორ დალამდა, როგორ გადაიარეს პატარა მდინარე და ყრუ უკაცურ ხეობას შეუდგნენ. სამივენი შეუჩერებლად მიადიდნენ და მხოლოდ ნაშუალამევს მიადწიეს იმ ადგილამდე, სადაც მგელიკას სიტყვით გამოქვამულები უნდა ყოფილიყო. როდესაც ცხენებიდან ჩამოხტნენ, ბესიკმა დაინახა, რომ მათ წინ ამართულიყო ციხის კედლივით კბილებიანი კლდე, რომლის გასწვრივ კიდეც კარგახანს მოუხდათ ფეხით სიარული, სანამ გამოქვამულს მიაგნებდნენ. მგელიკამ ტალზე დაკეცა, აბედი გააღვივა და დენტში ამოგორებულ ჩლაზე დაადო. მაშინვე იფეთქა ალმა, რომელსაც სამგზავრო ჩაიდანის მაგვარი ლამპარი შეაგება და სინათლე აანთო.

გამოქვამული საკმაოდ დიდი იყო. რამდენიმე დარბაზისაგან შესდგებოდა და ხელით ნაკვეთს ჰგავდა. საოცრად სწორი იატაკი ჰქონდა, რომელზედაც თაღებით გამოკვეთილი დარბაზები დიდრონ ქვის სვეტებით ეყრდნობოდა.

— ვაიმე, აქ სად მოვედით? — დაიძახა შეშინებულმა თავვიამ, როდესაც გინოქვამულში მიმოიხედა.

— რაო, შეგეშინდა? — ჰკითხა მგელიკამ და ლამპარი ხელში მიაჩინა. დაიჭი, ცხენები შემოვიყვანო, და ცეცხლიც დავანთოთ.

— ეს ხომ დევების ბერელია.

— დევების ბერელია, მაში!

— შერე აქ რა ვინდა კაცო! — აუწია ხმას თავვიამ.

— დაიცა, ნუ ღრიალებ. მე აქ მართო გამითევია ღამე ფრენის შემდეგ. შენ რა მოგდის? — დაიძახა თავვიამ მგელიკამ, შემდეგ ცხენები გამოქვამულში შეიყვანა და ბარგის ჩამოხსნას შეუდგა. — მოდი, მომეშველე, ეგ ლამპარი ბესიკს მიაწოდე, პაა, ჩქარა, თორე მაგ მუხლების კანკალს სწრაფად შეგიჩერებ.

თავვიას შიშზე ბესიკს უნებურად ელიმებოდა. მან ჩამოართვა ლამპარი თავვიას და მგელიკას მიუწათა.

მალე სამივენი ცეცხლის გარშემო გაშლილ ნაბღებზე მხართმობზე წამოწოლილი ვახშობდნენ და მგელიკა ხუმარ-სიტყვაობით მოსვენებას არ აძლევდა თავვიას, რომელსაც შიშის გრძნობა ჯერ კიდევ არ ჩაქრობოდა.

— დამანებე, რა, თავი! — ეხვეწებოდა თავვიამ. — მე ჩემი შიშიც შეყოფა სადარღებლად და შენ რაღას მემართლები? ათას კაცს შემახვედრე პირისპირ, თუნდაც ვეფხვს ხელდახელ შევებმები და ასეთ ადგილას ნუ მიმიყვან. ისე მეშინია ჭაჯისა და ეშმაკების. ფუი, ჯვარი აჭურობას, ისე მეშინია, რო...

დაღლილი ბესიკი ჩუმად უსმენდა ორივეს ქილიკობას და არც კი უგრძენია, ისე მოეპარა ძილი. მხოლოდ გათენების ხანს უცბად გაახილა თვალი, როდესაც მგელიკამ ფრთხილად შეანჯღრია და უთხრა, დროა წავიდეთო.

ცეცხლი უკვე ჩაფერფლილიყო. გარეთ ნისლი იდგა და საკმაოდ ციოდა. თვალგამკვეტილი თავვიამ ხმამოუღებლად შეტკეროდა ორივეს სამხადისს. მას მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი და ჩახმახშეყენებული თოფი სულ ხელში ეჭირა. ის მართო უნდა დარჩენილიყო გამოქვამულში და დღისით, სანამ მონადირეები დაბრუნდებოდნენ, ცხენები საბალახოდ გაერეკნა. ამიტომ, სანამ ბესიკი და მგელიკა გავიდოდნენ ქვაბიდან, მან წი-

ნაწარ გამორეკა ცხენები გარეთ და საბალახოდ მიუშვა.

დილის ნისლს სქლად დაეფარნა მიდამო და ათიოდე ნაბიჯის შემდეგ აღარაფერი ჩანდა. ბესიკი და მგელიცა ჩუმად მიაბიჯებდნენ ბალახიან ფერდობზე, და სანამ ნისლი გაიფანტებოდა, მათ უკვე მიაღწიეს ღორღით დაფარულ-დაღარულ კლდეებს. მგელიცა ახლა დაწინაურდა და ბესიკს უთხრა, კვალდაკვალ მოჰყოლოდა. მალე ორივენი მთლად დაშლილ კლდოვან ქედზე ავიდნენ და ამ ქედს გაუყვნენ. ქედი იმდენად ვიწრო იყო, ისე დამსკდარი-დაღარული, რომ ბესიკი მალე დაიღალა აყირაებულ ლოდებზე ბიჯებით და მგელიცას სთხოვა, შევისვენოთო. მგელიცამ ხელით ანიშნა არაო და გზა განაგრძო. მალე ორივენი ფრიადო კლდეს მიაღწნენ და მხოლოდ ახლა შეისვენეს. ნისლის გაფანტვას ელოდნენ. ლოდინი დიდხანს არ დაჰირევიდათ, რადგან დილის მზის სხივების გამოჩენასთან ერთად ნისლი სწრაფად გაიფანტა და მხოლოდ ახლა დაინახა ბესიკმა, თუ სად ამოსულიყვნენ. მის თვალწინ, საოცრად უდაბური, გადაპარღული ქედები გადაიშალა, რომელთაც ის ახლა თითქმის ზემოდან დასცქეროდა. მგელიცამ სწრაფად ჩააელო ხელი მაჯაში ბესიკს და თავისკენ მიახედა.

— შეხედე! — ჩურჩულით უთხრა მგელიცამ და ხელით ანიშნა:

ბესიკმა ვერ ვერაფერი ვერ დაინახა და კარგახანს დაჰირდა თვალთვალი, სანამ შეამჩნევდა მათ პირდაპირ კარგა მოშორებით კლდეზე ამართულ ჯეირანს, რომელიც ქანდაკებასავეთ გარინდულიყო და ამომავალ მზეს უცქეროდა. ბესიკმა ორთითასავით მაღლა აშვირილ მოკაულ რქებით გამოიცილა ჯეირანი, თუმცა პირველად ეს რქები კლდეზე ამოზრდილი ბალახი ეგონა.

მგელიცამ ბესიკს მოხერხებული ადგილი უჩვენა და ურჩევდა, სწრაფად ჩაწოლილიყო, თითონაც კი ვერც შეეცდებოდა ჯეირანისთვის თავი დაეელო, და თუ ვერ მიეპარებოდა, ბესიკისაკენ მაინც გამოედევნა.

— ის თავის ჯოგს დარაჯობს, სიო აქეთ ჰქრის და ყველანი აქეთ წამოვლენ. არ აჩქარდე და ახლოს მოუშვი, — უთხრა მგელიცამ ბესიკს და ისეთი მსუბუქი ნაბიჯებით დაეშვა თავქვე, თითქო მიფრინავდა.

ბესიკი საფარში ჩაწვა, თოფი მოიმარჯვა და ჯეირანს თვალთვალი დაუწყო. პირველად ველარც კი დაინახა და ეგონა ნადირი დაფრთხა და წაეიღაო, მაგრამ კარგახანის თვალთვალის შემდეგ ისევ შენიშნა ამართული რქები.

ლოდინი კარგახანს დასჭირდა. ჯეირანის რქები რამდენჯერმე შეირხა და ისევ გაირინდა. შემდეგ უცბად გაქრა.

ბესიკი შეერთა და გული აუჩქროლდა.

უცბად დაძაბულ სიჩუმეში დაიჭუბა მგელიცას ჯაზაირმა და მცირე ხნის შემდეგ ბესიკმა დაინახა რამდენიმე ჯეირანი, რომელნიც გრძელი ნახტომებით მოჰქროდნენ მისკენ და მსუბუქად ევლებოდნენ კლდეებს. ისეთი ელვისებური სისწრაფით მოჰქროდნენ ყველანი, რომ ბესიკმა ვერც კი მოასწრო გაეაზრებინა, დაუახლოვდნენ თუ არა ისინი თოფის სროლის მანძილზე. ჩახმაზი ფეხზე შეაყენა, დაუმიშნა და ალაღბედზე ისროლა. მოეჩვენა, თითქოს ერთი ჯეირანი ჰაერში შეტრიალდა და ძირს დაეცა. მაშინვე წამოიჭრა, ფეხზე დაიქეთ გაექანა, მაგრამ მოსცილდა თუ არა საფარს და ხრამში ჩაირბინა, ვერაფრით ვერ მოისაზრა, რომელ მხარეს უნდა წაუღლიყო. ხან აქეთ ეცა, ხან იქით, კლდეებს და ლოდებს შე-

მოივლება, ხან ზილფ-კაეებით და-
ივრება, შუბლზე წინამოს დაიყუ-
ნება. კაბებს ხომ ყოველ დღე იცე-
ლიდა. მოახლეები დიდიდან-შუადღემ-
დე მის ჩაცმა-მოკაშვას უნდებოდნენ.

ჩაიკვამდა ანა და მაშინვე მთელ
ციხე-ღარბაზს დაივლიდა. ხან ქონ-
გურებზე გაივლებდა ტანის მოხდენი-
ლი რხევით, ხან სახაბაზოში ჩაირბენ-
და, და რა ღროსაც არ უნდა მიმოეხე-
და კაცს, ციხე-ღარბაზის ეზოში აუ-
ცილებლად მოჰკრავდა თვალს ანას,
დანიახავდა მის მომაჯადოებელ მოჭ-
ნილ სიარულს და გაიგონებდა მის
მომხიბლავ სიცილს.

ერთი კარგი თვისება ჰქონდა ანას.
გულკეთილი იყო და თავდაბალი. რაც
უნდა გაჯავრებული ყოფილიყო, ხმა-
მალა იშვიათად იტყოდა სიტყვას.
ძალიან ძნელად თუ გაუჯავრდებოდა
ან დატუქსავდა რომელიმე ხელქვეითს
ან მსახურს.

ანას იშვიათად გამოეპარებოდა თა-
ვის მსახურთა ჭირვარაში. ხშირად გაი-
გონებდით ანასაგან ასეთ საუბარს მო-
ახლესთან ან ფარეშთან.

— პირიშისავე რა მოგივიდა? ვი-
ტირნია? მითხარი, რაზე ტიროდი. ხმა
ამიღუე, ქალო, ნუ გერიდება. გათხო-
ვება გინდა ხომ? ხომ? მიგიხვდი. ვი-
ლაც ვაფი მოგეწონა? ერთმანეთი შე-
გიყვარათ? დაიცა, სახეს რად მა-
ლავ? თვალებში მიცქირე. ახლა გინ-
და დასახლდე და ოჯახი გაიჩინო.
თქმა გინდა და ვერ მიბედავ. კარგი.
დამილოცნიხარ.

— ქიტა, ბიჭო, სად დამეყარავე. ნუ
გეშინია აქ მო. ის ფაიფურის კოკა, —
შენ აგრე არ უწოდებდი, კოკაა მა
რააო. — მე გაეტეხე, შენ რა შუაში
ხარ. მაგისტვის იხრჩობდი თავს, შე
სულულო, შენა. წყალზე რომ შენთვის
სპილენძის თუნგი გამეტანებინა, ხომ
არ გაგიტყდებოდა. მე გაგატანე და,
ცხადია, მე გაეტეხე.

— გიგა, შენს ძმას შემოუთვლია
შენთვის, ქალბატონს შემეყვდრე...
ნულოდ პავლიანთ ხაჩაბაძე...
ვინოს, რომ ჩემი თორმეტი შეილი
დავხარდო და გამსახუროო. შენ არა
იცი რა? ჰო და, მე გეუბნები, ასე შე-
მოუთვლია. შენც შეუთვალე, ქალბა-
ტონმა გიბრძანა, ეგეც დაჰხან, და
თუ ჯანი შეგწევს, სამ დღიურსაც კი-
დეც მოვაცემინებ მოურავსა-თქო. მე-
ტი არ უნდა? შენ რა იცი, უნდა თუ
არა? აგრე კი შეატყობინე და დანარ-
ჩენი თავის საქმის იმან უკეთ იცის.

ასეთი დამოკიდებულებით იმდენად
მოხიბლული ჰყავდა ანას ყველა, რომ
იმის ძვირს ვერავის ათქმევინებდი.
ორი ქალი გაუჩენია ღმერთს ქვეყნად
სიკეთით აღსუსე, ერთი. ღეთიშობე-
ლი და მეორე ანაო, ამბობდნენ მსა-
ხურნი. იმათ იცოდნენ, რომ რაგინდ
გასაქირში არ უნდა ჩავარდნილიყუ-
ნენ, ანა მათ ყოველთვის მხსნელად
მოველინებოდა, რაგინდ დიდი უბე-
დურება არ უნდა დასტეხოდათ თავს,
ანა მათი ვარამის შემსუბუქებას შეე-
ცდებოდა.

ამის გამო, თუმცა ყოველმა მსა-
ხურმა იცოდა ანას და ბესიკის მიჯ-
ნურობის ამბავი, მაგრამ ყველანი
შეთქმულებივით სდუმდნენ და თით-
ქოს ვერაფერს ვერ ხედავდნენ. არც
ცდილობდნენ დაენახათ. პირიქით,
იმის შიშში იყვნენ, რომ ქალბატონმა
არ გავეიგოს, ჩვენ რომ რაიმე ვიცი-
თო, და ერთმანეთს შორის მუდამ
ერიდებოდნენ ამის შესახებ ლაპა-
რაკს.

ყოველივე ეს, ცხადია, ბესიკმა არ
იცოდა და ამიტომ მას მუდამ შიშის
ზაფრები უვლიდა, როდესაც ხედავ-
და, თუ როგორ დაურიღებლობით
ეტრფოდა მას ანა, მორბოდა მასთან
სენაკში. საკმაოდ შორმანძილზე ეგე-
ბებოდა ნადირობიდან დაბრუნების
ქამს, სოფლიდან იბარებდა გოგო-ბი-
ჭებს, მოცეკვავეებს, მართავდა ფერ-

ხელს, და ყოველმხრივ ცდილობდა კაბუჯი მგოსნის გართობას. ანამ სრულიად მიიფიცა თავისი უძლური ქმარი, რომელსაც მარტო გულვარდისა და ორი ფარეში უვლიდა. დიმიტრის ახლა სიბერის ძაგძაგიც აუტყდა, მთელი ღლე განუწყვეტლად აკანტურებდა თავს და ლანძღვა-გინების მეტს არაფერს აკეთებდა. ბავშვივით კირვეულობდა.

გულვარდისას ისე მოაბეზრა თავი მისმა მოვლამ, რომ რამდენჯერმე კიდეც შეევედრა ღმერთს, ბარემ მიიბარე მაგისი სული, ან მაგას რად სტანჯავ, ან ჩვენო. ერთხელ საყვედურიც კი წამოსცდა ღმერთის მიმართ, ქალაქს რომ დაერიე და ხალხს განუწყვეტლივ ჟღერ, ვინც სასიკვდილოა იმას კი ცოცხალად სტანჯავ, ნეტავ შენი სამართალი სადააო. წამოსცდა და შემდეგ სულ მკერდზე იბაგუნებდა მუშტებს, ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ, შენი განრისხება არ მსურდაო.

კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა მოურავი ეახლა ანას და მოახსენა, ავად გავხდი, ფერღებში მქვლები გამიღვა და ამის გამო თქვენთან მოსვლა დამიგვიანდაო. ანამ დაამშვიდა. მართალია, სასაყვედურო ბევრი რამ ჰქონდა, მაგრამ არაფერი უთქვამს და შეეცადა დროზე მოეშორებინა თავიდან. ზერელედ გამოჰკითხა საქმეთა შესახებ, ზოგი რამ დაავალა და გაისტუმრა. წასვლის წინ მოურავმა მოახსენა, ტანძიას ბატონის შიკრიკი მოვიდა და ბრძანება მოიტანა, თუ სადმე ბატონის სამსახურში მყოფი მოხელენი იყვნენ, ყველანი მასთან უნდა წაბრძანდნენ დაუყოვნებლივო.

— უჰ! ის სხვა ამბებსაც იტყოდა— შეაჩერა ანამ მოურავი — ბატონი სადა ბრძანდებო?

— რა მოგახსენოთ, — უბასუხა მოურავმა, — კახეთს კი წაბრძანებულა და მეტი არა ვიცი რა.

— ქალაქში რა ამბებია?

— არც მაგის ვიცი რა. რა ამბები უნდა იყოს, ეამი რომ დავწვდეთ ხალხსა, უბედურების მეტი...

მოურავი წაიდა, ხოლო საღამოს, როდესაც ბესიკი სანადიროდ დაბრუნდა, ანამ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ უთხრა, ბატონს თავის მოხელენი დაუბარებია თავისთანო.

ამ ცნობამ ბესიკი საოცრად გაახარა. ბოლოხანებში ანას თავაშველებლმა ყოფაქცევამ და გამუდმებულმა სამიჯნურო ალერსმა ბესიკს თითქმის სრულიად გაუნელა ის სიყვარულის გრძნობა, რომელსაც განიცდიდა ამ ქალის მიმართ. მართალია, მისთვის საამაყო იყო ასეთ მშვენიერ არსებასთან — თვით მეფე ერეკლეს დასთან — გამოიჯნურება, მაგრამ თუ პირველ ხანებში გრძნობა ბატონობდა გონებაზე, შემდეგში თანდათანობით გონებამ გადასძლია და ბესიკმა უფრო ნათლად შეხედა თავის მღვდმარეობას. მან აშკარად დაინახა, თუ როგორი უფსკრულის პირად მიაბიჯებდა და ამიტომ ყოველთვის საბაბს ეძებდა, რაც შეიძლება ნაკლებად შეხედროდა ანას და ხშირად რამდენიმე დღით სანადიროდ მიდიოდა. ახლა კი, როგორც გაიგო ბატონს ასეთი ბრძანება გაუციაო, მაშინვე შეუღლა გასამჯავრებლად სამზადისს. ანა არ წმუნებდა, ბატონს იმდენი მოხელე ჰყავს, რომ შენ იქ არავის სჭირდები, უშენოდაც გაუძლებიან საქმეს და არც შენი არ ყოფნა მოაგონდება ვინმესო, მაგრამ ბესიკი მაინც თავისაზე იღვა, უნდა წავიდე, ჩემი დარჩენა შეუძლებელიაო.

მაშინ ანამ ვედრება დაუწყო, კიდევ ერთი თვე მაინც დარჩი, რომ ოდნავ მაინც დაეტკბე შენი ცქერით და შემდეგ როგორც გენებოს ისე მოიქეც, სრულ ნებას გაძლევი. ბესიკმა ამაზედაც უარი მოახსენა. ანა თავისას არ იშლიდა და ხუმრობით ეუ-

ჭრებოდა, შეციხოვნეებს ვებრძანებ შეგპყრონ და ციხის სენაკში კედელზე ჯაჭვით მიგაბანო. მაშინ ბესიკმა ნაღვლიანად უთხრა ანას:

— განა შე არა მსურს შენთან ყოფნა, დედოფალო, მაგრამ არ ძალმის. ყველანი შეფეს ეახლებიან, მარტო შე არ ვიქნები მასთან. კარგი, თუნდაც არ გაეახსენდი, შემდეგში, როდესაც ბატონი დამინახავს, მკითხავს სად იყავიო, — ვერ ვიცრუებ, უნდა მოვახსენო, რომ თქვენთან ვიყავი.

— შერე რა?

— შერე არაფერი, მაგრამ... თუ ოდნავ მტერთა ჩვენთა, ექვით რაიმე აგრძნობინეს ბატონს, შეფე მაშინვე მიხედება ყოველივეს და ბესიკს მართლაც მიაბამენ ჯაჭვით დილეგის ბნელ საკანში, თუ კი ეს მაკმარეს და უარესი სასჯელი არ მომეყენეს. ბატონი მაშინვე იფიქრებს, აჰა, ჩემს ბრძანებას ყური არ უგდო, ცხადია, მართალი ყოფილა, რასაც ამბობენო და... — თავი დახარა ბესიკმა და ყრულ, თითქო ვერიდებოდა ანასთან შეფეზე ცუდი რამ არ წამომცდესო, წაიდუღუნა, — თქვენც ხომ იცით ბატონის მრისხანება და უღმობელოება.

— მაშ ორი კვირა მაინც იყავ კიდევ, ორი კვირა, — არ ეშვებოდა ანა, — ორი კვირა განა ისეთი დიდი დროა, რომ ძეხნა დაგიწყონ და სათვალავში გიანგარიშონ.

— არა.

— როგორ, არც ორი კვირა? — გაიბუტა ანა.

— არც ორი დღე. ხვალვე მივემგზავრები.— გადაჭრით მოახსენა ბესიკმა.

ანა უბმოდ გატრიალდა და მთელი საღამო არ მიჰკარებია ბესიკს. ათასი ფიქრები უტრიალებდა თავში და განუწყვეტლად არ ასვენებდა ექვის გრძნობა. მას ვერ წარმოედგინა, რის-

თვის უნდა აჩქარებულყო ბესიკი და გულში ნანობდა, რისთვის ეტყობოდა მეფის ბრძანებაო.

„აღარ ვუყვარვარ, — ფიქრობდა ანა, — აღარ ვუყვარვარ. მაგის კაბუცი გული აღმათ სხვისკენ ისწრაფის. მე ვინა ვარ მაგისთვის. ხანში შესული ქმრიანი ქალი, რომელსაც სიბერე აჩრდილივით დასდგომია თავზე. ეგ კი... ეგ ჯერ კიდევ რამდენ ტურჟა ქალიშვილს აუტყერებს გულს. არა, ეს არ იქნება. მე მას ვერავის დავეუთმობ, სანამ ცოცხალი ვარ. მეც მასთან ერთად წავალ. ძმას მოვიინახულებ. შეილიშვილს ვნახავ, ეს რა კარგად მოვიფიქრე.“

ანა ისე გაახარა ამ მოულოდნელმა აზრმა, რომ სულ დაევიწყდა ყველა ის დაბრკოლება, რაც წინ უნდა გადალობებოდა. მას არც ის გახსენებია, რომ უხერხული იყო მისთვის ქმრი. მარტო დატოვება, არც ის, რომ დიდი და მძიმე მგზავრობა მოუხდებოდა, მას მხოლოდ ერთი აზრი ასულდგმულვდა, — ახლოს იქნებოდა ბესიკთან.

ამ აზრით გამსჭვალული ანა ადვილად შეურიგდა ბესიკის გამგზავრებას. მეორე დღეს მშვიდად გამოეთხოვა და არც კი გაუცილებია. გაისტუმრა თუ არა თავისი მიჯნური, მაშინვე შეუდგა თითონაც გამგზავრების თადარიგს. ანა აპირებდა მეორე ან მესამე დღეს გასდგომოდა გზას, როგორც კი ციხისთავი ამაღისათვის სამას კაცს მოაგროვებდა. ეს ამაღა ანასათვის აუცილებელი იყო, რადგან დიდებულთათვის იმ ხანებში მარტო ან კიდევ მცირე ამალით გზას გადგომა ძალზე სახიფათო იყო. მგზავრები ადვილად შეიძლება წატეხოდნენ სამეკობროდ მუდამ მოთარეშე ლეკებს.

ბესიკისათვისაც საჭირო იყო ამაღა, მაგრამ მან სრულიად მარტო მგზავრობა არჩია. ანა ევედრებოდა, რამდენიმე კაცი მაინც იახლე, აგრე მარ-

ტო როგორ იქნება წასვლაო. ბესიკმა უარი მოახსენა. მისი აზრით სულ მარტო წასვლა ნაკლებ სახიფათო იყო, ვიდრე რამდენიმე კაცის თანხლება. ერთი კაცის შემჩნევა ძნელი იყო, და კიდევაც რომ დაენახათ ჩასადრებულ ლეკებს, მაინც ხელს არ ახლებდნენ. მეკობრეთა მოსატყუებლად ერეკლემ ბევრჯერ დაუგო მახე მოთარეშე ლეკებს. გაუშვებდა წინ ერთ მხედარს, გამოეკიდებოდნენ მას ლეკები და ვერც კი მოასწრებდნენ მხედრის ტყვედ ხელში ჩაგდებას, რომ ერეკლე ქორივით დააცხრებოდა მათ თავზე და ერთის დაკვრით ანადგურებდა. ამ მწარე გამოცდილების შემდეგ ლეკები იშვიათად დაედევნებოდნენ მარტო მიმავალ მგზავრებს, სანამ მართლა არ დარწმუნდებოდნენ, რომ მათ მახე არ ჰქონდათ დაგებული.

ამ იმედით ბესიკი თამამად გაუდგა გზას დილაადრიანად და გასცილდა თუ არა ციხე-დარბაზს, შეებით ამოისუნთქა. ისე გამართა მხრები, თითქოს შიშვე ტვირთი მოეშორებინოს და მხიარულად გადახედა მაშავერას ხეობას. მზის ცხუნვარე სხივები ჯერ კიდევ ვერ მორეოდა დილის სიგრილეს. ნამი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და მინდვრის ყვავილებზე აღმასებზეთ ბზინავდნენ ცრემლის მაგვარი წვეთები. აქა-იქ მიმოფანტული ყ-

ყაჩოები თვალისმომკრელი სიწითლით ლეიოდნენ. ხშირად კისმოდეს ბალახებში წერილი ჩეტებდა კიბრულა და მწყერის შორეული „ქვითკირი, ქვითკირი“. ბესიკს ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი, რადგანაც უნაგირზე საკმაოდ დიდი ხურჯინი ჰქონდა აკიდებული, და თავიდანვე ჩქარი სიარული ხელსაყრელი არ იყო, ცხენს მალე დალიდა და გზა კი მას ძალზე შორს ჰქონდა. უკვე აღარც იყო საჭირო აჩქარება, რადგან ერთი ან ორი დღით დაგვიანებით მისვლას ერეკლესთან არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბესიკისათვის მთავარი იყო ანასაგან დაეღწია თავი და სანამ რაიმე სახიფათო შემთხვევას მათი მიჯნურობა არ გაემტლავებინა, დროზე გასცლოდა ამ მომაჯადოებელს ციხე-დარბაზს. შიშნარევემა სიყვარულმა დალალა ბესიკი და ახლა თავდალწეულმა ისეთი ნეტარება იგრძნო, რომ ავთანდილივით სიმღერაც კი შემოსძახა. თვალწინ წარმოუდგა მეფის სასახლე თელავში, საქმით გართული დიდებულები, შეხვედრები ლეონთან და დავითთან, საღამოობით სააპექროთ ან სალზინოდ თავის მოყრა და ასეთი ოცნებებით გართულს სრულიად დააფიწყდა ანაც და მისი ციხე-დარბაზიც. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ანა კვალდაკვალ დაედევნებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სალამი შენდა!

მალვა აუხანიძე

★

სალამი, სალამი, სალამი შენდა
 შენ სანეტარო, თბილისო ჩემო!
 დიდო მთაწმინდაე, დამშვენებულო,
 და მოშრიალე ზედ ცის ფარჩებო.
 შენზე რომ გული არ შემსტკიოდეს,
 მე არ მჭონია ისეთი წუთი,
 არ მასვენებდა, მეფინებოდა.
 შენი ცის თალი, ყველგან სათუთი.
 მომაჯადოვე, ზეალმიტაცე
 შენი ბალებით, სიცოცხლით, მზითა;
 იყავ ნათელი, როგორც ნათლდება
 ჩემი ოცნება შენი ხილვითა.
 მიყვარს მინანქრის შენი დღეები.
 აშენებული ძველი უბნები,
 დავდივარ მათთან და მზიარულად
 აღმდგარ დიდებას ვესაუბრები.
 მიყვარს ისანი. მთა ნარიყალა,
 აღტაცებული შენი მდინარე,
 მისთა ნაპირთა მაისის ღზენა,
 ღამის ზეირთებში მცურავი მთვარე.
 შენი ბალების დაყვავილება,
 მოშუშებული ძველი ქრილობა,
 მოჩუქურთმება შენს სასახლეთა
 და ცის გუმბათის მოჭედებლობა.
 რა მიხარია, რომ მტკვარი კვლავაც,
 ფესვებს უგრილებს ჩრდილსასვე ჩინარს!
 იყოს დღეგრძელი, თბილისო ჩემო,
 ვინაც ცეცხლის ზეავს გადაგარჩინა.



არ მიძებნია მე შენს გარეშე
სხვა სასოება, სხვა სილამაზე —
ვხედავ, რომ ჩემი ბედის ვარსკვლავი
ბრწყინავს ბრწყინვალე მხოლოდ შენს ცაზე.
სალამი, შენდა, სალამი შენდა,
შენ განუყრელო და სანეტარო!
ოლონდ შენი მზის სხივმა დამცხრილოს,
ოლონდ ეგ მიწა გადამეყაროს!

ჩემს სოფალში

დიდი ხანია, დიდი ხანია,
ალარ მინახავს შენი ცის უბე,
არ დაუცხრილავს მაისის წვიმით
მკერდი შენს ღრუბლებს.
ალარ მსმენია შენს წაბლის ტყეში
მარადიული ქშენა ქარების;
ალარ ვყოფილვარ, მოწმე შენ ცრემლთა —
არც ნეტარების.
ალარ მსმენია ძველ ქარიშხალთა,
არც წყალწითელას ხმაური ღამის,
შენი მინდვრების დილის ყვავილთა
არ მიაგამს ნამი.
დიდი ხანია, არ დამცემია
ბებერ ცაცხეების ჩრდილი საამო,
ალარ მსმენია წყაროს ჩუხჩუხი
დაუსაბამო...

მოვიჩქაროდი, რომ აღმედგინა
შენი სერების სურათი შორი,
წინ შემეფეთა ატანაურის
სიო ამბორით.
ეს იყო სიო არა ისლების,
არცა გვიმრის და ღარიბ თხმელნარის,
ეს იყო სიო ჩაის ბუჩქების,
ცხოველი, წყნარი.
მოვედ და ფართო, სურნელოვანი
თავს გადმომადგნენ კამკამა ცანი.
სადა ვარ! ვერცერთ მეზობლის ეზო
ვეღარ ვიცანი.



აქ ქოხი იდგა—ახლა კი ოდა
 მელამაზება აივნიანი.
 ამოვსებულა უცხო ფერებით
 ეზო მზიანი.
 ყოველ ოდის წინ და ოდებს შორის
 დიდი ბაღია გაშენებული.
 რამდენი ზვარი... ზვარებში ბრწყინავს
 ციცქა ქებული.
 აღარ მასვენებს შენი ლურჯი ცა,
 არც ძლიერება ახალ მშვენების.
 სწვავენ ერთმანეთს გზებში ბროწეულთ
 ცეცხლის ენები.
 ისევ შენთან ვარ... ეხედავ შენ სერებს —
 მათზე მოხატულ ბედნიერებას.
 და გახვეულსა შენს სიხარულში
 მეც სიხარულის ცრემლი მერევა.

ახალგაზრდა გვერდი

რომანი *

ალექსანდრა ვალაჟი

★

თავი მეთვრამეტი

ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ისინი ჩქარა შეთანხმდნენ.

— ქალო, ასეთ დროს წიგნს რა ვაკითხვს? გერმანელები კრასნოდონში შემოდინან არ გესმის, ვერხნედუვან-ნაიაში როგორ ღრიალებენ მანქანები?—ამბობდა მის ფერხით მდგომი სერიოჟკა და თან მოხშირებულ სუნთქვას ძლივს იკავებდა.

ვალია ისევ გაოცებით, ისევ მშვიდად და ასე გასინჯვით, ხალისიანი გამომეტყველებით შესცქეროდა ყმაწვილს.

— კი მაგრამ შენ სადღა გარბობდი?—შეეკითხა ვალია.

ყმაწვილი წუთით დაიბნა, მაგრამ არა, მისი აზრით, შეუძლებელია, რომ იგი ცუდი ქალიშვილი ყოფილიყო.

— თქვენი სკოლის სახურავზე მინდა ავიდე, მინდა ვნახო რა მოხდება.

— როგორ ახვალ? განა ყოფილხარ ჩვენს სკოლაში?

სერიოჟკამ უთხრა, როგორ არა, ამ ორიოდ წლის წინათ ლიტერატურულ საღამოზე ვიყავი, და სიცილით განაგრძო:

— როგორმე მოვახერხებ...

— კი მაგრამ გერმანელებმა პირველად სკოლა რომ დაიკავეს?

— თუ შევნიშნე, რომ აქეთ მოდიან,

ბაღში გადავხტები.

— იცი რა, ისევ სხვენზე ასვლა სჯობს, იქიდან ყველაფერი მოსჩანს, ჩვენ კი ვერაფერს დაგვინახავს,—სთქვა ვალიამ და ქვეშ გაფენილ შალზე წამოჯდა, თმა და ხალათი ხელდახელ გაისწორა.—იქ ასასვლელი გზა კარგად ვიცი, მე გასწავლი.

სერიოჟკას გაუბედობა დაეტყო.

— იცი რა,—სთქვა სერიოჟკამ,—თუ გერმანელებმა თავი მართლაც სკოლაში შემოპყვეს, ხომ იცი მეორე სართულიდან უნდა გადავხტეთ?

— რა გაეწყობა!—სთქვა ვალიამ.

— შესძლებ?

— რატომაც არა.

სერიოჟკამ მის ოქროსფერ ბუსუსებით შეფიფქულ მზედაკრულ ფეხებს დახედა, თბილმა ტალღამ გულზე გადაუარა. რა თქმა უნდა, მეორე სართულიდან გადახტომას ის ადვილად შესძლებდა.

და აი, ორივე ერთად ქალაქის ბაღით სკოლისაკენ გარბოდნენ.

ქალაქის ბაღის მთავარ ჭისკართან ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ შენობის პირდაპირ აგურის ორსართულიანი ნათელითახებიანი, საეარჯიშო ვრცელდარბაზიანი სკოლა ამართულიყო. ახლა შიგ არავინ იყო. კარგამო-

*) ვაგრაჟი, იბ. „მნათობი“ № 5—6, 7, 8, 9—10.

კეტილი იდგა. მაგრამ იმ კეთილშობილურ განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, რომელიც მათ დაესახათ, სერიოეკამ ბაღში ხეს რამდენიმე ტოტი დაურიდებლად ჩამოსტეხა, ერთად მოკეუმდა და სკოლის მიწას ბაღის მხრიდან იმით მიაწეა, და შეამტვრია.

ფიანდაზმოდენილ იატაკზე ფეხაკრფით რომ გაიბრძინეს და ერთ-ერთ კლასზე გავლით ქვემო დერეფანში ჩავიდნენ, გულისცემა მოწიწების გრძობით შეუჩერდათ. მთელ ამ ვრცელ შენობაში ისეთი სიჩუმე იყო, რომ სულ უბრალო ჩამიჩუმე, ოდნავი ხმაურიც ირგვლივ ყრუ გამოძახილად გაისმოდა. ამ რამდენიმე დღეში ბევრი რამ შეიცვალა ამ ქვეყანაზე. სახლებმა ისევე, როგორც ადამიანებმა, დაკარგეს ის წინანდელი სახელწოდება და დანიშნულება და ახლის მოპოვება ჯერ ვერ მოესწროთ. ეს შენობაც ჯერჯერობით ისევე სკოლა იყო, სკოლა, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ და სადაც ვალიას თავისი ცხოვრების ბრწყინვალე დღეები გაეტარებინა.

ვალიამ და სერიოეკამ ფირფიტამიკრული კარი დაინახეს ზედწარწერით: „სამასწავლებლო“. ისევე კარი, ისევე წარწერა: „დირექტორი“, კიდევ კარი, კიდევ წარწერა: „ექიმის კაბინეტი“, „ფიზიკის კაბინეტი“, „ქიმიური კაბინეტი“, „ბიბლიოთეკა“. დიახ, ეს სკოლა იყო. აქ მოწიფული ადამიანები, მასწავლებლები ბავშვებს წერთიოდნენ, ცოდნით ამდიდრებდნენ, ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ ქვეყანაზე.

ამ დაცარიელებულ კლასებიდან ცარიელივე მერხებით, შენობიდან, რომელიც ჯერ ისევე გამოსცემდა სკოლის თავისებურ სურნელს, სერიოეკასა და ვალიას უცებ მოჰბერა იმ ქვეყნის ნიჟამა, სადაც ისინი აღიზარდნენ, რომელიც მათი იყო და რომელიც მათ ახლა სამუდამოდ განშორებოდა. ეს ქვეყანა მათ ოდესღაც ჩვეულებრივი,

უბრალო, ასე გასინჯეთ, მოსიწყენიცი ეჩვენებოდათ. და ახლა ეს ქვეყანა უცებ აღიმართა მათ წინაშე! აღიმართა წარმატად, ლაღად, განუმეორებლად. ეს ქვეყანა ზღსავსე იყო იმ ადამიანთა უშუალო და სათუთი ურთიერთობით, რომელნიც ასწავლიდნენ და რომელნიც სწავლობდნენ. სად არიან ახლა ისინი, — ერთნიცა და მეორენიც? საით მიმოფანტა ისინი ბედმა? და სერიოეკასა და ვალიას გულნი წამისყოფაში განიხუნენ, გულნი აღსავსენი ეგეთის სიყვარულით ამ დანთქმული ქვეყნისადმი, აღსავსენი ყრუ მოწიწებით იმ სიწრფელის წინაშე, რომლის ფასიც თავის ღრობზე მათ არ იცოდნენ.

ორივენი ერთსადიამავე გრძნობას განიცდიდნენ, ორთავეს უსიტყვოდ ესმოდათ ერთურობის ეს გრძნობა, და ამ რამდენიმე წუთმა როგორღაც უჩვეულოდ დააახლოვა ისინი.

შიდა ვიწრო კიბით ვალიამ ყმაწვილი მეორე სართულზე აიყვანა. იქიდან კიდევ უფრო მაღლა ავიდნენ და სხვენის კარს ზედ მიადგნენ, კარი დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ამას დიდად როდი დაუბრკოლებია სერიოეკა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და მრავალ სასარგებლო ნაწილიანი და მათ შორის სახრახნისანი ჯაყვა ხელდახელ ამოიღო, კარს სახელური მოაძრო და მით კლიტის ღრუ გააშიშვლა.

— სუფთად მუშაობ, ერთის შეხედვითვე გეტყობა, რომ სახლების გამოცდილი მტეხელი ხარ! — სთქვა სიცილით ვალიამ.

— კარისმტეხელთა გარდა, ზეინკლებიც არიან ქვეყანაზე, — მოუჭრა სიტყვა სერიოეკამ და მისკენ ღიმილით შემობრუნდა.

მერე ღრუ სატეხით გამოჩნრიცა. კარი გაიღო თუ არა, სახეში მზისაგან გახურებული თუნუქის სახურავის სითბო, სხვენზე დაყრილი მიწის ალხი და

მტვერისა და აბლაბუდის სუნი ერთად შემოფერქვიათ.

სახურავის კოკებისათვის თავი უცაბედად რომ არ აერთყათ, წელში მოხრილნი ერთმანეთს ფრთხილად მიჰყვნიან და სხვენის ერთ დამტვერილ სარკმელისაკენ გაემართნენ. მათი აქ ყოფნა ქუჩიდან ვინმეს რომ არ შეემჩნია, მინა არ გაუწმენდიათ, სახით ზედ იმნაირად მიაცივდნენ, რომ ერთმანეთს ლოყით კინალამ შეეხნენ.

ხელის გულივით მოსჩანდა აქედან მთელი ბაღის ქუჩა, ჭისკარს ზედ რომ ებჯინებოდა. ყველაზე კარგად მაინც ის მხარე სჩანდა, სადაც საოლქო კომიტეტის სტანდარტული სახლი იდგა. ქუჩის კუთხეში პირდაპირ ტრესტი „კრასნოდონუგოლის“ ორსართულიანი შენობა ამართულიყო.

იმ წუთიდან, როცა სერიოჟკამ ვერხნედუენაიას ჭალა დასტოვა, იმ წუთამდე, როცა ის ვალიასთან ერთად სახით სარკმლის ამ მტვერიან მინას მიეყრდნო, კარგა ხანი გავიდა. გერმანელთა სამხედრო ნაწილებმა მოასწრეს ჭალაქში შემოსვლა და ბაღის ქუჩაზე ტევა აღარ იყო. აქა-იქ გერმანელი ჯარისკაცებიც მოსჩანდნენ.

„გერმანელები... ხედავ, როგორი ყოფილან გერმანელები! გერმანელები ჩვენთან, კრასნოდონში!“ — ფიქრობდა ვალია და თან მღელვარებისაგან გული ძალუმად უძგერდა.

სერიოჟკას უფრო გარეგანი, საქმიანი მხარე იზიდავდა. მის თვალთახედვას არაფერი არ ეპარებოდა. ყოველ წვრილმანს, რასაც თვალს შიატანდა, მისდა შეუძმწველად იმახსოვრებდა.

ათი მეტრითაც არ იყო დაშორებული ეს სკოლა ტრესტის შენობისაგან, რომელიც დაბლა თავქვე იდგა. სერიოჟკა კარგად ხედავდა თუნუქის სახურავს, ზედა სართულის შიდა მორთულობას და მის ქვემოლ პირველი სართულის ოთახთა ფანჯრების მამ-

ლობელ ნაწილს იატაკისას. ბაღის ქუჩის გარდა, სერიოჟკა ხედავდა აქა-იქ სახლებით დაფარულ სხვა ქუჩებსაც, ხედავდა ეზოებსა და შენობათა უკანა მხარეს, სადაც გერმანელები პარკაშებდნენ. თავისი დაკვირვებით მან ვალიას ყურადღებაც თანდათან გაამახვილა.

— ბუჩქნარს... ბუჩქნარსაც კაფავენ... ხედავ, მზესუმზირებსაც აღარ ზოგავენ,—ამბობდა ვალია.—აქ კი, ტრესტში, სჩანს შტაბი ექნებათ. ხედავ, როგორ ეპატრონებიან ყველფერს...

გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები — საქმეთამმართველები და გადამწერლები — შინაურულად ეწყობოდნენ ტრესტის ორთავ სართულში. ისინი ერთობ მხიარულად იყვნიან. ტრესტის ყველა ფანჯრები ერთბაშად გააღეს, სადგომებს, რომელიც მათ წილად ხელათ ყურადღებით ათვალიერებდნენ, მაგიდის უჯრებს ძირბუდიანად აბრუნებდნენ, თუთუნს წვედნენ და ნამწვებს ქუჩაში ისროდნენ. ცოტაც და ოთახებში კასრიან-ჩერაიანი, ხანშესული და ახალგაზრდა რუსი ქალებიც გამოჩნდნენ. კაბის კალთები აიკარწახეს და იატაკის რეცხვას შეუდგნენ. სუფთად და წესიერად ჩაცმული გერმანელები, ეტყობოდათ, მათ გამო უტიფრად ლაზღანდარობდნენ.

ყოველივე ეს ისე ახლოს იყო ვალიასა და სერიოჟკასთან, რომ ყმაწვილს თავში ჯერ კიდევ ბოლომდე შეუჯნებელმა, სასტიკმა, მღრღნელმა, და ამავე დროს რაღაც სიამოვნების მომგვრელმა აზრმა გაუელვა. ყურადღება იმასაც მიაქცია, რომ ჩარჩოდან სხვენის ამ პატარა სარკმლის ამოღება ადვილი იყო.

სერიოჟკა და ვალია იმდენხანს ისხდნენ აქ, რომ სიტყვა გარეშე საგანზედაც ჩამოუვარდათ.

— სტიოპა საფონოვი თუ ნახე მას აქეთ?—იკითხა სერიოჟკამ.

— არა, არ მინახავს.

„მაშ გავიხსენებ, რომ ვერაფერის თქმა ვერ მოუხწრია.“—გაიფიქრა სეროიქვამ კმაყოფილებით.

— მოვა, ჩვენი ბიჭია!—სთქვა სეროიქვამ.

ვალთა მხარი ჯიუტად აუქნია.

— არაფის არაფრის თქმა არ შეუძლია. ვინ იცის რა მოხდება.

— მართალია.—სთქვა სეროიქვამ.— შეიძლება შენთან შემოვიარო? დედმა მა ზომ არ გაჯავრდება?

— დედმამა!... თუ გინდა, ზვალვე შემოიარე. გინდა სტიოპასაც დაეუძახებ.

— შენი სახელი რომ არ ვიცი.

— ვალია ბორცი.

ყურთასმენამდე ავტომატების რამდენიმე ჯერის ხმამ გაბმულად მოაღწია. წუთიც და რამდენიმე ჯერის ხმა კიდევ მოკლედ მოისმა. ეს ხმა საიდანღაც, ვერხნელუქანაიას ქალიდან მოისმოდა.

— გესმის? — იკითხა ვალიამ.

— ჩვენ აქ ვსხედვართ და ვინ იცის ამ დროს იქ ქალაქში რა ხდება. — დინჯად სთქვა სეროიქვამ.— ვინ იცის, იქნებ გერმანელები ისე მოეწყვენ ჩვენსას ან თქვენსას, როგორც საკუთარ ოჯახში?

ვალის მხოლოდ ახლა მოაგონდა, თუ რა მდგომარეობა იყო ნაშინ, როცა ის შინიდან წამოვიდა. იმ გარემოებამ, რომ სეროიქვა იქნებ მართალიც იყო და ახლა მისი მშობლები ალბათ მისივე ჯავრით აღარ იყვნენ, უნებლიედ დააფიქრა. თავმოყვარეობაც ნებას არ აძლევდა, რომ შინ წასვლის სურვილი პირველად მას გამოეთქვა, არა და როდის იყო, რომ სეროიქვა ზრუნავდა იმის გამო, თუ რას ფიქრობდნენ მის შესახებ მისივე მშობლები?

— წასვლის დროა, — სთქვა სეროიქვამ.

სკოლოდან იმავე გზით გამოვიდნენ. ერთხანს ბაღის ყორესთან იდგნენ,

სხვენში ერთად ჯდომის შემდეგ ისინი, ცოტა არ იყოს, თავს გაბრუნებულად გრძნობდნენ.

— ზვალ შემოგივლი, — სთქვა სეროიქვამ.

შინ სეროიქვამ ის ამბავი გაიგო, იმავე დამეს ვალოდია ოსმუხინს რომ უამბო: ამბავი გერმანელთაგან დაჭრილთა წაყვანისა და ექიმ ფედორ ფედოროვიჩის დაღუბვისა, ეს ამბავი მისი დის, ნადიას თვალწინ მომხდარიყო.

საავადმყოფოს კარებს ესესელებით საესე თარი მსუბუქი და რამდენიმე საბარგო მანქანა ერთად მიადგა. ქუჩაში მათ შესახვედრად გამოსულ ნატალია ალექსეევნას წინადადება მისცეს, რომ შენობა ნახევარ საათში დაეცალნათ. ნატალია ალექსეევნამ მაშინვე ვასცა განკარგულება, რომ ვისაც სიარული შეეძლო, ბავშვთა საავადმყოფოში თავისი ფეხით გადასულიყო, მაგრამ გერმანელებს მაინც სთხოვა, რომ ავადმყოფთა გადაყვანის ვადა ცოტათი გაეგრძელებინათ, რადგან მწოლიარენი ბლომად იყვნენ და მათ კი არავეთარი ტრანსპორტი არ გააჩნდათ.

ოფიცრები მანქანებში სხდებოდნენ.

— ფენმონგა რა უნდა მაგ ქალს? — შეეკითხა ერთი უფროსი ოფიცერთაგანი ოქროს კბილიან და ბაცი რქის სათვალეებიან ახმასს და ბენძლ უნტერს. პასუხისათვის არ მოუცდია, მსუბუქი მანქანები ადგილიდან დაიძრნენ.

ბაცი ფერის რქის სათვალე ესესელ უნტერს, თუ სწავლულის არა, ყოველ შემთხვევაში ინტელიგენტი კაცის გამომეტყველებას მაინც აძლევდა, მაგრამ, როცა ნატალია ალექსეევნამ ახლა მას მიმართა იმავე თხოვნით და გერმანულად გამოსაუბრებაც სცადა, უნტერმა ის თითქოს ვერ დაინახა. სათვალის რქის სალტეთაგან მისი თვლები სადღაც მის მიღმა იცქირებოდნენ. მერმე დიაცური ხმით ჯარისკაცებს დაუძახა და იმათაც ავადმყოფების გარეთ გამოყრა იწყეს, ნატალია

ალექსეევანას ის დაპირებული ნახევარი საათიც არ აღროვეს.

ისინი დოშაკებით მიათრევენ ავადმყოფებს, ზოგი მათგანი ილიაში უდიერად ამოეჩარათ და გარეთ გამოტანილს, გაზონებში დაურიდებლად ყრიდნენ, და აი აქ გამოირკვა, რომ პოსპიტალში თურმე ავადმყოფები კი არა დაქრილები ყოფილან მოთავსებულნი.

ფედორ ფედოროვიჩი, რომელმაც უნტერს თავი ექიმად გააცნო, ცდილობდა როგორმე აეხსნა მათთვის, რომ ესენი მძიმედ დაქრილნი არიან, რომ ისინი ამიერიდან ველარასოდეს ვეღარ იომებენ და ამიტომაც მოქალაქეთა მზრუნველობის ქვეშ არიან აქ დატოვებულნი. მაგრამ უნტერმა განაცხადა, რომ ისინი სამხედრო პირები არიან, ამიტომაც სამხედრო ტყვეებად ითვლებიან და მათ დაუყოვნებლივ გადაგზავნიან იქ, სადაც ჯერ არს. დაქრილები მაშინვე საწოლებს ააგლიჯეს და საცელის ამარებს საბარგო მანქანაში ზედახორად ყრიდნენ, ყრიდნენ ისე, როგორც მოხედებოდათ.

ნატალია ალექსეევანამ კარგად იცოდა, თუ რა ფიცხი ხასიათის კაცი იყო ფედორ ფედოროვიჩი და სთხოვა, რომ იქაურობას გასელოდა, მაგრამ ის ადგილიდან მაინც არ იძროდა, დერეფანში ფანჯრებს შორის იაქთალთან იდგა და მუქფერად მოელვარე მზედაკრულ სახეზე ლეგა ფერი გადაკვეროდა, წეკოს თბიფეხურად დახვეულ ნამწეს პირში წამდაუწუმ ატრიალებდა და თან მუხლები ისე უკანკალებდა, რომ ხანდახან წელში იხრებოდა, ხელით ისრესდა. ნატალია ალექსეევანას ეშინოდა მარტო დაეტოვებინა იგი, ამიტომ ვერ შორდებოდა და თან ნადიასაც სთხოვა, რომ ისიც მასთან ყოფილიყო, არსად არ წასულყო, სანამ ეს ამბავი არ დასრულდებოდა. ნადიას შიშისა და სიბრაღის გრძობა იტან-

და, როცა ხედავდა, როგორ მილასლასებდნენ, როგორ მიათრევენ იატაკზე ნახევრად ტიტველ სხსლთან ხილბანდით შეხვეულ დაქრილებს, მაგრამ ტირილის ეშინოდა და ცრემლი მაინც თავის-თავად მოგორავდა მის ლოყებზე. იქაურობას მაინც ვერ შორდებოდა, რადგან მას ფედორ ფედოროვიჩის კიდევ უფრო ეშინოდა.

ორი გერმანელი დაქრილს მიათრევდა. იმ დაქრილს, რომელსაც ამ ორიოდ კვირის წინ ფედორ ფედოროვიჩმა ნაღმის ნამსხვრევით დაფლეთილი თირკმელი ამოუღო. ამ ბოლო ხანს დაქრილი თავს უკეთ გრძობდა და ფედორ ფედოროვიჩს ამ ოპერაციით თავი დიდად მოჰქონდა. ახლა გერმანელი ჯარისკაცები უდიერად მიათრევენ მას და სწორედ ამ დროს დაუძახა ერთ მათგანს უნტერ ფენბონგმა. ფეხებში ჩაფრენილმა ჯარისკაცმა დაქრილს ხელი უშვა და გაიქცა იმ პალატისაკენ, სადაც უნტერი იმყოფებოდა. მეორე ჯარისკაცმა დაქრილი იატაკზე წაათრია.

ფედორ ფედოროვიჩი უკებ მოშორდა კედელს. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ ის იმ თავხედ ჯარისკაცთან განძა. მიუხედავად დიდი ტანჯვისა, რომელსაც დაქრილი განიცდიდა, როდი კენესოდა, მაგრამ, როცა ფედორ ფედოროვიჩი დაინახა, სთქვა:

— ხედავთ, ფედორ ფედოროვიჩ, რას სჩადიან განა ეს ხალხია?

და ატირდა.

ფედორ ფედოროვიჩმა რაღაც უთხრა ჯარისკაცებს გერმანულად. ალბათ უთხრა, რომ ასე არ შეიძლებაო. უთხრა, რომ მოდი, მე მოგეხმარებო. მაგრამ ჯარისკაცს გაეცინა და დაქრილი ისევ უდიერად წაათრია. ამ დროს პალატიდან ფენბონგიც გამოვიდა და ფედორ ფედოროვიჩმაც მას მიაშურა. ფედორ ფედოროვიჩს სახეზე კაცის ფერი არ ედო, კანკალებდა. თითქმის



„ვიწოი კიდეც იგი უნტერისაკენ და რალაცა მკვახედ უთხრა. ვეება ტანის ბენძლ უნტერს ტანზე შავი მუნღირი ნოჰქებად აღგა, მკერდზე დაკიდებულ ბრქვევილა ნიშანზე კაცის ქალა და ბარძაყის ძვლები ჯვარედინად ჰქონდა ვამოხატული. ფედორ ფედოროვიჩის მან ერთი ხრინწიანი ხმით შეუტია და სახეში რევოლვერის ლულა ატაკა. ფედორ ფედოროვიჩი უკან მიაწყდა და რალაც კიდეც უთხრა, ალბათ ძალზე საწყენი, რადგან უნტერმა სათვალე-ფარებელი თვალეები საზარლად დაჰკაკლა და გონს მოსვლაც ველარ მოასწრო, რომ შუბლის ჯვარში ტყვია დაახალა. ნადიამ დაინახა, როგორ შეინგრა ფედორ ფედოროვიჩის თვალებს შორის შუბლი და სისხლმა აასხა. ნატალია აღუქავევინა და ნადია საავედმყოფოდან გარეთ გამოვარდნენ. ნადიამ თვითონაც არ იცოდა, შინ როგორ გაჩნდა.

ისე, როგორც საავედმყოფოში, ნადია ხალათიაცმული და ხილბანდით თავწყარული შინ იჯდა ახლა და ვინ მოსთელის მერამდენედ ყვებოდა ამ ამბავს. ის არ ტიროდა. სახეგაფითრებულს ოდნავ მაღალი ყვრიშალი აღისფრად ანთებოდა და მისი მოუსვენრად მოციმციმე თვალეები როდი ხედავდნენ იმას, ვისაც იგი ამ ამბავს უყვებოდა.

— მობრძანდა მაწანწალა!—მიახალა მამამ გაგულისებით სეროიკას. —ღმერთმანი, გაგამათრახებ! ქალაქში ვერმანელები შემოვიდნენ და ეს კი... კაცმა არ იცის, სად დაწანწალეებს. ცოტა და დედა კინალამ გადაიყოლა.

დედას ტირილი აუტყდა.

— შენს მოლოდინში გული გადამელია. რა არ ვიფიქრე, იქნებ მოჰკლეს-შეთქი.

— მომკლეს კი არა!—სთქვა ბრაზით სეროიკამ.—მე კი არა, დაჰრილეხი ამოხოცეს. ვერხნედუევანაიას ჭილაში დახოცეს. სროლა ჩემი ყურით ვავიგონე...

და ოთახში, სადაც ის იძინებდა, გაგულისებით შევიდა. საწოლზე მოწყვეტით დაეშვა, თავი ბაღრმშენი წინაგო. შურისძიების გრძნობა მთელის არსებით აცახცახებდა. სუნთქეა ბრაზით ეხუთებოდა და ის, რაც მას სკოლის სხვენზე ჰქეჯნიდა და აწამებდა, გამოსავალს თითქოს ახლა ჰპოულობდა. „ღამაცათ, ღამაცათ, დაღამდება და“... ლოგინზე ბრაზით იკრუნჩხებოდა და არავითარ ძალას მისი შეკავება არ შეეძლო იმისაგან, რაც მას ამ წუთს განეზრახა.

იმ ღამეს სინათლე არ აღნთიათ. აღრე დაწვენენ, მაგრამ ყოველი მათგანი ისე იყო აგზნებული, რომ ვერ იძინებდა, რის გამო სეროიკას სახლიდან შეუმჩნევლად გაპარვა ვერ მოხერხებინა. ყოველად მოუხერხებელი რამ იყო. სეროიკა მაინც აღგა, ვითომც საქიროებისათვის, ბოსტანში აშკარად გადავიდა. იქ მიწაში წინასწარ დამარხული ფეთქადი სითხით სავსე ბოთლები ხელით ხელდახელ ამოთხარა, რადგან ღამეში ბარით თხრა სახიფათო იყო. თხრის დროს მოესმა როგორ აჰრიალდა ქოხის კარი, როგორ გამოვიდა გარეთ ნადია და რამდენიმეჯერ ხმადაბლა დაიძახა:

— სეროიკა... სეროიკა...

პასუხი რომ ველარ მიიღო, ერთხანს შედგა, მერმე კარი ისევ აჰრიალდა, — ნადია შინ შევიდა.

სეროიკამ ბოთლები შარელის ჯაბეში აქეთ-იქიდან თითო-თითოდ ჩაიწყო. ერთიე უბეში ჩაიღო და ივლისის ბნელსა და ხვატიან ღამეში ქალაქის შუაგულს უკანა ეზოებით მალულად აუარა, თავი ქალაქის ბაღში ამოჰყო.

ბაღში სიჩუმე იყო. მაგრამ სკოლის შენობაში, სადაც ის ნაცნობი გზით შეიპარა კიდეც მეტი სიწყყარე იდგა. ეს სიწყყარე ისე ღრმა იყო, რომ მისი ფრთხილი ნაბიჯის ოდნავი ხმაური არამცთუ სკოლის შენობაში,

თითქოს მთელ ქალაქში გუგუნად გაისმოდა. კიბის მაღალ ფანჯრებში მკრთალი ნათელი გარედან ბუნდოვანად შემოდისოდა. და როცა მისი ჩრდილი ფანჯრის პირდაპირ კედელზე მოულოდნელად აღიმართა, მოეჩვენა, თითქოს ბნელ კუთხეში მიკუნჭული ვიღაცა დაგინახავს და ხელს სტაცებდნო. მაგრამ შიშს მალე მოერიდა და არც გაუგია როგორ გაჩნდა ისევ იმ თავის სათვალთვალ საფარში.

სარკმელთან, რომლის იქითაც არაფერი არ სჩანდა, ერთხანს უძრავად იჯდა. უძრავად იჯდა, რომ მღელვარე სული, ცოტა არის, მაინც მოებრუნებია.

როცა დაწყნარდა, სარკმლის ჩარჩოს სამაგრზე ნახევრად მიჭედული ლურსმნის თავები ბნელში ხელის ფათურით მოძებნა. იქით გადაღუნა და გათავისუფლებული ჩარჩო ბუდიდან ფრთხილად ამოიღო. ქუჩის წმინდა ჰაერი სახეში ერთბაშად შემოეფრქვია. სახურავქვეშ სხევენში ისევ შეხუთული ჰაერი იდგა. სკოლისა და მისი სხევენის სიბნელეს ნაჩვევი თვალებით სერიოჟკა ახლა უკვე კარგად არჩედა, თუ რა ხდებოდა მის წინ ქუჩაში. ესმოდა, როგორ დაჰქროდნენ ქალაქში მანქანები. ხედავდა, ავტოების მიბეჭუტული ფარების შუქის მოძრაობას. ღამითაც გრძელდებოდა ჯარების შეუნელებელი მოძრაობა. ზოგიერთი მანქანა ჩაუშქრალი შუქით შემოდისოდა ქალაქში. ბორცვს მიფარებული მანქანის სრული სინათლე პროექტორის შუქივით ერთბაშად იჭრებოდა სიმაღლეში, ანდა ველებში და ჰალასა და ცის უსაზღვრო სივრცეებს დღესავით ანათებდა.

ტრესტის მთავარ მხსასვლელოთან სამხედრო ცხოვრება ისევ შეუფერხებლად მიმდინარეობდა. მანქანები, მოტოციკლები ჰაქანით, კრიალით მოდიოდნენ. იარაღისა და დეზების უღარუნით განუწყვეტლივ შედი-გამო-

დიოდნენ ოფიცრები და ჯარისკაცები, უცხო ენა ღამეში მკვებდნო მოისმოდა. შენობის ფანჯრებში სინათლე იყო ჩამობნელებული და არ სჩანდა, შიგნით რა ხდებოდა.

სერიოჟკას მთელი გრძნობები ისე დაეძაბა და ყველა ერთად ერთი მიზნისაკენ ისე მიემართა, რომ ამ წინასწარ გაუთვალისწინებელმა ამბავმა, ფანჯრები რომ ჩამობნელებული დაუხედა, ხელი როდი ააღებინა თავის განზრახვაზე. სხევენის სარკმელთან ორი საათის განმავლობაში უძრავად იჯდა და ელოდა... აი, ქალაქი მიწყნარდა. შენობის წინ მოძრაობამ თანდათან იკლო და ბოლოს შეწყდა კიდევ არ ეძინათ. სერიოჟკა ყოველივე ამას ამჩნევდა, ფანჯარებზე ღრბოებში გამონაშუქი სინათლის ზოლით. მაგრამ აი, ქვემო სართულის ორ სარკმელში სინათლეს ჩაქრა, ვიღაცამ ჯერ ერთი სარკმელი გამოალო, მერე მეორე. თვითონ არ სჩანდა, მაგრამ სერიოჟკა მაინც გრძნობდა, რომ ის ვიღაცა ფანჯარასთან იდგა და ღამეს ვასცქეროდა. სინათლე პირველი სართულის სხვა ფანჯრებშიც თანდათან ჩაქრა და მალე ისინიც ვრცლად გამოაღეს.

— Wer ist da!—მოისმა შპრძანებლური ხმა მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯრიდან და სერიოჟკამ ძლივს გააჩნია, როგორ გადმოიხარა ფანჯარის რაფაზე ვიღაცის ჩრდილი.—მანდ ეინ არის?—ივითხა იმავე ხმამ.

— ლეიტენანტი მეიერი, Herr Oberst,—პასუხი გასცა ჰაბუქის ხმამ ქვემოდას.

— ქვემო სართულის ფანჯრების გაღებას როდი გირჩევდით, — სთქვა იმავე ხმამ ზემოდან.

— საშინლად დახშული ჰაერია, მაგრამ, თუ ბრძანებთ...

— არა, მე სულაც არ მინდა, რომ თქვენ ძროხის მოშუშულ ხორცად

იქვე. Sie brauchen nicht zum Schmordraten werben, — სიცილით სიტყვა იმავე ხმამ ზემოდან.

სერიოკვას არაფერი არ ესმოდა მათი სიტყვების, მაგრამ ყურს მიანც გულისცემით უგდებდა მათს ლაპარაკს.

სინათლეს სხვა ოთახებშიც აქრობდნენ, შავ ფარდებს მალლა სწევდნენ და ფანჯრებიც ზედიზედ იღებოდა, ხანდახან რაღაც საუბრის ნაწყვეტი მოისმოდა. ვიღაც სტვენდა კიდევაც, აქა-იქ ასანთიც გაჰკრეს. სახე, პაპიროსი, თითები წუთით განათდებოდა ოთახის ბნელ სიღრმეში, პაპიროსის ცეცხლის წითელი წერტილი დიდხანს სჩანდა.

— რა განუსაზღვრელი ქვეყანა ყოფილა, კიდე არ უჩანს. Da ist kein Enbe abzuschen, — სიტყვა ვიღაცამ, ფანჯარასან. ეტყობოდა, ოთახში მყოფ მეგობარს ელაპარაკებოდა.

გერმანელები დასაძინებლად წვებოდნენ. მალე ყოველივე მიწყნარდა. ქალაქში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ვერხნელუენაიას მხარეზე მოსჩანდა, როგორ ჰკვეთდნენ ბნელს მკაფიო შუქით მანქანები.

სერიოკვას თავისი გულისცემა თვითონვე ესმოდა და ეგონა, რომ მისი ძეგრა მთელ სხეულში გაისმოდა. გულახდლილად უნდა ითქვას, საკმაოდ ცხელოდა. სერიოკვას ოფლი დაასხა.

ძილსა და ბნელში დანთქმული ღია ფანჯრებიანი შენობა მის წინ ისევე ისე ბუნდოვანად ამართულიყო. ქვემოთ და მალლა ღია ფანჯრები შავ ჯურღმულებივით მოსჩანდა, დიახ, ყოველივე ახლა უნდა მომხდარიყო. ხელი რამდენიმეჯერ განივრად მოიქნია, მკლავის მოქნევის შესაძლებლობა მოზომა, მიზანიც თვალდათვალ მოსინჯა.

მახლობლად დადგმული ფეთქებადი ნიეთიერებით სავსე ბოთლს ხელი ფრთხილად მოუთათუნა, მერმე მას ყელში ხელი მაგრა ჩააგლო და ქვედა

სარკმელს გამოუნიშნა. მთელი ძალღონით გაისროლა. თვალის მომჭრელმა გაელვებამ მთელი ფანჯარა და ასე გასინჯეთ, თვით ტრესტისა და სკოლას შორის მოქცეული ქუჩის ნაწილიც წუთით გაანათა. იმავე წუთს შუშის მსხვრევისა და მსუბუქი აფეთქების ხმაც მოისმა, აფეთქებისა, რომელიც გამსკდარი ელნათურის ხმას უფრო ჰგავდა. ფანჯრიდან ალი გამოიჭრა. სერიოკვამ პირველს მეორე ბოთლიც მაშინვე მიაყოლა, და ავარდნილ ალში მეორე აფეთქებაც პირველზე უფრო გახმაურდა. ოთახში ალი გუგუნებდა. ცეცხლმოდებული ფანჯრის ჩარჩოები ტკაცუნობდნენ. ალი ქუჩაშიც გამოიჭრა და შენობას გარედან მეორე სართულამდე ლოკავდა. საღვალაც ვიღაც ხან სასოწარკვეთით ღმულოდა, ხან ნაცემ ძალღივით წაწყანებდა. მთელი შენობა გნისამა და ღრიალცელმა ერთბაშად მოიცვა. სერიოკვამ ხელა მესამე ბოთლსაც წამოაგლო და ახლა მეორე სართულის ღია ფანჯარაში შეისროლა.

სერიოკვას მოესმა, როგორ გასკდა ეს ბოთლიც და აფეთქების ცეცხლმა ისეთი ძალით გაიელვა, რომ მთელი სხვენი დღესავით გააშუქა, მაგრამ ამ ღროს სერიოკვა სარკმელთან უკვე აღარ იყო. სამარაგო შავი კიბოთ ძირს ჩარბოდა. ახლა იმ შეტეხილი ფანჯრის ძებნის, საიდანაც ის აქ შემოვიდა, დრო აღარ იყო. მახლობელ ოთახში ალაღბედად შევარდა, — მგონი, სამასწავლებლო ოთახი იყო, — ფანჯარა უცებ გამოალო და ბაღში გადახტა. ოთახდამოღუნულმა ბაღის სიღრმეს სირბილით მიაშურა.

იმ წუთიდან, როდესაც მან მესამე ბოთლი ისროლა, იმ წუთამდე, ვიდრე შეიგნო რომ ის ახლა ბაღში გარბოდა, ყველაფერს ალღოს მიხედვით სჩადიოდა და საეკვო იყო აღედგინა მეხსიერებაში ყოველივე, რაც მას ამ ხნის განმავლობაში თავს გადახდა და გა-

ნიცადა, მაგრამ ერთი რამ მაინც ნათლად მოისახრა, წუთით მიწაზე უნდა დაწოლილიყო და ყური დაეგდო, თუ რა ხდებოდა ირგვლივ.

სადაც მახლობლად, ბალახში, თავი შმაშურობდა. იმ ადგილიდან, სადაც ის იწვა, ცეცხლის ალი არ სჩანდა, მაგრამ დამფრთხალი ხალხის ფეხისხმა ქუჩიდან ნათლად მოესმოდა. დაყოვნების დრო აღარ იყო, სერიოკვა ფეხზე წამოიჭრა და ისევ გაიქცა. ქალაქის ბალის ბოლოს, სადაც გამომუშავებული შახტის უზარმაზარი ტერიკონი იყო ამართული, თავქუდმოგლეჯილი მიაშურა. უნდოდა აქაურობას, რაც შეიძლება, სანქაროდ გასცლოდა, ეშინოდა გერმანელებს ბალისათვის ალყა არ დაერთყათ და შიგ არ მოემწყვდიათ, იქიდან კი თავის შეველა ყველა პირობებში შეიძლებოდა.

სერიოკვამ მხოლოდ ახლა დაინახა, როგორ იზრდებოდა ცაში ალისფერი დაფიონი, როგორ ფერავდა იგი მეწამულისფრად ხანძრის ადგილიდან ასე შორს ამართულ ტერიკონსა და ბალს ხეთა ქორებს, სერიოკვამ მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ ფართოვდებოდა მისი გული თანდათან და თითქოს გაფრენას ლამობდა, მთელ ტანში ისეთი ფრუანტელი უვლიდა, რომ თავს ბიცილისაგან ძლივს იკავებდა.

— ეგაც თქვენი! ზეტეენ ზი ზიხი შპრეხენ ზი დოიჩი გებენ ზი ეტეასი — გაიხიზოდა განუსაზღვრელ აღტაცებისაგან სკოლაში ნასწავლ გერმანულ გრამატიკიდან მესხიერებაში ალალბედად ჩარჩენილ სიტყვებს.

დაფიონი თანდათან განიერდებოდა, ბალის თავზე ცას ალისფრად ეფინებოდა და ის ორომტრიალი და კორიანტელი, რომელიც ქალაქის შუაგულში ატყდა, ყურთასმენამდე აქაც აღწევდა. აქ მოცდა აღარ იქნებოდა. სერიოკვა მოურევნელმა სურვილმა აიტანა, სურვილმა რომ ის პატარა ბალი ისევ ენახა, ბალი, სადაც დღეს გა-

დაეყარა იმ ვოგონას, ვალია ბორცს, — დილაც რომ სერიოკვამ ცენტრალური ცოდა ახლა მისი სახელებს ღმერთებსა

სერიოკვა ბნელში უჩუმრად მიიპარებოდა, მალე დერევიანი ქუჩის უკანა ეზოებში ამოჰყო თავი. დაბალ ღობეს ზედ გადაეველო და ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ ამ დროს ჰისკართან ხმადაბალი საუბარი შემოესმა. აქაურებს ესარგებლნათ იმით, რომ გერმანელებს ჯერ ეს ქუჩა არ დაეკირათ და ხანძრის საყურებლად გარეთ გამოფენილიყვნენ. სერიოკვამ სახლს უკნიდან მოუარა, ღობეს გადაეველო და ჰისკარს ნელა მიუახლოვდა. ხანძრით გაშუქებულ ქალთა შორის სერიოკვამ ვალია დაინახა.

— ეს რა იწვის? — იკითხა მან იმ განზრახვით, რომ შეეტყობინებინა მათთვის, — აქ ვარო.

— ხანძარია, სადაც ბალის ქუჩაზე... — იქნებ სკოლაა, — სთქვა მღელვარე ხმით ვილაც ქალმა.

— ტრესტი იწვის, — სთქვა მკვახედ, თითქოს გამოშწვევდაც, ვალიამ. — დედა, მე წავალ, დავიძინებ, — განაგრძო ვალიამ და თვალთმაქცურად დაამთქნარა. ეზოში ჩავიდა.

სერიოკვა ის იყო მისკენ გაქანებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს სახლში შესასვლელ კარებზე ვალიას ფეხსაცემლის ქუსლების მოხშირებული ხმაური მოისმა და კარიც მიიხურა.

თავი მესხრამეტი

კრასნოდონზე და მის მახლობელ ქალაქებსა და სოფლებზე გავლით დიდხანს მოდიოდნენ გერმანელთა მთავარი სამხედრო ძალები: სატანკო ნაწილები, ქვეითი ჯარი მანქანებით, ზარბაზნებით და ჰაუბიცებით, საკავშირო ნაწილები, ალალი, სანიტარული და სასანგრო რაზმები, დიდი და მცირე შენაერთების შტაბები. გამუდმებული

გუგუნე მოტორებისა ცასა და მიწას აყრებდა. ცადავარდნილი ბღღვირი და კორიანტელი ქალაქსა და მინდორ-ველებს წყვდიადივით წამოჰფენოდა.

ამ უთვალავი ჯარებისა და ქვემეხების მიძიმე და რიტმიულ მოძრაობაში მკლანდებოდა ომის თავისებური შეუბრალებელი წესრიგი — Ordnung. თითქოს აღარ არსებობდა ქვეყნად ისეთი ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ უღმობელ რეინისებურ წესრიგს—Ordnung-ის ძალას.

საკურველით და სურსათით სავსე ვაგონებივით მაღალი საბარგო მანქანები და ბენზინის ცისტერნები გზაზე მძიმედ, მაგრამ წესიერად მიგორავდნენ და მათი უზარმაზარი ბორბლების ქვეშ მიწა იზნიქებოდა. სალდათებს ტანთვამძლე, კარგად შორგებულ საომო ეცვათ. ოფიცრები კობტად იყვნენ გამოწყობილი. გერმანელებთან ერთად მოდიოდნენ რუმინელები, ჰუნგრელები, იტალიელები. ზარბაზნები, ტანკები, თვითმფრინავები ამ არმიისა დადამღული იყო ევროპის ყველა სახელმწიფო ქარხნის მარკებით. კაცს, რომელმაც იცოდა არამხოლოდ რუსული ენა, თვალი უჭრელდებოდა მსუბუქი და მიძიმე საბარგო მანქანათა მარკებით და თავზარსა სცემდა იმისი ფიქრიც, რომ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობის რა უზარმაზარი საწარმოო ძალები კვებავდნენ გერმანელთა არმიას, რომელიც დონეცის მინდორ-ველზე ცადავარდნილი მტერის კორიანტელსა და ბურში მოტორების შემზარავი გუგუნით მოემართებოდა.

პატარა კაციც, რომელსაც ოდნავ გაეგებოდა ომის საქმე, გრძნობდა და ხედავდა, როგორი სისწრაფით იხვედა უკან ამ მოწოლილი ძალის წინაშე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სულ შორს, როგორც ზოგიერთს ეგონა, სამუდამოდ, — ნოვოზიბოვსაკენ, როსტოვისაკენ,

წყნარ დონს იქით, სალსკის მინდორ-ველებში, ყუბანისაკენ. და კვლავი სად იყვნენ ახლა ისინი? — ღრუბლებში ლოდ გერმანული ცნობებისა და გერმანელ ჯარისკაცთა ნაამბობით თუ მიხვდებოდა კაცი, სად იბრძოდნენ ისინი და, ვინ იცის, იქნებ შშობლიურ მიწისათვის თავიც დასდო შენმა შეილმა, მამამ, ქმარმა, ანდა ძმამ.

იმ დროს, როდესაც ქალაქზე გერმანელთა ნაწილები თავის მსველელობას ისევ განაგრძობდნენ და თან კალიასავით ნთქავდნენ იმას, რის შთანთქმაც წინად ჩავლილ ჯარებს ვერ მოესწროთ, კრასნოდონში ისე, როგორც თავის საკუთარ სახლში, შინაურულად, საქმიანად ეწყობოდნენ შემდეგ არმიათა ზურგის ნაწილები, შტაბები, მომარაგების განყოფილებანი, სამარქათო რაზმები.

გერმანელთა ბატონობის ქვეშ მოქცეულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ იცოდნენ გერმანელ უფროსთაგან რომელნი იყვნენ დროებითი და რომელნი მუდმივნი, ან როგორი ხელისუფლება დამყარდა ქალაქში და რა მოეთხოვებოდათ მათ, გარდა იმისა, რასაც ვამეღელი ჯარისკაცები და ოფიცრები თვითნებურად სჩადიოდნენ მათ ოჯახებში. ყოველი ოჯახი არსებობდა თავისი მდგომარეობისდა მიხედვით, და იმისი შეგნება, რომ მათი ეს მდგომარეობა გამოუვალი და საშინელი იყო, ყოველ მათგანს აიძულებდა, ამ ახალსა და შემზარავ მოვლენას თავისებურად, როგორც მოუხერხდებოდა, ისე გასძლოლოდა.

ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნას ცხოვრებაში ახალი და საშინელი ის იყო, რომ მათ სახლში ერთად დაბინავდნენ გერმანელთა ერთერთი შტაბის გენერალი ფონ ვენცელი, მისი ადიუტანტი და ყვითელთავა და მოყვითალო ქორფლიანი მოსამსახურე ჯარისკაცი. მათ სახლს ახლა გულშავი გამუღმებით ეყენა. მომსველე-წამსვე-

ლელო არ იღეოდა და ისინი თავს ისე გრძობდნენ, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ, ხან თათბირობდნენ, ხან უბრალოდ შემოსულ გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად ეს მასპინძლებად მკეული დაუპატივებელი სტუმრები: სკამდნენ, სვამდნენ და მთელ სახლს გერმანული ყაყანიო, რადიოთი გადმოცემული გერმანულა ცნობებითა და მარშებით აყრუებდნენ. ხოლო თვითონ სახლის პატრონი ბებია ვერა და ელენა ნიკოლაევნა, ერთ პატარა, აუტანელად ჩამოხუთულსა და იქვე კედელზე, მოდგმულ მუდამ ცხელი ღუმელისაგან გაბურებულ ოთახში გაეძევიანათ და გათუნებიდან დაღამებამდე ბატონ გერმანელ გენერლებსა და ოფიცრებს ემსახურებოდნენ.

ჯერ კიდევ გუშინ ბებია ვერა ვასილიევნა, — დონხასის ერთი უდიდესი ტრესტის გეოლოგის დედა, რომელმაც სოფლად მუშაობით პერსონალური პენსია დაიმსახურა, ხოლო ელენა ნიკოლაევნა — ქვრივი ცნობილი საბჭოთა მუშაკისა, რომელიც ქალაქ კანევოში მიწგანად იყო, დედა კრასნოდონის სკოლის საუკეთესო მოწაფისა, — ჯერ კიდევ გუშინ ორივენი ყველასაგან პატივცემულნი, ახლა ამ ყვითელთავა და ჭორფლიანი მოსამსახურე ჯარისკაცის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდნენ და ყოველი მისი ბრძანება სიტყვის შეუბრუნებლად უნდა შეესრულებინათ.

გენერალი ბარონ ფონ ვენცელი ომის საქმეებში იმდენად იყო ჩაფლული, რომ ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნას ვერც ამჩნევდა. წინ გაშლილ რუკას საათობით ჩასჩინებდა, კითხულობდა, ადიუტანტისაგან მორთმეულ ქალაღებს ხელს აწერდა და სხვა გენერლებთან ერთად კონიაკსა სვამდა. ხანდახან გენერალს გული

მოსდიოდა და ყვიროდა ისე, თითქოს პლაცზე განკარგულენი მსმენებდა. დანარჩენი გენერლებსა და ოფიცრებს წინ შარვლის ორმაგი ლამპასების გასწვრივ ზელგაქიმულნი უძრავად იდგნენ და ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნასათვის ნათელი იყო, რომ გენერალ ფონ ვენცელის ნებისა და სურვილისამებრ კრასნოდონზე გავლით ქვეყნის სიღრმეში მიემართებოდნენ გერმანელთა ჯარები: ტანკებით, თვითმფრინავებით, ზარბაზნებით და, რომ გენერლისათვის მთავარი ის იყო, რომ მათ მუდამ ასე შეუფერხებლად ევლოთ და იმ ადგილას, სადაც მათ ნაბრძანები ჰქონდათ დანიშნულ დროზე მისულიყვნენ. ხოლო ის, თუ სად უნდა მისულიყვნენ ისინი და იქ რა უნდა ეკეთებინათ გენერალ ფონ ვენცელის ყურადღებას სულაც არ იქცევდა, მის ყურადღებას ყოველივე ეს ისევე არ იქცევდა, როგორც ის, რომ იგი ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნას სახლში ცხოვრობდა.

გენერალ ფონ ვენცელის ბრძანებით ანდა იმისი ცივი, უსიტყვო თანხმობით სჩადიოდნენ ირგვლივ ათასსა და ათათას საზიზღარ საქმეებს, ყოველ სახლიდან რაღაც მიჰქონდათ, მიჰქონდათ ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნას სახლიდანაც—ქონი, თაფლი, კვერცხი, კარაჭი და ყოველივე ეს ხელს ოდნავადაც არ უშლიდა გენერალს, რომ თავის გაშეშებულ-გაყინილებული ზვანჩიანი პატარა თავი მაღლა დაეჭირა, აელირნა ისე, თითქოს მის შეგნებას ვერაფერი მქისე ან უწმინდური რამ ვერ გაეკარებოდა.

გენერალი ძალზე ფაქიზი კაცი იყო. ღღეში ორჯერ დილით ადგომისა და საღამოთი დაძინების წინ თავით ფეხამდე ცხელი წყლით ბანაობდა. ვიწრო სახის ნაოჭები და ზვანჩ-ღაბაბი მუდამ სუფთად ჰქონდა გაპარსული, დაბანილი და სურნელოვანი

წელით ამკორებულნი. საპირფარეშო მისთვის ცალკე იყო გამართული და ის ბებია ვერას ყოველდღე უნდა ერეცხნა, რათა გენერალს დაუწყუებლად მოესაქმებინა. გენერალი საპირფარეშოში შედიოდა დილით მუდამ ერთსა და იმავე დროს, ჯარისკაცი კი შორი-ახლო დარაჯობდა და, გაიგონებდა თუ არა ჩახველების ხმას, საგანგებო ვაფლის ქაღალდს მაშინვე აწვდიდა. მაგრამ ამგვარ სისუფთავესთან ერთად გენერალი ჭამის შემდეგ ბებია ვერასა და ელენა ნიკოლაევნას წინაშე სრულიად უბოდიშოდ ამოყინებდა. ხოლო, თუ მარტო იყო თავის ოთახში, ნაწლავებიდან ისე გამოუშვებდა მყრალ ჰაერს, რომ მეზობელ ოთახში ბებია ვერასა და ელენე ნიკოლაევნას ყოფნას ანგარიშს სრულიად არ უწევდა.

გრძელკანკებიანი ადიუტანტი ცდილობდა ყველაფერში მიეზამნა გენერალისათვის. თითქოს იგი — ადიუტანტი, ასე მაღალი მხოლოდ იმატომ გაზრდილა, რომ თავის მაღალ გენერალს დამაგავსებოდა. და გენერლის მსგავსად თვითონაც ცდილობდა არ შეემჩნია არც ბებია ვერა და არც ელენა ნიკოლაევნა.

არც გენერლისათვის და არც ადიუტანტისათვის ბებია ვერა და ელენე ნიკოლაევნა არ არსებობდნენ, არა თუ როგორც აღამიანები, არამედ როგორც საგნები. ახლა მათი სრულუფლებიანი უფროსიცა და ბატონ-პატრონიც ეს ჯარისკაცი იყო.

ამ ახალ და საშინელ მდგომარეობასთან შეგუებულმა ბებია ვერამ პირველი დღეებიდანვე გამოამქლავნა, რომ არ იყო თანახმა შერიგებოდა ამ მდგომარეობას. ეშმაკი ბებია მაშინვე მიხვდა, რომ ქორფლიანი ჯარისკაცი თავისი უფროსების აქ ყოფნის დროს არც იმდენად უფლებამოსილი ვინმე იყო, რომ ბებია

ვერას მოკვლა გაეხედნა. და ყოველდღეს სულ უფრო მეტად ეტყობოდა უღებოდა და როცა ჯანსაღად უწყებდა ყვირილს ბებია ვერა პირიქით უფრო მეტს უყვიროდა ჯარისკაცს. ერთხელ გაბრაზებულმა ჯარისკაცმა ბებია ვერას წიხლი ჰკრა ზურგში, მაგრამ ბებია ვერა არ დაიბნა და საპასუხოდ ტაფა მთელი ძალით გაიჭინა და სთხლიშა თავში. უცნაური კი იყო, მაგრამ აწითლებული ჯარისკაცი ბრაზით კინალამ დაიბრჩო. ასეთი საოცარი და რთული ურთიერთობა დამკვიდრდა ბებია ვერასა და ჯარისკაცს შორის. ელენა ნიკოლაევნა კი ჯერ კიდევ ღრმა შინაგან გარინდებას განიცდიდა. შეურცხვენლად დაატარებდა ოდნავ უკან გადაჭანებულ ღია-ქერათმიან თავს, უსიტყვოდ ასრულებდა ყოველივე იმას, რასაც მისგან მოითხოვდნენ.

ერთ-ერთ ასეთ დღეს ელენა ნიკოლაევნა ბაღის ქუჩის პარალელური ქუჩით წყალზე მიდიოდა და უეცრად თვალი მოჰკრა პირდაპირ მომავალ პატარა ზერდაგცხენიან ნაცნობ საზიდარს და მის გვერდით მომყოლ შვილს — ოლეგს.

ელენა ნიკოლაევნამ უმწეოდ მიმოაელო თვალი ირგვლივ, მხრეულთან ერთად კასრებიც მიწაზე დაუვარდა და ხელებგაშლილი შვილისკენ გაქანდა.

— ოლეგ... ბიჭო!.. წარამარა იმეორებდა იგი, ერთსა და იმავეს და სახით შვილს ხან მკერდზე მიეყრდნობოდა და ხან მის ქერა, მზისაგან ოქროსფერდაკრულ თმას ხელს უსვამდა და ხან უბრალოდ მის მკერდს, მხრებს, ზურგს და გვერდებს ორივე ხელით ეხებოდა.

ოლეგი დედაზე უფრო მაღალი იყო. ამ დღეების განმავლობაში მზე ჭეტისშეტად მოჰკიდებოდა სახეზე, გამზდარიყო, დაეკაცებულყო, მაჭ-

რამ ამ დაეჯეკაცებაში ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე გამოსჴვივოდა ელენე ნიკოლაევნასათვის მარად-დამახსოვრებული შვილის თვისებები; ეს იყო ის თვისებები, რომლებიც ახლა აგონდებოდა მას იმ დროიდან, როცა პატარაობისას ოლეგი ტიტინებდა პირველ სრკეებს, და თავისი მსუქანი, რგვალი, მზედაკრული ფეხებით სდგამდა პირველ ნაბიჯებს, როცა იგი ქარისაგან—გადახრილივით ღვერდულად დაბრუნდა. მართლაც, იგი ჯერ კიდევ მხოლოდ მოზრდილი ბავშვი იყო. ოლეგი თავისი დიდრონი, ღონიერი ხელებით ეხვეოდა დედას, ხოლო განიერ, ქერა წარბებს ქვეშ ისე ბრწყინავდნენ მისი თვალები, როგორც დედისთვის ამ თექვსმეტნახევარი წლის განმავლობაში ბრწყინავდნენ—წმინდა და ნათელი შვილური შუქით, და ოლეგი სულ იმეორებდა:

— დედიკო... დედიკო... დედიკო!..

არავინ და არაფერი არ არსებობდა მათთვის ამ რამდენიმე ნეტარ წაშში: არც ის ორი გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც მახლობელ ეზოდან უთვალთვალავდნენ მათ ასეთი მოსაზრებებით: ხომ არაფერია ამაში ისეთი, რაც არღვევს Ordnung-ის წესსო. არც ბრიჩკასთან მდგომი მახლობელი ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა გრძობით შესცქეროდნენ დედისა და შვილის ამ შეხვედრას: ძია კოლია — ფლევმატურად და ნაღვლიანად; ძალუა მარინე — ცრემლით თავის შავს, ლამაზსა და მიღუღულ თვალებში; სამი წლის ბიჭი — გაოცებითა და პირვეულობით: დეიდა ლენა — რატომ პირველად მე არ მომეხვია და არ მაკოცაო; შვიდეტი პაპა კი — ბერიკაცის ტაქტიკური გამომეტყველებით: აი, რეები ხდება ქვეყანაზეო! ხოლო კეთილ ადამიანებს, რომლებიც ფანჯრებიდან მალულად შესცქეროდნენ, ამ ორი, აგრე ერთიმეორის მსგავსი ადა-

მიანის: მზედაკრულთმიანი, თავშიშველა, ახოვანი პატუკოსა და ნაწინავე-ბიანი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალის ამ შეხვედრას,—შესაძლოა ეფიქრათ: და-ძმა შეხვდა ერთმანეთსო. რა იცოდნენ მათ, რომ ოლეგი კოშევი დაბრუნდა თავის დედასთან, დაბრუნდა ისე, როგორც ასობითა და ათასობით კრასნოდონელა ბრუნდებოდა უკანვე, კრასნოდონელები, რომლებმაც ვერ მოესწროთ თავი გაერიდებინათ უბედურებისათვის, ოლეგიც ისე ბრუნდებოდა, როგორც ისინი ბრუნდებოდნენ მშობლებთან, გერმანელების მიერ დაკავებულ საკუთარ ქოხებში.

მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ისინი, ვინც ამდღეებში დასტოვეს მშობლიური ადგილები, სახლკარი, მახლობელი ადამიანები. მაგრამ ვინც მოასწრო და გერმანელებს თავი დააღწია, ახლა საკუთარ, საბჭოთა მიწაზე მიემართებოდნენ. კიდევ უფრო მძიმე იყო იმათი მდგომარეობა, ვინც მთელი ღონე მოაწოდოდა იმას, რომ გერმანელებს გაქცეოდა და ვერ მოახერხა და ახლა, სიკვდილის პირისპირმდგარნი, დაეხეტებოდნენ ჯერ კიდევ გუშინ თავისუფალ მშობლიურ ადგილებში, რომლებიც დღეს უკვე გერმანელებისა გამხდარიყო — დაეხეტებოდნენ ულუქმაპუროდ, უთაგ-შესაფაროდ, ცალ-ცალკე, სულითდაცემულნი პირველი შემხვედური, გამარჯვებული გერმანელის ნებასურვილზე დამოკიდებულნი, და მის თვალში დამნაშავეებად ქცეულნი.

იმ წუთში, როცა გაშლილ ტრამალზე პაერის მოთეთრო მქრქალ ციმციმში ოლეგმა და მისმა ამხანაგებმა მათკენ გამოჴანებული გერმანელთა ტანკები შენიშნეს, შეძრწუნდნენ, რადგან ისინი ახლა პირველად წარსდგნენ სიკვდილის პირისპირ. მაგრამ სიკვდილი როდი ჩქარობდა.

გერმანელმა მოტოციკლეტისტებმა ალვა შემოართყეს ყველას, ვინც ვერ მოასწრო მდინარეზე გადასვლა და ერთ მხარეზე, ღონეციისკენ მირეკეს. აქ კვლავ ერთად შეიყარნენ ოლეგი და მისი ამხანაგები, ვანია ზემნუხოვი, კლავა, კლავას დედა და № 1-ბის მადაროს ღირებუროი ვალკო. ვალკო მთლად სველი იყო, ბრიჯი და პიჯაკი გასაწურავად მოჰქცეოდა, ქრომის ჩექმებში წყალი უქყაუნებდა.

ამ საყოველთაო შეტრფუნების წუთებში ისინი ნაკლებად აქცევდნენ ერთმანეთს ყურადღებას, მაგრამ ვალკოს დანახვაზე ყველა ფიქრობდა: „ამასაც ვერ მოუხერხებია ღონეცის გაცურვა“. ის კი რაღაც დაძაბული, ბრახორული გამომეტყველებით პირ-გაუპარსავ ბოშასავით დაჯდა მიწაზე, ჩექმები ხელდახელ გაიხადა, წყალი გადმოღვარა, ფეხსახვევები კარგად გასწურა და ისევ ჩაიკვა, მერმე მოღუშულ სახით ყმაწვილებს მიუბრუნდა და უცებ თვალი როდი ჩაუკრა, არამედ შავი თვალის წამწამები ოდნავ მოქუტა და თითქოს ამით თქვა—ნუ გეშინიათ, თქვენთან ვარო!

სახეშემურულმა, შეჩანჩენიანმა გერმანელმა ტანკისტმა ოფიცერმა დამტყრეული რუსულით მრისხანედ ბრძანა:—რომ ყველა სამხედრო გამოვიდესო. იარაღაყრილი სამხედროები ცალცალკე, ან ჯგუფებად გამოდიოდნენ; გერმანელებს სამხედროები ზურგში გონდახის ცემით განზე გაყავდათ და მალე ოდნავ მოშორებით, სამხედროების მეორე, უფრო მცირე ჯგუფი შეიქნა. რაღაც შემზარავი წუხილი გამოიხატებოდა მათ სახეზე, მათ გამოხედვაში, ისინი მოძველებული, კუჭკიანი გიმნასტურებითა და დამტყრეირიანებული ჩექმებით ეკვროდნენ ერთმანეთს მზით გავარვარებულ ტრამალზე მკიდროდ შეჯგუფდულნი.

5. „წათობა“, № 11.

სამხედროები მწყრივში ჩააქენეს და ღონეცის ნაპირ-ნაპირ უკრძკვეს. ხოლო მოქალაქენი შინაგაქცეულნი ისინი ღონეციდანვე სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. დიდი ნაწილი გზის გასწვრივ გაემართა დასავლეთით, ლიხაიასკენ, იმ ხუტორზე გავლით, სადაც ღამე გაათიეს ვანიამ და ეორამ.

ვიქტორ პეტროვის მამა და პაპა რომლებსაც კოშევი და მისი ნათესავები თან ახლდნენ, იმავე წუთში, როგორც კი ტრამალში დაინახეს გერმანელთა ტანკები, საზიდრებიანად შეუერთდნენ თავისიანებს. მთელი მათი ჯგუფი, რომელსაც კლავა კოვალიოვაც თავისი დედით მიემატა, ახლა შეუერთდა დასავლეთით, ლიხაიასკენ უკანდახეული ადამიანებისა და აღალების ნიაღვარს.

ერთხანს არცერთ მათგანს არ სჯეროდა, რომ ყოველივე ეს ასე მოხდებოდა, რომ მათ გაუშვებდნენ და ამაში სახიფათო არაფერი იყო,—ყველანი შიშით გაჰყურებდნენ მათი პირისპირ შესახვედრად გზაზე გამოქანებულ გერმანელ ჯარისკაცთა ნიაღვარს, მაგრამ მოღლილი, გაოფლიანებული მტერით სახემოსვრილი ჯარისკაცები, შეშფოთებულნი უფრო იძით, რაც მათ წინ მოელოდათ, თითქმის ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ რუს ლტოლვილებს.

როცა პირველმა შეშფოთებამ გაიარა, ვიღაცამ გულშეუკერებლად წამოიძახა:

— გერმანელთა სარდლობის ბრძანებაა:—არ შეაწუხოთ ადგილობრივი მცხოვრებლები.

ვალკომ, რომელსაც მზისაგან ცხენით სდიოდა ოფლი, პირქუშად გაიცინა, ამ გაბრაზებულ, ქაჯებივით მტვერში ამოგანგლულ გერმანელ ჯარისკაცთა კოლონისკენ თავი გაიქნია და სთქვა:

— ზომ ხედავ, არა სცალიათ, თორემ ნახავდი, რა წყალსაც დაგაღუეინებდნენ!

— შენ მგონი, დალიე კიდევ! — უცებ მხიარულად გამოესიტყვა ვიღაც ერთ-ერთი იმ მოუწყინართაგანი, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველაზე უმძიმეს პირობებშიც აუცილებლად აღმოჩნდება ხოლმე რუს ადამიანთა ყოველგვარ კრებულში.

— დაელიე, — პირქუშად დაეთანხმა ვალკო, მერმე დაფიქრდა და დასძინა: — მაგრამ ფიალა სულ არ დამიცილია.

ნამდვილად აი რა შეემთხვა ვალკოს, როცა იგი ყმაწვილებს ჩამოშორდა და მდინარის გადასასვლელზე ჩავიდა. თავისი მრისხანე შეხედულებით მან მაინც აიძულა ამ გადასასვლელის განმგებელი სამხედრო პირი, რომ მასთან მოლაპარაკება გაეშართა. ვალკომ მისგან გაიგო, რომ გადასასვლელის უფროსი მდინარის გაღმა იმყოფებოდა, რადგან ამ მხარეზე ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გერმანელების გამოჩენა. „იმ მამაძალს ნაღველს ჩაუქმევე და ვაიძულე, რომ წესრიგი დაამყაროს!“ — ფიქრობდა გაშმაგებული ვალკო და პონტონზე შემდგარი მანქანების სიმძიმის გამო დაქანებული ხიდის ერთი კიდიდან მეორეზე ზტებოდა. ამ დროს ჩამოიქროლეს გერმანელთა მოპიკირე თვითმფრინავებმა და სხვებთან ერთად ვალკოც იძულებული შეიქნა მიწაზე განრთხმულიყო. მერმე გერმანელმა არტილერიამაც დაუშინა ყუმბარები და პონტონზე ისეთი არეულობა შეიქნა, ვალკო შეყოყმანდა.

თავისი მდგომარეობის მიხედვით მას, არა თუ ჰქონდა უფლება, ვალდებულებით იყო უკანასკნელი შესაძლებლობით ესარგებლნა და დონეცის მეორე მხარეს როგორმე გადასულიყო, მაგრამ ისე, როგორც ეს ხდებ-

და ხოლმე თვით მეტად ძლიერს და შორსმჭერეტელ, მალულად დიდებულ ადამიანთა ცხოვრებაშიც ხდება, კერძო, უფრო მცირე მნიშვნელობის მოვალეობა, პირადული ჰფარავს ხოლმე საერთოს, მთავარს, მაგრამ შორეულს.

წუთით წარმოიდგინა, თუ რას იფიქრებდნენ მის გამო მისივე მუშები, მისი მეგობარი გრიგოლ ილიჩ შევცოვი და ნაპირზე დარჩენილი ჰაბუცი კომკავშირელები, — წარმოიდგინა თუ არა ყოველივე ეს, სისხლი სახეზე მოაწვა და უკანვე გამობრუნდა. გამობრუნდა იმ დროს, როცა პონტონის ხიდის მთელ სიგანეზე ხალხი მისკენ ნიაღვრით მოექანებოდა, სხვა გზა არ იყო. ვალკო წყალში ტანისამოსიანად გადახტა და ნაპირისკენ გასცურა.

გერმანელები ხიდს ყუმბარებს უშენდნენ და ალყას არტყამდნენ დონეცის გამოღმა ნაპირს, გონდაკარგული ხალხი პონტონისკენ გარბოდა. ჩხუბობდნენ პონტონის მისასვლელთან და გაღმა ათობითა და ასობით ცურვით გადადიოდნენ, ვალკო კი ამ დროს თავისი მძლავრი მხარულით წყალს ამ ნაპირისკენ მოაპობდა. მან იცოდა, რომ პირველი იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც გერმანელები გაუსწორდებოდნენ, ის იქნებოდა, მაგრამ მაინც მოსცურავედა, იმიტომ რომ სხვაგვარად მოქცევის ნებას სინიღისი არ აძლევდა.

თავიანთ საუბედუროდ, გერმანელები იმდენად წინადაუხედავად მოიქცნენ, რომ არ მოჰკლეს ვალკო. სხვებთან ერთად ისიც გაუშვეს; და აი იმის მაგიერ, რომ ის აღმოსავლეთით წასულიყო, სარატოვისკენ, სადაც სამსახურებრივად გამოცხადება ევალებოდა და, სადაც მისი ცოლშვილი იმყოფებოდა, ლტოლვილთა ნიაღვარში შეჭრილი, სხვებთან ერთად ისიც და-

საკლუთით მიემართებოდა. ლიხაიამდე ლტოლვილთა კოლონიამ დაშლა იწყო. ვალკომ კრასნოდონელთა ჯგუფს უჩინა, რომ საერთო კოლონას გამოყოფიდან და ლიხაიაზე შემოვლით კრასნოდონისაკენ დიდი გზების მოშორებით სასოფლო თემშარებით და ნაყანებებით წასულიყვნენ.

ისე, როგორც ეს ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრების მძიმე წუთებში ხდება ხოლმე, თვით რიგითი ადამიანების საკუთარ ბედზე ფიქრი, მთელი ხალხისა და სახელმწიფო ბედზე ფიქრს მკვიდროდ გადაეხლართება ხოლმე.

გამოვლილ განსაცდელს შემდეგ ისეთს სასოწარკვეთილ გუნებაზე იყვნენ მოწიფულნიც და ბავშვებიც, რომ პირველ დღეებში ერთურთს არც კი ესაუბრებოდნენ. სასოწარკვეთილი იყვნენ არა მარტო იმით, რაც მათ მოუვიდოდა ახლა მთელს საბჭოთა მიწაწყალს და ყოველი მათგანი თავისებურად განიცდიდა ამ საშინელებას.

ყველაზე უფრო გულდაშემიდებული იყო მარინას სამი წლის ბიჭიკო—ოლეგის პატარა ბიძაშვილი. იმდენად, რამდენადაც ყოველთვის მასთან იყო მისი დედ-მამა, მას არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა იმ ქვეყნის სიმტკიცეში, რომელშიც იგი ცხოვრობდა. მართალია, მისთვის შემზარავი იყო ერთი წუთი, როცა რაღაცამ დაიჭექა და დაიღრიალა ცაში, როცა ირგვლივ ყველაფერი გრიალებდა და ხალხი გარბოდა, მაგრამ იგი იზრდებოდა ისეთ დროს, როცა ირგვლივ მუდამ გრიალი გაისმოდა და ხალხი აქეთ-იქით გარბოდა. ამიტომ იტირა მან ცოტა ხანს და მალე ისევ დამშვიდდა. ახლა ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა. მისი აზრით, ცოტა არ იყოს, მგზავრობა ვაკიანურად მხოლოდ. ეს შეგრძნობა ფლობდა მას განსაკუთრებით შუადღი-

სას, როცა იგი მთლად მოიფენებოდა ხოლმე, დაიწყებდა ბუზღუნს, ჩქარა მივალთ თუ არა შინ, ბებოსთან, მაგრამ საკმარისი იყო შეჩერებულიყვნენ შესასვენებლად და ფაფა გაეშინჯა, ჯოხი შეეჩხიკინებინა ციყვის ბუნაგში, გვერდული სიარულით, თავაწევით თავაზიანად გარს შემოეცლო ქურჩანა ცხენებისათვის და მერმე დედის მუხლებში თავჩარგულს ტკბილად დასძინებოდა, რომ კვლავ ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა, და ქვეყანაც კვლავ იესებოდა სილამაზითა და საკვირველებით.

პაპა ეკვობდა, რომ მის ცხოვრებას, ერთი პატარა ბერიკაცის ცხოვრებას, რაიმე ხიფათი შემთხვეოდა გერმანელთაგან. მაგრამ ეშინოდა, რომ ისინი ცხენს გზაშივე წაართმევდნენ. გარდა ამისა, ფიქრობდა იმასაც, რომ გერმანელები პენსიასაც წაართმევდნენ, რასაც იგი იღებდა, როგორც ორმოცი წლის განმავლობაში მზიდავად ნამუშევარი კაცი, და არა თუ მოუსპობდნენ იმ დახმარებას, რასაც იგი იღებდა სამი ფრონტელი შვილის მაგიერად, არამედ, წარმოიდგინეთ, შეავიწროებდნენ კიდევ იმისათვის, რომ ამდენი შვილი ჰყავდა წითელ ჯარში. იმავე დროს აღელვებდა საკითხი, გაიმარჯვებდა თუ არა რუსეთი ომში. იმ ვითარების მიხედვით, რაც მან ნახა, შიშობდა,—რუსეთი ვერ გაიმარჯვებდა და პატარა ტანის მოხუცი, კეფაზე ბელურასავით აჩეჩილი ნაცრისფერ ბუმბულიანი, სწუხდა იმაზე, რომ სული არ განუტევა შარშან ზამთარში, როცა, ექიმის თქმით, „შეტევიები“ ჰქონდა. მაგრამ დრო-და-დრო იგი იგონებდა მთელს თავის ცხოვრებას, ომებს, რომლებშიც მონაწილეობა მიუღია, აგონდებოდა, რომ რუსეთი დიდია, მდიდარი, ხოლო უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში იგი უფრო გამდიდრდა—და ნუთუ გერმანე-

ლებს აღმოაჩნდებოდა იმდენი ძალა, რომ დასძლიონ იგი, — რუსეთი? და როცა ასე ფიქრობდა პაპა, მას ნერვული სიხალისე ეუფლებოდა, მზისგან გაშავებულს გამოფიტებულ პატარა კოჭებს მოიფხანდა, ტურებს ბავშვურად გამოპრუწავდა. დაუწრუპუნებდა პატარა ზერდაც ცხენს და სადავეებს მარჯვედ დაუცაცუნებდა.

ოლეგის ბიძას ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ყველაზე უფრო ის წყინდა, რომ ტრესტში მისი ეგრე კარგად წამოწყებული საქმე, მუშაობა საბჭოთა პირობებში გამოშვებული გეოლოგისა, რომელიც პირველ წლებშივე დაწინაურდა განსაკუთრებული წარმატებით ჩატარებული საკვლევო ძიებისათვის, ასე მოულოდნელად და საშინლად შესწყდა. ეგონა გერმანელები აუცილებლივ მოშკალავენო, და თუ არ მოშკალავენ, განსაკუთრებული საშუალებით მომიხდება თავის დაღწევა, რათა გერმანელებთან სამსახურს თავი აეარიდოვო. ის კი წინასწარვე იცოდა, რომ არავითარ პირობებში არ იმუშავებდა გერმანელებთან, რომ გერმანელებთან მუშაობა მისთვის ისევე არაბუნებრივი და უხერხული იყო, როგორც ოთხზე სიარული.

ახლგაზრდა ძალუა კი ანგარიშობდა, შემოსავლის რა წყაროებიდან შესდგებოდა მათი ცხოვრება გერმანელებამდე და გამოდიოდა, რომ მათი ცხოვრება გერმანელებამდე შესდგებოდა: ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ხელფასისაგან, ელენა ნიკოლაევნას პენსიისაგან, რასაც იგი იღებდა გარდაცვლილი ქმრის — ოლეგის მამინაცვლის მაგივრად, ბინისაგან, რომელიც მათთვის ტრესტს მიეცა და სახლთან გაშენებული ბოსტიანისაგან, ისე გამოდიოდა, რომ არსებობის პირველ სამ წყაროს გერმანელების შემოსვლისთანავე უდაოდ დაკარგავდნენ. შესაძლო იყო დანარჩენიც დაკარგოდათ.

აგონდებოდა მდინარეზე გადასასვლელთან მოკლული მტკიცე მათი სიბრალულის გრძობის შესახებ. ბავშვზე გადაქონდა და ტირილს იწყებდა. აგონდებოდა ნაამბობი: — გერმანელები უხეშად ეპყრობიან ქალებს და აუპატიურებენო. აგონდებოდა ისიც, რომ თვალადი ქალი იყო და გერმანელები ალბათ იმასაც დაუწყებდნენ დევნას, რის გამოც ხან სასოწარკვეთობას ეძლეოდა და ხან თავს იმით ინუგეშებდა, რომ განზრახ ცუდად ჩაეცივამ, თმასაც სხვაგვარად გაეიკეთებ და ენახოთ იქნებ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროსო.

მეტყვეემ, ვიქტორ პეტროვის მამამ, იცოდა, რომ შინ დაბრუნება სიკვდილს უქადადა. მას რაიონში ცნობილს, როგორც 1918 წელს გერმანელების წინააღმდეგ ნაბრძოლ კაცს, სიკვდილი მოელოდა მის კომკავშირულ ვაჟსაც და, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იცოდა, რომ პარტიულებიდა ვინმე აუცილებლად იქნებოდა დატოვებული არალეგალური მუშაობისა და პარტიზანული ბრძოლების მოსაწყობად. მაგრამ იგი უპარტიო და არც თუ ისე ახალგაზრდა იყო და არც ისეთი მებრძოლი იყო, როგორც ქაბუკობისას. მთელს სიცოცხლეში პატიოსანი რიგითი მეტყვე ვიქნები, სწავლა განათლებას მივსცემ ვაჟსა და ქალიშვილს და აღამიანებად გამოიყვანო. მაგრამ, როცა გულში შეეპარებოდა აზრი იმაზე, რომ შესაძლოა მისი წარსული უცნობი დარჩენილიყო გერმანელებისათვის და იქნებ მისცემოდა შესაძლებლობა ისევე მეტყვედ ემსახურა გერმანელებთანაც, მის გულს ისეთი დარდი და სიძულვილი ეუფლებოდა, რომ მას ამ ვეება და ძლიერ კაცს, უნდოდა ეტირინა, ანდა ვინმესთან ეჩხუბნა.

სწორედ ამ დროს მისი ვაჟი, ვიქტორი, შეუტრაცხოფილი და ნაწყენი

ლი წითელ არმიას. იგი ბავშვობიდანვე ეთავსებოდა წითელ არმიას და მის მეთაურებს. ომის დაწყების დღეებიდანვე ემზადებოდა იმისთვის, რომ ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო, როგორც წითელი არმიის მეთაურს. იგი სამხედრო წრის ხელმძღვანელად იყო სკოლაში, ატარებდა სამხედრო მეცადინეობას და ფიზიკურ ვარჯიშობას წრეში, წვიმასა და ქარიშხალში, ისე, როგორც ამას გვასწავლიდა სუფაროვი. წითელი არმიის დამარცხებებს არ შეეძლო ვიქტორის თვალში დაეცა მისი პრესტიჟი. მაგრამ სწუნიდა, რომ თავის დროზე ვერ მოხვდა მეთაურად წითელ არმიაში, ხოლო ახლა ის მეთაურად რომ ყოფილიყო, ეკვს გარეშეა, წითელი არმია არ ჩავარდებოდა ასეთ მძიმე და საგაღალლო მდგომარეობაში. რაც შეეხებოდა მის ბედს, ამაზე ვიქტორი სრულიად არ ფიქრობდა, იმედი ჰქონდა მამისა და თავისი მეგობრის — ანატოლ პეტროვისა. რომელმაც ცხოვრების ყოველგვარ მძიმე შემთხვევებშიც კი მოულოდნელი და აბსოლუტურად სწორი გამოსავლის პოვნა იცოდა.

მისი მეგობარი ანატოლი კი სულითა და გულით იტანჯებოდა სამშობლოსათვის და ჩუმად იკენეტდა თითებს. მთელს გზაზე სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა უნდა ექნა ახლა მას, ანატოლის? ომის განმავლობაში კომკავშირის ორგანიზაციებში ამდენი მოხსენება წაიკითხა სოციალისტური სამშობლოს დაცვაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერც ერთ მოხსენებაში ვერ შესძლო გამოეთქვა იმაზე უფრო დიდი და აქტიურებული გრძნობა, როგორც იყო მისი, ანატოლის დედა, ტანისა პრაქოფიენა, მთელი მისი ვეება, მსუქანი ტანით, შავგვრემანი, კეთილი სახითა და წარბტაცი უძველესი კაზაკური პანტებით, რომელსაც იგი აკ-

ვანშივე უმღეროდა შვილს. სამშობლოს შეგრძნობა მუდამ ცხელი იქნებოდა მის გულში, და მშობლიურ მიწაზე მოსმენისას, ან გადაშლილი პურის ყანისა და გადამწვარი ქოხის დანახვისას, ყოველთვის ცრემლს აფრქვევდა თვალითაგან. და აი, ახლა მისი სამშობლო იყო ისეთს განსაცდელში, რომ არც მისი ნახვა და არც ფიქრი იმაზე არ შეიძლებოდა გულში მწვავე ტივილის შეგრძნობის გარეშე. საჭირო იყო მოქმედება, მოქმედება დაუყოვნებლივი, მაგრამ — როგორ, სად, ვისთან?

ამგვარი ფიქრი, აღელვებდა ყოველ მის ამხანაგს, ზოგს უფრო მეტად და ზოგს უფრო ნაკლებად.

მხოლოდ ულიას არ ყოფნიდა ძალა ეფიქრნა არც სამშობლო მიწისა და არც საყუთარ ბედზე. ყოველივე ის, რაც მან განიცადა № 1-ბის მალაროს ურნალის შერყევის წუთიდან: საყვარელ მეგობარ ქალიშვილსა და დედასთან განშორებით, ამ გადატყეპნილ ტრამალზე ეს მშობით გადახრეული გზა, და ბოლოს, მდინარეზე გადასასვლელი, სადაც წითელი ხილაბანდით თავწაქრული ქალის ტანის ასისხლიანებული ზედა ნაწილისა და თვალგამოთხრილი ყმაწვილის დანახვით თითქოს განსახიერდა ყოველივე მის მიერ განცდილი, — ყოველივე კვლად და კვალად ხანჯალივით მწვავედ, ხან დოლაბივით მძიმედ ტრიალებდა ულიას სისხლმდინარე გულში. მთელს გზაზე გაჩუმებული და თითქოს მშვიდი, გვერდით მოჰყვებოდა საზიდარს და მხოლოდ მის თვალებში, ნესტოებსა და ტუჩებზე გამოსახული პირქუში ძალის ხაზები ამცავენებდნენ, თუ რა ქარიც დაჰქროდა ტალღებად მის გულში.

სამაგიეროდ ყორა არუთინიანციასთვის სრულიად ნათელი იყო, თუ როგორ იცხოვრებდა იგი გერმანელებ-

თან. იგი მეტისმეტად ავტორიტეტულად ხმაილა მსჯელობდა.

— კანბალები!— განა ჩვენს ხალხს შეუძლია შეურიგდეს მათ? ჩვენი ხალხი, ისე, როგორც წინათ გერმანელების მიერ ოკუპირებულ ადგილებში, უთუოდ იარაღს აიღებს ხელში. მამაჩემი წყნარი კაცია, მაგრამ ეპვიც კი არ მუბარება, რომ ხელს მოჰკიდებს იარაღს, დედა კი ისეთი ხასიათისაა, რომ ისიც აუცილებლად აიღებს ხელში იარაღს. თუ ჩვენი მოხუცები ასე იქცევიან, როგორ-ღა უნდა მოვიქცეთ ჩვენ, ახალგაზრდობა? ჩვენ უნდა აღვრიცხოთ ახალგაზრდობა, არა, ჯერ გამოვავლინოთ და მერმე აღვრიცხოთ, — შეასწორა ყორამ თავისი ნათქვამი, — ყოველი ყმაწვილი, რომელმაც გაქცევა ვეღარ მოასწრო, დაუყოვნებლივ უნდა დაუქვეშდეს არა-ლეგალურ ორგანიზაციას. ყოველ შემთხვევაში, მე ვიცი, რომ კრასნოდონში დარჩნენ ვალოდია ოსმუხინი და ტოლია ორლოვი, — განა ისინი გულზეხელდაკრეფილი იქნებიან? ლუსია, ვალოდიას და, ეს ხომ შესანიშნავი ქალიშვილია, — გრძნობით წარმოსთქვა ყორამ, — ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ იგი გულზე ხელდაკრეფილი არ დარჩება.

ვანია ზემუნხოვემა სათქმელად ისეთი დრო შეარჩია, როცა კლავას გარდასხვა ვერაფერს გაიგონებდა, და უთხრა ყორას:

— ყური მიგდე შე, აბრაგო! პატროსან სიტყვას გაძღვე, ყველანი შენი თანახმანი ვართ, მაგრამ... ენა დააკავე. ჯერ ერთი, ეს ყოველი ადამიანის პირადი სინილისის საქმეა, მეორეც ისა, რომ შენ ხომ ყველას თავდებად ვერ დაუდგები? ერთიც ვნახოთ, ვინმემ შემთხვევით წამოაყრანტალა, რა მოგვივა მაშინ, შენცა და ჩვეიც, ყველას?

— რად მიწოდე აბრაგო? — შეეკითხა ყორა და მის შავს თვალებში რა-

ღაც შთაგონებული თვითკმარყოფილება გამოისახა.

— იცი ვანია, როგორცაა მსჯელობს მუშაობაზე გადავალ, მეტსახელად აუცილებლივ „აბრაგს“ შევირქმევ, — ჩურჩულამდე დაუწია ხმას ყორამ.

ვანია იზიარებდა ყორა არუთინიანციის აზრსა და განწყობილებას, მაგრამ ყველაფერში, რაზედაც ახლა უნდა ეფიქრნა ვანიას, ყოველივეში მძლავრ ნაკადად იჭრებოდა კლავასთან სიახლოვით გამოწვეული ბედნიერება და სიამაყის გრძნობა. როცა იგონებდა თავის საქციელს გადასასვლელთან და კვლავ ესმოდა კოვალიოვის სიტყვები „ვანია, ამათ უშველო!“ და კლავას მხსენლად გრძნობდა თავს. ბედნიერების ეს გრძნობა მით უფრო სრული იყო, რომ მასთან ერთად კლავაც იზიარებდა ამ გრძნობას და რომ არა დარდი მამის გამო, და არა დედის საყვედურიანი მოთქმა, კლავა კოვალიოვა აშკარად და უბრალოდ ბედნიერი იქნებოდა თავის საყვარელი არსების გვერდით, აქ ამ მზით გაყვარებული დონეცის ველ-მინდორში, მიუხედავად იმისა, რომ ცისკიდურზე აქაიქ ჩნდებოდნენ გერმანელთა ტანკების კოშკურები, საზენიტო ქვემეხების ლულები... ამ ოქროსფერ პურის ყანებში მოტორების ღრიანცელსა და კორიანტელში გამოქანებული გერმანელ ჯარისკაცების ჩაჩქნები, ჩაჩქნები, ჩაჩქნები...

მაგრამ საკუთარსა და ხალხის ბედზე ასეთს სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა შორის იყო კიდევ ორი ადამიანი, სხვადასხვა ხასიათისა და ასაკისა, მაგრამ საოკრად მსგავსი ერთი მეორისა იმით, რომ ორივენი ზნეობრივი აღტყინებისა და ენერგიული მოქმედების უჩვეულო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ ადამიანთაგან ერთი იყო ვალკო, მეორე კი — ოლეგი.

ვალკო ერთი სიტყვაძვირი კაცი იყო

და არავინ არასოდეს არ იცოდა, თუ რა ხდებოდა მის გარეგნულად ბოშური შესახედაობის კაცის დაფარულ სულში. მისი ბედი თითქოს ცუდად მოტრიალდა. ამის მიუხედავად მაინც არასოდეს არ უნახავთ იგი ასე ცოცხალი და ხალისიანი. მთელი ეს ამოდენა გზა მან ქვეითად გამოიარა, ყველასთვის ზრუნავდა, სიამოვნებით ესაუბრებოდა ყმაწვილებს, ხან ერთს, ხან მეორეს, და თითქოს ცდისო, მეტწილად ოხუნჯობდა.

ოლეგიც ველარ იცდიდა ბრიჩკაში. თავის მოუთმენლობას იგი ხმაშალდა გამოსთქვამდა, ამბობდა: დედას და ბებიას როდისღა ვნახავო. ყორა არუთუნაინცის საუბრის მოსმენისას სიამოვნებით ისრესდა თითის წვერებს, ხან კი უცებ იწყებდა ვანიასა და კლავას გამოჯავრებას, ან დარცხვენილი, ვნის ბორძიკით ანუგეშებდა ულიას, ხან თავის სამი წლის ძმას ეთამაშებოდა, ხან სიყვარულს უხსნიდა ძალუა მარინას, ხან კიდევ გრძელს პოლიტიკურ საუბარს გაუბამდა ხოლმე პაპას. ზოგჯერ ბრიჩკას გვერდით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა — მღუმარედ, შუბლზე მკვეთრად ჩამოდარული სწორი ნოკებით, თითქოს დიმილის ოდნავი გამონაკრთომით დამშვენებული მსუქან ტუჩებით, შორეულისაქნ მიპყრობილი, ღრმად ჩაფიქრებული ერთსა და იმავე დროს კუშტი და ნაზი გამომეტყველი თვალებით.

ერთი გადასარბენიდა დარჩენოდათ მათ კრასნოდონამდე, როცა გერმანელთა რომელიღაც მომგერიებელ რაზმს წააწყდნენ. გერმანელმა ჯარისკაცებმა საქმიანად, ასე გასინჯეთ არა უხეშად, არამედ სწორედ საქმიანად გასჩხრიკეს ორივე საზიდარი, მარინასა და ულიას ჩემოდნებიდან წაიღეს აბრეშუმის ყველა ტანისამოსი, ვიქტორის მამასა და ვალკოს გახადეს ჩექმები და ვალკოს ამის გარდა წაართვეს ოქროს ძველი საათიც, რომელიც,

მიუხედავად მდინარეში მისდა უნებურად ბანაობისა, მაინც შესაბრუნებელი მუშაობდა.

იმ სულიერი მღელვარების გარდა, რაც მათ გერმანელებთან ამ პირველი უშუალო შეხვედრისას განიცადეს, მეტსაც მოელოდნენ. ეს მოლოდინი ახლა ერთიმეორეს წინაშე სირცხვილის გრძნობამ შესცვალა და შემდეგ არაბუნებრივადაც გამხიარულდნენ, — ერთმანეთს გერმანელების მიერ საზიდრების განხრეკის განსახიერებაში ეცილებოდნენ — აჯავრებდნენ აბრეშუმის წინღების გამო ეგრე დალონებულ მარინას და ბოლოს თვით ვალკოცა და ვიქტორის მამაც არ დაზოგეს. რადგან ბრიჯსა და ჩუსტების ამარად დარჩენილებს თავი სხვებზე მეტად ერცხვინებოდათ. მხოლოდ ოლეგი არ იზიარებდა ამ ყალბ მხიარულებას. მის სახეს დიდხანს არ მოშორებია ის მკაფიო და მრისხანე გამომეტყველება.

კრასნოდონს ღამით მიაღგენ, მაგრამ ვალკოს რჩევით, რომელიც ვარაუდობდა, რომ ღამით ქალაქში მოძრაობა ალბათ არაძალადი აქნებოდა. ქალაქში არ შესულან, ღამის გასათევად ხევში დაბანაკდნენ. მთვარიანი ღამე იყო. ყველა ისე იყო აღელვებული, რომ დიდხანს ვერ დაიძინეს.

— ამხანაგო ვალკო, მინდა ერთ რამეზე მოგელაპარაკოთ, ძალიან მინდა, — სთქვა ოლეგმა ხმადაბლა, ვნის ოდნავი ბორძიკით.

— კარგი. — მიუგო ვალკომ, — ოლონდ ფეხზე დგომელა უნდა ვილაპარაკოთ, რადგან მიწა სველია, — გაიცინა მან.

— დამეხმარეთ, რომ ქალაქში ვინმე ჩვენი არალეგალურად მომუშავეთაგანი ვიპოვო, — სთქვა ოლეგმა და ვალკოს შერდილ წარბების ქვეშ ჩამუშებულ თვალებში ჩააჩერდა.

ვალკომ თავი მალა აიღო და ერთხანს დაკვირვებით ათვალთვრებდა ოლეგის სახეს.

მის წინ ახალი, ყველაზე უფრო ნორჩი თაობის წარმომადგენელი იდგა.

თითქოს ერთიმეორესთან ყველაზე უფრო შეუთავსებელი თვისებანი — ოცნება და სინამდვილე, ფანტაზიის ქროლვა და პრაქტიციზმი, კეთილისადაც სიყვარული და შეუბრალებლობა, სულის სილამდე და ფიზიკური ანგარიში, ქვეყნიური სიხარულისადაც მგზნებარე სიყვარული და თვითშეზღუდვა, — ერთი შეხედვით, ეს თითქოს შეუთავსებელი თვისებანი კვმნიდნენ ამ თაობის განუმეორებელ სახეს.

სიშართლე რომ ითქვას, ვალკო კარგად არ იცნობდა ამ ახალგაზრდას, მაგრამ მაინც სჯეროდა მისი.

— არალეგალურად მომუშავის მსგავსი ვინმე უკვე ნამოწნი გყავს, — სიცილით სთქვა ვალკომ, — ხოლო რა უნდა ვაკეთოთ მომავალში, ამაზე მოდი ახლავე მოვილაპარაკოთ.

ოლეგი ჩუმად იდგა და ელოდა, თუ რას ეტყოდა ვალკო.

— ვხედავ, შენ ეს დღეს როდი გადაგიწყვეტია, — სთქვა ვალკომ.

ვალკო მართალი იყო. ის იყო, წამოიჭრა თუ არა უშუალო საფრთხე ვოროშილოვგრადისათვის, ოლეგმა დედას დაუმალა თავისი განზრახვა და ისე წაივინა პირველად კომკავშირის რაიკომში, სთხოვა ამხანაგებს, რომ იგი არალეგალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში გამოეყენებინათ.

მაგრამ აწყენინეს, როცა მიზეზის განუმარტავად დაახლოვებით შემდეგი უთხრეს:

— ვი რა, ყმაწვილო, აიკარი შენი გულა-ნაბადი და გასწი აქედან, ოღონდ, რაც შეიძლება, ჩქარა.

მან არ იცოდა, რომ კომკავშირის რაიკომს არ ჩამოეყალიბებინა თავისი არალეგალური ჯგუფები, ხოლო ის კომკავშირელები, რომლებიც არალეგალური ორგანიზაციის განკარგულებაში დასტოვეს, უკვე წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი. ამიტომაც ის

პასუხი, რომელიც მან რაიკომში მიიღო, არა თუ არ იყო უტყუარებით ამხანაგის მიმართ, მაგრამ უტყუარ ყურადღებასაც გამოხატავდა. და აი, კიდევ გაემგზავრა.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მდინარის გადასასვლელზე დამთავრდა პირველი დამაბული ამბები და ოლეგისათვის ნათელი შეეჩნა, რომ წასვლა ვეღარ მოუხერხდა, მას გაუელვა აზრმა: ახლა კი განზორციელდება ჩემი ოცნებაო! ახლა გულს მოეშვა გაქცევისას, დედასთან განზორცილისა და საკუთარი ბედის გაურკვეველობის მთელი სიმძიმე, და მთელმა მისმა სულიერმა ძალამ, მთელმა მისმა გზნებამ, ოცნებამ, იმედმა, ჭაბუკობის მთელმა ვნებამ და მისწრაფებამ, — ყველა ამით ერთბაშად თავისუფლად იფეთქეს.

— შენც იმიტომ მომიდექი ასე, რომ ეს საქმე მტკიცედ გადაგიწყვეტია, — განაცხობდა ვალკო. — მეც ასეთი ხასიათისა ვარ. ჯერ კიდევ გუშინ — მოვლივარ და სულ იმას ვფიქრობ: როგორ ავაფეთქებ მაღარო, ვხედავ როგორ იხვევს ჯარი უკან, როგორ წვალობენ ლტოლვილები და ბავშვები და გული ისე ჩამომეხურა! — უჩვეულო გულახდილობით ლაპარაკობდა ვალკო, — თითქოს უნდა გამხარებოდა, რომ ცოლშვილს ვნახავდი, ომის დაწყებიდან არ მინახავს ისინი, გული კი შეუზნებოდა: „დიად... თუ მოასწარი, თუ მოასწარიაო... თვითონ კი ვფიქრობ: „უთქვამთ მოვასწარი, მერმე რა იქნება?“ ასე იყო გუშინ. დღეს რაღაა? ჩვენმა ჯარმა დონი გადალახა. ჩვენ გერმანელებმა ჩაგვივადეს ხელში. ოჯახს ვერ ვნახავთ, იქნებ ვერასოდეს ვერ ვნახო. გულს კი თითქოს მომეშვა. რატომ? იმიტომ, რომ ახლა მე ჩუმაკით ერთი გზა მაქვს და ეს შთავარია ჩვენი სთანებისათვის.

ოლეგი გრძნობდა, რომ ახლა კრასნოდონთან ხევში წარმტაც ბრძვევილა მთვარის შუქზე, ეს მრისხანე, თავშე-



კაცული, ბოშასავეთ წარბშეკრული კაცი, ესაუბრებოდა მას ისე გულითადად, როგორც შესაძლოა, არასოდეს არაფისთან უსაბურნია მას.

— აი რა ვითხრა: ამ ყმაწვილებთან კავშირს ნუ შეწყვეტ, ესენი ჩვენი ყმაწვილები არიან, — ამბობდა ვალკო. — თავს ნუ ვაამქლავნებ, ზოლო მათთან კავშირი კი იქონიე. თან შეიგულე კიდევ სხვები, საქმისათვის გამოსადეგი ყმაწვილები, უფრო მტკიცენი, ოღონდ, ვახსოვდეს, ჩემი ცნობის გარეშე ნუ რაფერს გადასწყვეტ. — ჩავარდები მე თვითონ გეტყვი, როდის რა უნდა გააკეთო.

— იცით, ვინ არის ქალაქში დატოვებული? — შეეკითხა ოლეგი.

— არ ვიცი, — გულახდილად გამოტყდა ვალკო. — არ ვიცი, მაგრამ მოვნახავ.

— შე როგორღა მოგნახოთ?

— ჩემი მონახვა არ გინდა. ბინა რომ მქონდეს, მაინც ვერ გეტყვი, ბინა კი, მართალი ვითხრა, ჯერ არა მაქვს.

სამწუხაროდ მიაჩნდა ყოფილიყო ქმრისა და მამის დაღუპვის მათუყებელი, მაგრამ ვალკოს მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ პირველ ხანებში შევეცობის ოჯახში დამალულიყო, სადაც მას იცნობდნენ და უყვარდათ იგი. ისეთი ანცი გოგონას დახმარებით, როგორც ლუბკა იყო, იმედი ჰქონდა კავშირი გაება და ბინაც ემოვნა, უფრო მიყრუებულ ადგილას.

— უმჯობესია, შენი მისამართი მომეცი, მე თვითონ მოგნახავ.

ვალკომ რამდენჯერმე ხმამაღლა გაიმეორა ოლეგის მისამართი, ვიდრე არ დაიზებოდა.

— ნუ გეშინია, მოგნახავ, — ეუბნებოდა ვალკო. — და თუ ჩქარა ვერა გაიგო რა ჩემს შესახებ, ლაყბობა არ დაიწყო, მაინც მელოდე... ახლა კი წადი, — უთხრა ვალკომ და განიერი ხელისგულით ნელა მხარმარცხნით

უბიძგა ოლეგს.

— მადლობელი ვარ, მაგრამ... — საგონად მიუგო ოლეგმა.

აუხსნელი მღელვარებით, რომელიც თითქოს თავისთავად მიაქროლებდა მას ამ დაცვარულ ბალახში, ბანაკს თანდათან უახლოვდებოდა. ყველას ეძინა, მხოლოდ ცხენები ახრამუნებდნენ ბალახს. ვანია ზემუნხოვი, კეფაზე მოგდებული კებით, მუხლებში ხელჩაჭიდებული იჯდა მძინარე კლავისა და მისი ღედის გვერდით.

„ვანია, საყვარელო მეგობარო“, — გაიფიქრა ოლეგმა იმ გულჩვილი გრძნობით, რომლითაც იგი ახლა გამსჭვალული იყო ყოველი ადამიანის მიმართ, მერმე ამხანაგს მიუახლოვდა და მის გვერდით სველ ბალახზე ისიც დაჯდა.

ვანიამ მისკენ მოაბრუნა მთვარის შუქით მიბნედილი სახე.

— როგორაა საქმე, რა ვითხრა? — მკვირცხლად ჰკითხა ვანიამ.

— რაზე შეკითხები? — უთხრა ოლეგმა გაკვირვებით და იმავე დროს დაბნევით.

— რა სთქვა ვალკომ, იცის თუ არა რამე?

— ოლეგი გაუბედავად შესცქეროდა მას.

— კეკემაღლელობის თამაშს ზომ არ აპირებ ჩემთან? — გულნატკენად უთხრა ვანიამ. — პატარანი როდი ვართ.

— როგორ, გაიგე? — ჩურჩულით შეეკითხა ოლეგი, და თანაც სულ უფრო გაკვირვებული, თვალდაპყეტით შესცქეროდა მეგობარს.

— არც თუ ისე ბრძნული რამ არის შენი არალეგალური კავშირის გაგება, ისეთივეა, როგორც ჩემი, — სიცოლით უთხრა ვანიამ, — ნუთუ გგონია, რომ მე არ მიფიქრია ამაზე?

— ვანია!... — ოლეგმა დიდრონი ხელები ჩაივლო და მაგრად მოუჭირა ზემუნხოვის წვრილ ხელს, რომელმაც უმაღვე ენერგიული მოქერითვე უმა-

სუხა მას. — მაშ, ასე, ერთად, არა?

— რა თქმა უნდა, ერთად.

— სამუდამოდ?

— სამუდამოდ!—წარმოსთქვა ვანიამ ძალზე ხმაშაღლა და დინჯად, — ეიღერე სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში.

თვალგაბრწყინებული შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— აი რა, ვალკომ ჯერ არაფერი იცის. მაგრამ—ვიპოვნო, სთქვა, — იპოვნის კიდეც, — თავმომწონედ ამბობდა ოლეგი, — გაფრთხილებ, ქვემო ალექსანდროვკაში არ დაბანდდე...

— ფიქრი ნუ გაქვს, — თავის მტკიცედ გაქნევით განაცხადა ვანიამ, თან, ცოტა არ იყოს, შერცხვა, — მხოლოდ დავაბინებ და...

— გიყვარს? — გადაიხარა მისკენ და ჩურჩულით შეეკითხა ოლეგი.

— ვანა ასეთ რამეზე ლაპარაკობენ?

— არა, ნუ კი გრცხვენია. ეს ზომ კარგია, ძალიან კარგი. იგი ისეთი მშ-ვენიერია! შენ კი... შენზე, აბა რა უნდა ვთქვა, სიტყვაც ვერ მიპოვნია, — სახზე და ხმაში გულუბრყვილობისა და ბედნიერების გამოხატვით ამბობდა ოლეგი.

— დიად, რამდენი რამე უნდა განვიცადოთ ჩვენ და, საერთოდ, ყველა... ცხოვრება მაინც წარმტაცია, მიმზიდველი, — წარმოსთქვა ბეცმა ვანიამ.

— მა-ართალია, მარ-თალი, — მიუგო ოლეგმა ენის ბორძიკით და ცრემლი მოსწყდა თვალთაგან.

ერთ კვირაზე ცოტა მეტი ხანა გავიდა მას შემდეგ, რაც ბედმა ტრამალში შეპყარა ყველა ეს სხვადასხვაგვარი იდამიანი, ყმაწვილებიცა და მოზრდილებიც. მაგრამ აი, უკანასკნელად ყველა ისინი ერთად გაანათა ტრამალზე წამომდგარმა მზემ და ისე მოეჩვენათ, თითქოს უკან რჩებოდა მთელი მათი ცხოვრება, — ისეთი სითბოთი, წუხილითა და მღელვარებით აივსო მათი გული, როცა განშორების წუთი დადგა.

— ყმაწვილებო და გოგონებო... — უნდოდა დაეწყო ბრიჯისა და ჩუსტების ამარად მარტო მდგომ ვალკოს რაღაც სიტყვა, მაგრამ შავი ხელი ჩაიქნია და არაფერი არა სთქვა.

ყმაწვილებმა მისამართი მისცეს ერთმანეთს, პირობა დასდეს, რომ კავშირს ვიქონიებთო და ისე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც ისინი ტრამალში სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, კადვე დიდხანს ხედავდნენ ერთმანეთს, თითქოს თვალთ მიეფარნენო, მაგრამ არა, აი, რომელიმე მათგანი აიქნევს ხელს, ან ცხვირისახოცს, შემდეგ, კი ზედიზედ, თანდათანობით თვალთ მიეფარნენ ბორცვების, ან ხეების იქით, თითქოს ამ დიდსა და საშინელ წელს, ამ მოვლვარე მზეში, არც კი ყოფილიყოს ეს საერთო გზა.

ასე გადასდგა ფენი ოლეგ კოშკვოიმ გერმანელების მიერ დაკავებულ შობლიურ სახლის ზღურბლზე.



(გაგრძელება იქნება)

თარგმანი კოლიო აპრაშინასი.

თამარის ხილი

ბალადა

გრიგოლ ხვინჭავაძე



სარფიდან
ტრაპიზონამდე,
ნისლი მთით მთაზე გადადის,
ვით მწირი, მიუსაფარი,
მოუსვენარი მარადის.

აღბათ თუ რაღაც განგებით,
უყვარს და ელამაზების,
ნაბანი შავ ზღვის ტალღებით
ადგილ-მამული ლაზების.

ძველთაგან დიდად ქებული
აქ უთვალავი რამ არის,—
მათ შორის, ხაესმოდებული,
ერთი ხილია თამარის.

ხიდქვეშ ჩქეფს მკვირცხლი მდინარე,
რაა, არ იცის მან ძილი;
მან რბენით გამოიარა
საუკუნეთა მანძილი.

იძისი ვერცხლის ზვირთები
ხიდს შესთამაშებს ალერსით;
მოკრძალებით და რიღებით,
ტრფიალით უმხურვალესით.

მთვარეში უცხო სახეება
ამოიხედავს დელიდან,
ხიდის ფუძეზე ეხება
წარწერას სათუთ ხელითა.

იმედი გაუბრწყინდება
მიდამოს ნისლში მძინარეს.

ძველ საქართველოს დიდებას
ამოიკითხავს მდინარე:

„მზიურ კოლხეთის მარჯვენა,
ეს მხარე ერთ დროს ყვაოდა.
მტერს ბევრჯერ ძალა აჩვენა,
მან მტერი ბევრჯერ აოტა.

აქ ბევრი თავგანწირული
ემსხვერბლა დაცვას კერისას.
არ თმობდა გული გმირული
თავისუფლებას ერისას.

მაგრამ ღრუბლებმა მოიცივეს
დათალხეს მთა და ველები:
სძლია ვაეკაცთა სიმტკიცეს
სიმრავლემ დამპყრობელების“...

არც დღე ისვენებს, არც ღამე,
ნისლი მთით მთაზე გადადის,
მრავალ ვიების მოწაშე,
მოუსვენარი მარადის.

მდინარე დენას აგრძელებს,
ხიდიც დგას ხავსმოდებული,—
და აცხადებენ სახელებს
ყველა გმირ-თავდადებულის.

ძველი ლაზების მამული
ნახულობს ნანატრ ზმანებას;
დუხჭირ დროებით ჩაგრული
ისევ გრძნობს ამპარტავენებას.

მ რ ი ძ მ ა

დავით სალიაშვილი



მატარებელმა დგრიალით გადასქრა ლიანდაგის ისრები. საღვურის წინ გაწერდა. შიშივე კალათებით და ზურგზე მოკიდებული ტომრებით დატვირთული ქალები თუ კაცები სათითაოდ ჩამოცვივდნენ კიბეებზე. ბაქანზე დამხდურებს შეერივნენ. საღვურის მეორე მხარეს გავიდნენ. მცირე ნაკადებით ქაზილითა და სირბილით ბაზრისკენ გაეშურნენ.

— აგერ ისინი!—წამოიძახა ერთმა მგზავრმა.

— ვინ ისინი?—შეეკითხა გვერდში მომავალი.

— ორი ძმა! არ გაგიგონია მათი ამბავი?

— არა! რა ამბავი?

— ჯერ შეხედე! შეხედე!

ამ ბაასმა ჩემი ყურადღება მიიბყრა. იქით გაიხედე, საითაც ის უთითებდა. არეულ ხალხში ერთი გლეხი მეორეს ისე აზლო მისდევდა, როგორც ნემსის ყურწში გაბმული ძაფი. დაბალი ტანის, წინმიმავალი კოკლოებით მიდიოდა. მის ზურგთან მიკრული ძმა, მაღალი და მაზარაში გამოწყობილი, მთვარეულივით უკან მიყვებოდა. ფეხ-აქ ძმის ნაკვალევში დგამდა. გრძელი მკლავები მოტეხილი ტოტებივით ეკიდა მხრებზე. ღილებზე შეკრული მაზარა, მუხლებზე ეფინებოდა. დაბრილი წამწამებით, შავი, ოდნავ ელამი თვალებით — ძმის კისერს უმოძრაოდ

მიშტერებოდა. მოღუნებული, უსიცოცხლო ნაბიჯით ძლივს მიათრევდა ფეხებს. თუ შეჩერდებოდა წინმიმავალი, ისიც შედგებოდა. უკან ამოუდგებოდა, მიჩნეულ წერტილს თვალს არ ამორებდა. გადადგამდა თუ არა პირველი ნაბიჯს, ისიც უკან აედევნებოდა, არ სცილდებოდა.

— ორივე ფრონტიდან არიან დაბრუნებული, — ეუბნებოდა პირველი მგზავრი მეორეს.—წინ მიმავალი უფროსია, ის უფრო ადრე მივიდა ოჯახში.

— მერე რა დაემართათ?

— უმცროსი ძმა უცნაური ავადმყოფობითაა დაავადებული. ჰხედავ როგორ მისდევს ძმას და თავს არ ანებებს? მთელი დღე არ შორდება. სადაც წავა, თან მიყვება. რომ დაწვება ისიც უკან მოუწვება. როცა ადგება, ისიც მაშინ ადგება. სადაც წავა, თან გაყვება.

— საკვირველია! არაფერს ამბობს?

— მას შემდეგ, რაც დაბრუნდა, ხმა არ ამოუღია! თითქოს ამ ქვეყნად არ იყოს. სდუმს მაშინაც, როცა მის შესახებ ლაპარაკობენ. მუდამ წყნარი და მშვიდია. როცა მისი ძმა ქორწილში დაპატივეს, ისიც თან გაჰყვა, ხოლო სუფრასთან კი არ დაჯდა. ძმას აყვუდა ზურგში და უძრავად იდგა, სკამს უკან, ვიდრე ქეიფი არ გათავდა. ძმა თუ მიაწვდიდა საჭმელს, ისიც გამოართმევდა. უგემურად დაუღებავს ყლაპავდა...

— ახლა სად მიდიან?

— ბაზარში, ალბათ! უფროსი ძმა მოვლას არ აკლებს, რძალიც ძალიან ყურადღებით ეტყევა.

გრძელი შარავნა ბაზრამდის შენობებს მიხდევდა. გამვლელები ყველა მათ აკვირდებოდნენ. ნაბიჯს შეანელებდნენ. უმცროს ძმას შეხედავდნენ. თავს გააქნევდნენ და ისევ მივლიდნენ.

ამ ამბავმა ისე წაიღო ჩემი ფიქრები, რომ საკუთარი საქმე დამავიწყებინა. მათკენ წავედი. გვერდზე ჩავუარე. ნაბიჯი შევანელე და უკან გავყვი.

უფროსი ძმა, თუმცა კოჭლობით, მაგრამ მხნედ და ენერგიულად მიდიოდა. თვალეებში სიცოცხლე არ აკლდა. გამვლელების ყურადღება რომ მათკენ იყო მიმართული, თითქოს ამით მედიდურობდა, — ძმა რომ უკან მისდევდა, — ამყობდა. გამვლელების შეკითხვებზე გულმოდგინედ პასუხობდა. ჯოხს მარდად ატრიალებდა. ვაშლს რომ იყიდდა, ძმასაც მიაწვდიდა.

დამწუხრებელი, მოწყენილი, ძირს-დამშებული თვალებით მიყვებოდა უკან უმცროსი ძმა. არსით არ გაიხედავდა. ვერავის ამჩნევდა. გაპარული ლოყები, შავი უღვაშები და ხშირა, გადაბმული წარბები — სახეს უმშვენიებდა. გამხდარი, სუსტი აგებულების ტანით და ნაზი გამოხედვით — მიგიზიდავდა. მშვიდი და წყნარი, თითქოს არასდროს არ განეცადოს ტკივილები, არ გაველოს ტანჯვა... არაფერი სურვილი და ნატვრა, არც რაიმე მიზანი და მისწრაფება მის სახეზე არ იყო აღბეჭდილი. ძმასთან ყოფნით, მასთან სიარულით კმაყოფილდებოდა მისი ცხოვრების წყურვილი.

ბაზრიდან მომავალმა ნაცნობმა თუ ნათესავმა შეაჩერა ისინი. ჩვეულებრივად მოიკითხეს ერთმანეთი ოჯახობით, ნათესაობით, ყოველი კეთილთა და საქონლით. მალე უმცროსი ძმის ამბავზე გადავიდნენ.

— რა ვიცი ასე კია და! შინ რომ დავბრუნდი, მაგის შესახებ ვეღარც არაფერი ვიცოდით. აბი ვერც ვიცი რაიმე ცნობა არ მოგვევლია. ომი გათავდა, ეგ მაინც არ სჩანდა. ვიფიქრე, — ალბათ მაშინ დაიღუპა, მე რომ მარცხენა ფეხში დამჭრეს-მეთქი.

— თქვენ ერთად იყავით? ერთად ომობდით?

— ერთად წაგვიყვანეს. ერთ პოლკში მოვხვდით. არც დაცვილებივართ ერთმანეთს. ერთად ვიბრძოდით. ერთად გვეძინა, ერთად ვჭამდით და ვსვამდით... მე რომ ფეხში დავიჭერი, ეგეც იქ იყო მაშინ!

— შერე, ეგ გადარჩა?.. თუ?..

— გადარჩა? რა ვიცი! იმ დილას ჩვენი ათეულის უფროსს გამოუძახეს, — დაგვეაღეს მტრის ბანაკისაკენ წავსულიყავით და იქ, მდინარის პირად მცირე აბურცული გორაკი დაგვეკავებინა. ეს გორაკი ჩვენი ბანაკიდან ხელისგულივით მოსჩანდა, სულ ორიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა.

თოვლი ნელი ფარფატით გაყუჩებულ მიდამოს თეთრ ზეწარს პღენდა. მტრედისფერი, ბურუსით მოცული დილა მშვიდად სუნთქავდა. გაყინული მდინარე წყნარად, შორეული ბუბუტით, მიედინებოდა.

ეს მანძილი გორაკამდის ისე უნდა გაგვევლო, თითქოს ერთმა კაცმა გაიარაო. ამისთვის კოჭამდე მოფენილი ფიფქი თოვლი ხელს გვიწყობდა. თვითულ ჩვენგანს წინ მიმავალის ნაკვალევში უნდა ჩაედგა ფეხი.

წეროებივით დავმწყრივდით. წინ ათეულის უფროსი მიდიოდა, შემდეგ მე. უკან ჩემი ძმა მომყვებოდა, დანარჩენები მას მოსდევდნენ. დავალება ზუსტად და ფრთხილად უნდა შეგვესრულებინა. გვახსოვდა მხოლოდ ბრძანება და სხვა არაფერი. გვერდზე ვერ მოიხედავდი. მხოლოდ წინ მიმავალისთვის უნდა გემზირა.

უხედავდი ჩემი უფროსის თოვლით დაფარულ სამხრეებს მაზარაში შემკიდრობებულ ზურგს და თოვლიან ჩექმებს, მისი ფეხის გადადგმასთან ერთად ფიფქი თოვლის აბნეული ნამცეცები იქვე იფანტებოდა. წვრილსა და სწორ ხაზებს სტოვებდა. ისეთ ნაბიჯებს ვდგამდი, რომ მარჯვენა ფეხის ჩექმა მის მარჯვენა ნაკვალევში ჩამდგარიყო, მარცხენა კი მარცხენაში.

გარემო ისეთი ღუმლით იყო მოცული, როგორც თოვლით მოფენილ ტყეში სუფევს ხოლმე ზამთარში. შორს პირდაპირ კი—მტრის ბანაკი... სიჩუმეა.

მივდიოდით და ვფიქრობდი ნაკვალევს არ ავცდნოდით, თორემ წრეს დავარღვევდი და მსულელობასაც შევაფერხებდი... თითქოს გზა ვაგვიგრძელდა, დავიღალე კიდეც. უცბად წავიფორხილე, და წონასწორობას დავკარგავდი კიდეც, რომ ჩემს ძმას მარჯვენდ არ მოველო ხელი ახმაურებულ კარდალასათვის. ამ დროს საშინელი გრუხუნის გაისმა და... აღარ მახსოვს არაფერი...

ეს იყო ჩემს ძმასთან უკანასკნელი ყოფნა. საავადმყოფოში გამეღვიძა, თვალი ავახილე თუ არა, მწარე ტკივლი ვიგრძენი—მარცხენა ფეხი გამშეშებოდა.—გვერდზე ვეღარ ვბრუნდებოდი. ბურუსი თანდათან სცილდებოდა გონებას, მომაგონდა თოვლში წეროებივით ჩვენი გამწკრივებული სიარული, ჩემი ძმა და შემდეგ კი აღარ მახსოვდა არაფერი.

სანიტრები მოსულიყვნენ და საავადმყოფოში მივეყვანეთ. ის კი, სად წაიყვანეს, სად მოათავსეს, არ ვიცი... თუ ისევ ფრონტზე უკრეს თავი, ან სხვა რამე შეემთხვა, არ ვიცი... იმ

დღიდან ამის შესახებ არაფერი ვიცოდი...

ეროვნულში

შინ რომ დაებრუნდებოდი, გეხსენებოდა. რამდენიმე თვეც გავიდა.

ერთ დღეს გავიხედე და ჩემ ეზოში ორი კაცი შემოვიდა. ერთი მათგანი მომიახლოვდა და მითხრა:

— ეს თქვენი ძმაა. აქნამდის მოსპიტლში იწვა. ექიმებმა ვერაფერი გაუხვეს, ვერ მოარჩინეს, ხმას არ იღებდაო... ახლა შინ გამოგზავნეს, იქნებ აქ მორჩესო...—დაათავა მომცილებელმა.

ჩემი ძმა დიდხანს იღვა ერთ ადგილას გაშტერებული, თითქოს ფეხი უნდა გადაღვას, მაგრამ ეშინია უფსკრულში ჩაეარდნისაო.

გადავეხვიე, გადავკოცნე, შევანძირე, შევეკითხე.

— სად იყავი აქნამდის, რატომ არაფერს გვატყობინებდი-მეთქი. უმოძრაოდ იღვა კიდეც ერთხანს, მერე ძირს დახრალი თვალები მომაქვდა, ნელა გაიღიმა, ჩემსკენ წამოვიდა, ჯერ გვერდში დამიდგა, მერე შინსკენ რომ მივბრუნდი, ის ზურგში ამეკრა და მას აქეთ ასე დამდექს უკან, არ მცილდებოდა, სადაც წავალ, თან მომყვება... ყველა ასე მეუბნება,—დრო გაივლის და გაუქვლისო...

ღუმელი ჩამოვარდა, გარშემორტყმული ხალხი ყველა უმცროს ძმას უმზერდა.

— რა ვაქაცია!.. აფსუს!.. რა შავი თვალები აქვს...—ამბობდნენ გოგოები.

— იქნებ მალე გამოკეთდეს! — უთხრა ნათესაებმა და გამოემშვიდობა.

— გამოკეთდებაო, ასე ამბობენ ექიმები! — სთქვა უფროსმა. თავი გაიქნია, მოტრიალდა და წავიდა.

უკან უმცროსი აედევნა. ფეხიც მის ნაკვალევს მიადევნა...

სურათი

ვლადიმერ თორღვა



ქარი ჰქროდა. თოვლის კორიანტელი იდგა. ღამის მყუდროებაში შორეული სროლის გამოძახილი და „მესერაშვიტის“ ზუზუნის ისმოდა.

— აქ შევისვენებთ! — სთქვა მაიორმა და ჩვენმა კარტოგრაფთა ჯგუფმაც გადასწყვიტა ღამის გათევა მიხაილოვოში.

გერმანელთა უკანდახევის შემდეგ ამ სოფლისაგან დაჩენილა სამიოდე ქოხი, გუმბათგადანგრეული ეკლესია და ფრთამოტეხილი ქარის წისქვილი.

ქოხისაყენ გავემართე. ფეხი მოშორებით იდგა, შემალღებულ ბორცვზე, თოვლით დაყურსული.

კარებთან შეედექი. მივაყურადე. მომეჩვენა, რომ ამ ქოხში სიცოცხლის ნიშანი არ იყო. მაინც დავაკაკუნე. არაფერ გამომხმალურება.

ქარი მხვევდა თოვლში და ვითომებოდი.

ისევ დავაკაკუნე.

— ვინ არის? — მომესმა მოხუცი ქალის შემკრთალი, ნაძინარევი ხმა.

— ნუ გეშინია, დედი, თქვენთან ვარ, რუსი ჯარისკაცი. თუ შეიძლება ღამე გამათევინოთ?!

ტახტი აპრიალდა. ვილაც ჩიფჩიფით წამოდგა ლოგინიდან და ჩუსთების ფლასტუნით კარისაყენ წამოვიდა.

— ო... ო, ღმერთო, გაიყინებოდით. შემოდით, ჩქარა შემოდით, — აღუღუნდა დედაბერი კარის ვალებსთანავე.

ქოხიდან გამოვარდნილი ბული გარედ გაიქრა, ქარს გაჰყვა, შეუერთდა ნისლსა და კორიანტელს.

პირველი, რამაც შესვლისთანავე გამახარა, რუსული ქოხის სითბო იყო.

— მშვიდობა აქა! — წავიდულენე და ჯიბის სანათური ერთ კუნჭულს მივაშუქე.

— ნუ, ნუ, ღეთის გულისათვის. კიდევ დაფრინავენ! — გამაფრთხილა დედაბერმა, რომელიც მაშინვე დაბრუნებოდა თავის ლოგინს. — კედელთან, მარჯვნივ თევია. გაშალე და დაწე!!

უსიტყვოდ ჩავაქრე სანათური და ბნელში ხელების ფათურით, ოდნავ დახრილმა, გზა გავიკვლიე ოთახში.

ფეხქვეშ თევამ გაიშრიალა. გავშალე. ზედ მოსასხამი დავაფინე, მაზარა წამოვიხურე, შაშხანა ჩავიხუტე და თვალები დავხუტე.

„ვინ არის კიდევ ამ ქოხში?“ — გამოივლია უცებ.

საღლაც კუთხეში თავგმა გაიწრიბინა. აზუზუნდა ფანჯარაში შტომპრილი ქარი. აქმინდა უკვე ძილში წასული დედაბერი. მაგრამ ეს ვისი ხმა

ისმონდა ღუმელის თაროდან? — ეს საგონებელში მაგდებდა.

თავი წამოვწიე, სუნთქვა შევწყვიტე. ერთი სიტყვაც ვერ გავარჩიე. მგონი კი ქალი უნდა ყოფილიყო.

ქალის მოგონებამ ათასგვარი ფიქრები აღმოძრა. იქნებ, მეთქი, ჯიფიქრე, — იგი წვეს ქმართან, მის მკლავზე თავი დაუდვია და ალერსით ეჩურჩულება. და უნდა გამოეტყვდე — შემურდა კიდევ ეს ოჯახური მყუდროება თბილ ქოხში.

კვლავ მესმოდა გაურკვეველი, იღუმალის ჩურჩული და მთელი ღამე არ მასვენებდა.

როგორც კი გათენდა და წამოვდექი, ღუმელის თაროსაკენ მივიხედე. — დავინახე თმაგაწეწილი, თვალეზიანა და მამბული ახალგაზრდა ქალი. იგი წამომგდარიყო, თავდახრილს გულისპირი გაეხსნა, ცალ ხელში ძუძუ დაეკავებინა, ხოლო მეორე თითქოს ვიდაციასათვის შემოუხვევია და იმ ვიდაციას ეჩურჩულებოდა იმავე ნელი, გაურკვეველი ხმით.

ჩემს დანახვაზე სახე გაუბრწყინდა, მუდარის თვალეზი მომაპყრო და წამჩურჩულა: „ვერ დამხატავ?“

გაოცებისაგან აღარ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

— ვინ უთხრა მას, რომ ხატვა ვიცი?! — ჩავილაპარაკე და გადავხედე დედაბერს, რომელიც ღუმელს შეშას უკეთებდა.

— ეეჰ, შეილო, იგი ყველას ასე ვხევწება გათენებისას! — მითხრა დედაბერმა. მერე წამოდგა, ხელი მომიკიდა, ფანჯარასთან მიმიყვანა და გამახედა: ტოტებშელეწილ არყის ხესთან ღუმელის ნანგრევი მოსჩანდა.

— აი მისი ნასახლარი, — გაწაგრომან, — ერთხელ, დამეფიქრებდა რომ დაბრუნდა, — პარტახმეცხე ქალიოდა, შეილო, — ფერფლი და ნაცარიოდა დახვდა... .

— დამხატე, შენი ქირიმე, დამხატე, თორემ წავა და, ვინ იცის, როდისლა დაბრუნდებ! — ისევე აჩურჩულდა ქალი.

ჩემს სულში შემოიჭრა მისი უცნაური სახე, — თვალიც რომ დამეხუჭა, მგონი, მაშინაც კი დავხატავდი.

ხატვა დავამთავრე, კმაყოფილი დავრჩი ჩემი ნამუშევრით — თითქოს კარგი გამოვიდა.

ქალმა თრთოლვით გამომართვა სურათი, ხელში კარგახანს ატრიალა, უცქირა, თითქოს ზედ რაღაცას ეძებდა და ვერ უპოვებიაო. მერე გულდაწყვეტილმა შემომხედა, აცახცახდა, კვლავ ნახატს დააცქერდა და ხმის კანკალით მითხრა:

— ის სადლა არის, ის? რატომ ვერ დავინახე, კალთაში რომ მეწვეა და ძუძუს ვაწოვებდი. ჩემი გოგონა, ჩემი სუეტლანა. ხომ გითხარი, წავა-მეთქი. აბა, ახლა რაღას დამხატავ!

— ისე კი იგი არავის ერჩის, — გამომარკვია ბურანიდან დედაბრის ჩიფჩიფმა, — მერე რა ქალი იყო, რა მასწავლებელი... თავისი ქოხის ნელთბილ ნაცარში დამწვარი ბავშვი ეპოვნა იმ ღამეს!

მეწყინა, შევწუხდი, რომ დედის გულისთქმას აღრევე ვერ მივუხვდი. და იატაკზე დაგდებული სურათი, — ნაწილი ჩემი სულისა, — ღუმელში შევაგდე.

განვლილი გზა

(ნაწყვებები მოგონებებიდან)

ბარბარე ბარბარული



ქვემო იმერეთის, ღარიბ აზნაურის ოჯახში ვიზრდებოდი. სიმაართლე უნდა ითქვას, ახირებული რამ იყო ეს ღარიბი აზნაურობა, და ისიც დასავლეთ საქართველოში მოსახლე. იგი დიდად არ განიარჩეოდა გლეხისაგან, როგორც ადგილ-მამულით, აგრეთვე სხვა რაიმე ქონებითაც. მაგრამ რას იზამდა კაცი, აზნაური ეწოდებოდა ამ ხალხს და ისინიც იფერებდნენ ღირსებას.

ბაბუნაჩემიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა. როსტომ ლევაყას მშობლები არ ასოვდა, მეურვის ხელში გამწარებულ ობოლს, თვითვე გამოუქვდავს თავისი ბედი: ჩავლადრებს ადევნებულის, თორმეტი წლის ბიჭი, ქალაქ გორს მისულა და იქ ვიღაც დიდი მემამულის მებაღესთან დამდგარა მიწის მუშად.

თუ როგორ გაატარა ყრმობის დღეები, კარგად არ ვიცი. როცა დაჭაბუკებულა და უღვაში აკოყრებია, კვლავ იმერეთს დაბრუნებულა.

სოფელ დიდ-ჯიხაიში, მრავალწელს უპატრონოდ ცნობილ ეზოს, ერთ დღეს სწევია ვაგი—ქართლურ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოკლე ნაოქიან ახალუხით, გრძელი ჩოხით, ყელჩაყცილი ჩექმებით, წელზე ვერცხლის ქამრით და თავზე ნაბდის ქუდი.

იმ დღიდან სოფელს როსტომისათვის „ნაქართველეთი“ უწოდებია. ჩქარა ცოლიც შეურთავს და დაოჯახებულა.

— ამ ეზოში, სარის ძირიც არ დაგვხვედრია, შვილო, როდესაც მე და ბაბუნაშენი შემოვედით შიგ; თხილარის კენტკართან¹⁾ ტურები კიოდნენ, შიშით გული მისკდებოდა. პატარა ერთთვლიანი ჯარგვალი სახლი ჩავიდგიტ ეზოში და შრომას შევეუდგიტ. ბაბუნაშენს მხარეთქოზე არ უგორავნია ჩეროში. განუწყვეტლად შრომობდა, მთვარიან ღამეში თოხნიდა, ბარავდა, ღობავდა. მეც მის გვერდით ვიდგიტ, ვამხნევებდი, ვაიძედებდი, ვუადვილებდი მძიმე ტვირთს. ასე ვეწეოდით საოჯახო უღელს და ასეთმა შრომამ შექქნა ყოველივე ეს, რასაც უყურებ, — მეტყოდა გუბელაძის ქალი ელისაბედი. საკვირველი აღამიანი იყო, მტკიცე და გამოკვეთილი, რამეს რომ გვაწავლიდა, ბევრს არ გვეტყოდა, — „ერთის წარბის შერხვეთაც უნდა მიმიხვდე, რა მაქვს გუნებაშიო“, — შეგვიინაგდა ბებია. ძველი მწერლობა გადაკითხული ჰქონდა: მის ორთვლიან სკივრში ინახებოდა სიძველისაგან გაყვითლებული ხელნაწერი რვეულები: „ამირან დარეჯანიანი“, „როსტომიანი“ ანუ „ზურაბიანი“, დაბეჭ-

1) პატარა, ვიწრო, წნელით დაღობილი კარი.

დიდი „ყარამანიანი“, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა წმიდა ლოცვანივით ჰქონდა ოქრომკედლით ნაქსოვ აბრეშუმის ნაკერში შეხვეული.

ეს დარბაისელი ქალი ზღაპრების დაუშრეტელი წყარო იყო და საამო მთხრობელი.

ბაბუა როსტომს ვაჟკაცურ განიერ მხარბეჭს უმშვენებდა წაბლისფერი, ღამაზ კულულებით შემკული თავი, სქელ უღვაშს ზემოთ, მარჯვენა ლოყაზე, ლობიოს მარცვლისოდენა მეჭეჭი ჰქონდა; გრძელ და ხშირ წარბებს ქვემოდან კეთილად იმზირებოდნენ მისი თაფლისფერი თვალები.

დაუღალავი მშრომელი იყო ბაბუა. როცა ღონიერი მკლავებით გაპრიანლებულ-გალესილ ცელს იქნევდა და მოთიბულ კონინდარს ერთი-მეორეზე აწვენდა, მაშინ როსტომ გმირად მესახებოდა, ხოლო ცელი კიდევ ხმალი შეგონა, რომლითაც დევებს ჰკვეთდა წისი პატრონი.

დიდი იყო ბაბუას კარ-მიდამო და მეც ის მეგონა მთელი სამყარო. თორმეტი ჰქცევა ეზო სამ ნაწილად დაეწყოთ, — პირველში პური ითვისებოდა, მეორე სათიბად გაეშვათ, შიგ დიდი კაკლის ხეები და შავი ბლები ჰქონდათ. შათ ჩრდილებში წელამდე მაღალი კონინდარი ზღვასავით ლელავდა. მესამე ეზოში ოთხთვალნიანი ოდა, დიდი სამზადი სახლი, ზედ მოდგმული სასაქონლეით, ხულა და ორი სასიმინდე იდგა. ამათ უკან მოსდევდა ბოსტანი, შემდეგ შქერის წნელით შეღობილი ვენახი.

აქ იყო ბაბუას საყვარელი ადგილი, მერ ღროს ამ ვენახში ატარებდა. თვითვე ეახს თვალის ჩინივით დაჰხაროდა, უყვარდა ლექსი, რომელიც მე „დღეა ენაში“ მესწავლა:

ეზო შეიღვივთ ნაზარდო,
უღვაშებ გადგიგრები,

ჩაჰკონებთხარ კივდსა,
შუაზე გადგიგრები
გინგლირთქა

ყოველთვის მამეორებინებდა ამ ლექსს, როცა ვენახში მუშაობის დროს ცოტათი ჩაიძულებდა, ყალიონს თამბაქოთი გაივსებდა, კვესაბედს გაჰკრავდა და ღიმილით მიგდებდა ყურს.

ვენახის შემდეგ იწყებოდა თხილნარის ტყე. აქ გვიყვარდა ყოფნა ბავშვებს. ჩიტების დევნა და ბუდეების ჩამოშლა.

ერთხელ, დაბალ ბუჩქის ძირას, მიწაზე ვიპოვე ბუდე, შიგ პაწია, ახლად-შექინქლული, ნაცარა ბარტყები აღებდნენ პირს. დავაველე ბუდეს ხელი და გამოვარბენინე შინისაკენ. თან გზად-გზა სიხარულით მოვეყვიროდი, მოექაქანებდი.

ბებიამ დახედა ბუდეს, წელზე ხელი შემოიდგა და საყვედურით სავეს თვალები მომაჰყო:

— იცი, ვისი შვილები არიან ესენი?

— არა, არ ვიცი, ბებია.

— შენს ფანჯარასთან მდგომ ვაშლზე, დილაობით რომ შემოჯდებოდა და საკვირველად ჰიკვიკებდა, უსტვენს და შენს გულს ახარებდა, იმის შვილები არიან ესენი. ბუღბუღის შვილები. სწორედ ის იკეთებს დაბალ ბუჩქებში ბუდეს.

გული ამიჩუყდა, მზად ვიყავი ტირილი დამეწყო:—ახლა რა ვუყო, ბებია? — შევეკითხე და მივაჩერდი სახეში.

— წაიყვანე, ახლავ წაიყვანე და სადაც იყო, იქ დასდე ბუდეო.

უსიტყვოდ გაგებრუნდი და შევეასრულე, რაც მითხრა.

იმ ტყეში ვკრეფდით ბავშვები მაყვალს, ზღმარტლს, და თხილსაც ვშოულობდით. ეს ყველაფერი ეზოში ეღვა ბაბუას, მაგრამ ჩვენით ნაშოვნს, ნაშრომს-ნაამაგარს, სხვა გემო ჰქონდა. როცა ტყე გაშიშვლდებოდა, და აქა-იქ სტატებზე მარჯანივით წითლად აენ-

თებოდა კურკანტელა.—თმასაც ვწყალობდით.

სახლის მარჯვენე, აღმოსავლეთ მხარეზე, ბაბუას განგებ გაეშენებინა კობიტის ტყე, ეს საქარი მუდამ შიშინებდა და ზენა ქარისაგან იფარავდა ნაგებობათ.

სახნავ-სათვისი მიწები კარ-მიდამოს გადაღმაც ჰქონდათ, „ნოლებს“ ეძახდნენ. იმ მიწების ნაწილს აზიარებდა ბაბუა. შემოდგომამზე ყვითელი სიმინდით დატვირთული ურმები ჩამოდიოდა ეზოში, ორ სასიმინდეს აესებდნენ და ჰკეტავდნენ. „სახარჯოს“ ცალკე ინახავდნენ.

მარანი არ ედგათ. ქვევრები გარეთ, კომშების ძირში იყო დაფლული. ღვინო დაღუღებოდა, ჰურიდან ჰურში გადაიღებდნენ, თავზე ბლის ტყავს ან გაკუპრულ ტილოს გადააკრავდნენ, ზედ გამოთლილ ფიცარს (ორგოს) დაფარებდნენ, თიხნარი მიწით მალაღზე წააგლესდნენ თავს და ზედ დიდ მორებს დააჯორავდნენ. თან გაანაწილებდნენ: ეს მთავარანგელოსობას უნდა მოიხადოს, ეს შობას, ეს ახალწელიწადს, აღდგომასა და სულწმინდის მოფენის დღესო. ყოველ დღესასწაულს თავისი ქვევრი და თავისი სალოცავი ჰქონდა.

სანამ მაჰარი ჯერ კიდევ დულდა, ცელქები ზარალს ვაყენებდით ოჯახს. ჰურის სარქველში დატანებულ საპაერო მასრებს დავეწაფებოდით და ესრუტავდით ტკბილ მაჰარს.

— ძალიან ბევრი დაუღუღნიაო.— იტყოდნენ, როცა გადასადებად გახსნიდნენ ქვევრებს. ვერ წარმოიდგენდნენ, ჩვენს ცელქობას.

ზაფხულის დღეში, რა კი დილით დაგვანაყრებდნენ, სადილობამდის ვიკარგებოდით ამ ჩვენთვის განუზომელ სივრცეში. მთელი დღე ვედებოდით ქარსა და ნიავს. საღამოს ფაშს, ვაზშმის მოლოდინში მყოფნი, ბებიას ვუსმენდით ზღაპრებს, რომლებიც საესე იყო

ვეშაპებით, მღევებით, ქაჯებით, ქინკებით.

„ტყეში ნუ შეხვალხარ, მტაცებელი ბიაო, არც ღელზე მიხვიდეთ, იქ ქინკა დაგიპერთო, ჭაში არ ჩაიხედოთ, იქ ავი სული ზის და შიგ ჩავითრევსო“, გვეტყოდნენ ხშირად.

მართლაც და ჭაში დამინახავს ჩემივე სახის ანარეკლი და შემშინებია. ტყეშიც ვნახე ორჯერ, თეთრადჩაცმული, პირახვეული ქალი, ხელს მიქნევდა, „მოდი, მოდიო“, მეძახდა. დღიდად მომეჩვენა, მაგრამ მაინც შევშინდი და გამოვიქეცი. შინ რომ მოვედი, დეიდაჩემი იჯდა და ქსოვდა, რა თქმა უნდა, უფრო ამიტანა შიშმა და დავერწმუნდი, ქაჯი მიტყუებდა ტყეში-მეთქი. ერთი სიტყვაც არ დამცდენია ამის შესახებ.

თურმე ის ქაჯი ბებია იყო, გვაშინებდა, რომ ამით ავერიდებინეთ მოსალოდნელი მარცხისა და ხიფათისაგან.

წვრილშვილიანი იყო დედაჩემი და თუ თავისი სახლი არ მიშველებოდა, გაუქირდებოდა ამდენი შვილის აღზრდა. ამიტომაც მორიგეობით ვიყავით ბავშვები დედულეთს.

ჩემი უფროსი და, ქეთო, უკვე წაიყვანეს სასწავლებლად ქუთაისში, სანახევროდ ქუთაისში ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები. მამული და სახლკარი სოფელ პატარა გუბში ჰქონდათ. თერამეტქცევიან ეზოში იღვა ნაცრისფერი, დიდი, გრძელი ოდა დამზმარე ნაგებობით.

მამაჩემიც ღარიბი აზნაური იყო, მაგრამ შედარებით უფრო ხელგაშლილად მცხოვრები, ვიდრე შრომისმოყვარე, შეძლებული გლეხური ოჯახის მქონე როსტომ-ბაბუა.

ბევრი ნათესავი ჰყავდა მამას,— დულუჩაეები, ლორთქიფანიძეები, შარაშენიძეები, იაშვილები, ლოლობერიძენი, რატიანები და გაწერელიები. წელიწადში თითო-ორორჯერ ჩამოურბენდა თავისი ბედაური თ ამ მაჰიდა-

დენდაშვილებს, ყველაგან სიცოცხლე და სიხარული შეჰქონდა თურმე მის მისელას.

„ჩვენი ლუკა, დაუდგარი ვერცხლის წყალია, ერთ წუთს მოგვევლინება, გამოგვაცოცხლებს და ისევ მალე გაგვეცლებაო“, ამბობდნენ ნათესაეები. ამდენი კეთილებების პატრონი იყო მამა, მაგრამ მათში ყველაზე უფრო მახლობლად სთვლიდა იოსებ წერეთლის შვილებს, მკვიდრ მამიდაშვილებს, ისინი დიდ-გუბში ცხოვრობდნენ, მამასთან ერთად შეზრდილიყვნენ და ამასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირისათვის?

ეს წერეთლები საინტერესო ტიპებს წარმოადგენდნენ. უფროსი ძმა ივლიანე, მშვიდი, წყნარი და ღვთიური სახის კაცი, მღვდლად კურთხებულა, მეორე ძმა სოლომონი, ჭიათურის მრეწველი გახდა, და მდიდარი კაცი შეიქნა.

საშუალო ტანის იყო, მკვრივი, ჩამჯდარი აგებულობის. ლამაზი კისერი და პატარა ყურები უმშვენიერბდა ხუჭუჭთმიან თავს. სპილენძისფერ სახეზე უცნობდა ცეცხლოვანი თვალები. სქელ ტუჩებში ძვირფასი სიგარა ჰქონდა გარჭობილი. მარჯვენა ხელის ნეკზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უბრწყინავდა. ასეთივე საკინძეებს ატარებდა გახამებულ სამაჯურებზე, ჩოხითაც ხშირად მინახავს. ნათესაეებში ჩოხით იცოდა მოსვლა. ბავშვები უყვარდა და გვაწვავლებდა, კახეთში იყო ნაცხოვრები და „შენმა მზემაო“ ტყოდა ლამაზაკში.

მასზე უმცროს ძმას, დათას საყენი სიმაღლე ჰქონდა და ცოტა ბეჭებში იყო მოხრილი, მდიდარ ძმას შველოდა ჭიათურის საქმეებში, მუშებს მეთვალყურეობდა.

მეოთხე ძმა, ნესტორ წერეთელი, პატრუქითი იწოდა ხალხის საკეთილდღეოდ. მეაბრეშუმეობის პიონერი იყო. დასავლეთ საქართველოში მან

შემოიღო კულტურული სახის მეაბრეშუმეობა. „უცხოეთის რეცხვას“ რომ ეძახდნენ, მან გააფრთხილებს ხელეობაში. შეადგინა „ამხანაგობა“ და მთელი დასავლეთ საქართველოს პარკი პირდაპირ იგზავნებოდა სახლდარგარეთ. წინათ შინაურულად სახლში გამოყვანილ „ცეცერაკას“ თესლით გაკეთებულ აბრეშუმს, სახლშივე იღებდნენ ძაფად და სამეხველზე დახვეულ შულოებს პირახვეული ქალები ბაზრობაზე წაიღებდნენ. იქ აბრეშუმით მოვაჭრე ებრაელებს ორარშიან ჩითზე უცელიდნენ. ახლა მათ მიერ მოწეული პარკი თავმოწმონედ მიდიოდა ევროპაში.

თვით ნესტორ წერეთელს, წელიწადში ორ-სამჯერ უხდებოდა მარსელს გამგზავრება. იქ იყო ჩვენი პარკის ბაზა. ნესტორი ამხანაგობიდან იღებდა მცირე ჯამაგირს, რაც არ ჰყოფნიდა მის მოგზაურობას, ვალიანდებოდა და ეს ვალი შემდეგ სოლომონის გადასახდელი იყო.

ამასთანავე ნესტორი ჰომეოპატიით წამლობდა ხალხს, სრულიად უფასოდ. მუდამ იღვა მის ჰომეოპატიზე ბოთლით ხელში ვინმე ავადმყოფის პატრონი. იმ დროს გახშირებულ ციებ-ცხელებას მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა ნესტორის წამალი, ანთებასაც შველოდა.

ნესტორისევე მეოთხებით მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ სოფელ კუხში გახსნა ძაფსალები და ფარჩის საქსოვი ქარხანა. ჩამოიყვანეს უცხოეთიდან ფრანგი ფეიქარი, ხალხმა შეისწავლა ძაფისამოღება და ქსოვა.

გაჩაღდა მეშობა, ახლო-მახლო სოფლები გამოცოცხლდა, წარმოებამ სულ სხვანაირად გადააკეთა მათი ყოფა-ცხოვრება, იქსოვებოდა ჩესუნია, დარაია, წმინდა აბრეშუმის და ავეჯეულობის გადასაქრავი, საუცხოო ყვავილებით შეფოთილი ფერადი ფარჩა.

უთუოდ ბაზარიც ჰქონდა ნაწარმს,

რადგან, თუ არ ვცდები, ათი-ხუთმეტი წელიწადი იარსება ქარხანამ. მაგრამ როცა ნესტორი გარდაიცვალა (1905 წლის მაისში), ეს საქმეც მიწეღდა და დაიშალა.

ჯერ კიდევ ცხრაას სამსა და ოთხს წლებში ჰქონდათ გუბელებს ურთიერთდამხმარე საღარო (მაშინ ბანკს ეძახდნენ) და საამხანაგო მალაზია (კოოპერატივი). სოფლელებს ამ მალაზიაში მოჰქონდათ თავის ნაწარმი: ყველი, კვერცხი, ქათამი, ხილი, მოჰყავდათ მსხვილფეხა საქონელიც, ყველაფერს ამას სცვლიდნენ ჩითზე, თევზზე, საპონზე, მარილზე, თოქსა და რკინაზე. საქონელი საამხანაგო იყო და სარგებელი საერთო საქმეს ზრდიდა.

— კრიჭაში უნდა ჩაუდგეთ ვაჭრებს, არც მიყვილოთ, არც ვიყვილოთ მათგან, ამით გამოვიწვიოთ მათი გაკოტრება და ქვეყნის პირისაგან გაჭრობა, — ეტყოდა ნესტორი კოოპერატივის წევრებს. ფუტკარი ჰყავდა მოშენებული, პატარა ქალაქი ეგონებოდა კაცს მათი გეგები, სამას ძირს სკას უვლიდა და გლეხებსაც ასწავლიდა მათ მოვლა-მოშენებას.

ამდენ სხვადასხვა პროფესიის მქონე ძმებს მხარს უმშვენიებდათ მეხუთე „იგი ბარნაბა“ (ასე ეძახდნენ), რომელმაც შეიღ წელიწადს იმსახურა მეფის ჯარში. უმცროსი შვილი იყო, გვიანგაჩენილი; ნებიერად გაზრდილი თავგასული და ენინანი: ბავშვობისას მუხლისთავი ამოვარდნოდა, გაესწორებოდა, მაგრამ ისევე კი დარჩენილიყო, რა წუთსაც უნდოდა, ამოაგდებდა ადგილიდან. ასევე იქცეოდა ჯარშიც, ამოიგდებდა მუხლს, წაიქცეოდა, დასდებდნენ საკაცზე და პოსპიტალში გზავნიდნენ, იქიდან წერილებს აფრენდა სახლში, — „წამიყვანეთ, თორემ გიკვდებით შვილი“.

წავიდოდა სოლომონი გამოსახსნელად (ჯახეთში იღვა მაშინ ქართული პოლიცი), დაბარჯავდა ფულს, წამოი-

ყვანდა ძმას შეიდი-რვა თვის ბავშვ-ლებით, და მოუყვანდა ქობულეთს. როგორც კი ჩამოვიდნენ, ბარნაბა სოფელში, ხელად გაჩნდებოდა მის გვერდით უსაქმური ახალგაზრდობა. თვით ბარნაბა იმ დღესვე მოიგლეჯდა სამხარეებს, ბათლომე სვანიძის დუქნის დარაბებზე თავდაღმა მიაჭედდა, თავათ იქვე იქვიფებდა, მერე კაცს აფრენდა, ეტლებს მოაყვანიდნებდა, ერთში თავისს ტანისამოსს ჩააწყობდა, მეორეში ტიკით ღვინოს ჩააგორებდა, მესამეში თვითონ ჩაჯდებოდა და მიდიოდა: სოფლიდან სოფელში, ხან ჯიხაიში მიადგებოდა ჩემი დედულეთის კიშკარს, ხან საჭილაოში გრიგოლიებთან მამიდას ეწვევოდა, ხან საღ და ხან საღ.

ეს ბარნაბა მთელი კვირაობით იჯდა ნათესაეებში. ყველაზე მეტ ხანს ჩვენს ოჯახში რჩებოდა. აქ დიდი გასაავალი ჰქონდა მის ოხუნჯობას და დიდ პატივსაც სცემდნენ.

გაგიყვებით გვიყვარდა ბავშვებს, სიხარულით ვღებულობდით მისგან ყველაფერს. ასევე უყვარდათ მოსამსახურეებს, დიასახლისების ზომ პირდაპირ გამართობელი იყო.

დიდმარხვაში, როდესაც დედა და ბებია საყდარში დადიოდა საზიარებლად, ბარნაბა ჩვენთან ასრულებდა წირვა-ლოცვას: წამოისხამდა ბეჭებზე ფარდავს, თავზე ქოთანს დაიხურავდა, საცეცხლურსაც მოიმარჯვებდა, სახარების მაგივრად რაიმე ყლიან წიგნს დაიჭერდა ხელში, პატარა მეღავით-ნებდალ ჩვენ გვაკურთხებდა და შეუდგებოდა წირვას. წარმოადგენდა იოსებ წერეთელს, თავის მამას (მღვდელი იყო), დასცინოდა ეკლესიას, დედაჩემს კი მურაბებს უნადგურებდა. ვითომ ზიარებააო, ბარძიმის სანაცვლოდ ჩაასხამდა ღრმა თიხის ჯამში და თუ ჩვენ თითო კოვზით მიგვალდებინებდა წმიდა საიდუმლოს, თავათ ჯამითვე მიირთმევდა. იყო მო-

ლექტრე, მომღერალი, მოთამაშე... წერეთლები ყველა მომღერლები და მგალობლები იყვნენ.

როდესაც ჩემს მამას დედაჩემი მოეყვანა, მამაჩემის მამიდას, იმ დროს უღამაზეს ქალს მელიკო წერეთელი-სას, სადილი გაემართა პატარძლის პატივსაცემად. შუა სადილის დროს, მამიდას ეთხოვნა მამაჩემისათვის, — გაგივონია მგალობელია ჩვენი რძალი და ნება მიეცი, იმღეროსო.

მამას სწყენოდა თურმე ეს და ეპასუხნა: „განა ეს ჩემს უფლებას შეადგენს, როგორ თუ ნება მიეცე, მამიდა ხარ, უბრძანე და როგორ არ იმღერებსო“.

სთხოვეს თურმე დედას. დედას ეკითხნა, — მაღალს მეტყვიანო? და წამოიწყო დიდი ხელხეავი. (დედას, ჩემს მახსოვრობაშიც, ისეთი მაღალი, გამძლე და გამყოლი ხმა ჰქონდა, ძნელად თუ ვინმე ეტყოდა მეორეს). იმ დღეს სამი მგალობელი მიეშველა თურმე ერთმანეთს, რომ მაღალი ეთქვათ და ხელხეავი ბოლომდე გაეტანათ.

— . . . —

დედაჩემი მაინცა და მაინც არ იყო ისეთი შეოჯახე, როგორც დედა მისი ულისაბედი, უკმ-თავადიშვილისებური ბუნება ჰქონდა, უყვარდა ნარდის თამაში, სამწყურაოდ სიარული ქმართან ერთად (მამას ყოველთვის ჰყავდა ძარში დამწყვედელი სამ-სამი წლის კაპოტი მიმინო და დედა იმისთვის არ იშურებდა ახალ ქათმებს. მახსოვს, ცოცხლად ჩაუვადებდა ძარში და მიმინოც თავზე დააცხრებოდა). უყვარდა კრიალოსნის მარცვლა, ვაკაკურად შეეძლო სუფრაზე თამბაქოსის გაწევა, ქმრის დაუკითხავად ცხენის, ძროხის ან რაიმე ნივთის გაჩუქება და შაირის წერა.

დედა ენა-მაკეიტი ყოფილა. თუმცა დიდკაცური დარბაისლობაც ამშვენებდა. სამი შვილის დედა იყო, როცა

მამამ დაუტოვა ოჯახის გამგებლობა და თავით ქიათურას მიჰყურებდა.

იმ დროს მთელი დასავლეთ საქართველო ქიათურას ეტანებოდა, მარგანეცი ახალი აღმოჩენილი იყო, ყველას ჰქონდა გამდიდრების სურვილი.

შორაპნიდან რკინიგზა არ იყო ჯერ გაყვანილი ქიათურამდე და ცხენ-ჯორების საპალნით ჩამოჰქონდათ მადანი შორაპანში. მოგზაურობა ძნელი იყო და ამის გამო მამაჩემს ხანგრძლივად უზღებოდა ქიათურაში დარჩენა.

მოჯამაგირეების ამარა დარჩენილი ქალბატონები (დედასთან ხშირად იყო დეიდა ან რომელიმე ნათესავი ქალიშვილი) ზამთრის დღეებში ისხდნენ ოდაში გახურებულ ბუხართან და სწერდნენ ლექსებს რუსთველურის შაირით.

ბავშვებს კი სამზად სახლში გვიყვარდა ყოფნა, იქ მაღალი შუა ცეცხლი ენთო. სამზარეულოს კარი მუდამ ღია იყო სინათლისათვის, გარეთ თოვდა, სახლს თეთრი ბატები ეტანებოდნენ, საძირკველზე ჩამოაწყობდნენ ყვითელ ნისკარტებს და სისინებდნენ. მამალი ბატის მეშინოდა. აქ იყო კიდევ მეორე გასართობი. სამზადს გვერდით ჰქონდა მოდგმული საკურდღლე, ძალიან ბევრი კურდღელი გვყავდა, მათ არავინ არ ითვლიდა, ზაფხულში კომბოსტოს ფოთლით კვებავდნენ და ზამთარში — მჭადის ცომით. საათობით შეგვეძლო ბავშვებს მათი ცქერა.

ვინ იყო ქალბატონების ხელისშემშლელი? არავინ, ჩვენ ჩვენთვის ვერთობოდით ბატებით, კურდღლებით, მოჯამაგირე ალექსის ზღაპრებით. უფროსებს თავის გასართობს ჰქონდათ: ლექსები დაიბეჭდებოდა პაკეთში, ზედ წითელ ლექსაც დაადვენთებდნენ და „აბა, ვასწი, უსტარო!“

მოჯამაგირე ალექსი მოახტებოდნენ უბელო ცხენს და მიაქროლებდა ხან წერეთლებში, ხან ლოღობერიძეებში, ჩხეიძებსა და წულუკიძეებში.



სამაგიეროდ მათგან გამოგზავნილი დესპანიც ხშირად დაიძახებდა ჩვენს ქიშკარზე და მოიტანდა პასუხს.

თავდა-აზნაურთა უმეტესობა უსაქმურობაში ატარებდა დროს, მით უფრო ღარიბი ახალგაზრდობა: ნიადაგი მომცდარი ჰქონდათ ფეხქვეშ, — გმირობასა და სამშობლოსთვის თავდადებას აღარაეინ სთხოვდათ, სამეურნეო შრომაც არ შედიოდა მათ დღიურში, სწავლა-განათლებას აგრერიგად არ ეტანებოდნენ, უმეტესობისათვის გიმნაზიის პირველი, მეორე, მესამე კლასი კურსის დამთავრება იყო, ზოგი მათგანი აქამდისაც ვერ მიიტანდა. რა უნდა გაეკეთებინა ამ უსაქმურად დარჩენილ ახალგაზრდობას? დღეს შენთან, ზვალ სხვასთან, ზეგ — დუქანში, ლოთობა, ჩხუბი და დავიდარაბა. „უსაქმობა ბოროტების საწყისიაო“, იმათზე ითქმოდა.

ამ ამბავს ზედ ერთვოდა სოფლის ცრუმორწმუნეობა. სწორედ ის, რითაც ჩვენ, ბავშვებს, გვაშინებდნენ, მათ უფრო სწამდათ — ქაჯი, ჭინკა, ავისული, ყველა ამათი ეშინოდათ და შელოცვებით უნდოდათ შეეოკებიათ ვითომდა ეს უძლეველი ბოროტი სულები. ამით სარგებლობდნენ სოფლის ბოროტი ადამიანები და ათასნაირის სახით ევლინებოდნენ ხალხს, რათა დაეშინებიათ იგი. ასეთი მოქმედება, ეტყობა, რალაც სიამოვნებას ჰკვირიდა ამ სულიერად მახინჯ ადამიანებს. მახსოვს ერთი შემთხვევა.

პატარა ვარ, დედასთან მიმიყვანეს დედულეთიდან. მამა ჭიათურაშია. ჩვენსას დაიწყო „ქვა-სროლიამ“ სიარული, შეუღამისას მოხვდება სახლს დიდი ქვა, ხან სახურავს დაეცემა, ხან კარებს შეენარცხება. ძაღლები ყეფით გამოუდგებიან, ქვასროლია შეასწრებს ტყეში, იქ შეგდება ალბათ ხეზე, და იქიდან იძახის, ხან ფრინველის ხმით დაიჩხვლებს, ხან მხეცივით დაიღმუელებს, ხან გაწერი-

ლებული ხმით მოუხმობს ჩვენს მოჯამაგირეს.

— ალექსი, ალექსი, ალექსი!

ყოველ დღე იყვნენ ღამისმთევლები, ბიძები, ბიძის შვილები, უღარაჯებდნენ, უნდოდათ როგორმე დაეჭირათ. სწამდათ, რომ კაცი იყო, მაგრამ ბნელ ღამეში, უკუნ ტყიდან ქაჯურად გამოძახილი, მისტიურ შიშით იპყრობდა ღამისმთევლებს. გამოცვივდებოდნენ სახლიდან, თოფით, ანთებული ჭრაქებით, მუგუზლებით და ვინც რას მოახელთებდა, მაგრამ თითქოს მიწამ უყო პირიო, ვერავის პოულობდნენ. ბრუნდებოდნენ უკან გაწბილებულნი. ცოტა ხნის შემდეგ ტყიდან მოისმოდა საშინელი სიცილი, საზიზღარი ხარხარი: ვერა და ვერა, ვერ დაიპირეს.

ერთ დღეს, დაარხიეს სოფელში ხმა: „დღეს არავინ არ სდარაჯობს ლუქას ოჯახს, მოსწყინდათ ამდენი ღამისთევია, მაინც ვერ იჭერნო.“

ხმა ასე დაჰყარეს, მაგრამ ბიძაჩემი სამსონ თათეიშვილი წინაღამიდანვე დარჩა, ჩაიკეტა ოთახში და მთელი დღე არ გამოსულა სახლიდან. მაღალ ვახშმობის დროს, იატაკქვეშ ბუხრის ბურჯთან დაუეკუნა „ქვესროლიამ“ იატაკს. სახლიდან ხმა არ გასცეს, სანთელი ჩამქრალი იყო და ბუხრის შუქზე ისხდნენ სახლში. კაკუნი განმეორდა, ბავშვები ლოგინში გავინაბეთ, აღარც ვსუნთქავთ. შიშმა აგვიტანა. „ქვესროლია“ გათამამდა, უკან აივნის კიბეზე ამოვიდა და კარს მოარტყა ქვა, კიდევ აცალეს. ახლა თითებით მოარაკუნა და მოაწვა კარს. სამსონი კართან იღვა ატუზული და უეცრად გამოაღო, ერთი ნაბიჯი გადასდგა წინ, ახლოს ჩაზედა სახეში, იცნო უთუოდ, ვინც იყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩააფურთხა სახეში.

— შეგარცხვინოს ღმერთმა! — მიძახა და მიაკეტა კარი. — ნუ გეშინია, ჩემო რძალო! დღეიდან ეს ვეღარ მოდგამს აქ ფეხსო, უთხრა დედას და

ჩამოჯდა დაბალ სკამზე. ყალიონი გაიწყო, მოუკიდა, დიდხანს იჯდა, ცეცხლზე ჩამტერებული, ერთი კიდევ ჩააფურთხა ნაცარში და წამოღვა წასასვლელად, მაგრამ უვახშმოდ არ გაუშვეს.

ძლიერი ვაჟკაცი იყო სამსონი, მეზივით გული ჰქონდა, უშიშარი და უდრეკი. ერთ ღამეს, ათი სული საქონელი დააყრევინა ყაჩაღებს. ზაფხულის დამე იყო თურმე, სამსონს აივანზე ეძინა. როგორც ცხენების ფეხისხმა გავგო, თოფისთვის ხელი წაველო, ეველნა და წისქვილის ღართან ჩასაფრებოდა, ბრძოლა გაემართა, ერთი კიდევ დაეჭრა, ქურდებს საქონელი დაეგდოთ, დაჭრილი ვაეტაცნათ და გამკეულოყვნენ.

ეუბრუნდები იმ ამბავს, რომ ჩემი და, ქეთო, წაიყვანეს ქეთაისში. მარტო დაერჩი ბეზიასთან. მთელ დღეებს ვალამებდი გარეთ; ვემუსაიფებოდი ჩიტებს, აქა-იქ გაშლილ ბაია ყვავილებს, კრუხ-წიწილებს და ბატის ჭუკებს.

მიყვარდა სახლის კეთება, ხეზემეყუდებულ მორებშიგნით ოთახის გამართვა. ცარიელ ადგილზე საკუთარი ბოსტნის დამუშავება, გარეული ხილის მოტანა და ჩემ ბაღში დარგვა. ვიყავი ცქვიტი და სწრაფი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, მშიშარა და მხდალი.

შემოდგომით, როცა ქარი ზუზუნებდა და ოდის გვერდით, ცამდე ატყორცნილ ალვისხეებს სახლის საბურავზე აშლართუნებდა, ისინი ქაჯები მეგონა და შიშისაგან კვანკალებდი. ძილი რომ გამიტყდებოდა, მთელ ღამეს თვალს ვერ მივლულავდი, მიეჩერებოდი ბუხარში მინელებულ მუგუზლებს და ველოდი გათენებას. ამ შიშთან ერთად ამეკვიატა ერთი გრძნობა: დღისით, ცხადლივ, გვერდაგვერდ ამედევნებოდა რაღაც შავი ნასკვი, რომელიც ხან დიდი იყო, მუშტის ოდენა, ხან პატარა, ობობას ტო-

ლა. ხან გაჰქრებოდა, ხან ისევ ამეკიდებოდა. მაგონდებოდა, რაღაც დიდიხნის დაეიწყებული და გველ-წიწილებზე.

ამ მოჩვენებათა შიშისაგან დამიხსნა ერთმა გარემოებამ. დეიღამ დამიწყო წიგნების ხმამალა კითხვა, ისეთი წიგნების, სადაც დევ-ქაჯებზე კი არ ეწერა რამე, არამედ ნამდვილადამიანებზე იყო ლაპარაკი.

დეიღაჩემი მარიამი (ჯაქულოს ეძახდნენ ქუეუნა თვალების გამო) სილამაზით თუ სიღარბისლით საკითხავი ქალი იყო. იმდროინდელ სოფლელი ქალის პირობაზე. ფრიალ განსწავლული იყო. „სახარება“ და „სამოციქულო“ ზემირად იცოდა, სწერდა კალიგრაფიულად, „ვეფხის-ტყაოსანი“ მისი განუყრელი მეგობარი იყო. თუ სადმე მიდიოდა, თან მიჰქონდა. დამინების დროს სასთუმალთან ედო და ორი-სამი ტაეპი შაინც უნდა წაეკითხნა ძილის წინ.

ერთ საღამოს მის ეზოსთან ჩამავალ ბილიკზე ჩაველო მეზობელს. დეიღაჩემი ღია ფანჯრის რაფაზე იდაყვდაყრდნობილი იჯდა; თურმე მეზობელს საღამო მიეცა და გაველო. მეორე დღით ისევ იმ ქალს გამოველო იმავე გზით, დეიღაჩემი კელავ იმ სახით იჯდა თურმე, ხოლო მეზობლის საღამოზე არ გაეცა პასუხი.

— ჯაქულო, რა დაგემართა?! — დაუძახა თურმე ქალმა. დეიღა ისევ სდუმდა. მაშინ მივიდა თურმე ის ქალი ახლოს და რა დაინახა? დეიღაჩემს სამუდამოდ დახუჭოდა თავისი ქუეუნა თვალები.

დაუძახეს მეზობლებს. შევიდნენ სახლში და რა დახედათ? დეიღას საწოლი ფანჯარასთან მიედგა, ფეხებგაწვდილი იჯდა ლოგინში და მუხლებზე ედო გადაშლილი „ვეფხის-ტყაოსანი“.

აი ქალი, რომელიც სამოცი წელიწადი სტკებებოდა შოთას სიბრძნით; სილამაზეს მით სქვრეტდა, მეგობრობა-

საც იმ სიბრძნით ინახავდა, „ქირთა თმენათ“ იტყოდა და ბოლო ვამსაც ამავე თმენით შეხვდა სიკვდილს.

ეს მარიამი იყო ჩემი პირველი მასწავლებელი, პირველად მან გამოიკვეთა ანი და ბანი.

დეიდა აგრეთვე მომღერალიც იყო; საეკლესიო საგალობლები, ძილისპირები თუ საერო სიმღერები, ყველა იცოდა. საერთოდ მისი ოჯახი მუსიკალურ ოჯახად ითქმოდა.

ბაბუაჩემს სახლში ჰყავდა მოწვეული მგალობლები და ისე ასწავლიდა შეილებს გალობა-სიმღერას.

მახსოვს, ზამთრის გრძელ დამეგებში ისხდნენ გაჩაღებულ ბუხართან, მგალობელი ცალმკლავა ივანე თევდორაძე, პავლია კახაძე, კონსტანტინე ლევაია, ჩემი ბიძა სვიმონი, ამ ოჯახში გაზრდილი ობოლი მამიდაშვილი მელიტონ კოპალაძე, და დეიდაჩემი. (დეიდაჩემს კი ადრე ესწავლა სიმღერა). ივანე თევდორაძე, ლობთარივით ფეხზე იდგა, ბუხარზე მიყრდნობილი და მარჯვენა ხელით ანიშნებდა მომღერლებს ხმის აწევას თუ დაწევას. მისი ახალუხის მარცხენა ცარიელი სახელო, ცეცხლის ჰაერის მოძრაობაზე ირბეოდა ნელნელა.

იქვე დიჯექ ბუხრის პირას; ჩემთვის ჩუმიდ ვაყოლებდი ხმას მათ სიმღერას, დრო და დრო წავავლებდი ხელს ცარიელ სახელოს.

მასწავლებელი მომიხედავდა და გამოიღიმებდა, ხოლო საქმეს არ შესწავტვდა, სიმღერის ერთსა და იმავე მუხლს ასჯერ კი გაამეორებინებდა, სანამ სწორად არ შესასწავლიდა, არ დაეხსნებოდა.

თითქოს დიდ-ტვირთ ქვეშ არიანო, ოფლი ასკდებოდათ. გასაოცარის სიყვარულით და გატაცებით მღეროდნენ.

ახლა ვრწმუნდები, ალბათ ასეთმა უანგარო ადამიანებმა შეინახეს ჩვენს დრომდე ხალხური სიმღერა, რომე-

ლიც შემდეგ ჩაიწერა ნოტებზე და ქვეკუთხედად დაედო ქართული მუსიკა. მათი საყვარელი სიმღერებიც „დიდი ხელხვაი“, „შენ ხარ ვენახი“, „ხასანბეგურა“, „პატარა საყვარელო“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „ალიფაშა“, „ინდიმინდი“ და მრავალი ასეთი.

გასამრჯელოს არავინ აძლევდათ, მაგრამ სამაგიეროდ, იქვე ბუხართან გაიშლებოდა სადა, შინაურული სუფრა: ბებია შემოაწყობდა ზედ შემწვარ ვარიებს, ახალ ყველს, შაშხს, ცხელ მჭადებს; ხან ხაჭაპურს, თუ მარხვა იყო. ზეთქაღიანებს, ლობიოს, ცერცეს, შემწვარ თეთრ გოგრას, ხილს და შავ ღვინოს.

ხილი ბლომად ჰქონდათ, შემოდგომაზე დაჰკრეფდნენ ლოყაწითელ საზამთრო ვაშლს, კომშს, ბროწეულს, ხურმას და პანტას. გამხმარი ჩირი ტომრებით ინახებოდა. პანტას საჩვენოდ, ბავშვების ხელმისაწვდომად აბინაევდნენ, იმას სტუმართან ვინ გამოაჩენდა?

ვაშლსა და კომშს, ბროწეულსაც ოდის თავანზე აწყობდნენ, ლობიოს ჩენჩოში ახვევდნენ, შეფუთავდნენ. ძველი ხილი აღდგომამდე გასტანდა, სახლის აივანში რომ ფეხს შესდგამდა კაცი, ტბილ სურნელებას იგრძნობდა. მთელი სახლი ამჟორებული იყო ხილის სუნით.

ასეთის ხილით და კარგი სასმელსაქმელით რომ ჩავეტკბარუნებდით პირს, დაეწეებოდი მეორე ოთახში და ძილმოკრეულს კიდევ დიდხანს ჩამესმოდა მათი სიმღერა.

— . . . —

პირველი წიგნი, რომელიც მე მოვიხმინე, იყო „პატარა მარკიზის თავგადასავალი“, არც ზღაპრული და არც რაინდული, წმინდა რეალისტური ნაწარმოები. ის ეკუთვნოდა ინგლისელ თუ ამერიკელ მწერალს, ამჟამად აღარ მახსოვს ავტორი. დეიდამ წამიკითხა, ხმამაღლა.

გატაცებით ვუსმენდი და წარუშლელი კვალი ვაავლო ჩემს მეხსიერებას ამ ნაწარმოებში. შემდეგ „რობინზონ კრუზო“ მოვისმინე.

ერთობ მომეწონა რობინზონის თავგადასავალი, მაგრამ ტრაგედია რომ არ ახლდა მის ცხოვრებას, გული არ მტკენია.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ილია ჭავჭავაძის მოთხრობამ — „სახარხოზელაზე“. აზრდილივით ამედევნა შევნაბადში ვახვეული ახალგაზრდა, რომელმაც მეურმე პეტრეს ოქროთი სავსე ქისა და წერილი გადასცა: „ერთს ათად გიბრუნებ შენს ვალს... ეხლა რომ და აღრჩეს, ჩემი ძმა იყო, მეც ეგ დღე მომელის და შენდობა მითხარო“.

იმ უბედური ძმების ცხოვრება მოსვენებას არ მაძლევდა. „სახარხოზელას“ მძიმე შთაბეჭდილება შესცვალა აკაკის „ბატარა კახმა“. მამამ ჩამოიტანა ქუთაისიდან და ერთად წაიკითხეს მან და დეიდაჩემმა.

მათ მუხლებთან ჩაცუცქელი, სმენად ვიყავ ვადაქვეული. იმ დღიდან გადავეციდე დეიდას და მოსვენებას აღარ ვაძლევდი. დღეში ორს, ან ერთს მოქმედებას მაინც წავეკითხებდი. ღამ-ღამობით, როცა ყველას ეძინა, თუ ძილი გამიტყდებოდა, ფეხებზე ვჩქმეტდი დეიდას, ვაღვიძებდი და ვთხოვდი ანთო სანთელი და ცოტა მაინც წაეკითხა. თუ ვერ დავიმორჩილებდი და ვერ გავაღვიძებდი, დავიწყებდი ჩემად ჩურჩულს. როცა დიდი გავხდი და ათას ცხრაას ორ წელს ქუთაისის თეატრში, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის დასში მსახიობად შევედი, „ბატარა კახის“ რეპერტივიაზე პიესაში მონაწილე მსახიობებს ზეპირად ვაწვდიდი სიტყვებს, რადგან ვხედავდი, უჭირდათ ლექსის გაზეპირება.

ლადომ ზშირად არ იცოდა როლი, მაგრამ მაინც ვაპქონდა უებრო თამაშით. ერთხელ მესხიშვილმა დამიყვირა კიდევ: — Не мешай-ო, ხოლო შემ-

დეგ რომ გამოესყიდნე, ჩემს ტახტზე მოპყრობა, ჩვეულებრივად შევლმთრეული სიცილით მითხრა: „დეტოჩკა, შეგაშინე, აკაკის ენციკლოპედია ზომ არა ხარო?“

ჯერ ისევ ბავშვობაში, სანამ ხელში ანბანს მომცემდნენ, ბევრი რამ მოვისმინე და გავიგონე დეიდის წყალობით.

აკაკის „ხანჯალი“, „საიდუმლო ბარათი“, „ხოლვერობა“, და „ბატარა კახი“ სულ ზეპირად ვიცოდი. ისიც ვამეგონა, მამამ ჩამოიტანა ამბავად: როცა „ბატარა კახის“ წარმოდგენაზე აღტაცებულმა ახალგაზრდობამ, აკაკი ზელში აიყვანა და მაღლა შეისროლა, აკაკიმ დაიძაბა თურმე:

„არ დამღუპოთ, შარვალი არ გამისკდეს, მეტი არა მაქვსო!“ და მართლაც, მაშინდელ წარმოდგენის შემოსავლის პროცენტებს განა დღევანდელივით მიუთვლიდნენ პიესის ავტორს? იმ დროს ყველაფერი ეს საქველმოქმედო ამბავი იყო.

ენატრობდი, ნეტა როდისმე ვნახო მეთქი აკაკი და კიდევ ამისრულდა ნატერა. მოწაფეობის დროს ქუთაისის ბულვარის კიდეზე დაეინახე კაცი, რომელიც სერგეთის ეკლესიის აღსავლის თაღზე გამოხატულ ღმერთს ჰგავდა.

ეს იყო აკაკი.

— . . . —

ბაბუაჩემის ოჯახში ასეთი ჩვეულება იყო დადგენილი: სამარიამობოდ შეაბამდნენ ურემს, დატვირთავდნენ ხორბლით სავსე ტომრებით და გაულგებოდნენ ორპირის გზას.

ორპირი დიდ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა იმ დროს. მიიტანდნენ იქ ხორბალს და სცვლიდნენ ოჯახისათვის საჭირო საგნებზე. მარილსა, გურულ ღომსა, თევზსა, ხახვსა, თოქსა და სამუშაო რკინის იარაღზე.

ეს სამზადისი სამარიამობოდ ხდებოდა.

სოფელი ჯიხაში სამი თუ ოთხი ეკლესიის შემავალ მრევლისგან შესდგებოდა — „მთავარანგელოზის“, „ქაშვეთის“, „ეზოსხატის“ და „სერგეთისაგან“. სხვა არ ვიცი და სერგეთი კი მარიამობას დღესასწაულობდა ღამისთევითა და შესაწირავით.

ჩემთვის საგულისხმოა სერგეთის ამბავი, რადგან ბაბუაჩემის სალოცავი იყო. აქ იცოდნენ მარიამობა. პირველ აგვისტოდან თოთხმეტი დღის მარბულობის შემდეგ გვითენდებოდა ეს სასიხარულო დღესასწაული.

მახსოვს დღეობის სამზადისი. ერთი მოზრდილი მოხვერი, ან დეკუთლი შეეწირებოდა ამ დღეს, სამი-ოთხი გოჭი, ცხვარი და უამრავი ახალი ქათამი.

ანდრია კობრეიძე (სოფლის ბაბაზი იყო) შუახნის, თეთრწვერა, მაღალი, ცოტა ბეჭებში მოზრილი, ორი დღით ადრე შეუღებებოდა პურის გამოცობის თადარიგს.

მთელი ოჯახი საქმით იყო გატაცებული, ბიძა და ბაბუა ქვევრებს დატრიალებდნენ, ღვინოს სინჯავდნენ, დეიდა ოღაში საქმიანობდა, ალაგებ-ასუფთავებდა. ბებიას, სხვა საოჯახო საქმესთან ერთად, ტრადიციული ჩვევებიც ჰქონდა შესასრულებელი, რაღაც ძველი სალოცავები. მახსოვს მოგვემდა ხელში ფილთაქვას, დანას და წმინდა სანთელს, უნდა შემოგვევლო ეზო-გარემოს კიდურები, რკინა ქვაზე გვეკაჯუნებია და გვეძახნა: „ავოსულო, შავო მტერო, შენი სვი და შენი ჰამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე, ჯვარი აქაურობას“. ღამით, უკვე მძინარე ბავშვებს, ყურის ძირებთან თმებზე მოგვაკრავდნენ თაფლის სანთლის ნამცეცებს, ალბათ რაღაც შელოცვით. დღე და ღამე რომ გაიყრებოდა, ყველაფერი მილაგებულ იყო, ანდრიას გამოუხვევდნენ ოცდაათ ლავაშს, დეკუთლის სათბილოსაც დაუდებდნენ ზედ. ერთ დიდ ღოქ ღვინოსაც მისცემდნენ ხელში. ანდრია ჭელს მოიბ-

დიდა, მადლობას დასტოვებდა და წავიდოდა (ეს ანდრია დურგაღუცყუყუ, ხუროც, ზამთრობით ურემს... ურემებს და ბაბუას, კავს თლიდა, ბავშვებს გვახარებდა მისი მოსვლა, გარს ვეხვევოდით და ვთხოვდით ეამბნა ამირანის შამის „ხორიქალის“ ზღაპარი). ოჯახის წევრები აივანში სკამლოგინებზე ჩამოსხდებოდნენ და იყვნენ სტუმრების მოლოდინში.

აივანზე გრძელი ხის მაგიდა დგას, ზედ დიდი ლამფა ანთია, ქინქლა ბუხები ეხვევა სინათლეს და ცხელ შუშაში ცვიფიან.

ზაფხულს ნირი გაუტყდა, მარიამობის წინა დღეს ყინული წყალში ჩავარდა, ოღნავ გრილა. ღამის სინესტეში, სახლის გვერდზე ვაშლი მოწყდა ტოტს და ხმაურით დაეცა მიწაზე, ბალახებში ზღარბმა გაიჩურჩუნა და ჩამოვარდნილ ვაშლისკენ გასწია.

ვენახის ბოლოზე წრომი იძახის, — გაგებმეს პირი, აწყველის ბებია. „რრრრრრრრ“ — მოძმის შორიდან — ეს კაკლის ღრუში ჩამჯდარი მწვანე ვასაკა რაკრაკებს. ტყავ, ტყავ! — აქა-იქ მოციფვა ხეებიდან ნამის წვეთები.

— რა დრო იქნება?

— არ მოვიდნენ ნეტაი? — იკითხავს ხან ერთი, ხან მეორე. შორიდან მოისმა ურმის კრიალი. აივანში მსხდომთ სცქვითეს ყურები. სიხარულის შუქი მოეფინათ სახეზე, ცოტა ხანიც და... კრიალით გაიღო ჰიშკარი, წინ მელრმე მოუძღვება ხარებს, თეთრი დარაიის ყაბალახით აქვს თავი წაყრული და პაპიროსს მოანათებს.

— დომენტია! — დაიძახეს დეიდამ და ბებიამ. ბიძა ჩაეგება, შორი მანძილი გამოუვლია ურემს, დილას წამოსულან ხუნწიდან (სამეგრელო) და ვაბშმობისას ძლივს მოატანეს. რევიას მუღღლე ესტუმრა ბებიას.

ურემს ურემი მიჰყვა, არც მულმა დაივიწყა, მაღლაკიდან მოვიდა ნიყარაძის ოჯახობა შეიღებით.

ყველას სტუმრობა საიხარულო და სასიამოვნოა ბებიასთვის, მაგრამ დედის გული მაინც სხვას მოელის: „ნუ თუ დაივიწყებენ დღევანდელ დღეს სიძე და ქალიშვილი? — ფიქრობს ის ჩემს მშობლებზე.“

დიდი ხანია მზად არის ვახშამი, მაგრამ მაინც იცდიან, იანეთის ბაჭანზე გამვლელ მატარებელს ელოდებიან.

ოღნაე ქარ-მოშინმა სიზმარივით მოიტანა შორიდან ევენების ქრიალი. მთელმა ოჯახმა ყურები სცქვიტა, სტუმარ-მასპინძლებს კისრები წაუგრძელდათ, სულგანბული უგდებენ ყურს სიბნელეში, კიშკრისაკენ გაიყურებიან.

— გადმოუხვია! — დაიძახა დეიდამ და შემოჰკრა ტაში.

ცოტა კიდევ და ოთხცხენიანი ეტლი შემოჭრიალდა ეზოში: დედა, მამა, დაძმა და ბებია ანიც, ამათ ქუთაისიდან მოყვანას კი დასჭირდებოდა ოთხი ცხენი.

მასპინძელი სამარხვო ვახშმით დახვდა სტუმრებს, მწვანე ლობიო და ბადრიჯანი, რბილი პური და ძველი ალადასტური; კალათებით მწიფე ლეღვი, სურნელოვანი ატამი და აივნის თავში ნესებების და საზამთროების ზევი, ხილის საამო სუნი მადანს უღვიძებს ადამიანს.

არც სიძე მოსულა ხელცარიელი, თავი შაქარი, კონიაკები, ლიჭორი, პაპიროსები, დაბეჭდილი თევზი (სარდინია) და კარტოფილის სანთელი. უკეთესი ნობათი არ ექვიერება სოფლის სავე ოჯახს.

გაისმა სერგეთის ეკლესიის ზარის ხმა, ღამისმთველებს უხმობს. ახალგაზრდობა მოირთო-მოიკაზმა, დედებიც მისდევენ თავიანთ ქალებს, ბავშვები ყველაზე წინ გავრბივართ. ეკლესიის დიდ მინდორზე აქა-იქ კიაფობს სანთლის შუქი, ახალგაზრდობას კრაქის სანთელზე გაუჩადებია ცეკვა-თამაში.

ეკლესიის გაღავანში თეთრად გამოყურებიან საფლავის ქვები. საყდრის

კარი ღიაა, იქიდან ისმის მღვდლის ლაღადისი... მლოცვედებზე შედრან, ღეთისმშობლის ხატზე წინ მიეხევიან, ღამეს უთევენ წმიდა მარიამს.

მოხუცი მამაკაცებიც წარმდგარან და ლოცულობენ, მიაქვთ შესაწირავი.

შემდეგ ვნახე კახეთში ალავერდობა. იქაური ღამისთევა სულ სხვაა. იქ ზეარაკის შეწირვა იციან, თვალუწყუნელ მინდორზე მოსულა მილეთის ხალხი, კარვები ვერ იტევს სტუმრებს, მთელი ოჯახით მოსულან, ძუძუთა ბავშვებს ურმებში აბინავებენ.

იქვე კლავენ საკლავს, მინდორში ანთებენ ცეცხლს. იქვე სწვავენ და ხარშავენ. მთელი ფშავ-ხევსურეთი იქ მისულა, მიუტანია თავის ნაწარმი, ერობ, მატყლი, ყველი, შალი, ფარდავი და ჯეჯიმი.

ლექებიც გადმოსულან და სპილენძეული უნდათ გაასაღონ, პირუტყვიც მოურეკიათ და ხდება გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობაა გაჩაღებული, ბაზრობას უფრო ჰგავს, ვიდრე დღეობას.

იმერეთში კი სულ სხვანაირად იცოდნენ. იქ იყო მხოლოდ დღესასწაული. — ნაზი, სუფთა. ხატს სწირავდნენ ოქროულ ნიფთს, სანთელს, აბრეშუმის შულოებს, თეთრად გამოშვებარ ყაქს.

ახალგაზრდობა ცეკვა-თამაშით და სიმღერებით ერთობოდა მინდორზე გათენებისას სტუმარ-მასპინძლნი ოჯახებში ბრუნდებოდნენ. მეორე დღეს სტუმრები წირვაზე გადიოდნენ ოჯახის ერთ-ერთი წევრის თანხლებით.

ნაწირვებს, მასპინძელი უყურებს, სტუმრის რიცხვი გაზრდილა. ერთი ან ორი კაცი მეტი ახლავს სტუმრებს. ამ უცხო კაცს გაბედულად უჭირავს თავი, ენაწყლიანობს, ყველასთან გამოიხატავს სათქმელს, განზე კი იკითხავს: ამათიმ პირის ვინაობას, გიგებს, იწვლილებს, დაფიქრდება ცოტათი და უკვე შინაური კაცია.

მასპინძელი უკან კითხულობს: „ვინ არის ნეტა ის წითელჩოხა?“

— არ ვიცი, შენ არ მომიკვდე. —
 მასსუხობს დიასახლისი. — ალბათ ახლავს ვინმესო, — დაასკვნის. მასპინძელს ჰგონია: „სტუმრის მოყვარეაო“, სტუმრებს კიდეც, მასპინძლის უცხო ნათესავად მიაჩნიათ და პატივით ექცევიან ბატონ ბიჭტორს, ან ტარასის, ან არისტოს, რაღაც ხომ ერქმევა?

უცნობი მოშინაურდა, თამალობაც ჩამოართვა კანონიერ თამადას, კარგად გამოიბრუტა, ბოთლიც გადაამტვრია თავზე, მისი ფიჭრით, თამაღის ურჩხა და ცუდ მსმელს.

„ვინ არის, რა ნათესავია, სადაურია?“ — კითხულობს ყველა და გამოირკვა, რომ არც სტუმრები სცნობენ და არც მასპინძელმა იცის, ვინ არის.

„არ გეკადრებათ, ბატონო ბიჭტორ. (ან ბატონო ნესტორ), დამშვიდდით... აშოშმინებენ... გაისტუმრეს მშვიდობიანად, თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ აი, სასწაული! საღამოს ადრე დაბრუნებულა ჯარიდან, მასპინძლებისთვის მოუსწრია, მოხუცებულები არად ჩაუგდია, სუფრას მიჯდომია; ნახევარზე ვოკი გაუთავებია, ნახევარი ჩაფი ღვინო დაუღვებია, მარტოღმარტოს უქეიფნია, აივნის კიბის საფეხურზე ჩამომჯდარა, კისერმოგრეხილი და გამოთავყვანებული თვალებით იყურება.

ყველას ბრაზი მოსდის „ჩამტანია“ სტუმარზე, მაგრამ ძველ სტუმარმოყვარეობას მაინც ვერ ღალატობენ. აივნის კუთხეში იატაკზე გაუშალეს ლოგინი, მოუსვენეს, ჩაცმულივე გაითხლაშა, ხერინევა ამოღშეა.

დილით ადრე ამღვარა და გაპარულა. მეორე დღეს სხვის სტუმრებს ჩამყვება; სხვას გააბედნიერებს თავის სტუმრობით, გულს არავის დასწყვეტს, არავის აწყენინებს ეს უსაქმო აზნაური. ასე იყო ზოლმე მაშინ, მარიამო-

ბას. სერგეთის დიდი მინდორი ახლამახლო სოფლებიდან მოსულე ქალებით ივსებოდა. ვისაც მასპინძელი დამოყვარე არ გააჩნდა აქ, სათვალისეიროდ მაინც მოდიოდა. ცხენდაცხენ იმართებოდა ჯირითის თამაში. ბურთის გატანა, კიდაობა, ცეკვა-თამაში და სხვა გასართობი, ვის როგორ უნდოდა, ისე ატარებდა ღროს.

ამ მიღეთ ხალხში, ხუმეტიოდ ჩაფრის თანხლებით, მაზრის ბოქაული მინდვრის ერთ თავიდან მეორეში მიამქროლებდა ბედაურს და ჩაფრებიც უკან მისდევდნენ ქუნებით.

ეს დღესასწაულები ხშირად მთავრდებოდა ჩხუბით, კაცის დაქრით და სიკვდილითაც.

ამგვარ შემთხვევებით აღშფოთებული ხალხი შინ ბრუნდებოდა, მაგრამ ჩქარა იფიწყებდა უსიამოვნებას. ისევ სუფრას მოუსხდებოდა სტუმარ-მასპინძელი, მხიარულობდა და კვლავ გაისმოდა „მრავალყამიერ“.

ასეთი გახლდათ ჯიბაიში. სოფელს პატრონობდა მღვდელი ანდრია ლეკავა. მომნათველ-დამქორწინებელი, ექიმი და დამმარხველიც. მომაკვდავს სამშვიდობო პარაკლისს გაღუხლიდა (რა თქმა უნდა, ვინც მისცემდა გასამრჯელოს), წმიდა ზიარებას მიადებინებდა, თუ ვინიცობა ავადმყოფი თავის ღონით გაუმკლავდებოდა სენს და გადაიტანდა ავადმყოფობას, ამას წმიდა საიდუმლოს მიღებას დააბრალდნენ, თუ მოკვდებოდა და რა ექმნა მღვდელს, შეეცდებოდა სასუფეველი მაინც დაემკვიდრებია გადაცვალებულისთვის.

ამ მოძღვარს თავის ეზოში ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა გახსნილი. მაცადინობას იწყებდნენ გოგებაშვილის ანზნით და კურსს ამთავრებდნენ მისივე „ბუნების კარით“. ანგარიშის სწავლება გამორიცხული იყო ამ სკოლიდან. გასათხოვარი ქალები სწავლობდნენ იქ ანბანს, მღვდელი მათ

მოკითხვის ბარათებს აწერინებდა. წელიწადში ორ მანეთს იხდიდა მოწაფე, — გამიგონია, თორემ მე იქ არ მისწავლია. შვად გარუჯული ჯაგრვალა სახლი, უიატაკო და უბუხრო, ზამთარში შუა ცეცხლს ანთებდნენ, შიგ მუდამ კვამლი იდგა და იღრჩობოდნენ მოწაფეები.

გაურანდავ კოკლ და მძიმე მაგიდასთან დაბალ ხის სამფეხა სკამებზე ისხდნენ. პატარა მოწაფეები ნიკაპით სწვდებოდნენ მაგიდის კიდეს.

დღიდან მივეყვებოდი ხანდახან, როცა ის საკითხავ წიგნის გამოსაცვლელად წაივლოდა მღვდლისას. მივირბენდი ამ სკოლის კარებთან, რომელიც მუდამ ღია იყო სინათლისათვის. ავეტუშებოდი კარზე და ვუყურებდი, როგორ სწავლობდნენ. „ანუ, ბანუ, განუ“... იმეორებდნენ.

— ... —

ერთხელ მოვდივარ დუქნიდან, თუნუქით ნავთი მომაქვს. შარავნაზე მოდიან მოზრდილი ქალიშვილები. ხელში სქელი წიგნები უჭირავეთ და სწავლაზე საუბრობენ. ავედენენ, ავეტმასნენ და არაკითხე მეტიჩარად ჩავერჩე ლაპარაკში. არავეინ არაფერს შეკითხებოდა, მაგრამ მაინც გავაგებინე, რომ მეც ვიცოდი კითხვა. შემათვლიერეს გოგოებმა, ამხედ-დამხედეს. ერთმა მათგანმა უეცრად გადაშალა წიგნი, ზედ ცხვირთან მომიტანა და მითხრა:

— აბა, წაიკითხე!..

თავბრში აღმური შემომენთო. თვალები ამიჭრელდა, ასოები ერთი მეორეს შეასხდა და ველარაფერი გავარჩიე, მხოლოდ ვხედავდი წიგნის ფურცელზე გამობატულ გუგულს, როგორიც ჩემს „დედა ენაში“ არ ეხატა. ამ დროს ჩემი უფროსი და ქეთო, ქუთაისში სწავლობდა და მისი გამონა-

ცვალი „დედა ენით“ ვსარგებლობდი. თავი გაეიქნე და ვუთხარი გოგოებს: — აბა, მეე ნახევექ, დედა ენაში“ ვიცი კითხვა-მეტყი. გოგოებმა გულიანად გაღიზარდნენ და ისეთი სიცილი დამაყარეს, სირცხვილისაგან სახის კანი დამეწვა და იმ დღიდან ამოვეკეთე — თუ ოდნავ რაიმე მკვებარობა კი იყო ჩემში.

— ... —

სოფელი კულტურულად ჩამორჩენილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრობდა ქართველი მოწინავე საზოგადოების ზოგიერთი წევრი და აგრეთვე თავმომწონე თავად-აზნაურობა. აქ ესახლენ ნიკო ნიკოლაძე, ვილაც მაჩაბელი, ქაიხოსრო ლორთქიფანიძე (მომრიგებელ - შუამავალი) ჩხეიძეები და სხვები.

ბეჟან ჩხეიძე ერთი წარბაუხსნელი კაცი იყო თურმე, შვილები და რძლები მის ნება-დაურთველად სუფრაზე ვერ დასხდებოდნენ მასთან. სამაგიეროდ, გრძელ მაგიდაზე ჩამწყრივებით ეყუნტა ორმოცამდე ხატაური დიდი კატა, წინ წვნით სავსე თიხის ჯამები ედგათ და სვლუბავდნენ.

თვით თავადი ბეჟანი სუფრის თავში იჯდა, სადილობდა, ან ვახშობდა და თან ზარობდა კატების ცქერით. პირქუში ბატონი იყო და იშვიათად თუ ვინმე შეებედავდა მის ეზოში.

ერთ დღეს აიგანზე იჯდა თურმე და გაპყურებდა თავის საზრძანებელს. დაინახა, ვილაც შალწამოსხმული დედაკაცი შემოვიდა ეზოში. ქალს მოჯამაგირეები გადაეღობნენ გზაზე და არ უშვებდნენ სასახლისაკენ. ქალმა არ მიაქცია მათ ყურადღება და რიხიანად წამოვიდა.

— ვინ არისო, — უკითხავს თავადს.

— გუბელაძის ქალია, ელენეო, — მოახსენეს.

ეს ელენე ბებიაჩემის უფროსი და იყო. გასაოცარი სილამაზის მქონე, ჯიხაიშელ ლევაჯას მოეტაცნა მალღა-

კიდან, წოდებით გლეხს, მაგრამ შეძლებულს. ბებია ამ ოჯახიდან წაყვანა ბაბუაჩემს, ელენე დაქვრივებულის და ზრდიდა ერთ ვაჟს, სოფელში არ მოიძებნებოდა ვაჟკაცი, ამ ქალის თვალის გამსწორებელი, ყველა „ბატონ ელენეს“, ეძახდა.

თავადმა ბეჟანმა რომ გაიგონა, გუბელაძის ქალი ელენე მოდისო, წამოადგა თურმე, კიბეზე ჩაეგება, ხელი მოჰკიდა, აიყვანა და სელზე რომ დასვა, მორიდებით ჰკითხა: „რამ შეგაწყუბათ“.

— შენმა მეველემ შემაწყუბა, ძროხა დაიჭირა და მანეთს მთხოვეს, საიდან მიეცე მანეთი, ხუმრობა ხომ არ არის თბლის პატრონისთვისო.

ბეჟანს არ გაუკვირდა თურმე ეს. მან იცოდა მაშინდელი მანეთის წონა. (ამბობენ: მას ოქროთი ჰქონდა საესე დიდი ხელყულაბა. როცა კვდებოდა, მოითხოვა თურმე ეს ყულაბა, დაანარცხა იატაკზე და წამოიძახა: „მიშველეთ თქვე ოხრებო!“ სიცოცხლის უკანასკნელ ეამს შეიგნო ამ სასტიკმა კაცმა სიკვდილთან ოქროს უძღურება).

— უნდა გაუფრთხილდეთ საქონელს, რომ სხვის ყანაში არ შევიდეს, — უთხრა მან სტუმარს.

ელენემ თავსაფარი გადაიდო თავიდან, მიაჩერდა ბატონს და გაბედულად შეესიტყვა:

— დალოცვილო, ქვეყანაზე რაც მიწაა, შენ გადაჯდომიხარ ზედ, ყველაფერი შენია და მე თავზე ხომ არ დავიბამ ძროხასო.

ბეჟანს აღარა ეპასუხნა, მოჯამაგირე ეფრინა მეველესთან და ებრძანებია: „ძროხა გაატანე პატრონსო!“

ასეთ ამბებს დაწვრილებით მიაშობობდა ბებია, ხშირად ლაპარაკობდა იმ ელენეზე და როდესაც ილია ქაქავაძის „ოთარაანთ ქერივი“ წაეკითხე, თვალწინ ელენე გუბელაძის ქალი დაშვსება.

ბეჟანის მეორე ძმა მერაბი, სხვათაირი კაცი იყო თურმე. კარ-გაღებულო, სტუმართმოყვარე, მიმსწვლელს მომსწვლელი, წარმოსადგვი და ლამაზი ვაჟკაცი, თან ქალების მოყვარული. სასახლეში მუდამ ჰყავდა შეიარაღებული აქარლები ათი-ხუთმეტი კაცი. სოფელი „მერაბის თათრებს“ ეძახდა მათ. თვით მერაბს არ მოვსწვრებივარ მე, მაგრამ მისი შვილი ალექსანდრე კი მინახავს. არაფრით არ ჰგავდა მამას, პატარა გამზდარი კაცი.

ალბათ ამ გავლენიანი ხალხისა და კერძოდ კიდეც ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით თუ მოხდა, რომ ჯიხაიშში დააწესეს „იარმარკობა“. ოთხშაბათობით იყო ვაჭრობა. ბაზარი რომ აკურთხეს, ახლო-მახლო სოფლებიდან დაესწრო ხალხი. წვიმიანი დღე იყო, მაგრამ ბებია ჩემი ანა ვერ შეეშინებია ცუდ ამინდს, გუბიდან ცხენით წამოსულიყო, მოჯამაგირე ახლდა, კურთხევის ცერემონიის შემდეგ ბებია ელისაბედს ესტუმრა და მოიტანა ამბავი.

„ქუთაისიდან ჩამხატველები მოვიდნენ, ხალხი დაგვაყენეს და ჩაგვხატესო“.

მართლაც ფოტოგრაფი მოეყვანათ და გადაეღოთ კურთხევის ცერემონია.

ცამდის გაკეთდა ის გვარი, ვის მიწაზედაც გაიშალა ბაზარი. ააგეს კარეები, დუქნები. მრავლად მოდიოდნენ ვაჭრები კულაშიდან, ვანიდან, ზონიდან, სუჯუნდიდან და მგონი ბანძიდანაც. სადაც კი იყო ებრაელობა, სამშაბათ ღამით გამოსწვედა ჯიხაიშისკენ, რომ ოთხშაბათ დილით პირველი ადგილი დეჰქირა კარავეში. ახლო-მახლო სოფლებმაც დაიწყოთ თავის ნაწარმის გამოტანა ბაზარზე: ძროხა, ცხენი, ღორი, თხა, ყველი, ქათამი და კვერცხი, საჩოხე შალი, წინდა, ბადური ზვანჯრები და ფუთქი.

სოლომონ ჩხეიძის ეზოში მოეწყოთ ყველაფერი ეს. „კაი მეხი დაეცა სო“

ლომონსო“, — იტყოდნენ სოფელში. ამ თავადს თექვსმეტი ვაჟი ჰყავდა და სამი ქალი. ძლიერ უჭირდა და მის მამულზე ბაზრობის გახსნა, ციხეოვლენილ მანანას ჰყავდა.

სოლომონის ვაჟები, მგლებივით ბიჭები, ტოპრაკით ხელში ჩამოურბენდნენ ვაჭრებს, აკრეფდნენ მიწის ხარკს, ვერცხლისა და სპილენძის ფულით გაავსებდნენ ყულაბებს, არც სოფლის ნაწარმს სტოვებდნენ უყურადღებოდ, ქათმითა და გოჭით ვაივსებოდა საქათმე თუ სალორე, ყველსა და კვერცხს ხომ ანგარიში არ ჰქონდა. წელში გაიმართნენ და, მგონი სახლის კაცები კი არა, ანდრია მღვდელიც შენატროდა მათ ბედს. ყოველი ოთხშაბათი დოვლათით ავსებდა ამ თავადის ოჯახს.

ალექს-მიცემობამ სწრაფი ცვლილება მოახდინა. გაიხსნა სავაჭრო დუქნები, ფურნეები, აფთიაქი, ქსენონი, ბანკი, ბაზმის საპენტი ქარხანა, დასხდნენ თერძები და მეჩქეშეები. იანეთის ბაქანზე მიმოსვლელი ტრანსპორტი გამარავლა. სასწავლებლები გაიხსნა, სამინისტრო სკოლას მიემატა ნორმალური სასწავლებელი.

განდა ინტელიგენცია, გახსნეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, გამოჩნდნენ სცენისმოყვარეები, მათ მოჰყვენენ უჩინარი დრამატურგები და პირველი წარმოდგენა ენახე მე ჯიხაიშის სკოლაში. ამ დროს დიდი ჯიხაიში ითვლებოდა ერთ-ერთ კულტურულ კუთხედ.

რვა წლისა მომავორეს სამშობლო სოფელს და წამოყვანეს ქუთაისში. დიდ მანძილზე გადმომყვა ბებია, ჯიხაიშ-გუბის საზღვრამდე მომაცოლა, დამკონა, წაღმა დამაბრუნა და გამოშვა. თვალტრემლიანი ვიყურებოდი უკან და ვხედავდი: განზე გადახრილ რცხილის ძირას იდგა ბებია, გულხელდაკრეფილი, და მოსჩერებოდა გზას. იდგა მანამდის, სანამ თვალთ არ მიეცეფარე.

მივდიოდი ჩემთვის უცხო და უცნობ მხარეში. მართლაც მიხაროდა დედასთან წასვლა, უცხოეთში ჩემის წარმოდგენით, ზღაპრული ქუთაისის ნახვა, სკოლაში შესვლა და ახალი ცხოვრება, მაგრამ უკან მრჩებოდა ბებია, ვის მკერდზედაც ვავიზარდე, მრჩებოდა ტკბილი დეიდა, ვისი წიგნის კითხვაც ნანა იყო ჩემთვის, მრჩებოდა საყვარელი ბიძა, მრჩებოდა ეზო-გარემო, ქათმები, წიწილები, თეთრი ყურშა, და წითელი ხბო, რომელსაც ეუკონინდი თვალებს.

გული მწყდებოდა.

შემდეგ, როდესაც ქალადიდელის „მასხოვს პირველად“ გაეფიგონე, გული ჩამწყდა, ასე მეგონა, ბებიიდან ჩემს წამოსვლას დამღერაინ-მეთქი.

ქუთაისში რომ ჩამოყვანეს, ყველაფერზე უფრო გამაკვირვა ერთმანეთზე მიჯრილმა სახლებმა, ერთ შენობაში მოთავსებულმა ამდენმა სხვადასხვა ოჯახმა და პატარა ეზოებმა.

ბაბუაჩემის უზარმაზარ ეზოში ხუთი თუ ექვსი სული ვცხოვრობდით, აქ კი ოთახებში იყო ხალხი გამომწყვდეული, პირველად სული მეხუთებოდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე.

ცოტახნის შემდეგ შემოყვანეს ქალთა საღარიბო სასწავლებელში. იმ დროს „ზავედენიას“ ძალიან დიდი კაცის ან მდიდარი ვაჭრების ქალები ეტანებოდნენ, ქალთა გიმნაზია არ იყო. სულ სამი სასწავლებელი არსებობდა ქალებისათვის, „ზავედენიე“, „ეპარქიალური“ სამღვდლო პირებისთვის და „საღარიბო სასწავლებელი“.

ჩვენს სკოლას ჰქონდა ექვსწლიანი კურსი, რესულად ვსწავლობდით; გვასწავლიდნენ არითმეტიკას, გეოგრაფიას, გრამატიკას, საღმრთო სჯულს და კვირაში ორჯერ ხელსაქმეს. ქართულ ენასაც გვასწავლიდნენ კვირაში ორჯერ, ისიც უკანასკნელ გაკვეთილად.



ჩინებულად ესწავლობ საღმრთო სკულს, მღვდელი ზღაპარივით მოგვი-
თხრობს, ძველსა და ახალ აღთქმას,
ჩემზე კარგად ვინ მოპყვება ზღაპარს?
ანგარიშშიც არა მიშავს, ქართულშიც
ვარ წარჩინებული. მამას გვარიანი
წიგნთ-საცავი აქვს, ადრე გამოიტაცეს
წიგნებმა, გადავიკითხე: ილია, აკაკი,
ყაზბეგი, ნინოშვილი, გიორგი წერეთე-
ლი, სიმონ გუგუნიას „თამარიანი“ და
ბევრიც სხვა.

მაწვევენ ბებიას (მამის დედა) ოთახ-
ში. ისიც მწიგნობარია ბებია ელისა-
ბედივით, მხოლოდ უფრო წმიდათა
ცხოვრების მკითხველია. სიყმაწვილე
ქალბატონობაში გაუტარებია, ჰყვარე-
ბია ცხენოსნობა, დღეობებსა და ნა-
თესაევებში სიარული, ოჯახი მეტნაწი-
ლად მოსამსახურე-მოახლეებზე ჰქო-
ნია მინდობილი. ცხრა შვილში მხო-
ლოდ მამაჩემი შერჩენია და ისიც ძი-
ძას გაუზრდია. ორი მოახლე მოპყო-
ლია თან რატიანის ასულს ანას (პირ-
ვარდისა და დილამზისა), ახლა მწუხა-
რებით იგონებდა წარსულ დროებას.

ქსოვდა აბრეშუმის არშიებს და აბო-
ლებდა გრძელტარიან ჩიბუხს. მის გა-
საგონად ვიზეპირებდი „მამათ ჩვენოს“
და „ათიმცენებას“, ხოლო ჩუმიდ ვკით-
ხლობდი ჩემთვის აკრძალულ წიგ-
ნებს, და ესტიროდი თვითეული გმი-
რის უბედურებაზე, უძილოდ ვათე-
ნებდი დამეებს, დილით მივდიოდი
სკოლაში, თვალეზიწიფთლებული და
დათენთილი. იქაც მიმჭონდა საყვა-
რელი წიგნები.

ერთხელ რუსული ენის გაკვეთილი
შიღის, მე კი, მერხში შაქს თავი ჩარ-
გული და ყაზბეგის ნუნუს ამბავს ვკით-
ხლობ („მამის მკვლელი“). თავზე
დამადგა მასწავლებელი ნინო სიმო-
ნის ასული, კოტე და ეფემია მესხე-
ბის და, წიგნი ნელა გამომართვა, წა-
ილო და დაიბარა მამაჩემი, წიგნი და-
უბრუნა და დააეალა, თვალყური
7. „მთაბა“, № 11.

ედევნებინათ ჩემთვის და აეკრძალათ
ასეთი ქცევა.

სასტიკად ამიკრძალეს ^{ერქონესული} მორჩილებ-
რომანების კითხვა და მით უფრო ყაზ-
ბეგისა, მაგრამ მე უფრო მტკიცე გა-
მოვდექი, და ვერაფერი მომიხერხეს,
დამე ლოგინში ვმალავდი წიგნს და
დღისით — უბეში.

თბილისის ქუჩაზე ვცხოვრობდი და
ჩვენს ფანჯრებთან ყოველ საღამოს
ჩამოივლიდა ცხენოსან ყაზაქთა მთელი
ასეული, უბელო ცხენებზე იყვნენ გა-
დამსხდარნი და მდინარე რიონზე მიჰ-
ყავდათ დასაარწყლებლად თუ საბა-
ნაოდ.

სწორედ ეს ყაზახები მეგონა ისინი,
რომელნიც ყაზბეგს ჰყავდა აწერილი
თავის თხზულებებში.

დიდი ფიქრისა და თავისთავთან
ბკობის შემდეგ, მივეუგზავნე მამას მო-
ციქული და ვსთხოვე; მონასტერში გა-
ვეშვი მონოზნად, ნეტა რა მიზიდავდა
იქ? აქ შებოჭილად ვგრძნობდი თავს
და ასე მეგონა, იქ თავისუფლად ვიქ-
ნებოდი. არც რუსულის სწავლას და-
მაძალებდნენ და ეერც ვერაინ და-
მიშლიდა წიგნების კითხვას. წარმო-
დგენაც არ მქონდა მონასტრის ცხოვ-
რებაზე.

მე მონოზნები მხოლოდ შარა-გზებ-
ზე მოსიარულე მენახა, ჯერებს რომ
ურიგებდნენ სოფელს ბავშვებს. ზოგ
პათვანს თან დაჰყავდათ ზურგზე ტომ-
რებდაკიდებული სახედრები, სოფელ-
ში სიმიდს თხოულობდნენ. ესენი
იყვნენ მათხოჯისა და მარტვილის მო-
ნასტერთა მოლოზნები.

აუე ვფიქრობდი; მეც ხომ ღარიბი
არა ვარ, სიმიდსა და ყოველგვარ სა-
ხარჯოს მამა გამომიგზავნის, პირი-
ქით, სხეებს ვაჰმეც და ნებიერად შე-
მინახავენ-მეთქი.

მამაჩემმა გაიცინა თურმე და უთხრა
მოციქულს (ღვიდაჩემის მეუღლე
იყო — ჩიქოვანი) „ოცდახუთი წლის

რომ ვახდება, თუ კვლავ გამოსთქვამს ამ სურვილს, მაშინ უთუოდ შეეუსრულებ თხოვნასო“.

მამას კარგად ესმოდა ბავშვის ფსიქოლოგია და ცხადია არც შემცდარა. ოცდახუთი წლისას უკვე ვაჟი მყავდა და მწერლობაც მქონდა დაწყებული.

ქუთაისში მუდმივი თეატრი მგონი ახალ საძიკველჩაყრილი იყო იმ დროს: ნუცა ჩხეიძე, ვასო ბალანჩივაძე, დავით ჩარკვიანი, გრიგოლ ჩარკვიანი, შალვა დადიანი,—ი ეს სახელები მესმოდა ხშირად. ჩვენები როცა მოვიდოდნენ თეატრიდან, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას, საბლშიც კი იცინოდნენ აკაკის ვოდვეილ „ბუტიობაზე“. „პატარა კახის“ დადგმაც ახსენეს. მამა ამბობდა: „აღბათ ასეთი იყო ერეკლე სიყმაწვილეშიო“.

„პატარა კახი“ მე ხომ ზეპირად ვიცოდი, რაღა იყო ჩემი ხელის შემშლელი? ხელად ჩამოეწერე როლები, როგორც მებერზებოდა, მოვუყარე თავი ეზოს ბავშვებს, და დიდის ყოფით შევასწავლე მათმათი სათქმელი, სახლის პატრონს მქონდა გაუქმირავებელად დარჩენილი ერთი გრძელი დუქანი, ვითხოვეთ ეს ბინა, დაესწმინდეთ იქაურობა, ფარდის მაგივრად გავაბით ზეწრები და სცენა გავმართეთ, მაგრამ ხელს უტყეობა მიშლიდა.

„პატარა კახის“ მოქმედება თითქმის სულ ბუნებაში მიმდინარეობს. მაგრამ ამასაც გამოვუნახეთ საშუალება. ჩემმა მსახიობებმა მეზობლის ტყემალს ფარულად შეაჭრეს ერთი ტოტი. მივყუდეთ კედელზე და გაჩნდა ტყე.

მაყურებლად ეზოს მცხოვრებნი ვეყავდა, ბილეთი ერთი კაპეიკი ღირდა. ორი წარმოდგენის შემდეგ ხელში შეგვჩნა ცარიელი ოთახი და მეზობლების სკამები. აღარ მოვიდა საზოგადოება, გავვისინჯეს კბილი და ნახეს, რა მსახიობებიც ვიყავით.

ეს ამბები ხდებოდა, სანამ მონონობას მოვიდომებდეთ, ყუფუნებოდი წლის ექვნეზოდი იმ ღრუბრის მხედგენების მართვა შეეწყვიტე, მაგრამ მისდამი ლტოლვა მედამ მქონდა.

ერთ დღეს, დიდი დასვენების შემდეგ, მოგვიგვიანდა კლასში შესვლა, ზარის ხმა ვერ გავიგონეთ, ჩამოვარდა ზედამხედველი და დაგვიყვირა: „Марш по классам!“—ო. იმ წუთას გავეშურეთ კლასებისკენ, მაგრამ სადღა მიღიხარ? დერეფნის კარებთან გაჩერებულა თვით გამგე და აღარ უშვებს ბავშვებს.

რა მოვისაზრე, აღარ ვიცი, მხოლოდ გავტრიალდი კი უკან, ჩავიბრინე ეზოში, ვეცი პირველ მოსამხადებელ კლასის ფანჯარას, დავკარი ხელი და შევხტი ზედ, ჩავხტი ოთახში, გაცვეთილი უკვე მიდიოდა, ნინო მესხმა შემომხედა, ოღნავ ჩაელიმა, მას ვუყვარდი, გამგის ყვირილი ესმოდა და აღბად მიხედა საქმის ვითარებას. „აქ რაღაცა ამბავიაო“,—ფიქრა, მე მისთვის აღარ მიმიხედავს, დერეფანში გავვარდი, კიბეებზე ავიბრინე, კლასში თავი შევყავი და ჩემს მერხში ჩავძვეარი. სამი გოგო მომდევდა უკან. უთუოდ ისინიც ასე მოიქცნენ. ამის შემდეგ, ხუთ წუთს არ გაუვლია, და შემომესმა ქალბატონ რუბანის კივილი.

— Татиева, Татиева, давайте ес сюда! — ყვიროდა. სოფიო ყაუხჩიშვილმა შემომხედა მწუხარე თვალეებით და მითხრა: თათიეშვილო! ეს რა გააკეთე, ხომ დაიღუპეო“.

მე დამითხოვეს სასწავლებლიდან, რასაც დიდად არ შეეუწყუხებოვარ. რუბანის ქალთან ყოფნას სიკვდილი მერჩივნა. დიდი რეაქციონერი ვინმე იყო, რომელიღაც მინისტრის, მგონი სულაც დურნოვოს ცოლისდა, კონსერვატორი, სულ მეფის ტახტზე ლოცულობდა.

ალექსანდრე მესამე რომ კედებოდა, რუბანის ქალი ტირილით თვალებს

ისიებდა, „სამების“ (რუსების საყდარი იყო) ეკლესიაში გვათრევედა სამშვიდობო პარაკლისებზე და ქვის იატაკზე ჩოქებით მუხლებზე ტყავს გვაძრობდა. მთელ ქუთაისში ჰყავდა ორი მეგობარი — ექიმი ვორონოვი და დიდი, უცხო ჯიშის ძაღლი, რომელსაც ტრიზოლს ეძახდა, ვერცხლის ყელსახვევზე წერილ ძეწვეს გამოაბამდა და ისე დაათრევედა ბულვარში.

როდესაც რუბანის ქალის სასწავლებელს მოვმორდი, შემოყვანეს ახლადგახსნილ „პროვიმნაშიაში“ მაგრამ ვერც ის დავამთავრე, რადგან მაშაჩემი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ოჯახიც თან წამოიყვანა.

ო, ეს დიდიხნის ამბავია. ქართველი კაცი და ისიც იშვრელი იშვიათად თუ გაიქაქანებდა თბილისის ცენტრალურ რაიონებში... თუ კი იყვნენ მუხრანსკები, ჭავჭავაძენი, მაჩაბლები, ვაჩნაძენი, ორბელიანები, ციციშვილები და ამილახვრები. დიდი გვარისა და დიდი თანამდებობის პატრონნი, ისინიც კი სანახევროდ სასტუმროებში ცხოვრობდნენ.

წერილ ქართველობას ეკავა ქალაქის კიდეურები: ნავთლული, ხარფუხი, შავი სოფელი, ავლაბარი, ჩულურეთი. ორთაქალის ბაღებში იშვრლობა და რაჭ-

ველები მუშაობდნენ; ვერის სანახევროები, წყნეთის გზის ჩათვლით. საბურთალო არ იყო იმ დროის ბურჟუაზიული სამოსახლოდ და არც ვაკეს ახსენებდნენ. დიდუბეში უფრო მეტი რუსობა ესახლა, ვიდრე ქართველობა, ნაძალადევი მაშინ ყალიბდებოდა.

ქალაქის სამმართველოში მოკალათებული ცენზიანი ვაჭრები (ცენზიანი ის იყო, ვისაც ჰქონდა ქალაქში დიდი სახლები, მალაზიები და წარმოება) არ ანებებდნენ ხალხს თავისუფალ მიწებს და არ აძლევდნენ დასახლების უფლებას, მაგრამ ხალხი კი ძალადობდა, ღამით დაასობდა ოთხ ბოძს, ფირფიცარით შემოლობავდა, თავზე ყავარს წააფარებდა, შიგ ერთ ტახტს დადგამდა (ამ თემაზე მოთხრობაც აქვს ეკატერინე გაბაშვილს) და გათავდა. დილით ახალი მოქალაქე ემატებოდა თბილისს. ამიტომაც უწოდეს „ნაძალადევი“.

მე წინდაწინ წამომიყვანა მამამ ქალაქში, სანამ ოჯახს გადმოიყვანდა. თბილისში ღამით ჩამოვედი. მატარებელიდანვე დავინახე გაჩირადნებული ვეებერთელა ქალაქი, თუმცა მაშინ ნავთის ფარნები ბეუტავდნენ ქუჩებში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვაჟა-ფშაველას ეთიკური და ლიტერატურული მემკვიდრეობა

ალექსანდრა ქათალია



ვაჟა-ფშაველა ლიტერატურულ ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც ჰუმანიზმის იდეა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში მწვავე კრიზისში შედიოდა, როდესაც ნიცშე, ფაშისმის ეს პირდაპირი წინამორბედი, და მისი ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდევრები, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში გამოდიოდნენ ჰუმანიზმის, ადამიანის მორალისა და სინილის უარყოფით და მათ ნაცვლად მხეცური ინსტიტუტების დანერგვას მოითხოვდნენ. ამ პერიოდში გამოვიდა ვაჟა, როგორც ჰუმანიზმისა და ზნეობის დამცველი, და შეჰქმნა ისეთი პოეტური და მხატვრული შედეგები, რომლებიც სამუდამოდ დარჩებიან მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ჰუმანიზმისა და ზნეობრიობის უღრმეს და უქცობ ძეგლებად. ვაჟამ ქართული და მთლი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით ჰუმანიზმსა და ზნეობრიობას ღრმა და მაღალ მხატვრული დასაბუთება მისცა. ამით განიზღვრება ვაჟას შემოქმედების აზრი და მნიშვნელობა. ვაჟას ნაწარმოებნი თავიანთი მნიშვნელობით სცილდებიან ქართული ლიტერატურის ფარგლებს. ისინი მსოფლიო ლიტერატურის მძლავრი

ნიშანსეულებია ჰუმანიზმისა და ზნეობრიობისათვის ბრძოლაში.

ვაჟა-ფშაველა უდიდესი მორალისტიც არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. პოეტის ყველა ნაწარმოები ღრმა ეთიკური იდეებით არიან გამსჭვალულნი.

ნიცშემ, რომელიც საშინლად სძულდა ვაჟას, მორალი ცხოვრების მტრულ კანონად გამოაცხადა და ცხოვრების გასაჯანსაღებლად მისი მოსაზრება მოითხოვა. ნიცშე სწერდა: „ჩემი დასკვნა: ყველა ძალასა და მიღრეკილებას, რომლის მეოხებითაც არსებობს სიცოცხლე და ზრდა, მორალის წყევლად აკრულვა ადევს: მორალი როგორც ცხოვრების უარყოფის ინსტიტუტი. აუცილებელია მოისპოს მორალი, რომ ცხოვრება განთავისუფლდეს“.

მორალი მთელი თავისი პრინციპებით, ნიცშეს აზრით, ცხოვრების ბუნებრივ კანონებს ეწინააღმდეგება, რადგან იგი მხარს უჭერს და ახანგრძლივებს სუსტების, თვით ბუნების მიერ დასაბუთად განწირულთა სიცოცხლეს: ამიტომ იგი უკაცობის უნდა იქნას. აღდგენილი უნდა იქნას ბუნებრივი უღმობელობა, სიმკაცრე მისი დევნილი: „სიციფილი უმ-

ლერს“. მაგრამ, ულმობელობა რომ აღდგენილ იქნას, ამისათვის ადამიანებმა ხელი უნდა აიღონ სინიდიისზე. საჭიროა ადამიანი განთავისუფლდეს სინიდიისაგან, როგორც ულმობელობის ხელშემშლელისაგან. ამ მხეცურ აბლა-უბლას, როგორც ცნობილია, შემდეგ ათასნაირ ყაიდაზე იმეორებდნენ ჰიტლერი და მისი დამკავშირებნი.

ვაჟა—ეს დიდი ჰუმანიტი და მოხალისე—მთასავით აღიმართა მოხალისა და სინიდიის დამცველად. 1913 წელს მან სინიდიის, მის მადლსა და უძლეველ დამსჯელ ძალას უძღვნა სპეციალური პოემა სათაურით: „სინიდიის“. პოემისათვის ვაჟა იყენებს ბიბლიურ თქმულებას კაინის მიერ თავისი ძმის, აბელის მოკვლის შესახებ. კაინი დვიძლ ძმას რომ ჰკლავდა, ფიქრობდა, მას ბედი გაუღიმებდა, დამბადებელი შეიყვარებდა და მადლს მოჰფენდა. მაგრამ მკვლელობის შემდეგ კაინის გულში უჩინო ძალა იჭრება. იგი სულში უძერება მას და მთელს მის არსებას ბრჯღალი ჩაელო, მის წამებასა და ქენჯნას იწყებს. გაჯავრებული და სასოწარკვეთილა კაინი ზეციურ ძალას სამღურავით მიმართავს, რათა გაანთავისუფლოს იგი მის გულში ენადგმული შინაგანი ხმისაგან, მისცეს მას მშვიდი და ნაზი სიცოცხლე, რომ აღარ სწყუხდეს, არ იტანჯებოდეს და მწარე ფიქრები გულს არ უწყლავდეს. კაინი იმუქრება: „უნდა დავიხშო ეს მეორე ხმა“, ხმა სინანულისა, რომელიც მთელ მის არსებას აშფოთებს და ათრთოლებს, სიცოცხლეს უწამლავს. ხმა ციდან ჰკიცხავს კაინს და ეუბნება:

„დიდი სუნჯე მე შენ მოვეცი,
რომ იმეხადლე მოსისხლე მხეცი,
შენ-კი დასწიხლე გვ მაღლი დიდი
და სწივი, სული რომ არ გაქვს მშვიდი.“

განრისხებული კაინი ზეციის წმინდა ბრალს სდებს, რომ ზეციურმა ავი გნდომნია“ო, და კვლავ იმეორებს თავის მუქარას: „აბელის მსგავს დღეს დავაყრიდი“ სვინიდიისს, „დაეკეპდი წვრილად და გადაყრიდიო“; მაშინ ხმა ციდან სწყველის კაინს და მასთან ყველა იმათ, „ვისაცა სწყენდეს სიკეთე ძმისა, კეთილი რჩევა კეთილი ხმისა, ვინაც არ მიჰყვეს იმის ნებასა“.

ვაჟა მიმართავს მითოლოგიას და ამბობს, რომ ყველა ცოცხალი არსება, ყველა „რაიც კი სუნთქავს“, ცხვარი თუ მელა, განიცდის ამ შინაგანი ხმის რჩევას და ძალას. მაგრამ ზოგი მას ყურს უგდებს, ზოლო ზოგი ანშობს ამ ხმას, ყურს იყრუებს და თვალებს ზუქავს. რაც შეეხება ადამიანებს, ვაჟა აკრიტიკებს თავის თანამედროვე საზოგადოებას და ამბობს, რომ ადამიანებმა თავიანთ გულში მოკვლეს სინიდიისს გრძნობა. მაგრამ სინიდიისი, მიუხედავად ტანჯვა-გვემისა, მაინც არ მოკვდა, მისი სიცოცხლის ძაფი არ გაწყდა, იგი უყვადვია. და დღესაც გვეძახის იგი ხმა, დღესაც ჩაგვაგონებს კეთილ საქმეს და გვოცავს ავისაგან, სწყველის ავ საქმეს. მსოფლიოში ბრძოლაა გამართული სინიდიისსა და უსინიდიისობას შორის. მთელს ისტორიას, ვაჟას სიტყვით, ეს ბრძოლა ძაფივით გასდევს. ვინც უარპყო სვინიდიისი, ყველა დამდაბლდა, ზოლო ვინც იტანჯა და იბრძოლა მისთვის, იგი ამაღლდა. ვაჟა ჰგმობს თავის თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებას. დღეს, სწერს ვაჟა თავის თანამედროვე საზოგადოებაზე, სვინიდიისი დიდ ტანჯვასა და დამკირებას განიცდის; იგი კენვის; შემზარავია სვინიდიისის კენვისა. ვაჟა მხატვრულ-ალგორითულ ფორმაში გვაძლევს სინიდიისს კენვის აღწერას კლასობრივ საზოგადოებაში და მასთან ერთად სინიდიისს—

ადამიანის ამ უდიდესი გარდამქმნე-
ლის—უღრმეს აპოლოგიას იძლევა.
სინიდიისი, სწერს ვაჟა ალევორიული
ფორმით, დაჩოქილი და ხელ-აპრო-
ბილი ევედრებოდა ღმერთს, მიეღო
თანა, რადგან კაცთა შორის მას არ
ჰქონდა ბინა, ქვეყნად იგი მეტი იყო,
ღლეს, ადამიანთა შორის აღარაა მისი
სახელი, ჰქრება, იღვეა. მას ადამიან-
ებისთვის რგება სწაღდა, მაგრამ
ამაოდ, მისმა ცდამ არაერთარი შე-
დეგი არ გამოიღო, ვერაფერს გახდა
და ა. შ

მაგრამ ხმა ციდან უპასუხებს, რომ
მისი თხოვნის შესრულება არ ძა-
ლუძს, რადგან ქვეყანა უსინიდიისოდ
დაიღუპებოდა და ყოველი ქმნილე-
ბის სიცოცხლეს აზრი დაეკარგებოდა.
მისი თხოვნა არ აღსრულდება. ეს
რომ მოხდეს, მაშინ ხომ მსოფლიოც
უნდა წახდეს და მოისპოს? უსინიდი-
ისოდ არა თუ ადამიანები, ცხოველე-
ბიც ვერ იარსებებენ. ამიტომ სინი-
დისი უნდა დარჩეს ქვეყნად, კეთილ
საქმეს ფრთები შეასხას და ავი დაჰ-
გმოს.

„უშენოდ შეცთაც ვერ ისეირონ,
ველარ გამოავლდნ, ვერ იხირონ.
შიტომ გიბრძანებ მანდ დარჩე კვალად
და მოარჯულო ქვეყანა ძალად.
გამოიჩინე მზნეობა, ღონე,
რაც შეგიძლიან, რისაც ხარ შკონე;
იგი დატანჯე და დააღონე.
კეთილის მქნელსა შეახი ფრთები —
მიეცი სელადა მრავალი გზები.“

ამ თავის პოემას ვაჟა საუცხოოდ
ამთარებს. ეს დასასრული, ჩვენის
აზრით, გვიჩვენებს, თუ რამდენად
მწვავედ განიცდიდა ვაჟა სინიდიისის
კვნესას, კრიზისის თავის თანამედრო-
ვე ანტაგონისტურ საზოგადოებაში.
სინიდიისის გულსაკლავ ქვითინს პოე-
ტი სამყაროს დაბნელებად, ჯოჯოხე-
თად წარმოგვიდგენს:

„რა გულსაკლავად ქვითინი იქმის,
მის საზარლობა ერთი არ ეთქმის...
თუ ვინა ჰგოდებს ასე ქვითინს...
ვევლაც მიხედება შინ და გარეთა.
ამასთანავე დაბნელდა არც:
შავი ღრუბლები მოერტყა გარე,
სიანს დახოცილან ცად მზე და მთვარე.
ჯოჯოხეთადა იქცა მთა-მარი.
დასანგრევედა იგი მზად არი.
ქვესკნელიდანა ისმის ხარხარი,
იხე ძლიერი, იხე მავარი,
ჭეჭა-ჭეხილი მასთან რა არი?!
რა გესლანად ვიღაც ხარხარებს!
თვით ღელამიწა მისგან ზანზარებს.“

სინიდიისთან ერთად ვაჟა გამოდის
აგრეთვე სიბრაღის გრძნო-
ბის განსაცვიფრებელ დამცველად.
სიბრაღულს, როგორც ჰუმანიური
ეთიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს,
კიდევ უფრო მეტი გააფთრებით,
ვიდრე სინიდიისს, ესპობდა თავს ნი-
შე. გონებადაბნელებული და პათო-
ლოგიური ნიშნე სიბრაღულს პათო-
ლოგიურ გრძნობას უწოდებდა. სიბ-
რაღული გადამდები სენიოა, — გაიძა-
ხობდა ნიშნე. ნიშნე სიტყვებს ველარ
პოულობდა იმისათვის, რომ სიბრა-
ღულის გრძნობა შეელახა და შეეგი-
ნებინა. „იგი (სიბრაღული—ა. ჭ.),—
სწერდა ნიშნე, — დეპრესიულ ზემო-
ქმედებას ახდენს. ძალასა ჰკარგავ,
როდესაც იტანჯები. სიბრაღული კი-
დევ უფრო ზრდის და აორკეცებს ძა-
ლის დაკარგვას, რასაც უკვე თავის-
თავად სიცოცხლის ტანჯვა მოაქვს
თან. თითონ ტანჯვა სიბრაღულის
წყალობით გადამდებ სენად იქცევა;
გარემოებათა მიხედვით, მისი წყალო-
ბით შეიძლება მიღწეულ იქნეს სი-
ცოცხლისა და სასიცოცხლო ენერჯიის
სრული დაკარგვა...“ ეს პირველი
თვალსაზრისია; მაგრამ არსებობს კი-
დევ უფრო მნიშვნელოვანი თვალსა-
ზრისი. თუ სიბრაღულს გავზომავთ

მის მიერ მოხდენილი რეაქციების ღირებულებათა მიხედვით, მაშინ მისი მტრული ხასიათი კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება. სიბრაღული გადაჰყვეთს საერთოდ განვითარების კანონს, რომელიც შე რ ჩ ე ვ ის კ ა ნონს წარმოადგენს. ის ხელს უწყობს იმას, რაც დასაღუბად მომწიფდა, ის იცავს ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა და განვიცხულთ; იგი თვით სიცოცხლეს დაღვრემილ და სახიფათო სახეს აძლევს მის მიერ შე ნ ა ხ უ ლ და შე ნ ა რ ი უ ნ ე ბ უ ლ ყველა სახის ბედუქულობართთა სიმრავლის გამო. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ გამბედაობა სიბრაღულისთვის ქველმოქმედება ეწოდებინათ (ყოველ ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი უ ლ მო რ ა ლ შ ი იგი სისუსტედ ითვლება); კიდევ უფრო შორს წავიდნენ, სიბრაღულისაგან შექმნეს სიკეთე, სათნოება საზოგადოდ, საფუძველი და წყარო ყველა სიკეთეთა, — რასაკვირველია, ეს ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ფილოსოფიის თვალსაჩინოთ, ფილოსოფიისა, რომელიც ყოველთვის ნიჰილისტური იყო და რომელმაც თავის ფარზე ს ი ც ო ც ხ ლ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა დასწერა".

ნიცმესა და მისი მიმდევრების საწინააღმდეგოდ, ვაჟა ამბობს, რომ სიბრაღული არის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და უკეთილშობილესი გრძნობა. სიბრაღული ხდის კაცს კაცად. ადამიანს რომ ეს გრძნობა არ ჰქონდეს, იგი ცხოველებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. სიბრაღულის გრძნობას და თანაგრძნობას მოკლებული ადამიანი აღარ არის ადამიანი. მის სულში არ არის სიცოცხლე, ციური ცეცხლი. იგი ცივია, ვითარცა ყინული. იგი ისე მოკვდება, ერთხელაც ვერ გაიგებს და ვერ დააფასებს სიცოცხლის სიკეთეს. ასეთი კაცის ხვედრი მკვდრის ხვედრზე უარესია.

საზარელია უგრძნობელობისა და შეუბრალებლობის გზაზე დადგომა. იგი საშინელი წყევლაა, ყველაზე საზარელი ბოროტება. „ბაბტრიონში“ ვაჟა სწერს:

„ნეტავი ცეცხლი ციური,
ვისაც-ყო გულში მთებია,
ვერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,
სივაც ამოჰგზნებია!
მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,
შით რომე სიცოცხლე უღვას
სალის ყინულის ტაბტზედა.
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რა აცვან ჯვარზედა.
ისე მოკვდება, ვერ შედგეს
ერთს წაშ ტრფობისა მთაზედა.
შორს არის, მეტად შორს არის
დაშორებული მახედა.
ქაობში არის ჩაფლული,
ვიცნობ მოწამულს ხმაზედა.
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა!“

სიბრაღულის გრძნობა თუ ჩაჰქრა და უგრძნობელობის გზაზე დაედექით, მაშინ სიცოცხლეს ჩაჰქრება. ერთი თავისი პერსონაჟის პირით პოეტი ამბობს: „ჩქეყანა წაიწყმიდება, თუ კი შებრალება და შეწყნარება აღარ გვექნება ერთმანეთისა“. შებრალების გრძნობის გარეშე არც შეიძლება და აღარც ეღირებოდა სიცოცხლე. სიბრაღული ადამიანის სულში ისე ღრმად იჭრება, რომ მას სტანჯავს, მაგრამ ამგვარი ტანჯვა ადამიანისათვის უღრმესი სიამოვნებაა. სიბრაღულის გრძნობა ადამიანს ხშირად თავის უძვირფასეს საგანძურს, საკუთარ სიცოცხლეს შეაწირვინებს. მაგრამ სიცოცხლის ამგვარი შეწირვისას სიკვდილი კი არ იმარჯვებს, არამედ სიცოცხლე, იგი სიცოცხლის ზეიმია. ასეთ სიკვდილში ადამიანი კი არ ჰქარგავს სიცოცხლეს, არამედ იძენს მას. ვაჟა სწერს:

„გულით გეტყვი, მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და ვგონებ, შენც დამეთანხმებდი, რომ არც სასიცოცხლო ვიქნებოდი, ერთი, რამ მიყვარს და მებრალება; ეს გრძნობა სიბრაღისა მტანჯავს კიდევ, მაგრამ დიდადაც მსიამოვნებს, — მასიამოვნებს ისრე, რომ ამ საბრალო არსების ცხოვრება იღონდ—კი გავაუკეთესო და სიცოცხლე არაფერია ჩემთვის; იმის გულისათვის სიკვდილი სასიამოვნო, საამაყო, თავ-მოსაწონებელია ჩემთვის“.¹

ნათქვამის შემდეგ ვაჟა თითქოს გაკვირვებული კითხულობს: „ეს რა ამბავია, ეს რა წესი უნდა იყოს ბუნებისა საზოგადოდ და კერძოდ ადამიანის ბუნებისა? ასე რადა მსჯის, ამგვარად რადა სჭრის და ჰკერავს ბუნება; თითქოს კაცს სიცოცხლე ყველაზე მეტად უყვარს? ამ კითხვებს ვაჟა იქვე ასეთ პასუხს გასცემს: „მაგრამ რომ ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობს! ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩაადენინებს კაცს, რომ იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა, მაინც და მაინც ბუნებას ხომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირად უყვარს და ორივეც იმის ზელობა არის“.

მაგრამ რაგინდ დიდებული და კეთილშობილი იყოს, ვაჟას აზრით, სიბრაღის გრძნობა, პოეტი მას მაინც სიყვარულის გრძნობაზე დაბლა აყენებს და იმედსა და სურვლს გამოსთქვამს, რომ მომავალში სიყვარულის გრძნობამ შესცვალოს სიბრაღის გრძნობა. ვაჟა ფიქრობს, რომ სიბრაღის გრძნობა ცოტა არ იყოს ბატონყმური ელფერს ატარებს, რამდენადაც სხვას რომ იბრალებს, ამით

უნებურად ადამიანი თავისთავად უფრო ბედნიერად გრძნობს ვიდრე იმას, ვისაც იბრალებს.

დიდი და კეთილშობილი ვაჟა საერთო ბედნიერებისათვის იბრძვის. ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის და არა ცალკეული ადამიანების ბედნიერებისათვის. ამიტომ იგი გამოსთქვამს სურვილს და რწმენას, რათა მომავალში სიყვარულის გრძნობამ შესცვალოს სიბრაღის გრძნობა, რათა მომავლის მგოსანმა უმღეროს არა სიბრაღის გრძნობას, არამედ სიყვარულის გრძნობას, მაგრამ დღეს, ამბობს პოეტი თავისი მკაცრი ეპოქის შესახებ, — როდესაც გებრალება და არ კი გიყვარს, ეს სიბრაღული აუცილებელია, იგი სიკეთეა, რამდენადაც ბევრია ისეთი, რომელიც სიბრაღულს საჭროებს. ვაჟა სწერს: „მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ახლა კიდევ სხვა ვიფიქრე, ვფიქრობ, რომ სიბრაღულს სიყვარული სჯობია ბევრით. სიბრაღული ცოტა არ იყოს ბატონყმური გრძნობაა. მე რა უფლება მაქვს, მებრალებოდეს ვინმე, მე, რომელიც იქნება თვითონ გიყო შესაბრალისი? ნუ თუ ეს იმას არა პნიშნავს, მე ბატონი ვარ და შენკი ბეჩავი, ჩემო ყმაო? ვის ებრალება სხვა? იმას, ვისაც თავისთავი იმაზე ბედნიერად მიაჩნია, რომელსაც იბრალებს და იწყალებს. ღვირთმა ჰქნას, მომავალმა დრომ სიბრაღის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს. მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ხოლო დღევანდელს დღესკი ისევ სიბრაღული გეასულდგმულებს, რადგან შესაბრალებსა და შესაწყალებს ბევრსა ვხედავთ, — გვებრალება, და რამდენადაც გვებრალება, იმდენად აღარ გვიყვარს“.¹

¹ ვაჟა-ფშაველა — „ფიქრები“, გაზ. „იფერია“, 1891 წ., № 113.

ვაჟა მთავარ ყურადღებას სიბრა-
ლულისა და თანაგრძნობის მხატვ-
რულ-ეთიკურ დასაბუთებას აქცევს.
სიბრაღლის იდეა — მთელი მისი შე-
მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი
მოტივია; ამ მოტივით არის გამს-
კვალული მისი ყველა მთავარი ნა-
წარმოები, როგორც პოეტური, ისე
პროზული. მაგრამ უნდა ითქვას,—
რომ სიბრაღლის გრძნობა ვაჟას შე-
მოქმედებაში არასოდეს არ მიდის
გულისამაჩუყებელ სენტიმენტალიზ-
მამდე. ვაჟამ კარგად იცის, რომ სათ-
ნობა საჭიროებს ვაჟაკობას და არ
უნდა იყოს დამალარბებელი.

ვაჟა-ფშაველა გმირული სულის
პოეტია. ვაჟაკობა მისი შემოქმე-
დების ერთ-ერთი მთავარი მოტივია,
ვაჟა ვაჟაკობას განიხილავს არა
მხოლოდ,—და სწორედ რომ ვთქვათ,
არა იმდენად,—როგორც ადამიანის
ფიზიკურ ღირსებასა და სამკაულს.
არამედ როგორც ეთიკურ ძალას,
რომელსაც უდიდესი გარდამქმნელი
მნიშვნელობა აქვს. ვაჟაკობა, გმი-
რობა, სიმამაცე ვაჟას შემოქმედება-
ში ყოველთვის გვევლინება, რო-
გორც ისეთი ძალა, რომელიც ყო-
ველთვის კეთილ და ამაღლებულ
გრძნობებს ჰბადებს ადამიანში. ვაჟ-
აკობა, ვაჟას აზრით, სიყვითის მცვე-
ლია. ვაჟაკობის ზეგავლენა არ
ამოიწურება იმით, რომ იგი თანა-
გრძნობას, პატივისცემასა და სიბრა-
ღულს იწვევს.

„მით ვაჟებთ ვაჟაკობას,
არ იყიდება ფულად“.

— ლაპარაკობს ვაჟა ალუდასენით.
ვაჟაკობა, ვაჟა-ფშაველას აზ-
რით, ადამიანს აკეთილშობილებს და
ჰუმანიურს ჰხდის. ასე აკავშირებს
ვაჟა ვაჟაკობას გულკეთილობასა

და სათნობასთან და მას ერთკურ
მნიშვნელობას ანიჭებს. ვაჟაკობა-
ში შევნიშნავთ სხვათა მართვის
შესაძლებელია ვაჟაკობის ასეთი
გაგება ერთგვარი მიზეზი ვაჟა-
იმისა, რომ პოეტმა თავის მეორე სა-
ხელად „ვაჟა“ აირჩია.

მართალია, ვაჟა სიყვარულს და
სიბრაღულს ანსხვავებს, მაგრამ მათ
შორის არც გაუვალ კედელს აე-
ლებს. სიბრაღული და სიყვარული
ურთიერთ დაკავშირებული არიან.
შებრაღება შეუძლია მოსიყვარულე
გულს, ხოლო სიყვარული შემბრა-
ლებელ გულს. ვაჟა სიბრაღულთან
ერთად სიყვარულის პიშნსაც მღე-
რის. ამიტომ ვაჟა მიზნად ისახავდა,
ხოტბა შეესხა სიბრაღულისთვის; მას
სწამს, რომ მის ეპოქაში, როცა შე-
საბრალები და შესაწყალები ბევრი
იყო, როგორც თვითონ პოეტი ამ-
ბობს, ახლახან მოყვანილი ამონაწე-
რის დასკვნითს სტრატეგონებში, სიბ-
რაღული მასულდგმულბებელი ძალა
იყო. მომავალი საყოველთაო სიყვა-
რული ამგვარი სიბრაღულის გარეშე
ვერ განდება. ამ აზრით სიბრაღუ-
ლი დიადი სიყვარულიც იყო. ვაჟა
სიბრაღულისა და მასთან სიყვარუ-
ლისაც უდიდესი მქადაგებელია.

მოთხრობაში — „კლდემ მხოლოდ
ერთხელ სთქვა“, კლდე ამბობს:
„გ ი ვ ვ ა რ დ ე თ კ ა ც ნ ო ე რ თ-
მ ა ნ ე რ თ ი!.. ამ სიტყვებს განსაკუთ-
რებული ყურადღება უნდა მიექცეს.
შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს.
პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დე-
და ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს
აკვანში — ისე გამუღმებით, რომ ეს
ჩაძახილი ვეღარა გზით ვერ ამოიშა-
ლოს ადამიანის გულიდან, როგორც
ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოქშლის
წყალთა და ზეათა ნაკვალევს. ანუ,
უკეთ რომ ესთქვათ, ის პატარა ბუმ-
ტი ლეშისა, რომელსაც თქვენ გულს

ეძახით, იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად—გ ი ყ ვ ა რ დ ე ს“.

ადამიანის ჰუმანიზაციაში უდიდესი როლი ეკუთვნის შრომას. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. ვაჟს კარგად ესმოდა შრომის ეთიკური და ჰუმანური მნიშვნელობა. შრომა, მისი აზრით, ურწმუნობისა და პესიმიზმის საწინააღმდეგო საშუალებაა. შრომა სიყვარულთან ერთად სიცოცხლეს სილამაზეს და აზრს აძლევს. სასარგებლო, აზრიანი შრომა ადამიანს სიბარულსა და ბედნიერებას ანიჭებს. „შრომა და სიყვარული აძლევს შნოს და ლაზათს ადამიანის სიცოცხლეს“. „იშრომე, იშრომე! ეგ არის ჩემი ანდერძი: ეგ იქნება მხოლოდ წამალი შენის დარდისა და ვარამისა“,—ამბობს ვაჟა მოთხრობაში „ოცნება“. ამ შესანიშნავ მოთხრობას ვაჟა ამთავრებს მოწოდებით: „ქვეყნის ერთგულნო, იშრომეთ!“

სწორედ სიბრალულისა და სიყვარულის ქადაგების გულისთვის გააცოცხლა ვაჟამ უსულო საგნები, ჩაბერა მათ სული. ვაჟა უბრალოდ კი არ განასულდგმულებს ბუნებას, არამედ მას მორალური და ჰუმანიური იდეებით აჯილდოვებს, სიბრალულის, სიყვარულის, სიკეთის ქადაგად აქცევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ვაჟა ბუნებას ეთიკური მიზნით გააცოცხლებს.

ვაჟა-ფშაველა ბუნების საგნებს სიცოცხლეს ანიჭებს არა თავად სიცოცხლისათვის, არამედ იმისათვის, რომ სხვას არგონ. სიეთე მოუტანონ. ყველა ბუნების მოვლენას პოეტური განმსჭვალავს ერთმანეთის განსაკუთრებული სიმპატიით, თანაგრძნობით, სიბრალულობითა და სიყვარულით.

ვაჟას ნაწარმოებებში ბუნების ყველა საგანი სხვებისთვის უსარგებლო და დაუხმარებელ სიცოცხლეს ამაოდ და დაკარგულად სთვლის. თა-

ვისი სიცოცხლის აზრს ბუნების ყოველი საგანი ზედებს და ზღმავს. იმ სარგებლობითა და დაუხმარებლობით მელსაც იგი სხვას აღმოუჩენს...

ბუნებასაც, ვაჟას სიტყვით, ჰყავს თავისი დიდი მგოსნები, თავისი პომეროსები, რუსთაველები და შექსპირები. ეს ბუღბუღია. ბუღბუღი უმღერს ყვავილებს, ტყეებს, მდინარეებს, მზეს. აი რას ეუბნება იგი ყვავილებს: „ამოდით, ყვავილნო. მშვენიერნო, ტურფანო, დედამიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლედ, თქვენ გენაცვალეთ. უთქვენოდ ღმერთმა ნუ მომცეს ერთის დღის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა, ჩემი სიცოცხლე. ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლით და ნაყოფით, მუდამ მშვენობდე, მუდამ ჰლალობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე. ვაქებ-ვადიდებდე შენს შვენებას. შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალება რაიმე ცოდვით. რომ არ მატროო მწარედ, გული არ დამიდაგო!“

აი რას ეუბნება და სთხოვს იგი წყაროებს: „წყარონო, წმინდად ანკარად მდინარნო! რძედ გადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაქნობ-გასახმობად გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანედლოთ, თავი მალა აალებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჭირიმე, უკანასკნელ მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე სწყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ, იწანწყარეთ. თქვენ რომ გზედავთ, ჩემს გულში წმინდა გრძნობა და დიადი სიყვარული თქვენსავით წანწყარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყარონი, აკურთხე ყვავილნი, დამილოცე ტყე, თქვენს მადლს და დიდებას ვეთაყვიანე!“



ბოლოს, აი რას მღერის და რას ევედრება მზეს: „მზეო, ყოველის არსის ნუგეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხოლო ნუ დასწყავ, ნუ დაჰგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენს ამავგ; შენ, ნიაეო ციურო, მოეშველე მზეს, ერთად შუზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე! ძალნო ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე ობლები, უბადრუენი, ბეჩაენი, ტირიან, მიეშველეთ, მტირალი გააცინეთ, მშიერი გააძლეთ, თქვენს ძალასა და მადლსა.. ახ, საბრალონი! რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრეპლი კი ჩემს გულში ზღვასავით გუბდება, მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს“.

ეს დიადი ჰიმნია სიცოცხლისა, შებრალებისა და სიყვარულისა, ჰიმნი, რომლის მსგავსი იშვიათად დაწერილა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში.

სიბრალოლის გარდამქმნელი ძალის განსაკვიფრებელ სიმბოლიურ სურათს ვაჟა პოემა „ბახტრიონში“ გვაძლევს. მტერთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი ლუხუმის მიმართ არაჩვეულებრივი სიბრალოლის გრძნობით განიმსჭვალება საშინელი გველიც-კი, ეს „ადამის მტერი“.

იქვე ახლოს, უღრან ტყეში, სადაც ლუხუმი დაეცა მტრის დევნის დროს, ბუდობდა ვეება გველი, რომელსაც ბევრი ჩაენთქა მონადირე და მხეცი. იმ ადგილს მისი შიშით ყველა მოშორებოდა, თვით ნადირიც კი.

ერთს დღესა გველი, ვით ნილი, გაწოლილიყო ხეზედა, ერქონესული წილია ვულჯაგრიანე იგზლირთხვეს თანაც თბებოდა მზეზედა. ამ დროს შეესმა კენესის ხმა ჯაგარ-აშლილსა გვერდზედა გაძხედა, ნახა, — კაცი წევს, სულის მამრძოლი, ეული, გასცქერის ცისა სიერკებასასოშიხდილი, სნეულს; მკერდზე ატყვია მიშხმარი სისხლი წყლად ამორწყეულს. გველს შეახრალა ლუხუმი, მისკენ წავიდა ზღაწინით, მიაშრილავს ხმელს ფოთოლს დიდრონის ტანის გლარხენითა. ზედ დაშტერდა სნეულსა თავის გველურის სახითა, დასცქერის სულის მეზძოლსა გულს მზარავის თვალითა, დაფიქრდა გველი ძლიერად, გული ევსება ბრალითა. ბევრის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება: რას სიბრალოლით იმსჭვალვის მისი გველური ბუნება! ზედ გადააწვა მკერდზედა წყლულსა ულოკდა ენითა. თან მკერდს უსველებს მუდარასა ცრემლების ჩაშოდენითა. აყრუებს ტყესა და ველსა ოხვრითა რამოდენითა! მთელა ერთ თევს ისე უვლიდა ადამის ტომის მტერია, ბოროტების გზა ვაუშვა, კეთილი დაუქერია! საქმელსაც თვითონ უზიდავს, ასმევს წყალს ლალის შთისასა; დამ-დამ ზღაპარააც უამბობს ორის ობოლის ძმისასა. ამბობენ: შაძლებინა სნეულსო ფეხზე დადგომა; ელირებოა ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!

სამშობლოს დაცვის გულისათვის ჩადენილი ვაჟკაცობა და სიმამაცე თანაგრძნობასა და სიბრალოლს იწვევს არა თუ ადამიანში, არამედ მის უბოროტეს მტერ გველშიაც კი. ეს თანაგრძნობა, ეს სიბრალოლი ისეთი ძალით იჭრება გველის არსებაში,

რომ სრულიად სცელის მის ბუნებას, აიძულებს მას ხელი აიღოს ბორცობაზე და კეთილი გრძნობები ჩაიღოს გულში. ჩვენ გვგონია, რომ მთელს მათგანს ლიტერატურაში ასე მძლავრად არავის არ გამოუხატავს პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის გრძნობა.

საკითხი, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კარგ კაცად, რა ეთიკურ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის, ვაჟას არაერთხელ გაუხდია თავისი შეოქმედების საგნად. ამ საკითხს უძღვნა მან არა ერთი მხატვრული და პეპლიციისტური ნაწარმოები. ვაჟას მორალი თავიდან ბოლომდე მაღალი სოციალური იდეებითაა გატენილი.

ვაჟა უარყოფს შეხედულებას, ვითომც ის იყოს კარგი ადამიანი, ვინც თავის პირად საქმეებს კარგად მოაწყობს. ვაჟა სწერს: „თუ სიკეთე ადამიანის პირადი სარგებლობის მიღწევით განისაზღვრება, კაი კაცი ის უნდა იყოს, ვინც თავის პირად ყოფაცხოვრებას გაიუმჯობესებს, გასჭრის და გაჰკვეთს თავისდა სასარგებლოდ. ნუ თუ ასე უნდა გვესმოდეს სიკეთე? — არა, მე სხვაგვარად ვსჯი და ვფიქრობ!“

ვაჟა ფიქრობს, რომ კაი კაცი ის კი არ არის, ვინც ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს მხოლოდ იმისათვის, რომ პირადი საქმეები მოაწყოს, არამედ ის, ვინც საერთო საქმის ერთგულია, ერთგულია საზოგადოებისა და ხალხისა და მათ სარგებლობას მოუტანს. თავისმა პირადი ინტერესების საერთო საქმისათვის მსხვერპლად მიტანის უნარი — აი, პოეტის აზრით, კაცობის გამსაზღვრელი კრიტერიუმი. პოეტს ასეთი შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს: „სანთელიც იმი-თია კარგი, რომ თვით იწვება და სხვას — კი გზას უნათებს“.

კეთილშობილი და კარგი მხოლოდ იმას შეიძლება ვუწოდოთ, ვინც უან-

გაროდ ემსახურება საერთო საქმეს და მის ლხინსა და ჰუმანიზმს.

დიდებულს იმას ვეძახი, ვინც ანგარიშის გარეშა ქვეყნის ღირსსა და ენაზე დაიკვირვებს მწარედა. ამა, ის არის ვეჟაკი, ის მიმანია მთვარეჟა...

მხოლოდ გმარს შეუძლია სასიკვდილოდ გასწიროს თავი აზრისა და სიმართლისათვის.

აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვეჟაკი კედებო!...

ისტორიამ შეგვიჩინაბა კარგ ადამიანთა სახელები, იმ ადამიანთა, რომელნიც თავიანთი პირადი ინტერესებითა და სარგებლობით არ კმაყოფილდებოდნენ, საერთო საქმის ერთგული ყოფილან, ყოველგვარი გაჭირვება გამოუვლიათ და მსხვერპლი გაუღიათ ხალხის კეთილდღეობისათვის. „ისტორიაც კარგ კაცებად იმათ ასახელებს, — სწერს ვაჟა — ვინც ამ მხრივ ყოფილა გამოჩენილი, ვისაც სხვისათვის რამ ურგია და არა მარტო თავისი თავი ჰხსოვრებია, თავისი ჯიბე და კუჭი“.

კარგი კაცის ძირითადი ნიშნები უნდა იყოს: პატრიოტიზმი, მტრის სიძულვილი, სიმაჰაცე, შემშართებლობა, სიმედგრე-შეუპოვრობა, სიკვდილის წინაშე შეუდრეკელობა, უანგარობა, თავდაბლობა, საერთო საქმისათვის თავდადება, სამართლიანობა, ჩაგრულია და დაზეჩავებულთა ქომაგობა და სხვა. კაი ყმა სისხლისმღვრელ ომში მტრის წინ უნდა გრგვინავდეს, სიკვდილი არად მიიჩნდეს და მტრის ჯაგრი „ლოგინად ედგეს“ და „საბნად ფარავდეს“, მტრის თავზარსა სცემდეს. მაგრამ კაი ყმა მარტო მამაცი მეომარი და მტრის რისხვა როდი უნდა იყოს, იგი



უნდა იყოს ხალხის მსახური, თემს სწორ ფიქრსა და რჩევას აძლევდეს. იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს, გაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს. სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს“. ერთი სიტყვით, კარგი კაცი ვაჟკაცობისა და სათნოების განსახიერება უნდა იყოს. ვაჟა სწერს: კაი ყმა იგია,—

„ვინც მივგებოს შტერს წინა, წინ-წინ ვინც რისხვას ეტაოდეს სახე-სისხლ-გადამდინარი ტყვილს არ გამოიტყოდეს; თეზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრიადედეს, სიციხეში სიოდ დამბეროს, დათბოს, როცა ჰყინავდეს. პირველად ომის დამწყები, ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს; სხვანი იყოფდენ ნადვლსა, ის ისევ შტრის წინ გრავინავდეს: მიძღვნილსა საუფროსოსა აშანავებულს სწირავდეს. დარაჯად ედგას ლაშქარსა, რომ ის ღრმა ძილით ხვრინავდეს. სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ეღვინება არა სძირავდეს. შტრია, ჯავრის ედგას ლეგინი, შტრის ჯავრი სახნად ჰქვარავდეს. იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი. საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს. გაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს. სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს.

კიდევ უფრო მეკეთრად რომ გაუსვას ხაზი კარგი კაცის თვისებებს, ვაჟა აქ მიგვითითებს ისეთ ადამიანზეც. რომლებიც კარგ კაცებად არ ჩათვლებიან. უარყოფითი ნიშნების ჩამოთვლით კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება დადებითი თვისებები.

არა თქვენ, საღიაცნო, რომ ძროხებივით სძლებითა; ღამე მაძირები დასწვებით, დილით მშვიტები სდებითა;

თავის ჯამს ჩისკერო, საქვეყნოდ არც-როს არ გამოსდგებითა; ~~არც-როს~~ თავიად სიციხლობო. გუჯრუნი ~~არც-როს~~ ლეში ალალოთ, ჰკვებდითა; გაიგებთ კარგის გარჯასა, გწყნისთ და შტრითა ხდებითა; უქმად ჩამაღვეთ სიციხლებს, უქმად საფლავში სწვებითა. დაჰკაგავთ საქაოსა, ვერც საქაოს სწვდებითა. ხრ ივით, დახნდით რისადა, ხნ რისათვისა ჰკვდებითა!

ვაჟა ლექსს „კაი ყმა“ ხეცურულ ჰანგზე სწერს, მაგრამ კარგი ვაჟკაცის აქ ჩამოთვლილ თვისებებს თვითონაც იზიარებდა. ეს თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ თავისი ძმის ბაჩანას საპასუხოდ დაწერილ ლექსში ვაჟამ არა თუ უარი განაცხადა აქ გადმოცემულ შეხედულებებზე, არამედ მთლიანად დაიცვა და ძვას უსაყვედურა კიდევ, რომ იგი, ბაჩანა, ლალატობს თავიდანვე აღებულ გეზსა და საკეთარ შეხედულებებს.

ვაჟას მორალურ კოდექსში გამოჩენილ პატრიოტიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს:

კარგი, მაისი შვილს, წესია, შტრიც უფროთება ვალადა; ხვალ და ზეგ ვერვინ გაპნედავს შინ შმოგვეჭრას ძალადა. ვეველას ისა სძლევს, სიციხლებს ვინაც არ აგდებს ჩალადა. ციციხლები არვის დაფთომობთ მშობელი მიწის ღალასა,—

მღერიან საშშობლოს მცველი მემორები.

ასეთი შეუღრეკელი ნება არ შეიძლება იყოს თავისი საქმის სამართლიანობის რწმენის გარეშე. თავისი საქმის სამართლიანობის რწმენა უდიდესი ფაქტორი და უძლეველი ძალაა. ნუ წაუართმევთ ნურვის საშშობლოს და ჩვენც ნურვინ შეგვეცილება ჩვენს საშშობლოს—აი დადებული დევი-

ზი ყოველი თავისუფლებისმოყვარე ხალხისა. ის ხალხი, რომელიც ამას გრძნობს, უძლეველია. ეს გრძნობა მასში თავისი საქმის უღია გამარჯვების რწმენას ნერგავს და მას საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს. ხალხის ეს გრძნობა ვაჟამ იმავე ლექსში ასე გამოხატა:

სამშობლოს არვის წვაართივით,
ჩვენც ნურცინ შეგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დაეაყრიოთ,
შეადარსაც კი ვაეცინება...
არ მივცემთ სხვისა სამშობლოს
ჩვენი ცოცხლის თავითა;
უკან ვერ დაგვახეინებთ
მისთვის ნაძღვნივის შხაშითა.
მტრისაკენ მივიზიდებით,
რომ გაეწყდეთ როგორც ლომები.
ჩვენს ზურგს ვერ მნახავს მტრეჭე,
რომ გვნახო, მოგვეწონები!
შვილებს საშპლაროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!
არ მოვცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანაა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის დალასა,
ესვე ასწავლონ დედებმა,
შვილთ რომ ეტყვიან ნანასა!

ეს შესანიშნავი სტრიქონები არა მარტო ეხმარებიან ჩვენს ეპოქას, არამედ ისინი ახალი შინაარსითა და აზრით მდიდრდებიან და განსაკუთრებით მძლავრად ელერენ დღეს ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში.

პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველასთვის მოქმედი იდეაა. პატრიოტიზმს ის მკიდროდ უკავშირებს დაჩაგრული ერების განთავისუფლებას.

ნაციონალური მტრობის მოსპობის გზა, პოეტის აზრით, ერის განვითარება თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების შეგნებამდე, და, რაც მთავარია, ვაჟა იმ აზრის აღიარებამდე მიდის, რომ ნაციონალური მტრობის მოსპობისათვის საჭიროა თანამედროვე ეკონომიური უთანასწორობის მოსპობა.

ვაჟა სწერს: „განავითარეთ ყოვე-

ლი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური პოლიტიკური მდგომარეობა და თავის სოციალური ყოფნის აკარგო, მისწავთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და უეჭველია, მაშინ მოიხსობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“.¹

ცალკეული დაჩაგრული ერების განთავისუფლებაში ხედავდა პოეტი კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობას. „ყველა ერი, — სწერდა ვაჟა, — თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავის თავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.

ვაჟას გამჭვირავი თვალი ნათლად ხედავდა თავისი თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების უზნეობას, ეგოიზმსა და ლაჩრულ ხასიათს. იგი ხედავდა, რომ „ქვეყანა იქცა დუქნად“ და ყველაფერი ერთ მიზანს დაემორჩილა: უზომო სარფისა და მოგების მიღებას. ვაჟა ხედავდა, თუ რამდენად ნაკლებ ვაჭკაცურია, ნაკლებ გამირულია ბურჟუაზიული საზოგადოება. ყველაზე მკვეთრად ვაჟა-ფშაველამ ეს თავის ცნობილ ლექსში „ჩივილი ხმლისა“ გამოხატა:

ეხლა უწონდ ვარ... დამკიდეს
ლაჩრთ ედღელზე უქნადა;
ვისლა სცალიან ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნად,
გადამავდებენ ფიაროდ...
და გზინდაცლებია ხელითა
ქვეყანა მხედავს მდებარეს
„არშინის“, „ჩოთის“ გვერდითა.

¹ ვაჟა-ფშაველა, „ეკონომიკურში და პატრიოტიზმი“, ვაზ. „ივერია“, 1905 წ. № 172.

ამვე აზრებს გამოსთქვამს პოეტი თავის პოემებში „მოხუცის ნათქვამი“ და „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. ამ უკანასკნელ პოემაში იგი სჩივის, რომ ახალს დროში ადამიანები ეგოისტებად იქნენ, არც ერთი მათგანი საერთო საქმისთვის თავს არ დასდებს. არა ვაჟაყობა, არა სიმამაცე და საერთო საქმისთვის თავისგაწირვა, არამედ ფული ვახდა თანამედროვე ადამიანის იდეალად. კაცად მხოლოდ იმას სთელიან, ვისაც ბევრი ფული მოუხვეტია:

კაცს ეხლანდელს დროს ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუმეტია.
გულის და გონების კარი
ურდულით დაუკეტია,
და კაცად იმაა სთელიან,
ვისც ფული მოუხვეტია.
ჩემ დროს სად იყო ამდენი
ფული და იმის ჩხრიალი?
მაგრამ პურ-ღვინოს, გემელოს,
ვლში ჩაჰქონდა ბრიალი,
ზოგი სიბერით ედებოდა
და არ ენახა ტიალი.
ფული, — ეგ თქვენი ხატ-ღმერთი.
ეგ თქვენი წყლულის მღამო.

ვაჟა, ხედავს რა ზნეობრივ დაცემას, აყენებს ზოგად-ფილოსოფიურ და პრინციპულ საკითხს განათლების, ცივილიზაციისა და ზნეობის ურთიერთობის შესახებ. ვაჟა აღნიშნავს იმ კოლოსალურ სარგებლობასა და გაუმჯობესებას, რაც განათლებამ და ცივილიზაციამ ადამიანებს მოუტანა, მაგრამ იგი ექვს გამოსთქვამს იმის გამო, რომ განათლებასა და ცივილიზაციას ამ დღე ივე სარგებლობა მოეტანოს ზნეობის განვითარებისათვის, მისი გაუმჯობესებისათვის. * ვაჟა სწერს: „განათლებამ, დიდი, ძალიან დიდი ძალა გამოიჩინა, ამას ქვანიც-კი ჰლადადებენ; დიდ ძალთან დიდი მადლი, მაგრამ დიდს მადლთან — დიდი ცოდვაც.“

„მართალია, განათლებამ, ცივილი-

ზაციას რომ ვეძახით, სწორედ საქვერველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობის სამფლობელოსა — კი რა მოგახსენოთ“.

ვაჟა არ ფიქრობდა, რომ ზნეობა სრულიად არ ვითარდება; ის ამბობდა, რომ ადამიანის ცხოველური ინსტიქტები, მისი ეგოისტური ინსტიქტი კი არ შემცირდა, პირიქით, უფრო გაძლიერდა. ზემომოყვანილი სიტყვების შემდეგ ვაჟა ამბობს: „არაო, მეტყვიან, — ზნეობრივადაც ბევრად წინ წავიდა კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე აგიხიროდებით, ხოლო მე-კი იმას ვიტყვი, რომ ამ მხრივ იგი ისევე პირუტყვად დაჩნა, დაჩნა კი არა, პირუტყვთა საერთო, საყოველთაო თვისება, რომელსაც გრძნობა თავის დაცვისა ჰქვია, უფრო ძლიერადა სჩქექს დღეს მის გულში. ეს იქნება, არც დასაძრახისი იყოს და განათლებას უნებლიედ თან სდევდეს, მაინც საქმიდამაც ეგვრე სჩანს“.¹

სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა ზრდა-გავრცელების საბუთად მოშველება, ვაჟას აზრით, ვერ უარყოფს მის დებულებებს, რამდენადაც თვით ცხოველებშიც კი ვხედავთ ხოლმე ამგვარ მოვლენებს. ვაჟა სწერს:

„იქნებ დამისახელოთ განათლებულ ქვეყნებში მრავალი საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, სნეულთა, ბრმათა, კეთროვანთა თავ-შესაფარნი, სამოწყალეო სახლები? გეთანხმებით, მაგრამ განა ცხოველების ცხოვრება ცოტა მაგალითს იძლევა ამის მგზავსსა?.. ქორმა რომ ქათამი წაიღოს, თუმცა შერცხლების მოდგმისა და ჯიშისა არაა ქათამი, მაგრამ უნდა ჰნახოთ რა ძვილ-ხივილით გამოეკიდებოდა ქორს ჯგუფად და ცდილობენ როგორმე გა-

¹ ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები“, გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 3.

წათვისუფლონ მის ბრწყალებიდან“.¹

ეგოიზმი ადამიანთა ყოველ მოქმედებასა და ქცევაში იჩენს თავს. მაგრამ ცივილიზებული სახელმწიფოები და ერები კიდევ უფრო ეგოისტური არიან, ვიდრე ცალკეული ადამიანები. „ერთი კაცი იმას არ იკადრებს, რასაც მთელი ერი კადრულობს“, — ამბობს ვაჟა. თუ ზოგიერთი ცივილიზებული სახელმწიფო ცდილობს რამდენადმე გააუმჯობესოს მდგომარეობა მუშათა კლასისა, რომლის საკითხიც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საკითხს წარმოადგენს, ამას ისინი აკეთებენ არა მისი სიყვარულითა და სიბრალულით, არამედ მისი შიშით „დღევანდელს განათლებულს ქვეყნებს, — სწერდა ვაჟა, — თავის სამტერევადა აქვთ მუშათა საქმე და, თუ რომელიმე ფიქრობს და ცდილობს მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს იმიტომ როდი, ვითომ უყვართ ისინი, ან ებრალებათ, არა, სხვა ფიქრი ამოქმედებთ: სამეფოში სამეფო აიციდინონ თავიდან“.²

ყველა ზემოთქმულიდან სრულიადაც არ უნდა დაეასკენათ, თითქოს ვაჟა განათლებასა და ცივილიზაციას უარყოფდა. ის რუსოს პირადგარბივით პირიუყოფილი ბუნებრივი მდგომარეობისაგან დაბრუნებას როდი ჰქადაგებდა. ვაჟა არ იყო რუსოს მიმდევარი.

ვაჟა გრძობს, რომ მისი სიტყუები შეიძლება სწორად არ განმარტონ და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პირდაპირ ამბობს: „არა, დ მ ერთმა დამიფაროს, მე პროგრესის უარმყოფელი ვიყო“.³

ვაჟა განათლებასა და პროგრესისათვის თავდებული მებრძოლი იყო; მა-

სი აზრი განათლებისა და პროგრესის უარყოფას კი არ გამოხატავს, არამედ იმას, რომ მათს განუგებობას, ხეობის გაუმჯობესება, ჰუმანიზაცია ფეხდაფეხ არ მისდევს. ვაჟა მოიხიბოდა არა განათლებისა და პროგრესის შეჩერებას, არამედ ხეობის გაუმჯობესებასა და ჰუმანიზაციას; სწორედ ამას მოანდომა მან მთელი თავისი ცხოვრება. ვაჟამ ვერ მონახა მის წინაშე დასმული ამოცანის სწორი გადაწყვეტა, რომელს მუშათა კლასის გათავისუფლებაში ეკომარებდა და რომელიც მეცნიერულად მარქსიზმმა დაასაბუთა, მაგრამ ჰუმანიზმისა და მორალის იდეების მაღალ მხატვრულ გადმოცემას და თავგამოდებულ დაცვას, რომლითაც ვაჟა ამ იდეების უღრმესი კრიზისის ეპოქაში გამოვიდა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

II

ადამიანისადმი, ცხოვრებისადმი ჩუქრობელი სიყვარული ვაჟა-ფშაველას უდიდეს რეალისტად ხდიდა. ვაჟას შეხედულებები ლატერატურაზე, მის არსსა და დანიშნულებაზე, აგრეთვე მწერლის როლზე ღრმა რეალიზმით, დემოკრატიზმითა და ჰუმანიზმით არის გაყენებული. ლატერატურის თეორიისა და მწერლის დანიშნულების ყველა უმნიშვნელოვანეს და პრინციპულ საკითხს ვაჟა რეალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით სწყვეტს. ვაჟასთვის უცხო იყო იდეალისტური და ფორმალისტური თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ის ამ თეორიას მკაცრად აკრიტიკებს და მის უნიადგომას ისტორიულ-ლიტერატურული მასალით ასაბუთებს, იქნება. — სწერს ვაჟა-ფშაველა, — ზოგმა იუცხოვოს და სთქვას: ხელოვნებას საქიროებასთან რა კავშირი აქვს, ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა იყო-

¹ იმავე.

² იმავე.

³ იმავე ხაზგასმა ჩვენია — ა. ჯ.

სო. მაგრამ თუ ღრმად ჩაუყვირდებით, ყველა პოეტს ქვეყნის საჭიროება აღოაებს და აწუხებს, — იგი ელტვის მადლიანს, სარგებლიანს კაცთა ერთმანეთზე დამოკიდებულებას და სარგებლიანს ცხოვრებას“.¹

მაგალითად მოჰყავს შექსპირი, ეს უდიადესი მსოფლიო პოეტი. კარგად ჩაუყვირდით ამ უდიდესი პოეტის შემოქმედებას, — ამბობს ვაჟა, — და დაინახავთ, რომ ის ისწრაფვის დააკმაყოფილოს არა მარტო ერთი რომელიმე ერის საჭიროება, არამედ მთელი კაცობრიობისა.

არ არსებობს ხელოვნება ხელოვნებისათვის. ხელოვნება არსებობს საზოგადოების საჭიროებისათვის, ადამიანთა ცოდნის გასამდიდრებლად, მათი ზნეობრივი მდგომარეობისა და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად. ამით განისაზღვრება ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა. იგი კაცობრიობის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. „მწერლობა ძალაა, — სწერს ვაჟა, — ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის უიანსელისა, მისი გონებისა და ცხოვრების გაუყეთესებისა. თუ სხვანი ჰხერხნენ, სთესენ, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, მეურნეობენ, ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორ უნდა იქმნას მოხმარებელი, რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შეიქმნეს“.²

ხელოვნება, ლიტერატურა გამოხატავს და ანეითარებს ხალხს თვითშეგნებას. ლიტერატურა გამოარკვევს და გეისხნის ჩენს ძალებს, უნარსა და სურვილებს, გეიჩვენებს გზას — მიმართულებას — საით და რა მხრით უნდა

წარიმართოს ისინი. ხელოვნება, ლიტერატურა სინამდვილეს ემსახურება, მისი უკეთესი განვითარების გზას გეიჩვენებს. ვაჟა სწერს: „...რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალა და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა, მაინც კი საჭიროა ვიცოდეთ, — უნდა აწონილი, შეგნებული გვექონდეს საით, რაზე მივაპყროთ ჩვენი ძალღონე. ამ შემთხვევაში ხელოვნება უნდა მოგვეშველოს“.³

თავის რეალისტურ და უტილიტარულ შეხედულებას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ვაჟა მოკლედ ასე აყალიბებს: „ხელოვნება ხალხის საჭიროებას თან მისდევს“.⁴

რაკი ხელოვნება, ლიტერატურა, საზოგადოებასა და მის ინტერესებს ემსახურება, ის არ შეიძლება არ იყოს ტენდენციური. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ამა თუ იმ ზომით ტენდენციურია და არც შეიძლება არ იყოს ტენდენციური, რადგან ტენდენციურობა თვით მისი დანიშნულებიდან გამომდინარეობს. „ტყუილად ვინმე იტყვის იმას, — სწერს ვაჟა, — რომ ევტენდენციოზური პოეზიის საქმეა და არა ნამდვილის პოეზიისაო. მაგრამ ევ უსაფუძვლო თქმა იქნება, რადგანაც ყველა პოეტური ნაწარმოები ასე თუ ისე ტენდენციოზურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა ჯგურისაა და ამიტომ, ადვილად ერთნაირი ეჩვენებოდა გამოუცდელს მკითხველს ტენდენციად და მეორე კი არა“...⁵

ლიტერატურის ასეთი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობით ვანსაზღვრება მწერლის განსაკუთრებული დანიშნულება და როლი.

¹ ვაჟა-ფშაველას „რამე-რამე“, ჟურ. ჩენი თაობა, 1940 წ., № 8.

² იქვე.

3. „მთაბობი“, № 11.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს მწერალი, ვინ არის კარგი მწერალი, ვაჟამ 1910 წელს სპეციალური სტატია უძღვნა სათაურით — „ნიჭიერი მწერალი“.¹ ამაზევე ლაპარაკობს პოეტი კრიტიკოს ვართაგავას პასუხში, თავის დაუმთავრებელ სტატიაში „რამე-რუმე“. აგრეთვე 1890 წელს დაწერილ სპეციალურ ლექსში „მგოსანს“ და სხვ.

ამ შრომებში ის გვაძლევს ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიას. სტატიაში „ნიჭიერი მწერალი“ ვაჟა ასეთ საკითხებს აყენებს: 1) ვინ არის ნიჭიერი მწერალი? 2) ვის ეკუთვნის სიმართლით ეს სახელი? და 3) რა ნიშნები ახასიათებს ნამდვილ ნიჭს? ამასთან ვაჟა სპეციალურად შენიშნავს, რომ მწერლად იგი გულისხმობს პოეტსაც, ბელეტრისტსაც და დრამატურგსაც.

ვაჟა ვრცელ პასუხს იძლევა ყველა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ვაჟას აზრით, კარგ მწერალს, უპირველესად, საკუთარი ენა, საკუთარი სიტყვა უნდა ჰქონდეს. ენა, სიტყვა მწერლის სულია. ეს მისი იარაღია. ეს მისი ძალაა. ენაში მელაენდება მწერლის ინდივიდუალიზმი, მისი სულიერი ცხოვრების თავისებურება. „მწერალს, — სწერს ვაჟა, — უპირველესად ყოვლისა, საკუთარი ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“.

ენა ნაწარმოებს განსაკუთრებულ დაღს დააჩნევს. ის იძლევა შესაძლებლობას ადვილად გამოვიცნოთ ნიჭიერი მწერლის ყველა დანარჩენი ნაწარმოებნი მისი რამდენიმე შრომის წაკითხვის შემდეგ. „ნიჭიერი მწერლის ნაწერები თუ ერთი-ორი

რამ წავიკითხავთ წინათ, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხედეთ, ადვილად იცნობთ, ვისი ნაწარმოებია ეს“.²

ამ განსაკუთრებულს დაღს ნიჭიერ მწერლის ნაწარმოებს ასევეს მისი ენა, რაშიაც, ვაჟას სიტყვით, უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე.

ენა, ვაჟას აზრით, მწერლის ნიჭიერების თავისებური გარეგანი გამოხატულებაა. მწერლის შინაგანი ღირსება კი თემის არჩევანში და საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი და სასიცოცხლო, გარდუვალი საკითხების გაშუქების უნარში მელაენდება. „ბოლო შინაგანი ღირსება ისაა, — სწერს ვაჟა მწერალზე, — თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად და რა ღირებულები-საა ეს მოვლენანი, რამდენად დამოკიდებულია ამ მოვლენებზე ბედი და უბედურება, სიკვდილი და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა — და რამდენად ცხოვლად, ნათლად, მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენათ, რამდენად გვიტაცებს, გვიმორჩილებს მისი ნაწარმოები, — ჩვენზე რამდენად ძლიერად მოქმედობს“.³

მაგრამ ამგვარი თემის არჩევანი იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად იცის მწერალმა ცხოვრება, რამდენად ესმის მას ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები და აქვს უნარი მათი გამოხატვისა. „ყოველი ეს კი დამოკიდებულია იმაზე, — სწერს ვაჟა, — თუ მწერალი რამდენად ღრმად და ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საკირბოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მნიშვნელობა, თუ სარგებლობა“.⁴

¹ იქვე.

² იქვე.

³ „საბაბო გავითი“, 1910 წ., № 171.

მწერალს, თუ ის ნამდვილი მწერალია, ვაქას აზრით, არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ცხოვრების საჭიროებების საკითხების მანებლობას, თუ სარგებლიანობას, ვიხიდან ამში გამოიხატება მისი დანიშნულება, როგორც ცხოვრების დარაჯისა.

მოყვანილი სიტყვების შემდეგ ვაქა სწერს: „ნუ გგონიათ, რომ ამას ანგარიშს არ უწევდეს პოეტი: თუ სხვაში, ყველაფერში, დაბდური, უანგარიშო, დაუდევარია, ამ შემთხვევაში უადრესად ანგარიშიანობას იძენს. — იგი ადამიანთა ცხოვრების დარაჯია“.²

მწერალი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ვალს უკეთესად, როდესაც თავის ქვეყანასა და ხალხს უკეთესად ემსახურება. მაგრამ მას მხოლოდ მაშინ შეუძლია თავის ხალხს უკეთესად ემსახუროს, როდესაც კარგად იცის თავისი ხალხის ცხოვრება და ღრმად ჩასწვდება მის პირვარამს. ამრიგად, კარგი მწერალი ის არის, ვინც უკეთესად და ღრმად შეიგნო თავისი ქვეყნის საჭიროებანი, მისი პირი და ვარამი, მისი ტყვილები და, ვინც უკეთესად განკურნავს მას ამ ტყვილებისაგან, წამალს დასდებს წყლულზე. ნიჭიერი მწერალი, ვაქას სიტყვით, ექიძია ცხოვრებისა. ვაქა სწერს: „მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავისი ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე, ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მამასადამე,

კარგი მწერალიც ის არის, ვინც უკეთესად შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“.³

საზოგადოებრივი ინტერესების გაგების უნარიტა და ძალიტ, ამ ინტერესების სამსახურით გაიზომება, ვაქას აზრით, ლიტერატურული ნაწარმოების ღირსება და მისი ავტორის ნიჭიერება. საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე ვაქა შეუძლებლად სთვლის ნიჭიერი მწერლის არსებობას. საზოგადოება შობს იწერალს და საზოგადოებრივ საჭიროებებთან და ინტერესებთან მჭიდრო კავშირი განსაზღვრავს მის ნიჭიერებას. „ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა, — ლაპარაკობს ვაქა, — იმით გაიზომება, თუ რამდენად ესმის თავისი ქვეყნისა და ერის საჭიროება, — მით, თუ რამდენად შეგნებული აქვს მისი უმთავრესი ნაკლი და რამდენად მადლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით“.⁴

ისეთი მწერალი, რომელსაც საზოგადოების ინტერესებზე და იდეებზე ხელი აუღია, არ შეიძლება ნიჭიერი იყოს, რადგან მწერლის ნიჭიერება საზოგადოებრივი ინტერესებისა და იდეების შეგნების სიღრმითა და ინტენსივობით და ამ ინტერესებისადმი სამსახურით გაიზომება. ისეთი მწერალი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებით არ არის შეპყრობილი, არ შეიძლება მწერალი იყოს და მით უმეტეს ნიჭიერი, გენიოსი მწერალი. საზოგადოებრივი იდეებისა და მათდამი მსახურების გარეშე მწერალი მკვდარია. „ცხოვრებისა და ბუნების გარეშე წარმოუდგენელია მწერალი, როგორც ყოველი სულიერი და უსულო არსება; წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი, უიმიოსოდ,

¹ „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., № 171.

² იქვე.

³ ვაქა-დ შ ა ვ ე ლ ა, „რამდენიმე“ ეტრ. „გენი თაობა“, 1940 წ., № 8.

⁴ იქვე.

რომ იმას არ აწუხებდეს ტკივილები აღამიანთა ცხოვრებისა.

თუ ამას მოკლებულია, იქ ნიქს რა ესაქმის, იგი მაშინ მკედარია, არაარობა... რამდენადაც დიდი ნიქის პატრონია მწერალი, მით უფრო მკიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან¹.

მწერლის საზოგადოებრივი იდეები მისი „სული და გულია“. ვისაც სურს გაიგოს — არის თუ არა იგი მოწოდებული იყოს მწერალი, მან, უწინარეს ყოვლია, უნდა „გამოაჩქიოს, აქვს თუ არა აქვს მას „სული და გული“, ე. ი. აქვს თუ არა იდეები. მწერლის მთავარი იდეა ცხოვრებაა, მისი ავი და კარგი მხარეები, მისი საჭიროებანი, მოთხოვნილებანი და იდეალები. მწერალი, როგორც ხალხის ცხოვრების გამომხატველი, მის წრეში უნდა ტრიალებდეს, მასთან უნდა ახლოს იდგეს. უამისოდ იგი მოკლებული იქნება თავის მასაზრდოებელ წყენს, ხოლო მისი თხზულება უმიზნო ყბედობა იქნება. „მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რამე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე თუ არა. თავი და თავი აზრი მიწის შვილისა, ჩემის ფიჭრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიაც-სიკეთე. მწერალი კიდევ როგორც გამომხატველი ცხოვრებისა უსათუოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძობა იმას უნდა დაბფოფინებდეს, თვით ცხოვრებიდანვე გამომდინარი, თვით ცხოვრებისაგან შობილი. უამისოდ მწერალი უაზრო ხმაა, გაურჩეველი, გაურკვეველი, ყველასთვის გაუგებარი“².

რაც უფრო მაღალი პოეტის გენია, მით უფრო მკიდროდ არის იგი საზოგადოებასთან დაკავშირებული, მით უფრო ძალუმაღ არის იგი გასწავალული და შეუყრობილი საზოგადოებრივი იდეებითა და მათთვის მსახურების სურვილით. გენიოსი არ შეიძლება მდაბიო და ქვენა იდეებით სულდგმულობდეს. მისი ხედარია დიადი და ამღლებული იდეები და მთლიანად მათთვის დაუდვია თავი თავდაიწყებამდე. გენიოსი ცხოვრებისათვის წამებულია. მთელი მისი ცხოვრება წვაა. „გენიოსი სდულს, იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქერაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდულს და ნახევრად მოხარშულიცა იმის გულში.

გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად, ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მკარე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან“³.

გენიოსთა თხზულებებს თუ ღრმად ჩაუკვირდებით, იქ ყოველთვის ცრემლის ზღვას დაინახავთ, აღამიანთა უბადურებისა და ტკივილების გამო. დახმარების ტენდენციებით, საზოგადოებრივი ბოროტების აღმოფხვრის, აღამიანთა ზნეობრივი სრულქმნის ცლებითა და მისწაფებებით არის გაქლენთილი დიდ მწერლთა ნაწარმოებნი. მაგრამ ეს ტენდენციები თვალში არ გეცემათ, არ გეჩხირებათ; ისინი მხატვრულად, შეუძნეველად არიან ჩაქსოვილნი.

მაგრამ, რაც უფრო დაფარულია ტენდენციურობა, მით უფრო ძლიერია და მოქმედი იგი.

„შეიძლება. — სწერს ვაჟა, — გენიოსების ნაწარმოებში ეს აღამიანთა

¹ ვ ა შ ა ფ შ ი ვ ე ლ ა, „ნიჭიერი მწერალი“.

² ვ ა შ ა ფ შ ი ვ ე ლ ა, „ფიჭრები“, გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 113.

³ ვ ა შ ა ფ შ ი ვ ე ლ ა, „ნიჭიერი მწერალი“.

ცხოვრების ტკივილები მკითხველს თვალში არ ეჩხირებოდეს როგორც რეკლამა; მაგრამ, აბა, მოჩიქნეთ, ღრმად მოუთხარეთ, ჩაიხედეთ კარგად, იქ რაოდენ ცრემლის ზღვას დაინახავთ, ადამიანთა უბედურებისა გამო დანთხულებს!*

გენიოსები ნაციონალურ ნიადაგზე წარმოიშობიან. ნაციონალურ ინტერესებს, ინდივიდუალურ მოვლენებს ისინი თავიანთი შემოქმედების ქურაში გამობრძმედენ და ზოგადსაყოველთაო ხასიათს აძლევენ, მათ მთელი კაცობრიობის საკუთრებად აქცევენ. უნარჩუნებენ რა ნაციონალურ ფორმას. „გენიოსთა ნაწარმოები, — ამბობს ვაჟა, — ეროვნულ ნიადაგზე და ზშირად ეტნოგრაფიულ ნიადაგზე აღმოცენებული, მაშასადამე — კერძო თვისებისა, ზოგად საკაცობრიო ბუნება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი“...?

გენიოსთა ნაწარმოებნი გარდა თავიანთი სამშობლოსი, მეორე სამშობლოდ მთელ მსოფლიოს შეიძენენ ზოლმე, ისინი ეროვნულობის ფარგლებს სცილდებიან. მაგრამ როგორი ზოგადკაცობრიული არ უნდა იყოს გენიალური ნაწარმოებნი, ისინი მისი სამშობლოს ადამიანებისათვის მაინც განსაკუთრებით ადვილ-მისაწვდომია და მახლობელი. ვაჟა მაგალითისათვის შექსპირსა და რუსთაველს მიმართავს. შექსპირის „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ საერთო საკაცობრიო, მსოფლიო თბზულებანია. ისინი მართო ინგლისელების ან ქართველების საკუთრებას როდი შეადგენენ, ისინი მთელი მოაზროვნე კაცობრიობის საგანძურს წარმოადგენენ. ისინი ყვე-

ლას აღლევებენ, მაგრამ შემოქმედების განსაკუთრებული ექსტრემული ინგლისელებისათვის ანუ ქმარველებსათვის აქეთ. „ყველა გენიოსები, — სწერს ვაჟა, — ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარი შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც პპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტი“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებდა ისე, ნამეტნავათ თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუ თუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებდა „ვეფხვის ტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? არას დროს!“

მაგრამ გენიალური ქმნილებას ეს ხელს არ უშლის, რომ ნაციონალური საზღვრები გადალახოს და თავის მეორე სამშობლოდ მთელი მსოფლიო გაიხადოს. ამას ისინი აღწევენ არა თავიანთი ნაციონალური ნიშან-თვისებებისა და მათთან ერთად შემოქმედების ძალისა და ხასიათის დაკარგვის გზით, არამედ მათი საშუალებით.

ასე ახასიათებს ვაჟა გენიალურ ნაწარმოებთა დიალექტიკას. მოყვანილი სიტყვების შემდეგ ვაჟა განაგრძობს: „გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო საყვარელი, სათაყვანებელი, ზოლო

* ვ ა ჯ ა უ შ ა ვ ე ლ ა, „ნიკიერი შწერალი“.
* იქვე.

* ვ ა ჯ ა უ შ ა ვ ე ლ ა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 172.

მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კეთენილებაა, როგორც შეცნიერება...¹

ადამიანთა სიყვარული, მათი ბედისთვის წუხილი, მჩაგვრელისადმი სიტყვილი ნამდვილი პატრიოტიზმის გარეშე არ არსებობს. ამიტომ ვაჟა ფიქრობს, რომ ნიჭიერი მწერლის მეორე დიდი ნიშანი პატრიოტიზმი, მისი სიყვარული თავისი ხალხის, თავისი ენისა. უპატრიოტიზმოდ პოეტს არ შეუძლია შემოქმედება. თუ მას არ უყვარს ის ენა, რომელზეც სწერს, ის კარგა ვერაფერს დასწერს. ვერაფერს დასწერს რიგიანს, თუ მას თავისი ხალხი არ უყვარს. პატრიოტიზმი მწერლისათვის ისევე აუცილებელია და საჭიროა, როგორც ჰაერი. „დიდად საჭიროა მწერლისათვის, — სწერს ვაჟა, — პატრიოტიზმი, თავისი ენისა და ერის სიყვარული... პოეტისათვის ისევე საჭიროა უყვარდეს თავისი ერი და ამ სიყვარულს იმდენივე მნიშვნელობა აქვს მისთვის, რამდენიც ორთქლმავლისათვის ორთქლს, როგორც უორთქლოდ მანქანა არ დაიძვრის, ისე პოეტის შემოქმედება დუნეა, თუ იგი ამ სიყვარულმა არ ამოძრავა, აღშფოთება არ შთაბერა მას“.²

პატრიოტიზმი, ვაჟას აზრით, ადამიანის პირველი სიყვარულია. „პატრიოტიზმი, — სწერს ვაჟა, — როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილს, რომელთაც ვერც ერთი ქვეთამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც, მაგ., არის დედენა, ისტორიული წარსული, სახელო-

ვანი მოღვაწენი და ეროვნული მოღვაწენი და ეროვნული მწერლობა და სხვა...³

ყველაფერი აქ ჩამოთვლილი — დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი, სამშობლო მიწა-წყალი — თვითონ ვაჟა-ფშაველას აღმაფრენის საგნები იყვნენ და მათ უძღვნა მან უქცნობი სტრიქობი. ვაჟა, როგორც თვითონ ამბობს, სიზმარშიც კი სამშობლოზე დუღუნებდა და ლოცავდა მას. ის თავს იმით იწუგებდა, რომ მან თავის „ტურფა მხარეს“ მკერდს დააყრა „სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი“.

ადამიანის და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებას, მხატვრული ლიტერატურის გვერდით, პუბლიცისტიკაც ემსახურება. მაგრამ ვაჟა მათ შორის არსებითი განსხვავებას ამყარებს. მხატვრული ლიტერატურა, პოეზია და ბელეტრისტიკა, ვაჟას აზრით, ბევრად უფრო ძლიერია და გულში ჩამწვდომი, ვიდრე პუბლიცისტიკა, რადგან მწერალი თავის აზრებს სახეებით მოსაქვს. ვაჟა იმ აზრისაა, რომ ლიტერატურა სახეებით, სურათებით აზროვნებაა და ამაში ზედაეს იგი მის ძალასა და განსხვავებას პუბლიცისტიკისაგან, რომელსაც ის აგრეთვე დიდად აფასებდა. „სიმართლე მწერლობაში, — ამბობს ვაჟა, — ორნაირად ითქმის. ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს. ერთი პოეტური ბელეტრისტული და მეორე პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა — ცხოვრება, მისი მოვლენანი ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი, ვსთქვათ, ერთსა და იმავე პრეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგიან, მაგრამ ერთის თქმა ძლიერ ღონიერია, ხოლო მეო-

¹ ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 172.

² ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“.

³ ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

რესი თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ აღუვებს კაცის გულს და გრძნობას პირველივით“.¹

მწერალი სინამდვილის სახეებით გამოხატვის დროს ტიპებს ჰქმნის. მწერლის მხატვრულ ტიპს ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობა და ზემოქმედების ძალა აქვს. ტიპის შექმნა — მწერლის ერთი უმთავრესი ამოცანაა. მწერალი სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულებისა და თავისი იდეალების გამოხატვით დადებითს და უარყოფითს ტიპებს ჰქმნის. „პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია, სწერს ვაჟა, — ტიპების ხატვა. ისეთი ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუფეთესებლად“.²

როგორც ვხედავთ, მწერლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ვაჟა სთვლიდა, დადებითი და უარყოფითი ტიპების შექმნას. ვაჟა იმ აზრისაა, რომ მომავლის მსახურებს გზა მხოლოდ აწმყოზე გადის. ნათელ მომავალს კარგად რომ ემსახურო, საჭიროა დაუნდობლად გამოაშარავო და აჩვენო აწმყოს ყველა ნაკლი და სინაზინჯე და შეამკო მისი დადებითი, მისაბაძევი მოვლენები, ე. ი. შექმნა უარყოფითი და დადებითი ტიპები. ორივე ისინი საჭირო არიან. მაგრამ მიუხედავად ამ აუცილებელი ერთიანობისა, ვაჟა მთავარ ყურადღებას მაინც დადებითი ტიპების შექმნას აქცევს. დადებითი, ანუ, როგორც ის ამბობს კიდევ, იდეალური ტიპები, მიბაძვის საგანს წარმოადგენენ. პოეტი გამოხატავს თავის იდეალებს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი და ამით ადამიანებს სრულქმნისავენ და უკეთესი მომავლისაენ მოუხმობს. ვაჟა სწერს: „პოეტი სურა-

თებით გვესაუბრება, ტიპებს ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძევს, ისეთს ტიპებს, რომელის მსგავსი უნდა რომ იყვნენ პოეტის ცხოვრებაში, რათა შეეახონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი“.³

დადებით ტიპებს უდიდესი გავლენა აქვთ განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაზე. ისინი ახალგაზრდობის შეგნებაში წარუბოცელ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ამიტომ ვაჟა მწერლებს პირდაპირ დააკისრებს მოვალეობას როგორც მათ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას: შექმნან დადებითი ტიპები: „ამიტომ დიდი ცოდვა და ნაკლია, — სწერს ვაჟა, — მწერლობისა და პოეტებისა, თუ იმთ შეუძლიანთ და ვერა ჰხატავენ ახალგაზრდობის მისაბაძევს, ახალგაზრდობის აღმზრდელს ტიპებს. თვითონ მწერლობაც ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარიაოა“.⁴

მაგალითისთვის ვაჟა მიგვითითებს ტურგენეზე. ვაჟა აღნიშნავს ტურგენევის მიერ შექმნილი ტიპების უდიდეს გავლენას ახალგაზრდა თაობაზე. ის ამბობს, რომ მის გმირებს ბაძვდა ახალგაზრდობა და ბაძვს დღემდე.

ქართული ლიტერატურიდან ვაჟა ასახელებს ილია ჭავჭავაძეს და აღნიშნავს მის მიერ შექმნილი ტიპების განსაკუთრებულ როლს. ვაჟა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლუარსაბ თათქარიძის ტიპის სოციალურ მნიშვნელობას და როლს. ვაჟას აზრით, არცერთ სხვა ტიპს აღარ გამოუწევია შემდეგ ისეთი ხმაური, არც ერთ ტიპს ასე არ გაუყვია საზოგადოება ორ ურთიერთ საწინააღმდეგო ბანაკად, როგორც ლუარსაბის ტიპის შეფასებამ. ი. ჭავჭავაძის მიერ შექმნილმა ლუარსაბის ტიპმა ყველა ღრმად დააფიქრა თავისი თანამედ-

¹ ვაჟა-ფშაველას „რამე-რამე“.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

როვე საზოგადოების ყოფაცხოვრებაზე, დიდი პროგრესი და ძერა მოახდინა საზოგადოებრივი შეგნების განვითარებაში.

მწერალი, ვაჟას აზრით, ნათლად ზედავს და ისმენს იმას, რასაც სხვები ან სულ ვერ ამჩნევენ, ანდა თუ ამჩნევენ, გაურკვეველად. მწერალი ნათლად გამოსთქვამს იმას, რაც გაურკვეველად იქნა გაგონილი და ბუნდოვნად იქნა დანახული. გამოჩენილი მხატვრული ტიპები, ვაჟას სიტყვით, საზოგადოებრივი ცხოვრების ღერძია. სხვა ცალკეული წერილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ საზოგადოებრივი ღერძისა, ისინი ცხოვრების რომელიმე კერძო მხარეს აკმაყოფილებენ. ერის უმთავრესი საჭიროებების გამოხატველი ტიპები კი მთელს კაცის არსებას სთხოვენ პასუხს, მთელს კაცობრიობას აღელვებენ. ისინი ერის ბედს გამოხატავენ და ამიტომ ყველას გულსა და გონებას იზიდავენ. ყურადღებას მიიპყრობენ და აღელვებენ და ამ აზრით ისინი საერთო საკუთრებად იქცევიან. ვაჟა სწერს: „ამგვარი, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ, მაღალი ხარისხის ტიპები ღერძია ეროვნების ცხოვრებისა და სხვა წერილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ ღერძისა, მხოლოდ ერის რომელიმე მხარეს აკმაყოფილებენ მკითხველის სულისას, და ერის უმთავრესს საჭიროებაზე ზედამოჭრილი ტიპი-კი მთელს კაცის არსებას სთხოვს პასუხს, მთელი კაცის არსებას მოიყვანს მოძრაობაში და მთელ მის გულგონების ყურადღებას მიიზიდავს... იგი ბედია ერისა და ამიტომ ყველასათვის საყურადღებო, მიმზიდველი...“

ვაჟა დაწერილებით არჩევს ტიპების სახეებსა და სპეციალურად ჩერ-

დება მსოფლიო ტიპებზე. ისინი, მისი აზრით, მთელი კაცობრივების საჭიროებისათვის არააზრის მქონეები. მათში გამოიხატება ცხოვრების კანონები. ასეთებია სწორედ პამლეტი და დონ-კიხოტი. დონ-კიხოტი საბართლიანობის თავდადებული მამიებელი და მებრძოლია. პამლეტი—ძიებით მოპოვებულის მრკვეველია, დიდი ანალიტიკოსია. ეს თვისებები ცალკეული პირების ან ხალხის საკუთრებას კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელი კაცობრიობისას. მათში ცხოვრების კანონებია გამოხატული. ყველა დიდი, გამოჩენილი ტიპი ბუნებას გაეს.

ვაჟა მხედველობიდან არ უშვებს თვით მწერლის პიროვნებას და მის გარემოცვას. ვაჟა ვახსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლის სიყრმის პერიოდს და ახალგაზრდობის დროის წრეს. სიყმაწვილის პერიოდში მიიღებს მწერალი პირველად შეგნებულ შთაბეჭდილებებს ცხოვრებისაგან, ადამიანებისა და ბუნებისაგან. ამ პერიოდში იწყებს იგი მწერლად ჩამოყალიბებას. „დიდი საქმეა, — სწერს ვაჟა, — მწერლისთვის, ცნობდეს იგი თავის ფესვებს... ხოლო ფესვები მწერლისა მისი აიყრმის დროის სიციცხლეშია გართხული. იქ სწორედ იმ მომენტიდან იწყება ამ ფესვების ზრდა, როცა პირველად მწერლის ნიჭი გაღვიძებს, ცხოვრების, ბუნების, შთაბეჭდილებათა წყალობით, როცა ის ან „უაის“ წარმოსთქვამს, ან „უის“.“

„სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში, საერთოდ, მით უმეტეს ნიჭიერი ადამიანისა და ნიჭის სათავე და დასაწყისიც, სწორედ იქ არის... ეს სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი ასმევენ პოეტს შემოქმედების ნექტარს. დარწმუნდით, რომ სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ შექსპირებმა და რუს-

* ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე“.

თველებმა გაგვაგონეს ხმები „გულისა გასაგმირონი“.¹

ვაქას ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები ფართოა. გარდა მწერლის საერთო დანიშნულების საკითხებისა და მისი როლისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვაქა ეხება აგრეთვე ისეთ სპეციალურ საკითხებს, როგორცაა შემდეგი საკითხები: პოეზიის რაობა და არსი, ფანტაზია და მისი სინამდვილესთან დამოკიდებულება, ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულება, შთაგონების მნიშვნელობა და სხვა.

ესთეტიკისა და შემოქმედების თეორიის ყველა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც იდეალიზმისა და მისტიკის თავშესაფარს წარმოადგენდნენ, ვაქა რეალიზმის თვალსაზრისით სწევტს.

პოეზიის წყაროებისა და არსის საკითხს ვაქამ უძღვნა სპეციალური სტატია სათაურით „სად არის პოეზია?“, რომელიც, სამწუხაროდ, მან ვერ დაამთავრა. ამ სტატიას ფრიალდიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ვაქას ესთეტიკური, ისე ფილოსოფიური შეხედულებების გამოსარკვევად, რამდენადაც პოეტის ესთეტიკური თეორია მკიდროდ არის დაკავშირებული მის ზოგადფილოსოფიურ კონცეფციასთან.

ვაქა-ფშაველა პირდაპირ მიგვითხვებს, რომ მის მიერ განვითარებული შეხედულებები არც ერთი სხვისი თეორიიდან არ არის დასესხებული; ისინი თვით ვაქას საკუთარი ფიქრის ნაყოფია. „ამ თავითვე მინდა გამოგიტყდეთ,—სწერს ვაქა,— არც ერთი კრიტიკოსის თეორიით არ ვახლავართ შებოჰილი, კიდევაც რომ ვაცოდე რამ ამ თეორიებისა, ამჟამად,

ამ წერილის დროს ყველა ისინი/თავიდან მოშორებული მაქვს, ვსჯენება უქმენც შეამჩნიოთ ამ ჩემს წერილს. მე მხოლოდ ჩემი საკუთარი დაკვირება უნდა გაგიზიაროთ.“²

თავისი საკუთარი შეხედულებების გადმოცემას პოეზიის წყაროებისა და არსის შესახებ ვაქა იწყებს იმ თეორიის კრიტიკით, რომელიც აღიარებს, რომ მომავალში პოეზია უნდა გაქრეს და ადგილი მეცნიერებას უნდა დაუთმოსო. ხელოვნების თანდათანობითი კვდომის თეორიის ფილოსოფიური დასაბუთება ჰეგელმა მოგვცა. ჰეგელი თავისი ზოგადფილოსოფიური კონცეფციიდან გამოდრდა და ფიქრობდა: ხელოვნებამ, პოეზიამ, როგორც სახეებით აზროვნებამ, ადგილი უნდა დაუთმოს ფილოსოფიას როგორც აზროვნების უმაღლეს ფორმას, რამდენადაც ფილოსოფია აზროვნობს არა სახეებით, არამედ ცნებებით, ე. ი. უფრო ადეკვატურად. ვაქა ხელოვნების, პოეზიის თანდათანობითი კვდომისა და მისი მეცნიერებით შეცვლის თეორიას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. „რამდენი განათლებული გვყავს იმ აზრის მქადაგებელი, პოეზიამ დღე მოჰმა, მას მომავალ კაცობრიობის ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნება, მის ადგილს მეცნიერება დაიჭერსო. ამ აბღუბდა გადასკუპდას, ნუ დაივიწყებთ, განათლებული კაცი ამბობს... ამ მოძღვრების მიმდევარ კაცს, თქვენთვის იფიქრეთ, რა დაფასება უნდა შეეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებისა, სით რას გაიგებს პოეზიის თავსა და ბოლოს, როდესაც არ იცის მისი საფუძველი, მისი ვინაობა, მისი სისხლი

¹ ვაქა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერი“.

² ვაქა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, ჟურ „ჩემი თობა“, 1940 წ., № 8.

და ბორცი, მისი დამოკიდებულება ადამიანის ბუნებასთან“.¹

რა საბრალო იქნებოდა ადამიანი, რა საბრალო იქნებოდა მთელი კაცობრიობა, რა აუტანელი იქნებოდა ცხოვრება, ლაპარაკობს ვაჟა, ამ თეორიის გზით რომ წასულიყო. მაგრამ, საბედნიეროდ, ბუნება და სიცოცხლე ამ თეორიას არ ემორჩილება. მას თავისი სამარადისო კანონები აქვს და ეს კანონები განსაზღვრავენ, ვაჟა-ფშაველას აზრით, პოეზიას.

თუნდაც კაცობრიობამ ოდესმე შეიძლოს ბუნების ისეთი კანონების შეცვლა, როგორცაა ზამთარ-ზაფხულის მორიგეობა, მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლის ვადა, იგი არასოდეს არ დაჰკარგავს სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობას, ვერ უარყოფს სიცოცხლეს, ცხოვრებას. თავი და ბოლო პოეზიისა კი სწორედ აქ არის. „იქნება ეს (ბუნების აღნიშნული კანონების შეცვლა—ა. ქ.) კი შეიძლოს ოდესმე კაცობრიობამ, მაგრამ თავის ცოცხალის თავით ყოველად შეუძლებელია მან გრძნობა დაკარგოს სიყვარულისა და სიძულვილისა. ჰყოს უარი სიცოცხლე, ცხოვრება. თავი და ბოლო პოეზიისაც სწორედ აქ არის.

შეიძლება განა ცოცხალმა ადამიანმა არ იტიროს, არ იცინოს, ან არ იმღეროს. მდამიოდ რომ ესთქვათ, პოეზიაც აქ არის, ვინიღვან ყოველივე ეს სულიერი მოძრაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრძნობაზე და მოკიდებული. ცოცხალი ადამიანი და უგრძობელი არ ვიცი რა უნდა იყოს?! უსულო საგანი თუ იქნება გაქვევებული, გახევებული ან როგორ იმოძრაოს ადამიანმა უგრძობელად? — მე ვედარაფერს ვიტყვი. თქვენ თითონ განსაჯეთ“.²

პოეზიის თანდათანობით კაცობის მომხრეებს ვაჟა განუუტრუნებელი სენით დააუბლებულა მდამიანებად სთელის და მათთან გრძნული მოღეშების გამართვას საჭიროდ არ სცნობს. ამიტომ ის პირდაპირ სვამს კითხვას—სად არის, ან რა არის პოეზია? პოეზიის საფუძველს, მის წყაროს ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში ხედავს ვაჟა. ბუნებისა და ადამიანის გარეშე არ არის პოეზია. ვინც ღრმად შეიქრა და გაიგო ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების დედაარსი, ის პოეტია, თუნდაც იგი პოეტურ თხზულებებს არ სწერდეს. „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია: ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდა ლექსებსა, ღრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია“.³

ასეთია ვაჟა-ფშაველას ზოგადი დებულება. მაგრამ რა კონკრეტულ შინაარსს სდებს ვაჟა ამ სიტყვებში როგორია აზრი მათი? იმისათვის, რომ ეს გავიგოთ საჭიროა რამდენიმე მათი განმარტება. ვაჟა თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესაბამად სცნობს, რომ მატერიალურ ბუნებას აქვს უცვლელი კანონები, მასში თავისებური მარპონია არსებობს. „არის უცვალებელი კანონი ბუნებისა, არის მასში თავისებური მარპონია“,—ამბობს იგი. მატერიალურ ბუნებას გონება არა აქვს. მაგრამ მისი წესრიგი, კანონზომიერება ადამიანებში გავიარვებას იწვევს. ამ აზრით ბუნება ადამიანებზე უფრო გონიერია. „უხედავთ კარგად,—სწერს პოეტი,—ბუნებას რომ თვალეები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფე-

¹ ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, „ჩვენი თაობა“, 1940 წ., № 8.

² იქვე.

³ იქვე.

ბისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატება!.. ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლებით“.¹

სწორედ ბუნების ეს საკვირველი კანონზომიერება, მისი განსაცვიფრებელი ჰარმონია აძლევს მას ხელოვნების, პოეზიის სახეს. მხატვრულად ვაჟა ამ აზრს ასე ანეითარებს შესანიშნავ მოთხრობაში „ბუნების მგოსნები“: „ბუნების წიაღში წარმოდგენები იმართება მეთქი, ვამბობ, და ეს სრული ჭეშმარიტებაა... ბუნებას ისე უყვარს ხელოვნება, როგორც ჩვენ. ან კი ჩვენ, ადამიანებს, სად შეგვიძლიან ისე შევიყვაროთ ხელოვნება. როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავისთავადაც ხელოვნებაა?!“²

აქ არავითარი იდეალიზმი, არავითარი მისტიკა არ არის, რადგან ბუნებას ხელოვნების სახეს აძლევს მისი ობიექტური მატერიალური კანონების წესრიგი, მისი ჰარმონია და არა რაიმე იდეა ან სული. ხომ სთქვა ვაჟამ, ბუნებას არც თავი აბია და არც ტვინი აქვსო. ამასთან ერთად გასაგებია, თუ რა აზრით შეადგენს ბუნება პოეზიის სამარადისო წყაროს.

კაცობრიობამ განვითარების რა საფეხურსაც არ უნდა მიღწიოს, ბუნებას მაინც ვერ გადალახავს. „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია“, — ასე შესანიშნავად აყალიბებს ვაჟა თავის აზრს. „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, — სწერს ვაჟა, — მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია, საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავეჭვებთ, დავემალნებთ?! ცოც-

ხალცი მისნი ვართ, მეკდარნიც“³
 იმავე დროს, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როგორც არ უნდა მტრადეს თარდეს კაცობრიობა, როგორც არ უნდა დაიმორჩილოს მან ბუნების კანონები, არ შეიძლება დავუშვათ, რომ ცოცხალი ადამიანი გრძნობას დაჰკარგავს, დაჰკარგავს სიხარულისა და მწუხარების, სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობას. სანამ ეს გრძნობები იარსებებენ, პოეზიაც იარსებებს. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ეს გრძნობები ბუნებრივ ხასიათს ატარებდნენ: — ყველაფერს, რასაც ბუნებრიობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიამაყე და სიმბდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხ. და სხ. და სხვ. იქ უსათუოდ პოეზიაა. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება, მწერალს ესმულამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივ კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას — ისე უნდა გადმოგვეცეს სურათი, რომ არა ეთქვათ — ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგია. ყველა ვნებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს. თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიკაბუკისა და სიკვდილისა, — ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ“.⁴

აი რა აზრით შეადგენს ბუნება დაცხოვრება პოეზიის საფუძველს, წყაროს. აი რატომ არის პოეზია სამარადისო, როგორც ბუნება და კაცობრიობის ცხოვრება.

გარდა ამ შესანიშნავი აზრებისა ეს სტატია მრავალ სხვადასე შეიცავს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ახლა მათზე შევიჩრდეთ.

ახლა გადავიდეთ ფანტაზიისა და მისი სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხზე. ფანტაზია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი

¹ იქვე.
² იქვე.

³ იქვე.
⁴ იქვე.

უნარია. უიმისოდ შეუძლებელია პოეზია, ლიტერატურაც და ხელოვნებაც სწორად, სადაც კი აზრები სახეებით გამოიხატება. მაგრამ ფანტაზია, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მართო პოეტს არ სჭირდება. იგი მეცნიერებისათვისაც აუცილებელია თვით ყველაზე უფრო ზუსტ სფეროშიაც კი, როგორცა მათემატიკა. „ტყუილად ფიქრობენ, — სწერდა ლენინი ფანტაზიის შესახებ, — რომ იგი მხოლოდ პოეტს სჭირდება. ეს უაზრო ცრუწმენაა! თვით მათემატიკაშიაც კი იგი საჭიროა, თვით დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვაც შეუძლებელი იქნებოდა უფანტაზიოდ. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა“...¹

აი ამ „უდიდესი ღირებულების თვისებას“ ფრიალ ამახინჯებენ იდეალისტი ფილოსოფოსები და შემოქმედების თეორეტიკოსები. ეს დამახინჯება ფანტაზიის მისტიფიკაციისა და სინამდვილისადმი მისი დამირისპირების ხაზით მიიმართება. ფანტაზიას ისინი აცხადებენ ზებუნებრივ და იღუმალ ძალად, რომელსაც არავითარი რეალური ნიადაგი და შინაარსი არ გააჩნია, და შემდეგ მას სინამდვილეს უპირისპირებენ. წინააღმდეგ ამ ყალბი შეხედულებისა ვაჟა ამტიყებს, რომ საღი შემოქმედებითი ფანტაზია თავის მასალებს სინამდვილიდან იღებს და საბოლოო ანგარიშით მათ განსაზღვრავს. საღი ფანტაზია, მიუხედავად თავისი დამორებისა ნამდვილი მოვლენებიდან, საბოლოო ანგარიშით მაინც სინამდვილეს მიმართავს, მას იმორჩებს და მისგან ჰქმნის თავის სახეებს. ამიტომ საღი შემოქმედებითი ფანტაზია ისეთს არაფერს ჰქმნის, რაც სინამდვილეს და მის მოვლენებს ეწინააღმდეგებოდეს.

ვაჟა მთელი სიყბადით აცხადებს: „საღი ფანტაზია ისეთს ექვემდებარება, სინამდვილეს ატყუვდება“...² ეს თვისი პირდაპირ მატერიალისტურია და რეალისტური. ის გამოიხატავს ფანტაზიის ყოველგვარ იდეალისტურ და მისტიკურ განმარტებას. საღი ფანტაზია იმიტომ არ ჰქმნის ისეთს არაფერს, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, რომ ფანტაზია თავის მასალას სინამდვილიდან იღებს და ამავე სინამდვილის კანონებით განისაზღვრება.

ასევე მატერიალისტურად და რეალისტურად სწავებს ვაჟა ესთეტიკის მეორე უმნიშვნელოვანეს პრობლემას — ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს. ვაჟა აღიარებს, რომ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაში შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, შინაარსი განმსაზღვრელს წარმოადგენს. ჰქმნარითი პოეტი ვერ გამოვა წინასწარაღებული ფორმიდან, თუ ვერ შინაარსად თავისი აზრები და გრძნობები არ მიუყენა. პირიქით, შინაარსი, აზრები და გრძნობები, როდესაც ისინი უკვე მომწიფდნენ, თვითონ კარნახობენ მას შესატერ ფორმას. ვაჟა სწერს: „წინ და წინვე განსაზღვრა ფორმის ნამდვილი პოეტიკისათვის ყოველად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეს თვით ნაგრძნობს და ნაზრევს. ნამდვილად ნაგრძნობს საგანს და ნაწარმოებს თან მოჰყვება ფორმა, როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმას წინასწარ პლანის შედგენას, ძალადობას, ძალდატანებას თვით შეუდგება, ნაწარმოების სისუსტის მომასწავებელია“.³

მწერლის ნაწარმოებს, მის სახეებს მაშინ აქვთ მკითხველზე ყველაზე

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. XXVII, გვ. 266.

² ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა იმ. ვარ. თავგასი“, ტ. II, გვ. 451.

³ ვაჟა-ფშაველა, „ნიკორი მწერალი“.

უფრო ძლიერი და დამატყვევებელი გაელენა, როდესაც ავტორი მათ გულში ჩუმად დიდხანს ატარებდა, რქ მათ ხარშაედა და ბოლოს ისე დამწიფდნენ, რომ თითონვე მოეფინებათ ნათელი, გარეთ გამოხეუქავენ და თავიანთ ავტორს უბრძანებენ, კალამი ხელში აილოს და მთელს ქვეყანას წარუდგინოს. „მკითხველი, — სწერს ვაჟა, — მხოლოდ მაშინ წამოიძახებს პოეტის ნაწარმოებზე: „რა კარგია, რა მშვენიერებაა!“, როცა სურათი, რომელაც მან დახატა, ისეთს სულიერ ტკივილებს აგრძნობინებდა მწერალს, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავის მთელის სხეულისა; ეს კი მოხდება მაშინ, როცა გულში მოხარშული სურათი ჩუმად მუკლუფუნებს სცემს პოეტს: „ჩქარა ქალაღი და კალამი, დამხატე, გააცანი ჩემი თავი ადამიანთო!“ სურათის ქმნა პოეტის გულ-გონებაში მშობალ ენაზე სწარმოებს, ჩუმად, ყრუდ“...¹

მხატვრული შემოქმედების და ლიტერატურული თეორიის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს საკითხი მწერლის დამოკიდებულებისა ხალხური შემოქმედებისადმი და ამ თანხის ნელის გამოყენების ხარისხი მწერლის მიერ. ვაჟას მსჯელობანი ამ საკითხზე, გარდა ზოგად თეორული მნიშვნელობისა, კიდევ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმის გამო, რომ თვითონ მწერალი თავის შემოქმედებაში იყენებდა ხალხურ გადმოცემებს (ზღაპრებს და თქმულებებს).

ვაჟა მსოფლიო ლიტერატურისა და მისი საუფეთესო წარმომადგენლების გამოცდილებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ხალხური გადმოცემა როგორც არ უნდა შინაარსიანი და ღრმა იყოს ფორმითა და აზრით, თუ პოეტი მას არ გადაადნობს და არ გადახარ-

შავს თავის შემოქმედებაში, არაფერს ახალს არ მოუმატებს, ეჭმინდნენ მწერალს ვერ მიიღებს ხელოვნების მწვერვალს, მოვებს, რომელაც უნდა იპყრობდეს და ღრმად იკრებოდეს ადამიანის სულში.

ასე ექცეოდნენ სწორედ ხალხურ გადმოცემებს მსოფლიოს დიდებული მწერლები — შექსპირი, გოეტე და რუსთაველი. მრავალმა მოჰქიდა ხელი ფაუსტის ლეგენდას, — ლაპარაკობს ვაჟა, — მაგრამ მხოლოდ გოეტემ შესძლო მისი საფუძვლიანი გარდაქმნითა და შეუცებით შეექმნა ის ფაუსტი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. იგივე შეძლება ეთქვით „ჰამლეტზე“, „მეფე ლირზე“, „რომეო და ჯულიეტაზე“ და „ვეფხისტყაოსანზე“.

თავის საკუთარ შემოქმედებაზე ვაჟა ლაპარაკობს, რომ მრავალი თქმულება ან ზღაპარი თითონ მან შექმნა და ისინი წვეთსაც არ შეიცავეს ხალხურს, თუმცა სათაურსკვემ ფრჩხილებში აღნიშნულია „ძველი გადმოცემა“, „ზღაპარი“, „თქმულება“. თავისი თხზულებების სრული კრებულის გამოცემისთვის, რასაც ვაჟა სამწუხაროთ ვერ შეესწრო, პოეტი დაპირდა მკითხველს, რომ იგი ზოსტად აღნიშნავდა, თუ რომელნი წარმოადგენდნენ ნამდვილად ძველ გადმოცემებს და რომელნი არა.

რაც შეეხება პოემებს, თითონ ვაჟას აღიარებით, ისინი თითქმის ყველა ხალხურ გადმოცემაზეა აგებული სხვადასხვა ზომით: ზოგი მეტად თუ ნაკლებად უახლოვდება დედანს, ზოგი კი მისგან სრულიად დაშორებულია. ვაჟა თითონ უსვამს ხაზს, რომ ის პოემები, რომლებშიაც ხალხურმა გადმოცემებმა მხოლოდ ზოგიერთი რამ ცვლილება განიცადეს, ნაკლებ ცნობილი არიან. დიდი სახელი მხოლოდ იმ პოემებმა მოიხვეჭეს, რომლებშიაც ხალხურმა გადმოცემებმა ფრიად არსებითი ცვლილებები განი-

¹ იქვე.

კადეს. ამით რიცხვში თითონ პოეტი ასახელებს „სტუჟარ-მასპინძელსა“ და „გველის მკამელს“.

მწერლები, პოეტები ბევრ რამეში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თვითეული მათგანი ინდივიდუალურია. თვითეულ მათგანს თავისი ენა აქვს, თავისი სტილი, თავისი მიმართულება და შეხედულებები, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ აუცილებელი განსხვავებისა, ყველას მათ, ვაჟას აზრით, ერთი რამ აერთებთ—სიყვარული ადამიანისა და კეთილშობილ, ამაღლებული იდეებისა, სიძულვილი ბოროტებისა და ჩაგვრისა. არ არსებობს პოეტი თუ მწერალი, ადამიანისა და დიდებული მოვლენების მიმართ რომ დიდი სიყვარული არ ჰქონდეს. ყველა მწერალსა და პოეტს, თუ კი ისინი ნამდვილად მწერლები და პოეტები არიან, უყვართ ადამიანი, ბუნება და სილამაზე, სძულთ ყოველგვარი მონობა, ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა, ზნეობრივი სიმახინჯე და დაცემულობა. „პოეტები,—ამბობს ვაჟა,—თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიმართულებით, წერის სავანთა შერჩევით, ბევრშიცა ჰკვანან ერთი მეორეს: უყვართ სილამაზე... ბუნება, გმირობა, თავდადება, ხასიათის სიმტკიცე; საზოგადოდ ალტრუისტული მისწრაფებანი და სძულთ ძალმომრეობა, ადამიანისა ადამიანის მიერ დაჩაგვრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა, საერთოდ“.

ამის შემდეგ ვაჟა დასკვნის, სახით რამდენიმე ბუნქტში აყალიბებს იმ აზრს, თუ ვინ არის ნიჭიერი მწერალი.

ვინ არის ნიჭიერი მწერალი? — კითხულობს ვაჟა და თვითონვე უპასუხებს: „ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მოწადინებულია გა-

აბედნიეროს იგი, ვისაც დიდად უყვარს ცხოვრება და უნიჭობა — მისი გაუყეთესება. ამისთვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა.“

„იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც რასაც თავად ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს“.

თუ ნიჭიერი მწერლის პირველი ნიშანია დიდი სიყვარული ადამიანისა და ცხოვრებისა, ერთგული სამსახური მათი, რაც დიდ გრძნობას, ადამიანის სულისა და ცხოვრების დიდი ცოდნას მოითხოვს, მეორე მის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს უნარი იმისა, რომ თავის ნაწარმოებში განასახიეროს ყველა დიადი ჰუმანარიტება და სამარადისო მშვენიერება. ვინ არის ნიჭიერი მწერალი, — კითხულობს ვაჟა და ერთხელ კიდევ უპასუხებს: „ვისი ნაწარმოებიც რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, მით კიდევ მაღას გიღვიძებს ახლად წაკითხვისას. მაშასადამე, ნაწარმოებში უნდა იყოს ჩაქსოვილი უკვდავი ჰუმანარიტება, სამარადისო მშვენიერება“...

მაგრამ ამით არ განისაზღვრება ფრიად მომთხოვნელ ვაჟას კოლექსი. იმისათვის, რომ ყველა ეს იყოს, საჭიროა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. მწერალი უნდა გულწრფელი იყოს. გულწრფელობის გარეშე არაფერი არ არის, არც სიმართლე, არც სილამაზე, არც ნიჭი, არც გრძნობა, არც კაცობრიობისათვის სამსახური. გულწრფელობა ყველაფრის საფუძველია. დასასრულს ერთხელ კიდევ კითხულობს ვაჟა: ვინ არის ნიჭიერი მწერალი? და ასე უპასუხებს: „ვისი სიცილიც ნამდვილი ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი ნამდვილი ცრემლია და არა



გერმანულნი
გინგლირთქას

რალაც წყალწყალა სითხე,—ვისაც,
როცა უკანასკნელი წამი დაჰკრავს და
სამარეში ჩაეშვება მწერლის გვამი,
ჩანგი თან ლოცვა-კურთხევას ჩააყო-
ლებს და არა სამდურავსა:

ყალბი იყავ და ყალბად მაქლერებ-
დიო!¹

გაეა-ფშაველა ერთ-ერთი უკეთილ-
შობილესი პოეტია მთელ მსოფლიო
ლიტერატურაში. სიმართლე და სიკე-
თე შთაგონებდა მას, სიმართლესა
და სიკეთეს სთელიდა იგი პოეზიის
წყაროდ.

როს ვუკვირდები თავის-თავს
და არ ვემდური მტკადა:
მადლს დაეთელი ათასობითა,
კოდვა სამ რჩება კენტადა,
მხრები მესხმება; ვიზრდები,
ცად ვიწვევ ასაფრინადა.
განხდება სითლაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტად;
ზღვაედება მწყობრი სიტყვები
ქალაღზე დასაბღერტადა;
მითრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა:
არა ესთქვა არ შემოძლიან,
მონა ვარ მაშინ ჩანგისა;
ნაცნობნი მელუნებიან:
„კირიშე შენის ჰანგისა!“
თავდაც მოწონს: საამოდ,
ზმა მწყობრად აღის-დაღისა;
ჭქუბს ჩანგი, აღარ ისვენებს,
პეც მხოლოდ მღერა მწადისა;
იშლება, მღერაში დნება
ბუღე ყველა სხვა დარღისა,
ზღვად ვეკრავ ნეტარებისა
წვერი ხელთა მაკვს კალთისა,
უფლის და მისთა მსახურთა
ლოცვა-კურთხევა მამდისა;

კალთაში ვარდი მესწლება,
თავე მანანა დამდისა.
მადლობელი ვარ მშობლისა;
ჩემის გაჩენის, გაზრდისა.
თუ მადლი, სიკეთე არ იქნება, არც
პოეზია იქნება. მადლს მოკლებულ
ადამიანს, როგორც არ უნდა ცდი-
ლობდეს იგი და ძალას ატანდეს თა-
ვის-თავს, არაფერი გამოუვა, გარდა
უბადრუკი ტანჯვა-წამებისა და ვაი-
ვაგლახისა.

გაეა განაგრძობს:

და თუ ცოდვები მომპარბდა,
სდღმა ჩანგი, გული ბნელია,—
ეცდილობ, რომ ლაღად ვიმღერო,
სიტყვა გაეღესო ცხელია,—
ამოდ ვტანჯავ თავის-თავს...
ვამხელ და გასამხელია:
იგიე მარჯვენა და კაცი,
იგიე კალაში მჭკელია
დაილუნგებულა, დამდგარა,
შემოაჩვევია გველია.
ჯოჯობეთში ვარ, ვიწვევი,
გაჩენის დღესა ვწვეველია.
ასე ყოფილა, მგოსანსა
თუ მადლი გამოვლია“.

გაეა-ფშაველა უდიდესი მადლის
პოეტია. მისი ზნეობრივი იდეების
სიუხვე ამოუწურავია. ყოველი მისი ნა-
წარმოები, ყოველი მისი აზრი სიყვა-
რულით და ადამიანობით, ჰუმანიზმით
და პატრიოტიზმით არის გამსჭვალუ-
ლი. გაეა გმირული სულის პოეტია.
ვაეასათვის გმირობა, ვაეკაცობა სი-
კეთეს გარეშე არ არსებობს. გაეა
აერთიანებს გმირობას და სიკეთეს და
ამაში მდგომარეობს მისი შემოქმე-
დების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

¹ გაეა-ფშაველა, „ნიჭიერი მწე-
რალი“.

გიორგი ქუჩიშვილი

(დაბადებიდან 60 წლის უნსრულები გავო)

პალე რალიანი



მეოცე საუკუნის ქართული რევოლუციური პოეზიის განვითარებაში გიორგი ქუჩიშვილს თვალსაჩინო და თავისებური ადგილი უჭირავს. იგი იროდიონ ევდოშვილის ღირსეული მემკვიდრეა, აგრძელებს ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მოქალაქეობრიობის სასახლო ტრადიციას. თავისი შემოქმედებით იგი ყოველთვის ემსახურებოდა ხალხის სოციალური და პოლიტიკური თავისუფლების ინტერესებს.

პოეტის ბიოგრაფია ორგანიულადაა დაკავშირებული მის შემოქმედებასთან. ამ უშუალო კავშირმა ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის მისცა მას საშუალება დამოუკიდებელი ადგილი დაეჭირა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

გიორგი ქუჩიშვილმა გაიარა ცხოვრების მძიმე სკოლა. შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართველი მწერლებიდან თითქმის არცერთს არ გამოუცდია ისეთი საშინელი სიღუბე, მჩაგვრელთა ისეთი სიმკაცრე და შევიწროება, როგორც გამოსცადა ჩვენმა პოეტმა. მან ზედმიწევნით გაიცნო ხალხის ცხოვრება კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის პირობებში. იგი იყო მოწმე და თანამონაწილე ამ ხალხის მძიმე ყოფისა, თავისუფლებისაყენ მისი გატაცებული

სწრაფისა. ამ გზით მიიღო მან ის მკვეთრი შთაბეჭდილებანი, რამაც შემდგომი მისცა მდიდარი მასალა მხატვრული შემოქმედებისათვის. მას მთელი საქართველო აქვს შემოვლილი. ყველგან აწყობდა იგი რევოლუციური შინაარსის საღამოებს და თავისი ლექსებით ხალხს მოუწოდებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. „სცენა ჩვენთვის ტრიბუნა იყო, საიდანაც მედგრად გაისმოდა რევოლუციური ლექსები, რასაც დაუსრულებელი ოვაციები მოსდევდა ბრძოლის ცეცხლით აღტყინებულ მუშურ აღდითორიიდან“, აღნიშნავს პოეტი. მეფის მოხელეები მას სდევნიდნენ. თავისი მდიდარი ბიოგრაფიიდან პოეტი ასეთ შემთხვევას გადმოგვცემს: „ერთხელ ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში (ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) რომელიღაც საღამოზე მომიზნა გამოსვლა. ისეთი აღფრთოვანების ქარიშხალი გამოიწვია მუშებში — ლექსის წარმოთქმამ, რომ ვიფიქრე: თუ ახლავე თავს არ ვუშველუ, დაქერას ვერ აეცდები... პოლიციისაგან მეთქი. ქუჩაში რომ გამოვედი, იქაც მესმოდა ტაშის გრიალი. ჩემი გარეთ გამოსვლა და ბოქაულის შექრა თეატრის კულისებში ერთი ყოფილა. იგი აღშფოთებული მივარდნი-



ლა ადმინისტრაციასთან და მოუთხოვნია ჩემი გადაცემა“. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო პოეტის ცხოვრებაში. პირველად გიორგი ქუჩინაშვილის ლექსები 1906 წელს გამოქვეყნდა „შაპიროგრაფზე“ დაბეჭდილ ჟურნალებში, რომელთა ტირაჟიც არ აღემატებოდა ორმოც ცალს. სისტემატურ ბეჭდვაა იგი იწყებს 1907 წლიდან. ეს იყო ხანა პირველი რევოლუციის დამარცხებისა.

ცნობილია, რომ პირველი რევოლუციის დამარცხებამ თავისებური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროზე. ინტელიგენციაში ამ დროს ხდება „ღირებულებათა გადაფასება“. ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მუშათა კლასთან იყვნენ დაახლოებულნი, თანავგრძნობდნენ მის საქმეს, — რეაქციის გაბატონების შემდეგ სულ სხვაგვარად აღაპარაკდნენ. ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ინტელიგენცია აქტიურ საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან „გაქცევის“ მისწრაფებით განისმქვალა, ჩაიკეტა თავისთავში, შექმნა „საკუთარი სამყარო“, მოქალაქეობრივი ინტერესები შესცვალა ვიწრო ეგოისტური ინტერესებით. ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი გასაქანი მიეცა დეკადენტობის ნაირსახეობებს. ყველაზე დამახასიათებელ მოვლენას ამ წლების ლიტერატურაში წარმოდგენდა რეალისტური ტრადიციების უარყოფა და გადასვლა სხვადასხვა ანტირეალისტურ, ირაციონალურ მიმართულებებზე. ადრინდელი, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა ძლიერი იყო თავისი დემოკრატიზმით და ჰუმანიზმით, ღრმა ინტერესით ხალხის ცხოვრებისადმი, სოციალური ხასიათის ამოცანებისადმი.

ნების გადაწყვეტის სულსწვეფილი, თავისუფლებისა და სწავითობისათვის პოეტის მისწრაფებით. რეაქციის პერიოდის მწერალთა დიდმა უმრავლესობამ გვერდი აუხვია ამ ტრადიციას და ხელოვნება „წმინდა“, „თვითმიზნურ“ მოვლენად გამოაცხადა. ავადმყოფურმა სუბიექტივიზმმა, ნიციანური „ზეკაცის“ იდეამ და ცხოვრების უგულველყოფის კულტმა დაიჭირა გაბატონებული მდგომარეობა რეაქციული ლიტერატურულ წრეებში; ეს მწერლები განიმსქვალნენ ავადმყოფური, ინდივიდუალისტური, უადრესად ვიწრო-პიროვნული განწყობილებებით. გამათავისუფლებელი იდეების, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ადგილს მათ შეხედულებაში დაიჭირა თავისთავის გაღმერთებამ და ანტისაზოგადოებრივმა შეხედულებებმა. მაგრამ, რასაკვირველია, რეაქციის პერიოდის ქართული ლიტერატურა მთლიანად არ მოქცეულა დეკადენტურ მიმართულებათა ტყვეობაში, მთლიანად არ გადასულა პესიმიზმსა და დაცემულობაში. იმ დროს, როდესაც უიმედობისა და გულგატეხილობის იდეამ უფრო და უფრო დაიპყრო ლიტერატურა, როდესაც მოდად გახდა მოთმინებისა და ტანჯვის ქადაგება, სიკვდილის კულტი, მრავალი ქართველი მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ დეკადანსის გამოხატველმა ლიტერატურულმა მიმართულებამ ვერ დააზიანა მათი საღი რეალისტური ხედვა, ვერ ააცდინა ისინი ცხოვრებისა და ხალხის სამსახურს. ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების საგრძნობი ნაწილის შემოქმედებითი განვითარება იმ ხანებში მიმდინარეობდა პირველი რევოლუციის იდეების ზეგავლენით. ეს ის მწერლები იყვნენ, რომლებიც მოშავალს იმედით შეჰყურებდნენ, სწამდათ რევოლუციის საბოლოო გამარჯვება.



ლიტერატურის დემოკრატიული ფრონტი უპირისპირდებოდა რეაქციას და დღეური დაცემულობის ყველა სახეობას.

ასეთ საზოგადოებრივ პირობებში შოუბდა გიორგი ქუჩიშვილს სამწერლო მოღვაწეობის დაწყება, თავისი შემოქმედებით იგი დაუკავშირდა დემოკრატიული მწერლების რეალისტურ მიმართულებას. პირველსავე ლექსებში პოეტი გაბედულად სახავედა თავის სამოქმედო პროგრამას. მას კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პოეზიის სოციალური დანიშნულება. იგი ცდილობდა არ შერეოდა იმ პოეტებს, რომელნიც მშრომელი ხალხისა და რევოლუციის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდნენ. მთავარი, რაც ახასიათებს ამ წლებში გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებას, ეს არის განსაკუთრებული ინტერესი ადამიანისადმი, მხურვალე თანაგრძნობა მისდამი, წუხილი მის ტანჯვაზე. იგი არა მარტო ლაპარაკობს ადამიანის ტანჯვაზე, არამედ სწამს მისი ძალა, მისი შესაძლებლობა გარდაქმნას მოუწყობელი ცხოვრება. თითონ პოეტი თავისთავს ახალი ქარიშხლის წინამორბედად აცხადებდა:

მე პოეტი ვარ
მოშავალი ქარიშხლისა,
ღია საფეხაროდ
ვლვას ფრთებით გამოქროლილი
უნდა ცეცხლს მიეცე
მთა-ღრუბლებით ჩამოწოლილი,
რომ წარღვნის შემდეგ
მზე გამეფდეს მოშავალისა...

ქარიშხალში პოეტი გულისხმობდა მოშავალ რევოლუციას. თავისუფლების ამ ღღის მოახლოებისათვის იღწევოდა.

მსურს ხმა-მედგარი
სიმღერა ჩემი
ცას რისხვისავეთ
შეძლეს, გრგვინავდეს...
ფრთები შეისხას

შერისძიებამ,
შტერს და მუხანათს ერქონესული
ჰევეოდეს... ჰყინავდეს
მსურს ჩემთან ერთად,
ჩემი ფანდური,
ქვეყნის წუხილით
მოსთვამდეს, სწუხდეს...
დაპქვითინებდეს
გმირთა საფლავებს,
ერს აღვიძებდეს...
საომრად ჰქუხდეს...

მართალია, გიორგი ქუჩიშვილი ამ ფრიალ დიდს საქმეს ჰკიდებდა ხელს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ მარტოოდენ დეკლარაციას წარმოადგენდა. მთავარი ის იყო, თუ როგორ პოეტურ ხორცს შესახამდა იგი თავის მონაფიქრს, როგორ ღრმად და ყოველმხრით გამოხატედა ცხოვრებას, როგორ კონკრეტულ გაშუქებას მისცემდა ლიტერატურაში თავის მიზანდასახულებას.

ადრინდელ ლექსებში გიორგი ქუჩიშვილი გვიხატავდა კაპიტალისტურ ქალაქს. მისთვის ეს ქალაქი არ იყო პარმონიული ცხოვრების გამოხატულება, როგორც ეს ბურჟუაზიული პოეზიის წარმომადგენლებს სურდათ ეჩვენებინათ. გიორგი ქუჩიშვილი ასახავდა კაპიტალისტურ ქალაქს მთელი თავისი საშინელებით და წინააღმდეგობებით. მაგრამ პოეტი ქალაქში ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა ორგანიზებულ შებრძოლ მასებს. იგი უპირატესად ხედავდა ქალაქის „ფსკერს“, ლემპენ-პროლეტარებს.

ეს თემა გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებაში არ იყო მარტოოდენ პოეტური გატაცების შედეგი. ის წამოაყენა თვით ცხოვრებამ. ლემპენ-პროლეტარი პოეტის ყურადღებას იქცევდა, როგორც კაპიტალისტური სისტემის მსხვერპლი, როგორც თვალნათლივი დადასტურება ამ წყობილების სიმკაცრისა, რის შედეგადაც ადამიანები გარყვულნი რჩებოდნენ საზოგადოებისაგან. გიორგი ქუჩიშვი-

ლი მათ გვიხატავს უდრეკ, თავისუფლების მოყვარე, პროტესტანტ პიროვნებებად, რომელთაც თვით დამამცირებელ პირობებშიც შენარჩუნებული აქვთ ადამიანური ღირსებები. მარქსი და ენგელსი „წმინდა ოჯახში“ აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების „ფსკერზე“ მოქცეულ პლებეურ-პროლეტარულ ფენებს წმირ შემთხვევაში უფრო მეტად ახასიათებთ კეთილშობილი და ადამიანური გრძნობები, ვიდრე ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული მაღალი წრეების წარმომადგენლებს.

გიორგი ქუჩიშვილის მიერ დახატული ლუმპენ-პროლეტარები რამდენადმე უახლოვდებიან მარქსისა და ენგელსის ამ გაგებას. იგი ამ ხალხის ცხოვრებას აშუქებს სოციალურ ფონზე. მათი გაუბედურების მიზეზად მას მიაჩნდა* კაპიტალისტური სისტემა. პოეტი გამოდის ამ გარყვულ ადამიანთა მოსარჩლედ. შემთხვევითი როდი იყო ის მიძღვნა, რომელიც მან 1908 წელს დაურთო თავის ერთ-ერთ წიგნს. ამ მიძღვნაში იგი გამოხატავდა თანაგრძნობასა და სიყვარულს „ცხოვრების გერთა“ მიმართ; გიორგი ქუჩიშვილის დამოკიდებულება ლუმპენ-პროლეტარიატისადმი განისაზღვრებოდა მისი ჰუმანიზმით და კრიტიკით კაპიტალისტური წყობილებისა.

მაგრამ ამავე დროს პოეტი ნათლად ხედავს, რომ ლუმპენ-პროლეტარიტი არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც დაანგრევს, გარდაქმნის ბურჟუაზიულ ურთიერთობას. ასეთ ძალას იგი ხედავს ორგანიზებულ, მოწინავე მუშათა კლასში. აქედან არის, რომ იგი თანდათან გაძლიერებულ ურადლებას აქცევს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მასებს.

გიორგი ქუჩიშვილი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში შეუფერავად ასახავს ძველი ცხოვრების სურათებს. იგი გაბედულად მეტყველებს ბურ-

ჟუაზიულ-კლასობრივი წყობილების მიერ აუტანელ პირობებში ჩაყენებული მუშათა მასების ყოფილებას

დღე-ღამე საკრავით
გაცრიატებული,
მიშქალი თვალთი
გვტიხავს და გვტოვავ.
განცხრომის ძეთათვის
ვწმინთ ძვირფას სამოსელს,
ჩვენ კი ძველ კონკეში
გვცოვავ, ობ, გვცოვავ.
ბნელ საბელოსნოში
გამომწვევდეთლები —
გვერავთ, და საკერავს
ოხებით დავლიღნებთ...

ეს ტომას გჰუდისებური ხმები სინამდვილის ანარეკლია.

ქუჩიშვილი ხედავდა, რომ ასე მკაცრი იყო მასების ცხოვრება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მაგრამ მასში მაინც ძლიერი იყო ნების სიმტკიცე, მებრძოლი სული და გაუტეხელობა.

ჩვენ არ გვიყვარს ოხერა, კენესა,
ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა ცრემლით
იმედებით ფეოქავს გული,
იმედებზე სქვდავს გრდემლი!
არ გამჭრალა ხსნის იმედი,
არც ვაჭკუება შრომის კერა!
კვლავ გუზგუზება ცაცხლის კერა,
ბრძოლის ხმაზე სქვმა სიმღერა!

ეს სიყვარული სიცოცხლისადმი და ურყეობა მართლაც რომ დამახასიათებელი იყო მუშათა მასებისათვის. გიორგი ქუჩიშვილის ჰუმანიზმი, მისი სიყვარული ცხოვრებისადმი და რწმენა ადამიანისადმი მკვეთრ კონტრასტში იმყოფებოდა დეკადენტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ადამიანისა და ადამიანობის უარყოფასთან, შიშთან ცხოვრების წინაშე. პოეტი გვიხატავს არა მარტო ტანჯვას ხალხისა, არამედ მის გამოლვიძებას, ბრძოლას თავისუფლებისათვის. იგი ხალხში აცოცხლებს ცხრაასხუთის საბრძოლო სულისკვეთებას, იფონებს

რევოლუციურ გამოხვედრის დროს დაღუპულ ხალხის შვილებს, რომ ამ გზით განამტკიცოს თავისუფლებისაკენ წარათვის შეგნება:

ჯერა! დიდხანს

ვერ მოითმენს ხალხი

ზორბების თავაშეებულ თაყვანს,

ადიქრება და აღმართავს მახვილს,

მტერს დასცემს და

დაღვწის ციხის კარებსს.

მომავლის შეგრძნობის უძვირფასეს თვისებაში უნდა ვეძიოთ ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყარო, რაც ასე ძალუძრად სჩქედს გიორგი ქუჩიშვილის პოეზიაში. მას სწამს, რომ ცისკარს თან მოჰყვება სრული გათენება, მას სჯერა, რომ წარღვნის შემდეგ გამოჩნდება მზე, რომელიც მოსპობს სიბნელეს, გაათენებს დღეს, მაგრამ პოეტს კარგად ესმის, რომ ეს მომავალი არ მოვა თავისთავად, თავისუფლების მოპოება არ შეიძლება მოთმინებით და ქედის მოხრით.

გიორგი ქუჩიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის წამყვან მომენტს ყოველთვის შეადგენდა გმირული, რევოლუციური რომანტიკა. ეს რომანტიკა მიმართული იყო პოეტის გარშემო არსებული სინამდვილის სიმპაზიკურ და უსამართლობათა დაგმობისაკენ, გამოხატავდა მისწრაფებას ცხოვრების გარდაქმნისა.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში განსაკუთრებული გავლენა იქონია გიორგი ქუჩიშვილის მთელ შემოქმედებაზე, ახალი აზრი და შინაარსი მისცა მის პოეზიას. ახალმა ცხოვრებამ თემატიურად გაამრავალფეროვანა და შინაარსით გაამდიდრა მისი ნაწარმოებნი. უფრო სადა, მხატვრული და მასობრივი შეიქნა მთელი მისი პოეზია. უფრო საგრძნობი გახდა მისი სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან, რაც ადრე ახასიათებდა

მას (საკმარისია გავიხსენოთ ლექსები — „ჯაჭვის ხიდი“ და „ქობულეთის ვოგო წყალზე მიდის“, „მეზვედრა“ და სხვები). გიორგი ქუჩიშვილის პოეზიამ დღემდე შეინარჩუნა მიმართებითი ფორმა და აგიტაციური სტილი, მაგრამ ამასთან ერთად მის ლექსებში უფრო მკაფიოდ გამოჩნდა გრძნობითი უშუალობა, ლირიკული სიტბო, ოპტიმისტური პათეტიკა.

გიორგი ქუჩიშვილი ყოველთვის იმ საკითხებს ეხმაურება, რომლებსაც აყენებს საბჭოთა სინამდვილე. მისი პოეზიის თემატიკა კონკრეტული და ამავე დროს აქტუალურიც არის. მისი საბჭოთა პერიოდის შემოქმედება ეს არის ჰიმნი გამარჯვებული სოციალიზმისა. არ ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომ მას არ გამოხმაურებოდეს პოეტი. იგი ნაწილად გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით გამარჯვება მრავალტანჯულმა მშრომელმა ხალხმა, ამიტომ არის, რომ იგი ამბობს:

ჩვენი ძველი სიმღერები

უიოააო მოთქმას ჰგავდა;

ხარხარებდნენ გესლით მტრები

და ეს ხმები გულს გვიკლავდა.

და დავიკეთე სხვა სიმღერა,

აფეთქების ციკლს რომ მხადებს;

ბრძოლის ქარმაც დაუბერა

და მოედო ბარკადებს!

გამარჯვება ჩვენ ვებსა წილად.

გასრულია ვლია მტერი;

მისთვისა ჰქუხს ისე ტკბილად

შრომის მრავალგამიერი!

ამ შეგნებამ მისცა გიორგი ქუჩიშვილს დიდი ძალი იმისათვის, რომ გამოეხატა საბჭოთა ხალხის ძლიერ-მოსილი წინსვლა. იგი თითქმის ყოველთვის კონტრასტის ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგინოს ახალის სიდიადე და თავისებურება. მუშა ძველად და ახლა, ძველი და ახალი თბი-



ლისხ, ძველი და ახალი კოლხიდა და სხვა შედარებები ხელშესახებდალ ახალიათებენ თუ რა ბედნიერება მოუტანა ქვეყანას სოციალისტურმა რევოლუციამ. იგი ნათლად გრძნობს, რომ სიკოცხლის მიმინიჭებელი მზე ანათებს თავისუფალ ხალხს:

მზე გამობრძანდა ცათა კოშკიდან,
 მზის მოსვლას მოჰყვა ქვეყნის თენება;
 მზემ ოჭროს კიბე ძირს ჩამოვიდა,
 მზეს ჩვენი მოწის ნახვა ენება.
 მზე სხივთა ფუნჯით ძირს ჩამოვიდა,
 ჭარგვის სიკოცხლის აღორძინებას;
 ამდენ საღებავს ვინ იშოვიდა,
 ან ვინ შეაქმნიდა ასეთ შვენებას?!

ეს პოეტური სახე განუშორებელია გიორგი ქუჩიშვილის რევოლუციური შემოქმედებისა. დამახასიათებელი თვისება მისი პოეზიისა დღეს არის ნათელი და ორგანიული ოპტიმიზმი. მისი ნაწარმოებების მთელი აზრი და შინაარსი აღმოცენებულია თანამედროვე ცხოვრების ცოდნის საფუძველზე.

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებაში ძალუმაღ გვაქვს წარმოდგენილი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მაღალი პოეტური განცდით გამოხატა მან თავისი მატრიოტული სულის-

კვეთება. განსაკუთრებით სამამულო ომის მრისხანე დღეებში განისწავლეთის მგზნებარე სიტყვებში შემოხლელ ქვეყნის დასაცავად. „ძღვევამოსილთ ყიფინით და ბრძოლის დაფდაფით აღვიგზნოთ ვულის მამულისათვის სიკოცხლენ ვხარჯოთ!“ როცა მტრის ურდოები კავკასიის მისადგომებთან იყენენ მოსულნი, გიორგი ქუჩიშვილი წაეიდა ფრონტზე ქართველ მებრძოლებთან და თავისი პათეტიკური ლექსებით მოუწოდებდა მათ გამირობისაკენ, სამშობლოსათვის თავის დადებისაკენ. პოეტის შეგნებაში არასდროს არ შესუსტებულა რწმენა იმისი, რომ საბჭოთა ხალხის საქმე სამართლიანია, რომ გამარჯვება საბჭოთა ხალხს დარჩება. ასეთი განსაცდელის დროს, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ისე ჩვენი პოეტის გულისყური მიპყრობილი იყო მშობლიური ბელადისადმი, დიდი სტალინისადმი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობითაც ჩვენ ყოველ საქმეში ბრწყინვალედ ვიმარჯვებთ. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ მის განმათავისუფლებელ ბრძოლას წარმართავდა გენიალური მხედართმთავარი — სტალინი, რომ მას იცავდა უღრვევი წითელი არმია.

აკად. ნ. მარს და ქართული ლიტერატურის ისტორია

აკად. კორნელი კეკელიძე



აკად. ნ. მარს დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დაბუყების საქმეში. მართალია, ნ. მარს არ დაუწერია მთლიანი, სისტემატური კურსი ასეთი ისტორიისა, მაგრამ კვლევა-ძიება ამ დარგში მან დაამყარა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე: მან გაუკვლია გზა ასეთ ძიებას, აღუწესბა მეთოდი, გაუთვალისწინა მიზნები. თავის მრავალ შრომაში, როგორც მსხვილტანიან გამოკვლევებსა და გამოცემებში, ისე მოკლე სტატიებში, შენიშვნებში და რეცენზიებში, მან გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა სრულიად ახალი პრობლემები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებები. როდესაც ვლაპარაკობთ ნ. მარსის დამსახურებაზე აღნიშნულ დარგში, მხედველობაში გვაქვს ძველი ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნემდე.

ძალიან ძნელ პირობებში მოუხდა ნ. მარს ამ დარგში მეცნიერული მუშაობის დაწყება: ასეთი მუშაობისათვის ჯერ მასალაც არ იყო თავმოყრილი, რადგან ერთადერთი მუზეუმი ამ დროს — წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი — ის-ის იყო ყალიბდებოდა და თვით მუზეუმშიც არ იცოდნენ, რა მასალა

იყო მის კვლევებში შეგროვილი. მკვლევარს თვით უხდებოდა მასალის ძებნა, მისი გარკვევა, კლასიფიცირება, შესწავლა და გამოყენება. არც თეორიული შემკვიდრება მიუღია მას წინადროის მკვლევართაგან ისეთი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო ფეხის მოკიდება და მუშაობის გაგრძელება. ჯერ ერთი — არ არსებობდა იმ დროს არავითარი ანგარიშგასაწევი მიმოხილვა ქართული მწეჭლობისა. არ მოიპოვებოდა არც ისეთი კონცეფცია, რომელიც მეცნიერული მოთხოვნის სიმალლეზე მდგარიყო. ასეთი კონცეფცია არ გააჩნდა არც მის წინამორბედებს სამეცნიერო აკადემიაში მ. ბროსეს, ვინაიდან, ნ. მარსის სიტყვითვე რომ ვთქვათ, „ისტორიული სურათი საქართველოსი, რომელიც თვალწინ გადაეშალა ბროსეს XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მეცნიერთა და მწერართა შრომებში, გადაჭარბებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი აღმოსავლეთ-მცოდნეობის მოთხოვნილებას“ არა მარტო რუსეთში, ევროპაშიაც კი, ამიტომ მან, ბროსემ, „თავისი სამეცნიერო მიმართულების ქვაკუთხედად გაიხადა XVII-XVIII საუკუნეთა ქართველი მეცნიერების თეორია“¹ თეორია ცალმხრივი, რომე-

¹ „К столетию дня рождения М. И. Броссе“, Зап. Восточ. Отд. XIV, стр. 075.

ლიც საქართველოს წარსულს იღებდა განცალკევებულად, იზოლირებულად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეზობელ-ქვეყანათა წარსულისაგან. ეს თეორია შეთვისებულ და შეწყნარებულ იქნა ბროსეს მომდევნო ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა მიერ. ნ. მარმა პირველმა გამოიყენა ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმე ამ იზოლირებული მდგომარეობიდან, ქართული ფილოლოგია „შეყვანილ იქნა ზოგადკავასიური ფილოლოგიის უფრო ფართო ფარვატერში“¹ სრულიად გარკვეული ორიენტაციით მთელი „წინააზიის“ მსოფლიოზე.

ამნაირად, ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფილოლოგიაში, კერძოდ ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში, რეალურ-კრიტიკულ მიმართულებას, რომელიც დამახასიათებელი შეიქნა „პეტრბურლის სამეცნიერო შკოლის“ მუშაობისა ქართული ფილოლოგიის დარგში.

პირადად ნ. მარი კარგად შეიარაღებული აღმოჩნდა ასეთი პრინციპის არა მარტო წამოსაყენებლად, არამედ განსახორციელებლადაც. აღამიანი, ფართო ჰუმანურ-ორიენტალური განათლებით აღჭურვილი, საფუძვლიანად მცოდნე აღმოსავლური და დასავლური ენების მთელი სერიისა, გარშემორტყმული მთელი რიგი სახელგანთქმული ორიენტალისტებით, გულთბილად მიღებულ იქნა საუკეთესო სამეცნიერო გამოცემებში, როგორც იყო: «Известия Академии Наук», «Журнал Министерства Народного Просвещения», «Византийский Временник», «Записки Восточного Отделения русского Археологического Общества», «Палестинский Сборник», «Сообщения

Палестинского Общества» და სხვ. მას საშუალება მიეცა თავისი მეცნიერული მიზნებისათვის, შეეძინა საკუთარი, შეიძლება ითქვას, სერიები, როგორც იყო: «Тексты и разыскания по армяно-грузин. филологии», «Bibliotheca Armeno-Georgica», «Христианский Восток», «Материалы по яфетическому языкознанию», «Monumenta Hagiographica Georgia» და სხვა. ამ სერიებსა და ორგანოებში იბეჭდებოდა ტექსტები და გამოკვლევები ქართული მწერლობის ისტორიიდან როგორც თვით ნ. მარისა, ისე მისი მოწაფეებისა.

ნ. მარის სიტყვით, „საფუძველს ყოველგვარი სერიოზული მუშაობისა ლიტერატურის დარგში არის კატალოგიზაცია ხელნაწერებისა“.² ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ხელნაწერების კატალოგიზაციას ის დიდ ყურადღებას აქცევდა. მან თავისი მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა ამ საქმეში. მეტიც: თავისი მუშაობა ლიტერატურის დარგში, თუ გნებავთ, აქედან დაიწყო მან. ჯერ კიდევ 1888 წელს, როდესაც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმს არავითარი კატალოგი არ გააჩნდა თავისი ლიტერატურული საგანბურისა, ნ. მარმა შეადგინა, საქმოდ დაწვრილებით, აღწერილობა იმ კოლექციისა, რომელიც შესწირა საზოგადოებას მ. ალექსი-მესხიშვილმა. ეს აღწერილობა, ავტორის უსახელოდ გამოქვეყნდა იმავე წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 236, 238, 239, 240, 254). 1900 წელს მან გამოაქვეყნა «Краткий каталог собрания грузинских рукописей, приобретенного Публичной библиотекой в 1896» (მ. საბინინისაგან). აქ აღწერილია 23 ცალი პეტად საყურადღებო ხელნაწერისა და დოკუმენტისა. ნ. მა-

¹ „Тексты и разыскания по Кавказской филологии“, т. I, стр. II.

² „К столетию дня рождения М. И. Брюсе“, Зап. Вост. Отд., т. XIV, стр. 077.

რის განსაკუთრებულ ყურადღებას იზიდავდნენ, სიძველისა და შინაარსის მიხედვით, ის ხელნაწერები, რომლებიც თავმოყრილი იყო აღმოსავლეთის სხვადასხვა წიგნთსაცავებში: ათონზე, სინას მთაზე, პალესტინაში. მართალია, მანამდისაც არსებობდა აღწერილობა ამ ხელნაწერებისა, რომელიც პროფ. ა. ცაგარელს ეკუთვნის, მაგრამ ეს აღწერილობა არც ამომწურავი იყო დასახელებული წიგნთსაცავებისა, არც სრული ხელნაწერთა შინაარსის გათვალისწინების ხაზით და არც ზუსტი მათი ნომენკლატურისა და თარიღის გარკვევის მხრივ. რაც დრო გადიოდა, ეს ხელნაწერები თანდათან იღუპებოდნენ ბარბაროსული მოპყრობის გამო. ამიტომ ნ. მარია მიზნად დაისახა მიმოვლა აღმოსავლეთის დასახელებული ადგილებისა და იქ არსებული ქართული ხელნაწერების მეცნიერულად აღწერა. ეს მან მოახერხა კიდეც. 1898 წელს ზაფხულზე მან იწახულა ათონი, შეისწავლა იქაური ქართული ხელნაწერები, რომელთა შესახებაც საგანგებო მოხსენება გააკეთა,¹ ხოლო 1900 წელს გამოაქვეყნა ვრცელი აღწერილობა რამდენიმე საყურადღებო მონუსკრიპტისა ამ კოლექციიდან.²

უფრო საყურადღებო და შედეგიანი იყო მისი მოგზაურობა სინას მთაზე და იერუსალიმს აკად. ი. ჯაკობინიშვილთან ერთად 1902 წ. ამ მოგზაურობის დროს მან თითქმის ამომწურავად აღწერა, ზოგიერთ შემ-

თხვევაში გადმოწერა კიდევაც იმ არსებული ქართული ხელნაწერები. განსაკუთრებით კი სინას მთისა.³ ამ მოგზაურობის შედეგად გამოვიდა მან 1903 წელს გააცნო ქვეყანას,⁴ სენსაცია გამოწვია დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში და ცნობილ ისტორიკოსს ალ. პარნაკს წარმოათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და ახლო გავაცნონ მისი საუენჯა“.⁵

თვალყურს ადევნებდა და ეხმაურებოდა ნ. მარია სხვის მიერ შესრულებულ კატალოგიზაციას ამა თუ იმ კოლექციისას. ასე, მაგალითად, ის გამოეხმაურა საგანგებო რეცენზიით „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას, რომელიც ეკუთვნის ექ. თაყაიშვილს,⁶ ამ რეცენზიაში მან მრავალი საყურადღებო შენიშვნა და განმარტება შეიტანა, რითაც უფრო გააღიდა მეცნიერული ღირებულება შრომისა.

ამგვარი საკატალოგიზაციო მუშაობით ნ. მარია მტკიცე ბაზა შეუქმნა როგორც თავის საკუთარ, ისე სხვა

¹ „Из поездки на Афон“, Журн. Мин. Народ. Просв., 1899, III.

² „Агиографические материалы по грузин. рукописям Ивера“, ч. I-II.

³ „Описание грузинских рукописей Синопского монастыря“, Изд. Акад. Наук СССР. Москва-Ленинград, 1940 г.

⁴ „Предварительный отчет о работах на Синае... и в Иерусалиме“. Сообщ. правосл. Палестинского общества. т. XIV, ч. 2.

⁵ Sitzungsberichte d. k. preussischen Akademie der Wissenschaften“. 1903, XXXIX

⁶ Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили: „Описания рукописей Музея общества распространения грамотности среди грузин“, т. I (Оттиск из „Сборника отчетов о премиях и поправках за 1907 г.).

მეცნიერთა ისტორიულ-ლიტერატურულ შტუდებსა და კვლევებებს.

ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები ნ. მარისა ორ მთავარ ჯგუფად შეგვიძლია გავყოთ: პირველი ჯგუფის ნარკვევთა ობიექტს შეადგენს ძველი საეკლესიო-სასულიერო მწერლობა, მეორისას კი—საერო.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია ნ. მარს სასულიერო მწერლობის დარგში. ქართული სასულიერო მწერლობა ერთ-ერთი უძველესი დარგია აღმოსავლურ-ქრისტიანული მწერლობისა. მას შემოუნახავს მრავალი ნათარგმნი ძველი, რომელთა დედნები დღეს დაკარგული და საძიებელია. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც აქცევენ დღეს ამ დარგს მეცნიერთა წრეში. ნ. მარის მანვილი გონებაც სწორედ აქეთ იყო მიქცეული, იგი საგანგებოდ ეძებდა ქართულ საეკლესიო მწერლობაში იმას, რაც იზიდავდა ევროპელთა მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას. მის მიერ გამოაქვეყნებული ქართული თარგმანი ძველი ბერძნული, სირიული, არაბული და სომხური დედნებისა, შექმული ისტორიულ-ლიტერატურული და ლინგვისტური აპარატი, იწვევდა დაუშრეტელ ინტერესს შენაფერ სამეცნიერო წრეებში, რის გამოც ძველმა ქართულმა მწერლობამ შემოიკრიბა და გიჟინა მნიშვნელოვანი კადრი სპეციალისტ-მკვლევარებისა ორივე კონტინენტის საუნივერსიტეტო სფეროებში. საფრანგეთში (პარიზი), გერმანიაში (ბერლინი, ბონი), ბელუიაში (ბრიუსელი), იტალიაში (რომი), ამერიკაში (მარჯარდის უნივერ.) ძველი ქართული ლიტერატურა მარის შემდეგ მეცნიერთა ყურადღების საგნად გახდა: ამ ცენტრებში ის მუშაედება ზოგადად იმ ხა-

ზითა და მიმართულებით, რომელიც უჩვენა მას აკად. ნ. მარმა სასულიერო მწერლობის კვლევის გამოცემებში ნ. მარის უფრო ჩანს როგორც ფილოლოგი, ვიდრე ლიტერატურის ისტორიკოსი; ერთ-ერთ ასეთს გამოცემაში ის პირდაპირ ამბობს: მე არ ვისაბავ მიზნად გავარკვიო მნიშვნელობა ძველისა ძველი ქრისტიანული, ლიტერატურის ისტორიისათვის... მაგრამ¹ მეცნიერთათვის საინტერესო და საჭიროა იცოდნენ აზრი სპეციალისტისა თარგმანის დედნისა და დროის შესახებო. დასახელებულ ამოცანაზე ხელის აღება აიხსნება იმით, რომ ამგვარი მუშაობისათვის მას აკლდა საჭირო სპეციალური მომზადება. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ამა თუ იმ ძველის შესწავლისას ფილოლოგიური აპარატი აუცილებელია ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, იმდენად ნ. მარის გამოცემები აუცილებელ ელემენტად შეიქმნენ ასეთი ისტორიული მუშაობისაც.

საეკლესიო-სასულიერო მწერლობის დარგიდან აკად. ნ. მარის ყურადღების ცენტრში იყო განსაკუთრებით ბიბლიოლოგია, პატროლოგია და პავიოგრაფია.

საკითხი ქართული ბიბლიური ტექსტის გენეზისისა და ევოლუციის შესახებ თავიდანვე აინტერესებდა ნ. მარს. ეს საკითხი მან მკვიდრ მეცნიერულ ნადავზე დააყენა, როდესაც ასეთი დებულება წამოაყენა: 1) ქართული ბიბლიის წარმოშობის გამოსარკვევად საჭიროა ცოდნა არა მარტო ბერძნულისა, არამედ ებრაულ-მასორეტულისა და აღმოსავლური ქრისტიანული (სირიული, სომხური) ბიბლიური ტექსტისა; 2) ტექსტუალური შედარებისათვის აღებულ უნდა იქნას არა ახალი დროის, შიო

¹ Исполит. „Толкование Песни Песней“, ТРАГФ. III, стр. XV.

უმეტეს დაბეჭდილი, საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე შესწორებული, მასალები, არამედ უძველესი, თუ პირვანდელი არა, მასთან დაახლოებული მაინც, ტექსტები, შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლილი. გაკვრით იგი ამ საკითხს არა ერთხელ წინააღმდეგობა შეხება. უფრო გულდადებით იგი მას შეეხო 1899 და 1903 წლებში ათონსა და სინას მთაზე მოგზაურობის ანგარიშში, ხოლო სპეციალურად მისი რკვევა მან დაიწყო აკადემიურ ორგანოში „Христианский Восток“, სადაც მოათავსა „Заметки по текстам св. писания в древних переводах армян и грузин“ (т. II, 163 — 174, 263 — 274, 378 — 388.; т. III, стр. 249 — 262; т. IV, стр. 229—245).

ნ. მარჩის იზიდავდნენ არა მარტო თეორიული ბიბლიოლოგიური საკითხები, არამედ თვით ტექსტიკამით აიხსნება, რომ 1909 წელს პროფ. ბენეშევიჩმა მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოსცა სამეცნიერო აკადემიაში მეთექვსმეტის ხელნაწერების მიხედვით „სახარება ოთხთავი“ (მათესი და მარკოზისა); ხოლო 1914 წლის დიდი მსოფლიო ომის დროს ნ. მარჩი თავისი მოწაფეების თანამშრომლობით დაიწყო 978 წლის ე. წ. ოშკის ქართული ბიბლიური ტექსტის ბეჭდვა, მაგრამ არახელსაყრელი პირობების გამო იძულებული გახდა შეეჩერებინა ეს გრანდიოზული წამოწყება, რომლის განახლებასაც, როგორც ვიცით, ის აპირებდა აკადემიური მუშაობის ახალ პირობებში.

ლემის შესწავლა-გამოქვეყნების საქმეში. ამ მიმართულებით ეს სკდინოლობდა მიეწოდებინა მისი მოწაფეებისათვის ისეთი მასალა, რომელიც უცნობი და მოულოდნელი იყო, რომელიც მთელს ეპოქას ამუშებდა და არსებულს ხარვეზს ავსებდა. ვის არ ახსოვს ის სენსაცია, რომელიც გამოიწვია მეცნიერებაში მის მიერ აღმოჩენილმა და გამოცემულმა იბოლიტე რომაელის მანამდე უცნობმა შრომამ, რამაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიუპოვა? ამას შედეგად მოჰყვა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში ქართული ენის მნიშვნელობისა და მისი შესწავლის საკითხების შეგნება. სხვა ამგვარ შრომებიდან დასახელებულ უნდა იქნას გამოცემა საინტერესო აპოკრიფული ტექსტისა „აღშენებისათვის ლუდის ეკლესიისა“¹ და განსაკუთრებით გამოქვეყნება „ფიზიოლოგის“ ქართული თარგმანისა,² რომელმაც სულ ახალი შუქი მოჰქინა ამ საშუალო საუკუნეებში მეტად პოპულარული ნაშრომის ლიტერატურულ ისტორიას. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ანტიოქე სტრატეგის მანამდე უცნობი თხზულების „წარტყვენაჲ იერუსალიმისაჲ სპარსთაგან“ ქართულ ენაზე აღმოჩენამ და გამოქვეყნებამ. აღნიშნულ თხზულებას, რომელიც ნათელსა ჰვენს სპარსეთისა და ბიზანტიის ურთიერთობას მეშვიდე საუკუნეში, აღტაცებით შეხედნენ ამ ეპოქითა და ურთიერთობით დაინტერესებული ისტორიკოსები.

¹ „Толкование Песни-Песней Ипполита“, „Тек. и разыск“, III, 1901 г.

² Иосифа Аримафелского — О построении церкви Лидийской. „Тек. и Разыск.“, II, 1900 г.

³ Физиолог, „Тексты и разыскания“, VI, 1904 г.

მეტად მნიშვნელოვანია ნ. მარჩის ღვაწლი სხვადასხვა ენებიდან სხვადასხვა დროს ქართულად გადმოთარგმნილი პატროლოგიური ძეგ-

არანაკლები დეწლი მიუძღვის ნ. მარს ქართული ჰაგიოგრაფიის დარგში, რომელიც ჩვენს მწერლობას აკავშირებს არა მარტო ბერძნულთან, არამედ სირიულ, სომხურ და არაბულ ლიტერატურასთანაც და, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეუნელებელ ყურადღებას იპყრობს სათანადო სპეციალისტების, განსაკუთრებით კი ე. წ. ბოლანდისტებისას. ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაგან ნ. მარს დიდი ხნიდან აინტერესებდა საშუალო საუკუნეებში გავრცელებული რომანი, რომელსაც ქართულად „სიბრძნე ბალავარისა“ ეწოდება. როგორც ცნობილია, არსებობს ცნობა, რომ ბერძნული ვერსია მისი, რომლიდანაც მომდინარეობს დღეს-დღეობით ცნობილი ევროპული მისი ვერსიები, ნათარგმნია ქართულიდან ექვთიმე ათონელის მიერ. ამ სენსაციურმა ცნობამ გააორკეცა ინტერესი რომანის ქართული ვერსიისადმი, და ნ. მარს მთელი თავისი ახალგაზრდული ენერჯიით შეუდგა ამ ვერსიის შესწავლას. მისი აზრით, ქართული ვერსია ითარგმნა მეცხრე-მეათე ს-ში სირიულიდან, შეიძლება არაბულის მეშვეობით, და ექვთიმე ათონელის მეოხებით იგი საფუძვლად დასდებია ბერძნულს ვერსიას.¹

ერთ-ერთი საყურადღებო ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც სირიულიდან ნათარგმნ ნაწარმოებად ასაღებს თავის თავს და მეცნიერულად ნ. მარსის მიერ არის გამოცემული, ეხება აღმოსავლეთში ცნობილი მონოფიზიტ მოღვაწის პეტრე ქართველის ცხოვრებასა და მოქალაქეობას.²

ამ ნაწარმოებში გაშუქებულია დღესწყისი ხანა ქართული ქრისტიანობისა, რომელიც დაკავშირებულია პალესტინასა და იმდროინდელ იდუოლოგიურ მოძრაობასთან აღმოსავლეთში. თავის დროზე ამ ნაწარმოებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია პალესტინოლოგებს შორის.

რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ ორ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან ჰაგიოგრაფიულ ტექსტზე, რომელთაგან ერთის გამოცემა³ დაკავშირებული იყო „ბალავარის“ საკითხთან, ზოლო მეორესი გამოწვეული იყო მისდამი საგანგებო ინტერესით ევროპაში,⁴ ხზვასმით უნდა აღვნიშნოთ ის წამოწყება სამეცნიერო აკადემიისა, რომლის ინიციატივაც ნ. მარს ეკუთვნის და რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სპეციალურ სერიაში, „*Manumenta hagiographica Georgia*“-ს სახელწოდებით, გამოცემული ყოფილიყო მნიშვნელოვანი ძეგლები ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიისა. განხორციელება აღნიშნული წამოწყებისა, რომელიც განზრახული იყო შვიდ ტომად, ნ. მარის რეკომენდაციით აკადემიისაგან დავალებული ჰქონდა ამ სტრიქონების ავტორს.⁵ ამ წამოწყებიდან მოეწრო გამოცემა მხოლოდ პირველი ტომისა, რომელიც გამოვიდა თბილისში 1918 წელს Keimena-ს სახელწოდებით. სამაგიეროდ ეს წამოწყება განაგრძო უკანასკნელ წლებში თვით ნ. მარიმ, რომელმაც გამოსცა საზღვარგარეთ, პარიზში, ერთი სერია ჰაგიოგრაფიული ქართუ-

¹ Зап. Восточ. Отд. Археол. Общ. т. III и XI. Агиограф, матер. по груз. рук. Ивѣра II, და სხვ.

² Житие Петра Ивѣра, царевича-подвижника и епископа Майюмского. „Палестин. Сборник“, т. XVI, вып. 2, 1896 г.

³ Житие Варлаама Сиро-Кавказского. Агиографич. материалы. II.

⁴ Житие трех близнецов — Спевсипа, Еласипа и Меласипа, Зап. Вост. отд. т. № 18.

⁵ Протоколы VII заседан. истор-филолог. отд. Акад. Наук за 1915 г., стр. 61—62, 66—73.

ლი ძეგლებისა ათონის ხელნაწერის № 57 შიხდვით.¹

უყურადღებოდ არ სტოვებდა ნ. მარტი არც ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიას. ამ მხრივ დასახელებულ უნდა იქნას განსაკუთრებით მის მიერ გამოცემული „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელიც დაწერილია მეთექვსმეტე საუკუნეში გიორგი მერჩელის მიერ.² ამ განასკვნელმა ნაწარმოებმა, რომელსაც დღეს სამშალო სკოლაშიც კი იცნობენ, თვალწინ გადაგვიშალა მრავალი უცნობი კაბადონი საქართველოს წარსულისა, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიიდან. ეს ნაწარმოები, რომელიც გვაძლევს ფართო სურათს იმდროინდელი ქართლის, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკურ-კულტურული და ეკლესიური ცხოვრებისა, რომელიც შინაარსით და ფორმით მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლს უახლოვდება, საბოლოოდ ამჟღავნებს, რომ ქართული ლიტერატურული კლასიციზმი დაწყებულ უნდა იქნას ერთი საუკუნით ადრე, მეთექვსმეტეში.

დასასრულ, როდესაც ლაპარაკია ნ. მარტის ღვაწლზე ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საქმეში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სხარტად და მოკლედ მოხაზული სურათი XVII—XVIII საუკუნეთა საეკლესიო მწერლობისა, რომელიც მან 1906 წელს მოხსენების სახით წარუდგინა რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ კომისიას, სადაც ირჩეოდა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის შესახებ.³

იმ მკვეთრად და მკაფიოდ გარკვეულია გზები და სასიაფი, რეკონსტრუირულ-სავანმანათლებლო მუშაობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში აღნიშნულ საუკუნეებში.

სასულიერო მწერლობასთან ერთად საქართველოში გარკვეულ დროიდან ფეხი მოიკიდა მასთან დაკავშირებულმა და სამშალო საუკუნეებში მის „სამსახურში“ მყოფმა ფილოსოფიურმა, განსაკუთრებით ნეოპლატონურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, რამაც გამოიწვია შესაფერისი ფილოსოფიური მწერლობა. ნ. მარტი არც ეს დარგი ძველი ქართული მწერლობისა დაუტოვებია უყურადღებოდ. თუ გნებავთ, მან პირველმა მიაქცია მას ყურადღება, გვიჩვენა გზები ამ მწერლობის შემოსვლისა ჩვენში და როლი ნეოპლატონიზმისა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის კლასიკურად გამოკეთილი ნარკვევი იმ პირთა და თხზულებათა შესახებ, რომელნიც გზას უკაფადნენ ჩვენში ფილოსოფიურ აზროვნებას. ეს არის ნაწარმოები „Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII веков“, სადაც მოცემულია მკვეთრი სურათი ამ ბუმბერაზი, არა მარტო ქართული მატებით, პიროვნებისა, გარკვეულია მისი და მისი სკოლის იდეოლოგია და დასახურება ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარების საქმეში.

სასულიერო მწერლობა terra incognita იყო ქართველთათვის. ის შეიძლება ითქვას, მეცნიერული მიდგომით ნ. მარტი აღმოაჩინა. რაც შეეხება საერო მხატვრულ ლიტერატურას, იმას თითქოს იცნობდნენ ჩვენში, მაგრამ იცნობდნენ ზერე-

¹ Graffin — F. Nau, Patrologia Orientalis, t. XIX, Fasc. 5, p. 657-741.

² „Тексты и разыскания“, VII, 1911 г.

³ Журналы заседаний Предсоборного присутствия 8 декабря 1906 г., № 7, стр. 196—203.

ლელ. ნ. მარმაიკისრა მზის შუქზე გამოტანა ამ ლიტერატურისაც, ყოველ შემთხვევაში მისი საკვანძო საკითხებისა და პრობლემებისა, და აქაც მან დიდ შედეგებს მიაღწია. საერო-მხატვრული ლიტერატურის მიმოხილვისას ის იმავე შედარებითი მეთოდით ხელმძღვანელობდა, რომლითაც სასულიერო მწერლობის შტუდიებში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა, — ეს მთავარი კვანძია ამ დარგში მისი მუშაობისა, რომელიც მას არასოდეს არ გამოპარვია ყურადღებიდან. ყველაზე მეტად საერო მხატვრული ლიტერატურის დარგში მას აინტერესებდა საკითხი ამ ლიტერატურის წარმოშობისა და ე. წ. კლასიკური ხანა მისი. ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის წარმოშობას ნ. მარმაიკი თავდაპირველად სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით ხსნიდა,¹ რადგან ასეთი გავლენა, მისი აზრით, შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპარსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური მეზობლობა და ურთიერთობა განმტკიცდა, ამას კი საფუძველი თითქოს დაეით აღმასწენებლის დროიდან ჩაეყარა. საერო მწერლობას ნ. მარმაიკი იწყებდა მეთერთმეტე საუკუნის დამლევებიდან თუ მეთორმეტის დამლევებიდან. 1929 წ. გერმანულად დაწერილ წერილში იგი გაკვირვებით ეხება ამ საკითხსაც, ახლა კი იმ ნიადაგად, რომელზედაც წარმოიშვა საერო მწერლობა, ის სთვლის წარმართული ხანის ქართულ პოეზიას, არაბულ-სპარსული კულტურის ზეგავლენით გამოცოცხლებულს.²

ნ. მარმაიკი უფრო აინტერესებდა XI — XIII საუკუნეთა საერო მწერლობა, ვიდრე შემდგომი. XIII — XVIII საუკუნეთა ლიტერატურიდან მისი ყურადღება საგანგებოდ მიიპყრო მხოლოდ ორმა ძეგლმა — შაჰნამემ, რომლის თავდაპირველს პროზულ თარგმანს ის კლასიკურ ხანას აკუთვნებდა,³ და „რუსუდანიანმა“, რომელიც მან პირველმა დაათარბიდა მე-17 საუკუნით და რომლის მე-11 ნოველა გამოსცა კიდევაც.⁴

სამაგიეროდ უნდა ითქვას, რომ კლასიკური ხანის საერო ლიტერატურა მთელი თავისი მოცულობით და სიგრძე-სიგანით იქნა შესწავლილი მის მიერ. არ დარჩენილა არც ერთი ძეგლი ამ ხანისა, რომელიც არ გამზდარიყო სპეციალურ საგნად მისი ისტორიულ-ლიტერატურული შტუდიებისა. პირველ ყოვლისა, ამ ეპოქიდან მისი კვლევა-ძიების ობიექტად გახდა სადევ-გმირთ რომანი „ამირან-დარეჯანიანი“. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებისა, რომ ეს რომანი ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, ნ. მარმაიკი, რომანში შენიშნული სპარსული ნაციონალური ტენდენციისა და მთავარი მოქმედი პირების სახელთა ეტიმოლოგიის სპარსულ ნიადაგზე ახსნით, რომანი სპარსული ენიდან ნათარგმნ ნაწარმოებად აღიარა და მე-16 საუკუნის შვიგნობრის, ბაგრატ ბატონიშვილის,

¹ „როსტომიანი; ორიოდ სიტყვა შაჰნამეს ქართული თარგმანის შესახებ“, „ივერია“, 1891, №№ 132, 135.

² „Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из Русуданиани“, Восточн. Заметки, Сборник статей и исследований проф. факультета вост. языков Петерб. Университета.

¹ „Возникновение и расцвет древнегруз. светской литературы“, ЖМНПросв. 1899, XII.

² Das neue Russland. № 5—6, Die georgische Sprache.

ცნობის მიხედვით, მის დედნად სპარსული „ყისაჲ ჰამზა“ გამოაცხადა.¹ რომანის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მან მე-12 საუკუნის დამლეგს მიაკუთვნა.²

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ არ გაამართლა ბაგრატის ცნობა „ყისაჲ ჰამზას“, ყოველ შემთხვევაში მისი დღეს-დღეობით ცნობილი ვერსიის, დედნობის შესახებ; მაგრამ ნ. მარსი ამ ფაქტის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად მოხდა გარდატეხა უკანასკნელ წლებში: ის გაუბედავად, მაგრამ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რომანი ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული, ამდენად, მაშასადამე, ის ორიგინალურია.³

შემდეგი ძეგლი კლასიკური ხანისა, რომელიც ნ. მარის კვლევა-ძიების საგანს შეადგენს და რომლის ტექსტში მან სხვადასხვა დროის შენიშვნებით მრავალი მნიშვნელოვანი კონიექტურა შეიტანა, არის „ვისრამიანი“. აქ საძიებელი და საკამათო იყო საკითხი რომანის წარმოშობისა, — ორიგინალურია იგი თუ ნათარგმნი — და მისი ქართულ ენაზე გაჩენის დროის შესახებ. პირველ საკითხზე მეცნიერი იძლევა შემდეგ პასუხს: ვისრამიანი წარმოადგენს თარგმანს სპარსული პოეტის გურგანის თხზულებისას, თარგმანს, ძალიან დაახლოვებულს დედანთან, თითქმის სიტყვა-სიტყვით,⁴ სადაც, როგორც შემდეგ და-

უმატა მან, მთარგმნელი იცავს ქართული ენის თავისებურებას და ქართული კულტურული სურათს უტყუარებსო.⁵ რაც შეეხებოდა მარსის გადმოთარგმნისას, თავდაპირველად ნ. მარსი მას იმავე დროს აკუთვნებდა დაახლოვებით, რომელსაც „ამირან-დარეჯანიანისას“, ხოლო უკანასკნელად მან იგი გადმოიტანა მონღოლთა ეპოქაში იმ მოსაზრებით, რომ „სიყვითლის“ აღმნიშვნელად მთარგმნელს, „დრაჰკანის“ ნაცვლად, უხმაურია „ლრიანკალი“, რაც თითქოს იმის მიჩვენებელია, რომ ქართველებს რომანის თარგმნისას წარმოდგენა აღარა ჰქონდათ ყვითელ, ოქროს დრაჰკანზე, ეს კი მონღოლთა ხანას გვიჩვენებსო.⁶ ცნობილ „ტრისტან და იზოლდას“ რომანთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში ნ. მარსმა „ვისრამიანის“ საკითხის ძიება იაფეტილოლოგიის მიღწევების ნიადაგზე გადაიტანა და შემდეგი დებულება წამოაყენა: რომანის უპირველესი მოთხრობა, რომლიდანაც მომდინარეობს თვით ფალაური დედანი მისი, შექმნილია იაფეტურ წრეში, ის, შესაძლებელია, „ქართველ ერის ბუნებასთან უფრო დაახლოვებული იყოს, ვიდრე სპარსულზე... ქვედა სართელში უფრო ქართული იყოს, ვიდრე სპარსული“.⁷

ყველაზე მეტი შრომა ნ. მარს „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე გაუწევია. ამ პრობლემებზე მუშაობა მან დაიწყო 1890 წელს, როდესაც ვაზეთს „თეატრში“ (№ 12) მოათავსა ა. ხახანაშვილის საპასუ-

¹ „Персидская национальная тенденция в груз. романе Амира-Дареджаниани, ЖМНП, 1895 г., III; Из книги царевича Баграта. Извест. Акад. Наук 1899, т. X, № 2.

² „Возникнов. и расцвет древне-груз. светской литерат“. ЖМНП, 1899, XII.

³ Н. Марр, „Амиран“, стр. 10—11. Akademia 1932, მსოფს — Ossetica — Saphetica, Азиатский Сборник, стр. 2080. 1918.

⁴ К вопросу о влиянии персидской литер. на грузинскую, ЖМНП, 1897, III.

⁵ Из грузинско-персидских литератур-связей, Записки Коллегии востоковедов, т. I.

⁶ Из грузинско-персидских литератур-связей, Записки Коллегии востоковедов, I.

⁷ „ქართული ენის კულტურული შებენიანი ენათმეცნიერების მიხედვით“, ეურნ. „მნათობა“, 1925 წ. № 5—6.



ხოდ წერილი პოემის წარმოშობის შესახებ. მას შემდეგ არასდროს არ შენელებულა მეცნიერის ინტერესი ამ ნაწარმოებისადმი. „ვეფხისტყაოსანს“ მან უძღვნა მრავალი წერილი და ნარკვევი, სადაც იგი პოემის ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს ნაწარმოების ტექსტუალური კრიტიკით აშუქებს. მანვე მოგვცა კრიტიკული გამოცემა პოემის პროლოგისა და ეპილოგისა, სადაც ის გზადგზა გვითვალისწინებს ფეოდალურ-რაინდული საზოგადოების სოფლმხედველობას და იდეალებს კლასიკურ ხანაში.¹

დიდად საინტერესოა ნ. მარის შრომა კლასიკური ხანის მეხოტბეების შესწავლის ხაზით. ნ. მარს ეკუთვნის კრიტიკული გამოცემა „თამარიანისა“ და ე. წ. „აბდულ-მესიასი“.² მან შეძლებისამებრ აღადგინა ნამდვილი სახე ოდებისა, განმარტა მრავალი გაუგებარი ადგილი მათი, გაგვითვალისწინა იდეოლოგია და სოფლმხედველობა მეხოტბეებისა, აგრეთვე ტეხნიკა მათი ლექსისა. ნ. მარმა განსაცვიფრებელი გონებამახვილობით გაარკვია შედგენილობა „თამარიანისა“, მისი 11 ოდით, რაც შთაგონებული იყო თამარის დროის ქართული სახელმწიფოებრივობის ტრიუმფალური წინსვლით.

ასეთია ზოგად ხაზებად აკად. ნ. მარის ღვაწლი ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. ამ შედეგად მიკვლე სქემატური მიმოხილვიდანაც, ვფიქრობთ, ნათელია, რაოდენ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებია მას ამ მიმართულებით თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე. არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ ნ. მარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი მეცნიერება ათეულ წლებით იქნებოდა ჩამორჩენილი იმ დონეს, რომელზედაც მას დღეს ვხედავთ.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ნ. მარის ლიტერატურული კვლევებიებითი მეთოდის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. მარმა თავიდანვე უკუაგდო ტრადიციული მიმართულება ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და მტკიცედ დაადგა რეალურ-კრიტიკულს შედარებითს გზას. ამ გზაზე შემდგარი, ის არ იფიწყებდა სოციოლოგიურ მომენტებსაც ლიტერატურის განვითარების პროცესში, უკანასკნელ წლებში კი ის უფრო გაბედულად დადგა ამ გზაზე და ცდილობდა თანდათან დაახლოვებოდა მარქსისტულ სოციოლოგიას.

¹ „Вступительные и заключительные строфы „Витязь в барсовой коже“. „Шо-ты из Рустава“, „Тексты и разыскания“, XII, 1910.

² „Древне-грузинский одописец“, „Тексты и разыскания“, IV, 1902 г.

შექსპირის ახალი თარგმანები

„რომეო და ჯულიეტა“, „მენენდიუსი მახაბრი“,

თარგმანი ვახტანგ ქელიძისა რედაქტორი ალ. ჭეიშვილი.
სახელგამი, 1946 წ.

რომარ ჩხიმიძე

★

შექსპირის ქართულად თარგმანის ისტორია დაკავშირებულია ჩვენი დიდი მწერლის ივანე მაჩაბელის სახელთან, რომელმაც შექსპირის ტრაგიკული გმირების სახე ბრწყინვალედ, საოცარი ძლიერებით და ზორსცხმულობით წარმოქმნა ქართულ ენაზე.

მათალია, სტრიქონთან სტრიქონის შემდარებლები ზოგიერთს აქცევას, გათავისებურებას, გაქართულებას აღმოუჩენენ ივანე მაჩაბელს, მაგრამ ორიგინალის საერთო განწყობილების, გმირთა მთლიანი და ფსიქოლოგიურად თანმიმდევარი სახის ახდა დახვეწილი დიალოგის ვერცერთ შემბლავს ვერ უპოვნიან. შაჩაბელმა, ზოგი დიალოგის ან მონოლოგის გაზვიადებისა და დანაშატის მიუხედავად, მაინც შესძლო (და დიდებულადაც შესძლო) ინგლისური ქმნილებების განწყობილების ქართულად გადმოტანა, ქართველ მკითხველისათვის შეფეღირის, მაცხეტის, რიჩარდის, ჰამლეტის ქართულად გაცნობა, და სწორედ ესაა ძირითადი მოთხოვნილება, რასაც მთარგმნელს უფერებს მკითხველი. ჩანართები და გაზვიადებანი მეტად ზომიერად და დიდის მხატვრული ტაქტით არის გამოყენებული; თანაც ეს ტრადენცია შთაგონებული უნდა იყოს ილია ქაეჯაძის მიერ, რადგან ყველაზე მეტი ჩანართები და გაზვიადებანი ილიასთან ერთად თარგმნილ „მეფე ლირაში“ გვხვდება.

ივანე მაჩაბელმა ილიასთანვე ერთად დაადგინა და დაამკვიდრა შექსპირის ხუმრულ-ლიანა იაშვის შესაფერად ქართული თოთხმეტმარცვლიანი თეთრი ლექსი, რითაც

ერთი უძნელესი საკითხი გადასჭრა და გზა გაუკადა შექსპირის შემდეგ მთარგმნელებს.

ბოლო დროს ქართველ მთარგმნელთა წრეებში, ზოგმა ჩამატებებმა და გაზვიადებებმა, დაჰადა აზრი მაჩაბლის თარგმანთა რევიზიის, ამავე დროს ახალი სალექსო ადექტაის მოძებნისა. ქელოძემ შეგნებულად აქცია ზურგი ამ ცდუნებას და დიდი ტრადიციის გავრძელების გზას დაადგა. ახლავარდა მთარგმნელმა მაჩაბლისაგანვე შეითვისა და უესძლო ღრმად ჩასწვდომოდა შექსპირის ტრამატიულ ქმნილებათა რთულ საიდუმლოებას, დიალოგის საიდუმლოებას. კარგად და მოზუნელიადაა გადმოცემული მოქმედების გადამმა ორმაგი დიალოგის ხელოვნებით. მაგალითისათვის მოვიყვანთ კაპულეტისა და მონტეგის მოშხრეთა შეტაკებიდან რომეოს განწყობილების გადმოცემაში გადასვლას:

Benvolio

Good morrow, cousin.

მშვიდობის დილა, ბიძაშვილა.

Romeo

Is the day so young?

ნუ თუ ამდენად

ნორჩია ვერ დღე?

Benvolio

But new struck nine.

ცხრა დარტყა მხოლოდ ახლან.

Romeo

Ay me! sad hours seem long

Was that my father that went hence so fast?
 ემ ნაღვლიანი საათები როგორ გაძვლდებოდა..
 ის მამა ჩემი ხომ არ იყო შენ რომ გაჯვორდა?

Benvolio

It was. — What sadness lengthens Romeo's hours?
 დიალ.—საათებს რა ნაღველი გიგრძელებთ ასე?

აგრეთვე მოხდენილადაა თარგმნილი ორმაგი დიალოგი გამდღვასა და ჯულიეტას შორის (გვ. 86-87-88) შაილოკა და ტუბალს შორის (გვ. 288-289) და სხვა. ზოგჯერ კიდევ გმირია ორმაგ მდგომარეობაში, და მთარგმნელი ახერხებს გადმოსცეს დიდი დრამატურგის მიერ დაქერილი ფსიქოლოგიური ნიუანსები: კაპულეტების საზეიმო საღამოს ტიბალტი იცნობს ნილბოსან რომეოს, საძულველ მონტეგის შვილს. ტიბალტი მზადაა გაკვირდოს რომეო, მაგრამ მოხუცი კაპულეტი იცავს სტუმარ-მასპინძლობის ადათს და სცდვილობს ფიცში ტიბალტის შეოცებას სხვათა შეურწმუნებლად:

Capulet

Go to, go to!
 You are a saucy boy,—ist so, indeed?
 The trick may chance to scathe ye.—
 Y know what
 You must contray me! 'tis time,
 Well said, my hearts!—You are a
 princex; go
 Be quiet, or...—More light, more
 light!—For Shame!
 Yll make you quiet: what!—Gheerly
 my hearts (Act I, sc V)
 ტავსულები

წა, წადი შეტო, გამეცალე შენ თავხელი ხარ!
 არა ხარ განა? ეს სიანხილე, კარგს არას შეგყრის.
 აჰ, მეტრჩები? ყოჩაღ, კარგი დრო მოგიწახავს!
 (სტუმრებს) კარგადა ბრძანეთ, გეთანხმებით!—აჰ, შე უყვერო, თუ არ დაიშლით... (მსახურთ) ჰა, სინათლე, სინათლე შეტო.

ვით არ გრცხვინიან? მაგრამ ისეთივე გაქვით შენ შე.
 ერთი შეხედეს!.. (სტუმრებს); [მეცხველები, გამხიარულნი] [ჩხობიძე]

აქ განგებ მოგვეყვას ინგლისური ტექსტი, რათა თვალსაჩინო იყოს, რომ თარგმანში ჩახმაძიტი რეშარკები: სტუმრებს, მსახურთ, და კიდევ სტუმრებს, იქ არ მოიპოვება. მიუხედავად მოხდენილად შესრულებული თარგმანისა, კვლამეს ვერ ვაუბრებდნია ორიგინალისამებრ ურეშარკოდ წარმოედგინა, რაც მის დიდ სურფთხილესა მოწმობს; რეშარკების ჩართვას ჩვენ აქ ზედშეტად ვერ მივიჩნევთ.

შექაპირის მთარგმნელი გარდა დიალოგისადმი სურფთხილესა კიდევ ერთი სიმწეღის წინაშე სდგას. ესაა სიტყვათა ცნობილი გონებაშახვილი თამაში, რასაც შექაპირი ხშირად მიმართავს ტრაგედიაშიც, უფრო მეტად—კომედიაშიც, კომიკური პერსონაჟის ხასიათის გარკვევის, ან მისზე მოქმედების შესაძლებლტებად. მთარგმნელები ამას, ხაერთოდ გაურბიან (მაგ., შექაპირის რუსი მთარგმნელები), რითაც ორიგინალს ერთგვარ თავისებურებას აკლებენ თარგმანში მჩაბელი ყოველთვის იცავდა ამ თავისებურებას; იგი თუმცა ზოგჯერ სცეღიდა სიტყვათა თამაშს მაგრამ ქართულად სხვა სიტყვებით იმავ ეფექტს აღწევდა. ვ. კელიძე ამ გზის კარგი გამგრძელებელია. თუმცა ზოგჯერ ბოძიკობს, ზოგჯერ გვერდს უწვლის (მაგ.: you have dancing-shoes with nimble Soles: I haul a soul of lead.— „Rand Is. Act. I, sc. IV — „თქვენ სიცყვეუოდ თხელსანიანი წაღები გაქვთ, ჩემი სული კი ტყვიისა არის“), მაგრამ ზოგჯერ მოხდენილად ახერხებს სიტყვათა თამაშის ქართულად გადმოტანას. გარდა უკვე აღნიშნულ მაგალითებისა (იხ. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 20 ივლისი, 1946 წელი) ჩვენ შევნიშნეთ კიდევ ერთი კარგი ამის ნიმუში. ესაა „რომეო და ჟულიეტას“ II მოქმედების II, სურათში:

— Well said follow me this jest now,
 tell hast worn out the pump;
 That when the single sole of it is worn,
 the jest may remain, after the
 wearing so lonly singular. აქ თამაში უმთავრესად დამყარებულია სიტყვებზე: single sole და solely

singular.—sole, ღანას, ფანჯა-
ფის ნიშნავს, იმავე დროს: ერთად-ერთს, გამოჩაკლის; singular.—უჩვეულის, უცნაურს, თავისებურს.—ღანას გაცვეთასთან შედარებითაა გაცუნაურება, გადასხვანაირება, რასაც ადვოკატის გარდა სხვა მნიშვნელობა არა აქვს რა, და მთარგმნელიც კარგად მოქცეულა, როცა ქართულად ასე გადმოიტარა:

„შოსწრებულად ლაპარაკობ, მაშ, მომევიც
კეთამახვილობაში, ვიდრე ფეხსაცმელები გა-
გვეთია, თორემ როცა ვე ერთადერთი თხე-
ლი ღანასა გაცუნებდა შენა ფეხსაცმელს,
შენც გამოლენაღებ“ (გვ. 7.). თუმცა
ასეთი მოხდენილი შემთხვევა ხშირი არ
არის, მარცხს თვით აღიარებს მთარგმნელი
(იხ. შენიშვნები მთარგმნელისა, გვ. 95), მაგ-
რამ უძვეელია, რომ ძიების სწორ გზაზე
დგას.

შექსპირის ტრადიციების თარგმნის დროს
ყველაზე ძნელია პათოსის შესატყვისი ნიუან-
სებით გადმოცემა. „რომეო და ჟულიეტა“ და
„ვენეციელი ეპიკარი“ ორი სხვადასხვა ყაიდის
ნაწარმოებია, მაგრამ მათ იერთებთ ტრფო-
ზისა და შურისძიების მძაფრი გნება. რარიგ
დამხეწილადაც არ უნდა გადმოვიცეს დია-
ლოგი, ან შექსპირის სხვა დრამატული
ხელოვნება, თუ ამასთან არ იქნა აღქმუ-
ლი რომეოსა და ჟულიეტას გრძნობის პა-
თოსი, შაილოკის შურისძიების, პათოსი, ძნე-
ლი გახდება ქართველი მკითხველისათვის
საერთო განწყობილების დაკერა და ათვი-
სება, აქ ვ. ჯელიძე ქართულ პოეზიის დიდ
ტრადიციებს ემყარება. ჟულიეტას გრძნო-
ბისა და ტრავიკული კენამის ურთულესი
სცენის (მოქმედება III, სურათი II) თარგმა-
ნი შთაგონებულია ქართული პოეზიის უბრ-
წყინველესი ოსტატის ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის მიერ; მონოლოგი: წყურვილი, სწრაფ-
ვა, გაფრენილი შერნები, უშიშროება უკუნი
ღამისა, ყორანი, მოკიადე ვარსკვლავნი; დია-
ლოგი: ბოროტი სული, დათმობა მშობელთა

ნათესავთა, — ყველა ის სახეობა, რომლებიც
მკაფიოდ გადმოგვეცემენ ჟულიეტას მძაფრ
ტრფიალს, შექსპირის მკაფიოდ დაქტოსს
აძლევენ მთელ თარგმნელს უცხოეთის
გასდევს სცენას რომეოსა და მედიოთაქტის
შორის, რომეოსა და პარისს შორის, სცე-
ნებს, სადაც წარმოდგენილია შაილოკი —
ფულის გასესხებისას, სასამართლოში და
სხვა... ქართული ლირიკის საუცხოო ნი-
მუნების შთაგონებითა თარგმნილი სონეტი
(გვ. 53—54), ალბა (გვ. 116—117, 118, 119),
იდილია (გვ. 275) და სხვა ადგილები.

ქართული პოეზიისა და ქართული მთარ-
გმნელობის კარგმა ტრადიციებმა ხელი შე-
უწყო ახალგაზრდა მთარგმნელს უმთავრეს
შემთხვევაში დაიძლია დიდი ინგლისელი
დრამატურგის პოეტური და სახეობრივი სი-
რთულის გადმოტანა. გამბობთ უმთავრეს
და ძირითად შემთხვევაში, რადგან შესაძ-
ლოა შევეცინოთა ზოგი რამ, რის თაიდან
აქილება ეგებ მოხერხებულიყო უფრო მე-
ტი თავდადებული ძიებით. ეს იქნება: სტრი-
კონებში სიტყვათა ჩამატება, ან ამაკლება,
რაც სახეებისა და აზრის გამარტივებს იწ-
ვეს (იხ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“
21 ივლისი, 1946 წ.), სტილისტური და ენო-
ბრივი შეცდომები (მაგ., „ო, გულს მიმარ-
ხავს. გვ. 121; „ო დავიჭერი, ორივე გვარი—
oth your houses — ქირმა გასწევატას“,
გვ. 95), ლიტერატურაში მკდარი გზებით შე-
მოსული გამოთქმების ხმარება („დღეა ბატო-
ნი“ გვ. 121 — your ladyship მოახსენე
დღეა ბატონმა“ გვ. 127, — tell my lady) და
სხვანი, ასეთი შეცდომები ბევრს აკლებს
თარგმანს. მაგრამ ეს ზანც წერილობრივია.
ბოლო ძირითადი მოთხოვნილება, განწყობი-
ლების გადმოტანის, გამოთა სახეების სწორი
წარმოსახვის მოთხოვნილება ამ თარგმანებში
უთუოდ დაკმაყოფილებულია.

ვახტანგ ჯელიძის ეს თარგმანები ქართვე-
ლი მკითხველის კარგი საჩუქარი და მსოფ-
ლიო კლასიკურ ძეგლთა თარგმნისათვის სა-
ქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტე-
ტის ზრუნვის კარგი ნაყოფია.



პასუხისმგებელი რედაქტორი ი. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. აბაშიძე, ნ. აბიაშვილი (პრეზ. მდიანი), ი. ბრიშვა-
შვილი, პ. ინგოროშვილი, ს. კლდიაშვილი, ა. მასაშვილი, ბ. ძეგ-
ბი, ბ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, დ. შენაბლაძე.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 23/1-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9 $\frac{1}{2}$. შმ 00908.
შეფ. № 1487. ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ვარკისი ქ. № 5.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„შ ნ ა ტ ვ ი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ